



ISSN: 2298-0202

ბრიგოლ რობაქიძის
სახელმწიფოს უნივერსიტეტი
GRIGOL ROBAKIDZE UNIVERSITY

აკადემიური მაცნე
ACADEMIC DIGEST

1

2

0

2

თბილისი Tbilisi



გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

Grigol Robakidze University

აკადემიური მაცნე

AKADEMIC DIGEST

2021

თბილისი – Tbilisi

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის რეცენზირებადი და რეფერირებადი სამეცნიერო ჟურნალი „აკადემიური მაცნე“ გამოდის წელიწადში ერთჯერ. ჟურნალი პოლითემატურია და მოიცავს შემდეგ დისციპლინებს: საჯარო მმართველობა, ბიზნესი და ეკონომიკა, სოციალური მეცნიერებები, მედიცინა და სხვ.

ჟურნალის 2021 წლის ონლაინ გამოცემა წარმოდგენილია გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის დოქტორანტების სამეცნიერო სტატიების კრებულის სახით.

სარედაქციო საბჭო

მამუკა თავხელიძე – მთავარი რედაქტორი (საქართველო)
გოჩა ოჩიგავა – მთავარი რედაქტორის მოადგილე (საქართველო)
ნინო შოშიტაშვილი – აღმასრულებელი რედაქტორი (საქართველო)

მალხაზ ბაძალუა (საქართველო)	ჰანს იორგ ალბრეხტი (გერმანია)
ოთარ გერზმავა (საქართველო)	ანა მარგარიანი (სომხეთი)
მიხეილ გოგატიშვილი (საქართველო)	ჯეიმს ო. ფინკენაუერი (აშშ)
გია დეკანოზიშვილი (საქართველო)	ტრევორ კარტლეჯი (დიდი ბრიტანეთი)
თენგიზ ირემაძე (საქართველო)	ელიკო წიკლაური-ლამიხი (გერმანია)
მურთაზ კვიციანი (საქართველო)	კამილ სალიმოვი ნაზიმოლლუ (აზერბაიჯანი)
ვალერიან ხრუსტალი (საქართველო)	ალენა შოსტკო (უკრაინა)
ზურაბ ძლიერიშვილი (საქართველო)	ჯოვან შოპოვსკი (მაკედონია)
დავით მამუკაშვილი (საქართველო)	დეჟან მაროლოვი (მაკედონია)
ნინო წილოსანი (საქართველო)	

The Editorial Board

Mamuka Tavkheldize – Editor-in-chief (Georgia)
Gocha Ochigava – Deputy Editor-in-chief (Georgia)
Nino Shoshitashvili – Executive Editor (Georgia)

Malkhaz Badzagua (Georgia)	Hans Jourg Albrecht (Germany)
Otar Gerdmava (Georgia)	Anna Margarian (Armenia)
Mikheil Gogatishvili (Georgia)	James Finckenauer (USA)
Gia Dekanozishvili (Georgia)	Trevor Cartledge (Great Britain)
Tengiz Iremadze (Georgia)	Eliko Tsiklauri-Lammich (Germany)
Murtaz Kvirkaia (Georgia)	Kamil Nazim oglu Salimov (Azerbaijan)
Valerian Khrustali (Georgia)	Olena Shostko (Ukraine)
Zurab Dzlierishvili (Georgia)	Jovan Shopovski (Macedonia)
David Dzamukashvili (Georgia)	Dejan Marolov (Macedonia)
Nino Tsilosani (Georgia)	

მისამართი / Address: საქართველო, თბილისი 0159, ი. ენუქიძის ქ. #3 /0159 Tbilisi, Georgia, I. Enukidze str. #3

ვებ-საიტი / Web Site: <http://gruni.edu.ge/>

ელ. ფოსტა / E-mail: g.ochigava@gruni.edu.ge; pragueinfo@yahoo.com

ტელ.: / Tel.: (+995) 555 49 01 78

© გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი. 2021

ISSN 2298-0202

DOI: <https://doi.org/10.55896/2298-0202>

მივესალმები სამეცნიერო ჟურნალის „აკადემიური მაცნე“ 2021 წლის ნომერში გამოქვეყნებული სტატიების ავტორებს, ახალგაზრდა მკვლევრებს.

მადლობა მინდა გადაგიხადოთ იმ არჩევანისათვის, რომელსაც გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის ეგიდით გამოცემულ ჟურნალთან დაკავშირებით აკეთებთ. უდავოდ მისასალმებელია, რომ ზემოაღნიშნულ ნომერში გამოქვეყნებული სტატიების ავტორთა აბსოლუტური უმრავლესობა დოქტორანტია. წლებადნელ ონლაინ გამოცემაშიც, ჩვენი მიზანი ახალგაზრდა მკვლევართა სამეცნიერო პოტენციალის მაქსიმალურად წარმოჩენა იყო. იმედია, რომ ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც გაგრძელდება, რაც ხელს შეუწყობს სამეცნიერო საზოგადოებასთან საკომუნიკაციო სივრცის გაფართოებას და ახალგაზრდა მეცნიერთა შესახებ ცნობადობის გაზრდას.

აქვე, რა თქმა უნდა, მადლობას ვუხდით ყველა პროფესორს - სარედაქციო საბჭოს წევრს, რეცენზენტს, ვინც აგრძელებს „აკადემიურ მაცნეს“- თან თანამშრომლობას.

მაქვს პატივი გაცნობოთ, რომ წარმატებით მიმდინარეობს მუშაობა ჟურნალის ხარისხის, საერთაშორისო მნიშვნელობისა და სხვადასხვა სამეცნიერო - სამიეზო ბაზაში ჩვენ შესახებ ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით.

გილოცავთ შობა ახალ წელს! გისურვებთ ჯანმრთელობას და წარმატებებს სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის მიმართულებით!

პატივისცემით,

მამუკა თავხელიძე

გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის
რექტორი, პროფესორი

სარჩევი

საჯარო მმართველობა

თამარ კაპანაძე

საჯარო მმართველობის კვლევის პრობლემისათვის..... 7

ნინო გორგილაძე

პირველადი ჯანდაცვა სოფლად - სისტემის თავისებურებები, პრობლემები და პერსპექტივები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე..... 25

ბიზნესი და ეკონომიკა

ანა გვარამაძე

საგანმანათლებლო ტურიზმი და მისი გამოწვევები პანდემიის პირობებში..... 45

სალომე ბესტაევა

შიდა ტურიზმის განვითარების ახალი შესაძლებლობები პანდემიის პირობებში 53

სამართალი

სოფო კილაძე

ბავშვის უფლებათა რეალიზაცია მუნიციპალიტეტებში..... 60

იოსებ წერეთელი

დაზარალებულის გამოკითხვის ფსიქოლოგია..... 81

ზურაბ მორჩაძე

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ვალდებულების უხეში დარღვევისა და სხვა ობიექტური გარემოებების საფუძველზე..... 90

გია ბერძენიძე, გია დეკანოზიშვილი

სასამართლო (კრიმინალისტიკური) ლინგვისტიკის არსი და ძირითადი პარამეტრები..... 103

ნუკრი მატუა

ორიბი ჩვენების მნიშვნელობა საგამოძიებო ორგანოებისათვის და მისი მტკიცებულებითი ძალა სასამართლოში..... 115

სოფიო ბარნაბიშვილი

ბინათმესაკუთრეთა გაერთიანების მართვის თავისებურებები - მიზანი, პასუხისმგებლობა, კონტროლი..... 126

ვასილ აბულაძე

სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის დადგენა, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი..... 143

პოლიტიკური ფილოსოფია

გიორგი აფციაური

ქვეყნის ენა და მისი გამოყენების ტენდენციები პოლიტიკაში..... 161

ფილოლოგია

მზია გოგიაშვილი

2021 - იუნესკოს ემრესა და თურქული ენის წელი..... 174

Contents

Public Administration

Tamar Kapanadze

For the Problem of Public Administration Research7

Nino Gorgiladze

**Primary Health Care in Rural Areas - Characteristics, Problems and Prospects
of the system based on the pattern of Autonomous Republic of Adjara..... 25**

Business and Economics

Anna Gvaramadze

Educational tourism and its challenges during the pandemic..... 45

Salome Bestaeva

New Opportunities for Domestic Tourism Development in Pandemic Conditions 53

Law

Sopio Kiladze

Realization of Child Rights in Municipalities..... 60

Ioseb Tsereteli

Victim Survey Psychology..... 81

Zurab Morchadze

**Termination of the employment contract on the grounds of gross
violation of obligation and other objective circumstances..... 90**

Gia Berdzenidze, Gia Dekanozishvili

The Essence and Basic Parameters of Forensic (Criminalistics) Linguistics..... 103

Nukri Matua

The importance of Hearsay for investigative Bodies and its Evidential Power in Court 115

Sophio Barnabishvili

Peculiarities of managing the association of homeowners - Purpose, Responsibility, Control 126

Vasil Abuladze

**Determination of the absence of the fact of an offence as a basis
for compensation for moral damage 143**

Political philosophy

Giorgi Aptsiauri

Body language and the tendencies of its use in politics 161

Philology

Mzia Gogiashvili

2021 – The Year of Yunus Emre and the Turkish Language..... 174

საჯარო მმართველობის კვლევის პრობლემისათვის

თამარ კაპანაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
kapanadzetamuna0@gmail.com

რეზიუმე. საჯარო მმართველობის სისტემური კვლევის საჭიროება მუდამ აქტუალურია, შესაძლოა ამის მიზეზი სწრაფად ცვალებადი გარემოს გამოწვევები იყოს. ნაშრომი მიზნად ისახავს იმ გზებისა და საშუალებების ძიებას, რომლებიც საჯარო მმართველობის სისტემური კვლევის პრობლემების გადაჭრაში დაგვეხმარება. საჯარო მმართველობის კვლევის მეთოდოლოგია საინტერესო იქნება საჯარო სექტორის წარმომადგენლებისთვისაც და არასამთავრობო თუ არაკომერციული ორგანიზაციების მენეჯერებისთვისაც. ასევე, იურიდიული, პედაგოგიური და სამედიცინო პროფილის მქონე პროფესიონალებისთვის. ცხადია, კვლევის მეთოდოლოგია განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს და მისდამი დაქვემდებარებული უწყებების მართვის აქტორებს განსაკუთრებით დააინტერესებთ. სამთავრობო სექტორი ხშირად უნდა ინტერესდებოდეს კვლევითი ანგარიშებით, რომლებიც მათ მეცნიერულად დასაბუთებული გადაწყვეტილებების მიღებაში დაეხმარებათ. იმისათვის, რომ მთავრობამ შესაბამისი დარგის კვლევითი პროექტები დააფინანსოს, საჯარო მოხელემ თავად კვლევის მიზანშეწონილობის განსაზღვრა და პროექტის „წაკითხვა“ (ანალიზი) უნდა შეძლოს. კერძოდ, საჯარო მოხელემ, როგორც დამფინანსებელმა, უნდა შეძლოს: კვლევის მკაფიოდ და ნათლად ჩამოყალიბებული მიზნის შეფასება; კვლევის ამოცანების - მიზანთან შესაბამისობის დადგენა; კვლევის მეთოდების და ღირებულებების რელევანტურობის იდენტიფიცირება. წინამდებარე სტატიაში საჯარო მმართველობის კვლევის ზოგად მეთოდოლოგიურ პრინციპებს გავეცნობით.

საკვანძო სიტყვები: საჯარო მმართველობის კვლევა, საჯარო მმართველობის ღირებულებები, საჯარო მმართველობის კვლევის მიზანი, საჯარო მმართველობის აქსიოლოგია

შესავალი

საჯარო მართვის კვლევის მეთოდოლოგია შესაძლოა რამდენიმე მიზანს ემსახურებოდეს, ამასთან მიზნები მჭიდროდ ურთიერთდაკავშირებული და ურთიერთგანმაპირობებელი იყვნენ, რითაც ისინი ერთმანეთს ავსებენ. აღვნიშნავთ, რომ: არსებობს კვლევის მეთოდები, რომელიც საჯარო მმართველობაში ხშირად გამოიყენება; საჯარო მმართველობის კვლევას თავისი ფილოსოფია, აქტუალურობის განსაზღვრის და იმპლემენტაციის მათოდიკა გაჩნია. საჯარო მმართველობის ღირებულებითი ასპექტების შესწავლა მეცნიერულ საფუძვლებზე მკვიდრად დგომას მოითხოვს. არსებობს გავრცელებული მოსაზრება, რომ საჯარო მმართველობის პრაქტიკაში ყველაფერი მიზეზ-შედეგობრიობით არის განპირობებული, ასე ვთქვათ დეტერმინირებულია. ზოგი მეცნიერის მოსაზრებით კი ადამიანის ქცევას მიზანი განსაზღვრავს, რომელიც თავადვეა თვითკმარი ღირებულების მქონე. საჯარო მმართველობის შესახებ არსებულ კვლევებში შესაძლოა შევხვდეთ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც ამ სფეროში სუბიექტურობის ადგილი არ არის, რომ ერთადერთი რეალობა მხოლოდ მატერიალური და დეტერმინირებულია. საჯარო მმართველობა, რომელიც უარყოფს სუბიექტივიზმს და ყოველივეს - რაც სულიერებისგან მომდინარეობს,

პოსტსაბჭოეთისთვის განსაკუთრებით - ვულგარული მატერიალიზმის მანკიერ წრეში ჩაკეტვის შეგრძნებებს იწვევს.

რატომ განსხვავდებიან საჯარო მართვის კვლევის ხასიათი, ამოსავალი წერტილი და კონცეფციები ერთმანეთისგან? შევეცდებით ამ კითხვას ვუპასუხოთ. სოციალური ურთიერთობების განვითარებასთან ერთად საჯარო მმართველობაც გამოწვევების წინაშეა და მისი კვლევაც პოტენციურად ახლებურ მიდგომებს და პროგრამებს, ორგანიზაციული მართვის ახლებურ ხედვას მოითხოვს (14.32). საჯარო მმართველობის შესახებ ახალ კითხვებზე პასუხის გასაცემად შეიძლება სწორედ ახლებური ხედვები გამოდგეს (3.218). ტრადიციული მიდგომის გადააზრების მიზნით სტატიაში ორ საკითხს შევხებით: I. საჯარო მმართველობაზე გავლენის მქონე სოციოკულტურული გარემოს კვლევის მეთოდებს, და II. საჯარო მმართველობის კვლევის თეორიული შედეგების პრაქტიკულ გამოყენებას (8.126).

სტატია საჯარო მმართველობის კვლევის გააზრებას ხელს შეუწყობს, კვლევის საინტერესო კონცეფციას გაგვაცნობს. ამ მიმართულებით კვლევა დაუსრულებლად შეიძლება გაგრძელდეს. თანამედროვე ტექნოლოგიები კვლევის, მონაცემთა შეგროვების, აუგმენტირებული ანალიზისა (55.68) და ტრანსმისიის მრავალფეროვან საშუალებებს გვთავაზობს (10.267). სტატიაში საჯარო მმართველობის კვლევის ძირითად კონცეფტუალურ მონახაზს შემოგთავაზებთ, შევხებით საჯარო მმართველობის კვლევის ლოგიკას, მეთოდებს, პრობლემების გამოვლენას, საჯარო მმართველობის პატერნებსა და პარადიგმებს, საკვლევი კითხვების დასმის თავისებურებებს (24.71). ასევე, მიმოვიხილავთ ძირითად ლიტერატურას (11.86).

პრობლემის აქტუალურობა:

- საქართველოში, საჯარო მმართველობის კვლევის საფუძვლების შესახებ, რაიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი არ არსებობს, გარდა რობერტ და ჯენეტ დენჰარტების მონოგრაფიისა, რომელიც კვლევის საკითხებს ნაკლებად ეხება.
- საჯარო მმართველობაში, პროფესიონალურ მხარეს დღემდე პოლიტიკური მდგენელი ჭარბობს. ამის გამო თეორიული ასპექტი უფრო კომუნიკაციის ექსპერტებით არის წარმოდგენილი, ვიდრე საჯარო მართვის ექსპერტებით.
- შეუსწავლელია საჯარო მმართველობის კვლევის ძირითადი კონცეფციები, ლოგიკა, მეთოდები, პრობლემების გამოვლენის ინსტრუმენტები, პატერნები, პარადიგმები, ფილოსოფია (ონტოლოგია, ეპისტემოლოგია, აქსიოლოგია), აქტუალურობა, იმპლემენტაციის მეთოდიკა.
- არ არის განსაზღვრული საჯარო მმართველობის სტატუსი, თეორიისა და პრაქტიკის ფუნქციონალური ბმები, კვლევის მეთოდოლოგია, სოციოკულტურული და აქსიოლოგიური გავლენები.
- არ არსებობს საკითხის დაყენების პრეცედენტი განათლების საჯარო ადმინისტრირების თემაზე.

- განათლების სფეროს საჯარო მმართველობაში ნაკლები ყურადღება ეთმობა კვლევის ონტოლოგიას და ეპისტემოლოგიას.
- საჯარო მმართველების უმეტესობა პრაქტიკული საქმიანობის მეცნიერული შესწავლის, კვლევისა და ანალიზის ელემენტარული უნარების დეფიციტს განიცდიან.
- თანამედროვე საქართველოს საჯარო მმართველობა ნეოკოლონიალური კულტურული ექსპანსიის მიმართ სრულიად უსუსურ, დაუცველ, ბრმადმორწმუნე და ფარისევლურ დამოკიდებულებას ამჟღავნებს.
- განათლებას, რომელიც ტოტალურად რეგულირებული პროფესიის, ყველაზე მეტად დასაქმებული წარმომადგენლების სფეროს წარმოადგენს - ეროვნულ-ღირებულებითი სისტემის შექმნის ამბიციურ პროექტზე ამოფარების ცდუნება უჩნდება, ისე, რომ ადგილობრივ სოციოკულტურულ ფაქტორებსა და ღირებულებით ორიენტირებს სრულად უგულებელყოფს.

კვლევის მიზანი: საჯარო მმართველობის სისტემური კვლევის იმ კონცეფციების გამოვლენა, რომლებიც ღირებულებებს მნიშვნელობას ანიჭებენ ან არ ანიჭებენ.

ამოცანები:

- რა არის საჯარო მმართველობის კვლევის ძირითადი კონცეფციები, ლოგიკა, მეთოდები, პრობლემების გამოვლენის ინსტრუმენტები, პატერნები, პარადიგმები, ფილოსოფია (ონტოლოგია, ეპისტემოლოგია, აქსიოლოგია), აქტუალურობა, იმპლემენტაციის მეთოდიკა?
- როგორია საჯარო მმართველობის სტატუსი, როგორც გამოყენებითი მეცნიერებისა? რა არის საჯარო მმართველობა?
- რა მნიშვნელობა აქვს საჯარო მმართველობის კვლევისთვის თემის განსაზღვრას? (დავუშვათ, განათლების საჯარო ადმინისტრირება).
- როგორ შეიძლება ფორმულირდეს საკვლევი კითხვა, დაშვებული თემიდან გამომდინარე? (ვთქვათ, რამდენად უნდა გაითვალისწინოს, და კონკრეტულად რა - განათლების საჯარო მმართველობამ სოციოკულტურული კონტექსტიდან/ში, განათლების ეფექტური ადმინისტრირებისთვის?)
- რაში მდგომარეობს კვლევის ონტოლოგიური კონცეფცია?
- როგორია საჯარო მმართველობის კვლევის მეთოდები?
- რას წარმოადგენს საჯარო მმართველობის ონტოლოგიური კონტინუუმი?
- რას წარმოადგენს საჯარო მმართველობის ეპისტემოლოგიური კონტინუუმი?
- რას წარმოადგენს საჯარო მმართველობის მეთოდოლოგიური კონტინუუმი?
- რატომ შეიძლება, რომ საჯარო მმართველობა პოსტნორმატიულ მეცნიერებას განეკუთვნოს? (ფუნქციონირების თეორიის მიხედვით).
- რატომ შეიძლება, რომ საჯარო მმართველობა, როგორც ნორმატიული მეცნიერება, სოციალურ მეცნიერებათა ჯგუფს განეკუთვნოს? (თომას კუნის კონცეფციის მიხედვით).

- არის თუ არა ღირებულებების ადგილი საჯარო მმართველობაში? (საიმონ-ვალდოს კონტრპოზიციების ანალიზი).
- როგორია ნომინალისტური კონცეფცია საჯარო მმართველობის შესახებ და რომელ ონტოლოგიურ კონცეფციებთან ნათესაობას ავლენენ?
- როგორია პოზიტივისტური კონცეფცია საჯარო მმართველობის შესახებ?
- როგორია პოსტპოზიტივისტური კონცეფცია საჯარო მმართველობის შესახებ?
- რაში მდგომარეობს ვებერის კონცეფცია პერსონალური ღირებულებებისა და მეცნიერული კვლევის შესახებ?

კვლევის საგანი და ობიექტი: საჯარო მმართველობის მეცნიერების კვლევა და საჯარო მმართველობაზე გავლენის მქონე ღირებულებები.

ჰიპოთეზა: საჯარო მმართველობისთვის, როგორც გამოყენებითი მეცნიერებისთვის, ადამიანური ღირებულებების გააზრება მნიშვნელოვანია.

1. კვლევის თეორიული დასაბუთება

1.1 კვლევის ლოგიკა

საჯარო მმართველობის კვლევა ყოველთვის რაიმე კონკრეტული თემის ირგვლივ წარმოებს (27.42). შეიძლება ეს იყოს - განათლების საჯარო ადმინისტრირება. ამგვარი კვლევა პრობლემას განათლების მართვის ანალიზის საშუალებით შეისწავლის. თემის შესწავლამდე, გავიხსენოთ კითხვები თავად საჯარო ადმინისტრირების სტატუსის შესახებ:

I. რა არის საჯარო მმართველობა - ახალი რელიგია, მეცნიერება თუ ხელოვნება?

II. საჯარო ადმინისტრირების რა თეორიები არსებობს? (15.226)

თუ ამ უმთავრეს კითხვებს ჩვენს მიერ დაშვებული თემის მიმართ განვაზოგადებთ, საკვლევი კითხვის ფორმულირებასაც იოლად შევძლებთ: რამდენად უნდა გაითვალისწინოს, და კონკრეტულად რა განათლების საჯარო მმართველობამ სოციოკულტურული კონტექსტიდან/ში, განათლების ეფექტური ადმინისტრირებისთვის?

ამთავითვე აღვნიშნავთ, რომ საჯარო მმართველობას მდიდარი მეცნიერული მემკვიდრეობა გააჩნია, რომელიც მისი კვლევის და სწავლების პრაქტიკას აყალიბებს (21.162).

კითხვებზე პასუხის გასაცემად საჯარო მმართველობის განხილვა მეცნიერების ფილოსოფიის ფონზე მოგვიწევს. კვლევისთვის გამოვიყენებთ კონცეფციას, რომლის თანახმადაც, ემპირიული რეალობა კონკრეტული დამოკიდებულებების, მიდგომების, განწყობების, სოციალური ინსტიტუტებისა და ღირებულებების ასპარეზია (41.117). ასეთი მრავალფეროვანი რეალობის შესასწავლად მრავალგვარი მეთოდი და თეორიული მიდგომა თუ გამოდგება. ადვილი მისახვედრია, რომ საჯარო მმართველობაზე სოციოკულტურული გავლენის ფენომენის შესასწავლად არა ერთი, არამედ რამდენიმე მეთოდოლოგიის კომბინაცია, ერთგვარი - ტრიანგულაცია შეიძლება რომ გამოვიყენოთ (19.93). სოციალური კვლევის ტრიანგულაციური მიდგომა პირველად კემპბელმა (Donald Thomas Campbell, 1916

-1996) და ფისკემ (Donald W. Fiske, 1916-2003) მრავალჯერადი ოპერაციონიზმისⁱ იდეის განვითარების დროს ჩამოაყალიბეს. თუ ვალიდაციის დროს რამდენიმე მეთოდს გამოვიყენებთ, რეალობის შესახებ მაღალი სანდოობის მქონე დასკვნებს მივიღებთ (54.38). მეთოდებს შორის კონვერგენცია შედეგების კანონიერებას დაადასტურებს (1.54). სოციო-კულტურული რეალობა და მისი ადმინისტრირების პროცესზე გავლენა სხვადასხვა მეთოდით შეიძლება შევისწავლოთ (2.26): სკოლის დირექტორის, სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარის, უნივერსიტეტის რექტორის, სამინისტროების მაღალი რანგის მმართველების ანკეტური გამოკითხვით, სიღრმისეული ინტერვიურებით, მიღებული გადაწყვეტილებების შეფასებით თუ სოციალურ ინსტიტუციაში ქცევებზე დაკვირვებით. ყველა შემთხვევა სოციოკულტურულ რეალობას (38.114), და ადმინისტრირების პროცესზე მის გავლენას შეისწავლის, მაგრამ მონაცემთა მოკვლევის ხერხები იცვლება (5.189; 9.135). თუ მრავალჯერადი და დამოუკიდებელი გაზომვით ერთი და იგივე დასკვნებს მივიღებთ, საჯარო მმართველობის განვითარებაზე ნათელი წარმოდგენა შეიქმნება.

ტრიანგულაციური მიდგომა, საჯარო მმართველობას ონტოლოგიურ, ეპისტემოლოგიურ და მეთოდოლოგიურ განასერზე წარმოგვიდგენს (7.32). ონტოლოგიური კონტინუუმის უკიდურესობები იქნება:

ნომინალიზმი - რეალიზმით, რომელიც პასუხობს კითხვაზე: რა არის ჩვენი ცხოვრება / რეალობა?

ეპისტემოლოგიური კონტინუუმი წარმოდგება:

ანტიპოზიტივიზმი - პოზიტივიზმით, რომელიც პასუხობს კითხვაზე: რისი ცოდნაა შესაძლებელი და რა ვიცი რომ ვიცი?

მეთოდოლოგიური კონტინუუმის უკიდურესობები:

იდეოგრაფიული - ნომოთეტური, რომლის თავურგიული კითხვებია: სად, როდის, რა საშუალებებით, რა და როგორ გავაკეთო?

ცხრილი 1.

საჯარო მმართველობის ტრიანგულაციური კვლევის ლოგიკური ჩარჩო

მეცნიერული მიდგომა	კონტინუუმი		
ონტოლოგია	ნომინალიზმი	რა არის რეალობა, და საჯარო მმართველობა რეალურად?	რეალიზმი
ეპისტემოლოგია	ანტიპოზიტივიზმი	რისი ცოდნაა შესაძლებელი საჯარო მმართველობის შესახებ და როგორ შევძლებთ მის შემოწმებას?	პოზიტივიზმი
მეთოდოლოგია	იდეოგრაფიული	სად, როდის, რა საშუალებებით და როგორ შევისწავლოთ / განვახორციელოთ საჯარო მართვა?	ნომოთეტური

ⁱ multiple operationism

თუ ამ სამგანზომილებიან კოორდინატაზე საჯარო მმართველობას ჩავსვამთ მას თანმიმდევრული, მეცნიერულად დასაბუთებული, ექსპერიმენტალურად შემოწმებადი / გაზომვადი, სანდო (20.89), ჰოლისტური და ვალიდური პასუხების ნუსხა ექნება (37.214). ეს კი ხელოვნება - მეცნიერების კონტინუუმში მას აშკარად მეცნიერების პოლუსისკენ მიიზიდავს. მართალია, ეს არ იქნება ორჯერ ორის ტოლობასავით ზუსტი, მაგრამ სრულიად დააკმაყოფილებს სილვიო ფუნტოვიცისა (Silvio Funtowicz 1993) და ჯერომ რავეტის (Jerome R. Ravetz 1993) განმარტებებს პოსტნორმატიული მეცნიერულის (Post-normal science (PNS)) შესახებ (25.741). საჯარო მმართველობა შეიძლება შეფასდეს, როგორც პოსტნორმატიული მეცნიერება. ის მოქმედებს სფეროში, სადაც მოვლენების პროგნოზირება და კონტროლი შეზღუდულია, ამასთან სოციოკულტურულ ფაქტორებს, პოლიტიკასა თუ მე-4 ინდუსტრიული რევოლუციის მიღწევებს (Industry 4.0ⁱⁱ) უდიდესი გავლენა აქვს, რაც სრული ობიექტურობის შეუძლებლობას განაპირობებს (13.23). თუ საჯარო მმართველობას პოსტნორმატიული მეცნიერების ჭრილში განვიხილავთ, მაშინ მას ეპისტემოლოგიური და მეთოდოლოგიური მიდგომებიც სათანადოდ შეეფარდება.

1.2. საჯარო მმართველობა - მეცნიერება

თუ ვიტყვით, რომ ფიზიკა, ბიოლოგია, ქიმია უფრო მეტად განეკუთვნება მეცნიერების დარგებს, ვიდრე ფსიქოლოგია და პოლიტიკური მეცნიერებები, ხოლო ეს უკანასკნელი - უფრო მეტად, ვიდრე - ეკონომიკა, ანთროპოლოგია, ჰუმანიტარული მეცნიერებები, სოციოლოგია და ხელოვნებათმცოდნეობა, ამ ჩამონათვალში საჯარო მმართველობის ადგილის შესახებ კითხვაც ბუნებრივად გაჩნდება. ქიმიასა და ასტრონომიასავით საჯარო მმართველობა წმინდა წყლის მეცნიერებად ვერ იქცევა. იქნებ, ის ბუნების შემსწავლელ მეცნიერებებსა და ღირებულებათა შემსწავლელ მეცნიერებებს შორის უნდა მოვიაზროთ, სადაც პოსტმოდერნული ხელოვნების სამყაროში.

რაც არ უნდა ვიფიქროთ, ერთი ცხადია, რომ საჯარო მმართველობა სოციალურ მეცნიერებათა თანრიგს ეკუთვნის (16.63). ზემოთ ნახსენები, პოსტნორმატიული მეცნიერებების გარდა ნორმატიული მეცნიერებებიც არსებობს (31.244). ეს საჯარო მმართველობის პარადიგმალობაში დასტურდება. ისე როგორც სხვა ნორმატიულ მეცნიერებებს, საჯარო მმართველობასაც გააჩნია იდეათა და შეხედულებათა ერთობლიობა, კონსენსუსური ჩარჩო ან მოდელები, რომლის შიგნითაც კვლევითი ოპერირება არის შესაძლებელი, აზრის წყობა, მიზიდულობა, კვლევითი ცენტრები,

ⁱⁱ ინდუსტრია 4.0 წარმოადგენს ციფრული რევოლუციის გზით განვითარებულ საწარმოებს ღრუბლოვანი გამოთვლების მიქსტურით, ხელოვნური ინტელექტით, სასაქონლო ინდუსტრიული ინტერნეტ-ბაზრებით (Industrial Internet of Things, IIOT), მანქანური სწავლებით, მექანიკის ადამიანური ინტერფეისებით, ღრმა ანალიზის მოდელებით, რომლებიც მმართველებისთვის (მათ შორის საჯარო მმართველობის დონეზეც), მენეჯმენტისთვის, ბიზნეს-ოპერაციებისთვის, ბიზნეს-მოდელებისთვის და მომხმარებლისთვის მეტად მოსახერხებელი და ხელმისაწვდომი პროცესების გამარტივებას ისახავს მიზნად.

მიმდევარი სკოლებიⁱⁱⁱ თუ ან უბრალოდ, გულშემატკივრებიც კი. პარადიგმების მიხედვით საჯარო მმართველობის ცოდნის მოცულობის და საკვლევი პრობლემის ბუნების განსაზღვრაც შესაძლებელია (17.73), ასევე კვლევის შესაფერისი მეთოდების შერჩევაც, შედეგების ანალიზიც და მათი ინტერპრეტაციაც.

მეცნიერული ცოდნის ცვლილების ბუნების კვლევისას თომას კუნი (Thomas Samuel Kuhn, 1922-1996) მივიდა დასკვნამდე, რომ მეცნიერული ცოდნის მთავარი მახასიათებლები არც ობიექტურობა და არც კუმულატიურობა არ არის, არამედ - განვითარება პარადიგმათა მონაცვლეობის მეშვეობით (32.149). ნორმატიული მეცნიერების საფუძვლებს სწორედ ასეთი მსოფლმხედველობრივი პარადიგმები ქმნიან (28.72). როცა ნორმატიული მეცნიერების არსებული პარადიგმები შეცვლილ რეალობას ვერ ხსნიან, მეცნიერებაში გარდატეხის მომენტი დგება. არსებული პარადიგმები ახლით იცვლება - იტყვიან მეცნიერება განვითარდაო. საჯარო მმართველობის პარადიგმებად მეცნიერები კერძო შემთხვევებს მიიჩნევენ (33.155). თუმცა აქ კერძო და საჯარო მმართველობა ერთმანეთისგან უსათუოდ უნდა გავმიჯნოთ (47.192). ამთავითვე ვთქვათ, რომ კერძო მენეჯმენტი ვერანაირად გამოდგება საჯარო მმართველობის პარადიგმად, სხვა საქმეა ყოველი კერძო შემთხვევის მართვის - პარადიგმად მიჩნევა (4.37). დღეს საკმაოდ გავრცელებული კლიშეა, რომ: კერძო სექტორის მმართველები სახელმწიფოსაც უკეთ მართავენ. ერთია კერძო მენეჯერის ღირებულებითი სისტემა და სხვა - ეროვნული. აქ თავად ტერმინებიც კი ღრმად მნიშვნელოვანია:

- I. საჯარო, რაც მოქალაქეთა ერთიან მასას და მათთან დაკავშირებულ პრობლემებს ეხება, და
- II. კერძო, რომელიც მხოლოდ ერთი, კონკრეტული პირის ან ადამიანების ჯგუფის კუთვნილებას ან მის წევრობას ნიშნავს. საჯარო მართვა ყველას, მთელი ერის საჭიროებებისა და ინტერესების მოგვარებას, მასზე ზრუნვას გულისხმობს. კერძო - ცალკეული, ინდივიდების ან ჯგუფის ვიწრო მოთხოვნილებების.

ცხრილი 2.

საჯარო და კერძო მმართველობებს შორის სხვადასხვა დონეზე არსებული განსხვავებები

საჯარო მმართველი	კერძო მმართველი
ღირებულებების დონე	
საზოგადოებრივი ინტერესი, საჭიროებები	საკუთარი კერძო ბიზნესის მოგება
პოლიტიკური კომპრომისი	ეკონომიკური წარმატება

ⁱⁱⁱ სოციოლოგიაში მაგ. ყოველი სკოლა შედარებით თვითკმარია და იყენებს საკუთარ მეთოდებს და თეორიებს. არსებობს პარადიგმების ამგვარი თანმიმდევრობაც: იდეალიზმი, რეალიზმი, ბიჰევიორიზმი, ნეორეალიზმი, ნეოლიბერალიზმი. პარადიგმულ კრიზისს მათი ცვლა იწვევს. დღეს, ნეორეალიზმისა და ნეოლიბერალიზმის პარადიგმებს შორის ძლიერო კონფლიქტი შეიმჩნევა.

საზოგადოების კეთილდღეობა	ბიზნეს-ინტერესების დასაკმაყოფილებლად უკომპრომისობის, აგრესიის, ღალატის, ძალადობის და სხვა ნებისმიერი ფორმის გამოყენებას თავად ბიზნესი ამართლებს - „არაფერი პირადული - მხოლოდ ბიზნესი“
ბიზნეს-ინტერესთა ჯგუფებისა და ინდივიდების საჭიროებების დაბალანსება	ბიზნეს-ინტერესთა ჯგუფების ლობირება

ამოსავალი კითხვები:

მიყვარს ჩემი ხალხი იმდენად, რომ მათ სულ უფრო და უფრო უკეთ ვემსახურო?

ვარ იმდენად თავმდაბალი, რომ საუკეთესო გადაწყვეტილების მისაღებად, ყველა განსხვავებული აზრის მოსმენა შევძლო?

მიზნების დონე	
<p>აბსტრაქტული, ყოვლისმომცველი, მწელად განსასაზღვრი, რთულად გაზომვადი, ფართო იურისდიქციის მომცველი მიზნები</p> <p>მრავალი პროგრამა უამრავი მიზნებით, დღის წესრიგით, ფასილიტატორებით</p> <p>წარმატების საზომია: საზოგადოების მდგომარეობის ზოგადი გაუმჯობესება, თავისუფალი არჩევნები</p>	<p>სპეციფიური, კონკრეტული, ცალსახად განსაზღვრული (Specific); მოგება-ზარალით გაზომვადი (Measurable); მიღწევადი (Achievable); შესაბამისი, ადეკვატური, აქტუალური (Relevant) და დროში რეგლამენტირებული (Timed) მიზნები</p> <p>ხარჯების შემცირება მაქსიმალური მოგების მისაღწევად</p> <p>კონკურენტების ჩამოცილება</p> <p>მომხმარებლების ლოიალურობა და სტაბილური მომწოდებლები ბიზნესის ეფექტურობის გათვლისას უმნიშვნელოა</p>
ანგარიშვალდებულების დონე	
<p>ანგარიშვალდებულება ხალხის, ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში მცხოვრები მოქალაქეების მიმართ</p> <p>ყოველთვის მაღალი საზოგადოებრივი ყურადღება და ინტერესი</p> <p>მიღებულ გადაწყვეტილებებზე საზოგადოებრივი აზრის მაღალი გავლენა</p> <p>გადაწყვეტილების მიღებისას უმრავლესობის ნება-სურვილის დომინანტობა და მდგომარეობის განზრახ დამძიმება</p>	<p>სახელმწიფოს მხრიდან ბალანსის შემოწმების მინიმალური კონტროლი</p> <p>არ გაურბის საზოგადოების მხრიდან შემოწმებას, მაგრამ ანგარიშვალდებული რჩება მხოლოდ აქციონერებისა და თანამშრომელთა მცირე ჯგუფის წინაშე</p> <p>საზოგადოებრივი აქტიურობის თამასა ძალიან დაბალია</p>

<p>დაბალი ორგანიზაციული ვალდებულება და ნამსახურის დაფასება</p> <p>ანგარიშვალდებულების ეროზიის, პროფესიული გადაწყვეტილების, დაუდევრობის და კორუფციის მაღალი რისკი</p> <p>მაღალი გამჭვირვალობა</p> <p>ინფორმაციის პროაქტიული გაზიარება</p> <p>საჭიროებს მოქალაქეთა აქტიურობას</p>	
<p>კრიზისულ სიტუაციებზე რეაგირების დონე</p>	
<p>ჯგუფების მხრიდან კერძო ინტერესების ლობირების შედეგად დიდი ზეწოლა, ზოგჯერ საფრთხე</p>	<p>მთავრობის, პროფკავშირებისა და მომხმარებლების მხრიდან დიდი ზეწოლა</p> <p>ლოკალური და მასობრივი დათხოვნები</p> <p>ჩვეულებრივი მოვლენაა</p>

საჯარო მმართველობის შემდგომ ქვეპარადიგმად დასახელდა: საჯაროობა (33.162), სახელმწიფო, საჯარო სექტორი (12.16).

1.3. ნორმატიული და პოსტნორმატიული

სილვიო ფუნტოვიცისა (Silvio Funtowicz) და ჯერომ რავეტზის (Jerome R. Ravetz) მტკიცებით საჯარო მმართველობა, როგორც მეცნიერება, წინაპარადიგმულ საფეხურზე იმყოფება, რადგან აქ შეუძლებელია შეთანხმება საზოგადოების ბუნების, სახელმწიფოს მოვალეობის, მოქალაქის თავისუფლების და სხვა საკითხებზე. სოციალურ, კულტურულ თუ ეთიკურ საკითხებთან დაკავშირებული, ურთიერთგამომრიცხავი მრავალი მოსაზრების ატანა პოსტნორმატიულ მეცნიერებას თავისუფლად შეუძლია. პოსტნორმატიული მეცნიერებისთვის ფაქტები ბუნდოვანია, ღირებულებები სადაოა, უამრავი სასწრაფო გადაწყვეტილებაა მისაღები, რისკები დიდია, გაურკვეველობის ფაქტორი - მაღალი. მეცნიერების პოსტნორმატიულობა დღეს მეცნიერების უმეტესი დარგების მიმართ იზრდება, როცა მეცნიერების ყველა დამაკმაყოფილებელი ვარაუდი, მისი აქტუალიზაცია, და გავრცელება კითხვის ნიშნის ქვეშ დგება. მეცნიერების პოსტნორმატიულობა ვლინდება გლობალური დათხოვნის, მიწისძვრების, სტიქიური და გლობალური კატასტროფების, თუნდაც 2019 კოვიდ პანდემიის დროს, როცა მეცნიერება უძლური ხდება რეალობის გამოწვევებთან გასამკლავებლად. ამ დროს ობიექტურობის შენარჩუნება შეუძლებელია, რადგან ყველაფერთან ერთად უამრავი დაბრკოლება ჩნდება. ფუნტოვიცისა და რავეტზის აზრით, მეცნიერების მნიშვნელობა მით უფრო იზრდება, რაც უფრო იზრდება საფრთხეები, ჩნდება მაღალი რისკები, გაურკვეველობა და ღირებულებების დევალვაცია იწყება.

ლოგიკური პოზიტივიზმის გავლენით, ამერიკელი მეცნიერი ჰერბერტ საიმონი (Herbert Alexander Simon, 1916-2001), ნაშრომში „ადმინისტრაციული ქცევა: გადაწყვეტილების მიღების პროცესის შესწავლა“, აცხადებდა, რომ საჯარო მმართველობა მეცნიერება არ

არის, მაგრამ ის შეიძლება და უნდა იყოს შესწავლილი მეცნიერულად (44.328). საიმონზე დიდი გავლენა მოახდინა პოზიტივისტურმა შეხედულებებმა, რომელიც ფრანგ მეცნიერს ოგიუსტ კონტს (Isidore Marie Auguste François Xavier Comte, 1798-1857) უკავშირდება. საიმონის აზრით, საჯარო ადმინისტრაცია უნდა ემყარებოდეს ფაქტებს: ემპირიზმს, გაზომვას და შემოწმებას (ვერიფიკაციას). მისი თქმით, საჯარო მმართველობაში ღირებულებების ადგილი საერთოდ არ არის (46.53). ეს მოსაზრება, ისე როგორც უკიდურესი დეტერმინიზმისა და ობიექტურობისა საჯარო მმართველობის მეცნიერების მიერ ნაკლებად არის გაზიარებული.

საიმონის მოსაზრებებს, მისი თანამემამულე დუაით ვალდო (Clifford Dwight Waldo, 1913-2000) არ იზიარებდა. მისი აზრით, საიმონის თანამოაზრეები საზოგადოებას, როგორც ცოცხალ ორგანიზმს, მეცნიერულ სარეცელზე აწვენენ. მისი თქმით ვერ ნახავთ ადამიანს, რომელსაც გარდაცვალებამდე უამრავი ღირებულება არ ქონია, და რომ, ღირებულებების გარეშე ვერც საჯარო მმართველობა იარსებებს (49.182). ვალდოს ეკუთვნის სოციალური მეცნიერების ერთ-ერთი გამორჩეული დახასიათება: „საჯარო მმართველობის კვლევა, ისე როგორც - ნებისმიერი სოციალური მეცნიერებისა, პირველ რიგში, ადამიანს და საზოგადოებას შეისწავლის“ (49.181). ამით, შესაძლოა ვალდომ, გარკვეული შემოფოთებაც წინასწარ გამოხატა საჯარო მმართველობისთვის პოსტნორმატიული მეცნიერების სტატუსის მინიჭების გამო (36.106).

1.4. ოქროს შუალედი

ნომინალიზმი, ონტოლოგიური თვალსაზრისით, საჯარო მმართველობის შესახებ რაიმე ობიექტური ცოდნის მიღწევის შესაძლებლობას პრინციპულად გამორიცხავს (26.23). შესაბამისად, აქ არც აუცილებლობის პრინციპი არსებობს, და არც - საყოველთაობის.

საჯარო მმართველობა რაიმე მთლიანობის მქონე ობიექტის სახელი კი არ არის, არამედ ზოგადი სახელი, ერთგვარი უნივერსალია, ცვლადი, რომლის ჩანაცვლებაც შესაძლებელია. ნომინალისტური წარმოდგენით უალტერნატივო, ჩაუნაცვლებელი სოციალური ინსტიტუტი არ არსებობს. მაგალითად, მათთვის ზოგადი ცნება „საჯარო მმართველობა“ უბრალო ტერმინია, რომელიც თავის თავზე არაფერს ამბობს. ყველაფერს, და მათ შორის საჯარო მმართველობასაც თავისი ფუნქციური ალტერნატივები გააჩნია (22.179) (მაგ.: ზოგადად „საჯარო მმართველობის“ ნაცვლად, კონკრეტული სსიპ-ის ან ა(ა)იპ-ის მმართველობა). ანტიპოზიტივისტურ-პოსტმოდერნიზმის დისკურსი ადამიანურ ფასეულობებსა და ეთიკურ ნორმებს მხოლოდ გემოვნების საქმედ მიიჩნევს: ადამიანი თავისუფალია ღირებულებების არჩევანში. ნომინალიზმის წარმოდგენით ღირებულებები ობიექტურად არსებობს და თან არც არსებობს, რადგან არა თუ ისინი, არამედ საზოგადოებაში უნივერსალური ცნებებიც კი არ არსებობენ, ისე როგორც - კონკრეტული

ინდივიდის გონებაში (40.264).^{iv} ნომინალიზმის მიხედვით სამყარო ისაა, რასაც მკვლევარი ინტერპრეტირებს, რადგან სწამს, რომ რაიმე ობიექტური ან აბსოლუტური სტანდარტი არ არსებობს, და ამიტომაც მორალური ან ფაქტობრივი მტკიცებები მხოლოდ მათ კონტექსტთან მიმართებაშია განსჯადი. ეს იმას ნიშნავს, რომ საჯარო მმართველობაში ზოგად სახელებს ობიექტების მთლიანი კლასის მიმართ კი ვერ გამოვიყენებთ, არამედ - მხოლოდ მასში შემავალი კონკრეტული, ცალკეული ობიექტის მიმართ.

გამოდის, რომ თავის დროზე კინიკოსები უქმად არ გარჯილან. ზნეობრივ ნორმებს ისინიც უგულვებელყოფდნენ. სტოიციზმმა, რომელიც კინიკური სკოლის ფორმალიზებად იქცა, ის სოკრატული ონტოლოგიისგან მთლიანად გაწმინდა და უნივერსალური მხოლოდდა ლოგიკურ-აზრობრივი მნიშვნელობით დატოვა (30.37). რენესანსში, სტოიციზმი ინგლისელმა ფრანცისკანელმა ბერმა უილიამ ოკამმა (William of Ockham, იგივე Occam, 1287 -1347) ააღორძინა (53.e-Res).^v მისი აზრით, უნივერსალური მხოლოდ ადამიანის გონებაში შეიძლება არსებობდეს - აზროვნების სახით. მის სახელს უკავშირდება: კანონით შეზღუდული ძალაუფლების კონსტიტუციური იდეები, ეკლესია-სახელმწიფოს გამიჯვნის და კერძო საკუთრების უფლების კონცეფციები, რაც მოგვიანებით ლიბერალური დემოკრატიის იდეოლოგიას დაედო საფუძვლად (39.e-Res).^{vi}

ნომინალიზმისგან განსხვავებით პოზიტივისტები, რეალიზმზე დაფუძნებით, უნივერსალიების შესახებ საკუთარ პოზიციას აყალიბებენ. მათი წარმოდგენით, უნივერსალიები, ზოგადი ცნებები რეალურად არსებობენ. რეალობა, აზროვნებისა და გონიერებისგან დამოუკიდებლად არსებობს (52.429).^{vii} კრიტიკული რეალიზმი ამტკიცებს, რომ რეალობა არსებობს, მაგრამ ჩვენი ცოდნა ყოველთვის შეზღუდული და ცვალებადია, რადგან ის სამყაროსგან, მასზე ჩვენი აღქმისაგან და საკუთრივ ჩვენგან შედგება. ოგიუსტ კონტის პოზიტივიზმი, კანტის ჭეშმარიტი ცოდნის განვითარებით სოციოლოგიური ცოდნის საფუძვლად საბუნებისმეტყველო მეთოდოლოგიას აღიარებს (52.431). საზოგადოების აღწერის ნატურალისტურ მიდგომაზე ფიზიკური მეცნიერებების მიერ დადგენილი კანონზომიერებები ვრცელდება, რომლის მიხედვითაც: სოციალური სინამდვილის საერთო კანონებით შეისწავლება; მისი კვლევის მეთოდები ზუსტი და ობიექტურია; ბიჰევიორიზმი სუბიექტის ქცევას დაკვირვების გზით იკვლევს; მეცნიერული და ჭეშმარიტია მხოლოდ ის ცნება-მტკიცებები, რომელთა ვერიფიცირებაც შეიძლება; სოციალური მოვლენის აღწერა-გამოხატვა შესაძლებელია რაოდენობრივი გზით;

^{iv} ზომიერი ნომინალისტები ოდნავ არბილებენ ამ მიდგომას და მიიჩნევენ, რომ უნივერსალური ცნებები მხოლოდ ინდივიდის გონებაში შეიძლება არსებობდეს, ისიც როგორც მსგავს თვისებათა მქონე ინდივიდუალობების კლასიფიკაციის მხოლოდ ლინგვისტიკური ნიშანი.

^v William of Ockham, First published Fri Aug 16, 2002; substantive revision Tue Mar 5, 2019; Stanford Encyclopedia of Philosophy; <https://plato.stanford.edu/entries/ockham/>

^{vi} Oakley Francis. Medieval Theories of Natural Law: William of Ockham and the Significance of the Voluntarist Tradition. Paris. 1961; Pages: 65-83; http://scholarship.law.nd.edu/nd_naturallaw_forum/60

^{vii} Whetsell Travis A., Shields Patricia M., The Dynamics of Positivism in the Study of Public Administration, Administration & Society. 47(4). July. 2013; Pages: 416-446; <http://aas.sagepub.com/content/early/2013/07/01/0095399713490157>

მეცნიერება, სოციოლოგიის ჩათვლით, ღირებულებებისა და იდეოლოგიისაგან სრულიად ნეიტრალურია.^{viii}

პოსტპოზიტივიზმისთვის ჭეშმარიტება თუ ცოდნა ემპირიული ფალსიფიკაციის გზით მიიღება (23.138).^{ix} ფალსიფიკაციას კი კარლ პოპერი ვარაუდებისა და დარღვევების პროცესად წარმოიდგენს (6.96).^x ამ შეხედულებით ჰიპოთეზა, დაშვება, თეორია ვერ იქნება მეცნიერული თუ მათი დარღვევა ვერ იქნა შესაძლებელი. პოზიტივიზმი, რაციონალიზმისგან განსხვავებით, გამორიცხავს მეტაფიზიკურ სპეკულაციებს გონებისა და თანდაყოლილი იდეების შესახებ. მისი მტკიცებით: ჭეშმარიტება და ცოდნა ინდუქციის გზით მიიღება, ლოგიკური და მათემატიკური იგივეობრივია, ზნეობრივი და ღირებულებითი განაცხადები - მხოლოდ ემოციური. მიუხედავად იმისა, რომ საჯარო მმართველობა გამოყენებით სფეროში იმკვიდრებს ადგილს, პოზიტივისტებს შეუძლიათ ამტკიცონ, რომ აქ ცოდნისა და ჭეშმარიტების მისაკვლევად შესაძლებელია, როგორც გამოყენებითი კვლევა, ასევე - წმინდა ანუ ფუნდამენტალური კვლევებიც, როცა ცოდნის გამოყენებას მნიშვნელობა არც აქვს (48.194).

მეთოდოლოგია თანაბრად უკავშირდება ონტოლოგიას და ეპისტემოლოგიას. ამიტომაც, მეთოდოლოგიაში მნიშვნელოვანი მეთოდის არჩევანი და წერის ტექნიკა დამოკიდებულია ონტოლოგიასა და კვლევის ობიექტზე. აქვე, აღვნიშნავთ, რომ მეთოდი და მეთოდოლოგია ხშირად ურთიერთმონაცვლე ცნებებია, თუმცა მეთოდოლოგია არის თეორია და ანალიზი თუ როგორ უნდა ჩატარდეს ცოდნის პრაქტიკის კვლევა, მაშინ როცა მეთოდი, უბრალოდ მტკიცებულებების შეგროვების ხერხებს წარმოადგენს (18.87; 29.114; 45.73).

ამრიგად, საჯარო მართვაში, ისე როგორც სხვა სოციალურ მეცნიერებებში კვლევის ჩატარება უფრო მეტად გულისხმობს მეთოდოლოგიის არჩევას, რაც ასევე განპირობებულია მკვლევრის ონტოლოგიურ და ეპისტემოლოგიურ არჩევანზეც.

პოზიტივისტებისთვის კვლევა უნდა იყოს ნომოთეტური, ინდუქციური და ღირებულებებისგან - თავისუფალი, რაციონალური, შემოწმებადი და ვერიფიცირებადი. მათი აზრით, ნატურალური მეცნიერება საშუალებას გვაძლევს საკვლევ კითხვებზე ერთადერთი შემოწმებადი და ვალიდური პასუხები გავცეთ.

ვებერი ღირებულებათა შესახებ

ვებერის (Weber Max 1949) ღირებულებებისგან - თავისუფალი კვლევა თანამედროვე სოციოლოგიაში ღირებულებების როლის შესახებ მცდარად, პრიმიტიული ინტერპრეტაციით გვხვდება. ვებერის კონცეფციის მიხედვით, მკვლევარმა საკუთარი პერსონალური

^{viii} რეალიზმის სამეცნიერო კვლევის მიდგომების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ: 35.102; 43.28; 37ა.19; 34.86; 22ა.63.

^{ix} Fischer F. Beyond empiricism - Policy inquiry in postpositivist perspective. Policy Studies Journal. 26. 1998; pp. 129-146.

^x პოპერი კ. ვარაუდები და დარღვევები: მეცნიერული ცოდნის ზრდა. თბილისი. 2000.

ღირებულებების სამსხვერპლოზე მეცნიერული კვლევა არ უნდა მიიტანოს. ეს არ ნიშნავს პრიმიტივიზმს, რომელიც ღირებულებებისაგან კვლევის გათავისუფლებაში გამოიხატება. ვებერი მასწავლებელს ღირებულებების გამოხატვისგან თავის შეკავებას მხოლოდ სალექციო აუდიტორიაში ურჩევს, და არა საჯარო გამოსვლებსა და კვლევებში. ვებერი ღირებულებებს განიხილავს არა როგორც ზეისტორიულ, ტრანსცენდენტურ რეალობას, არამედ როგორც განწყობას ამა თუ იმ ისტორიული ეპოქისა, როგორც ეპოქისათვის დამახასიათებელ ინტერესს. ყველა ისტორიულ ეპოქას თავისი აბსოლუტი გააჩნია, რომელიც შეფარდებითი ცნებაა (50.110). ამდენად, ღირებულება - როგორც ისტორიული მეცნიერული ინტერესისა, ემპირიული კვლევის ველში შემოიტანა. მკვლევარის კერძო ინტერესთან შედარებით, ეპოქის ინტერესი - უფრო ფართო, ობიექტური ცნებაა. ვებერის აზრით ფაქტისა და ღირებულებების გამიჯვნა შესაძლებელია. იგი, ასევე გამიჯნავდა ერთმანეთისაგან ეგზისტენციალურ ცოდნას - ნორმატიული ცოდნისგან ყოფიერებასა და ჯერარსთან მიმართებაში. ეს ნიშნავს, რომ ქმედებაზე - ორიენტირებული იდეის პროპაგანდა კი არ არის მნიშვნელოვანი, არამედ შესწავლა იმისა თუ: რა არის, როგორი არის, რატომ (რა ისტორიული და სოციალური მიზეზების გამო) არის. ეს არ ნიშნავს, რომ ღირებულებებს კვლევებთან არაფერი აქვთ საერთო. ღირებულებები, როგორც წინასწარგანსჯა კვლევაზე გავლენას არ უნდა ახდენდეს. კვლევისას დაკვირვება და სისტემატური შედარება უნდა მიმდინარეობდეს. ღირებულებები შესასწავლი საგნისა და ობიექტის შერჩევის დროს მნიშვნელოვანია, როგორც ღირებულებით-რელევანტური. ამ უკანასკნელს, რიკერტის (2011) მიხედვით, არჩევა მართებს, სადაც: არჩევანი ემპირიული რეალობის ის ნაწილია, რომელიც საზოგადოების ერთ ან რამდენიმე ზოგადკულტურულ ღირებულებას წარმოადგენს. სწორედ მათ უჭერს მხარს ადამიანი, მათში ცხოვრობს და მისით შეიმეცნებს (42.122). ეს გულისხმობს, რომ შესასწავლი ობიექტების შერჩევა მოხდება იმის საფუძველზე, თუ რა მიიჩნევა მნიშვნელოვნად იმ კონკრეტულ საზოგადოებაში სადაც მკვლევარი ცხოვრობს, თუ როგორია თანამედროვე ღირებულებითი სისტემა. ამიტომ არის, რომ მეცნიერულ დისკურსს ღირებულებით განსჯას სრულებით ვერ ჩამოვაშორებთ. ვებერის თქმით: მორალურ ინდიფერენტულობას მეცნიერულ „ობიექტურობასთან“ - საერთო არაფერი აქვს (51.60). ასე რომ, ვებერთან ღირებულებებს დიდი მნიშვნელობა აქვთ.

ვებერის ღირებულებების შესახებ სწავლებაში ანალიტიკოსებისთვის თუ ყოფიერებისა და ჯერარსის პრობლემაა მნიშვნელოვანი, დესკრიპტივისტიკისთვის - ობიექტის მახასიათებლებისა და ფაქტობრივი თვისებების ურთიერთიმსგავსება, ემპირიკოსებისთვის - კონსერვატიული პროფესიული იდეოლოგია, თავისუფლება. კრიტიკოსები, ვებერს ადრეულ პოზიტივისტად მიიჩნევენ. ჩვენ იგი უფრო პოსტმოდერნისტი გვგონია, რადგან დიქტომიურ საზოგადოებაში დომინანტის პოზიციისადმი მიკერძოებით, მკვლევარი გარკვეულ მხარეს იკავებს. და, თუ ეს მხარე ჩაგრულის სასარგებლოდ არის შერჩეული, მაშინ ის ასევე მიკერძოებულად უნდა იყოს. გამოდის, რომ ღირებულებების არჩევა ბრმა რწმენის და სწორედ ამიტომ - „კერძო / სუბიექტური“ მომენტია. შეიძლება ითქვას, რომ ვებერი ზომიერი პოზიტივისტია, რადგან მიიჩნევს, რომ ღირებულებებზე (იდეალებზე,

კონცეფციებზე და პროექტებზე) კონსენსუსის მისაღწევად გავლენას ადამიანის მოქმედება განაპირობებს.

ბუნებრივი სამართლის პერსპექტივიდან, ლეო შტრაუსიც (1899–1973) ამტკიცებს, რომ ვებერი საბოლოოდ მორალური ნიჰილისტი იყო, მაშინ როცა - კლასიკური პოლიტიკური ფილოსოფიის ტრადიციების დაბრუნება ღირებულებათა არაერთგვაროვანებისა და კონფლიქტის პრობლემას გადაწყვეტდა. ასე რომ, ვებერმა, პოზიტივიზმსა და იდეალიზმს შორის, ერთგვარი ოქროს შუალედი შემოგვთავაზა.

პოსტმოდერნისტები კვლევის მეთოდოლოგიად ჰერმენევტიკასა და ფენომენოლოგიას ირჩევენ. მათთვის ინტერპრეტაციის ხერხები და კვლევის ვალიდაცია ფრიად მნიშვნელოვანია.

პოსტპოზიტივისტებისთვის ტრანსულაციური მეთოდოლოგია გამორჩეულია. მათთვის მრავალჯერადი გაზომვა და დაკვირვება, რომელთაგან თითოეული შეიძლება სხვადასხვა სახის ცდომილებების აღმოჩენას ისახავდეს მიზნად და მრავალი რეალობა ერთდროულად ვლინდებოდეს - სრულიად მისაღებია. ეს მეთოდოლოგია თვისებრივ მეთოდებს ეყრდნობა, რომლის მიზანია საკვლევი ჰიპოთეზების უფრო უარყოფა, ვიდრე ვერიფიცირება.

ამრიგად, საჯარო მმართველობის კვლევის ჩასატარებლად განსხვავებული ონტოლოგიური, ეპისტემოლოგიური და მეთოდოლოგიური საფუძვლები არსებობს. მიუხედავად მიდგომისა, არჩევანი და სუბიექტურობა ყველა მათგანს თანაბრად ესადაგება.

1.5. რისკები და დაზღვევები საჯარო მმართველობის კვლევაში

დუაიტ ვალდო, (Waldo D. 1948) თავის ნაშრომში ამტკიცებს, რომ სოციალური მეცნიერებების კვლევა მომეტებულად ფიზიკური მეცნიერებების კვლევის ინსტრუმენტებით მიმდინარეობს, თუმცა მეცნიერულ მეთოდებში ბევრია არაექსპერიმენტული და არაემპირიული (49.177). იყო დრო, როცა მეცნიერების ემპირიზმთან იდენტიფიცირებას, პრაგმატული ფილოსოფიის გამო, დაუცხრომლად ცდილობდნენ. არადა საჯარო მმართველობაში ერთი კვლევის ნაცვლად, მრავალი საუკეთესო მეთოდი არსებობს. საჯარო მმართველობა ვერასოდეს იქნება სუფთა მეცნიერება იმ გაგებით, როგორც ეს ფიზიკურ ან საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში (ქიმია, ასტრონომია, ფიზიკა) მოიაზრება. საჯარო მმართველობას საერთო პარადიგმების მთელი სისტემა გააჩნია, მაგრამ ამის მიუხედავად ის წმინდა წყლის ნორმატიულ მეცნიერებად მაინც ვერ იქცევა. საჯარო მმართველობა შეიძლება აღვიქვათ როგორც პოსტ-ნორმატიული მეცნიერება, რომელიც საშუალებას იძლევა ონტოლოგიის, ეპისტემოლოგიისა და მეთოდოლოგიის ნებისმიერი თვალსაზრისით იქნეს შესწავლილი.

სადოქტორო ნაშრომის მიზანი საჯარო მმართველობის მხოლოდ მეცნიერული რაოდენობრივ-ემპირიული კვლევის გამოყენებით შესწავლისთვის ბრძოლა არ არის. ეს ძალიან რთულია. თუმცა, ვფიქრობთ, რომ საკვლევ თემასთან დაკავშირებული ცვლადები, ძირითადი დაშვებები, რომლებიც ონტოლოგიასა და ეპისტემოლოგიასთან დაკავშირებით

გაგვაჩნია, განსაზღვრავს ანალიტიკური ინსტრუმენტებით სარგებლობასაც. შორს ვართ იმ აზრისგან, რომ საჯარო მართვის კვლევისთვის დანიშნულ წინამდებარე ნაშრომში შინაარსი ფორმას უნდა შეეწიროს. კვლევის ლოგიკური ჩარჩო, ან სხვა ხაფანგები შესაძლოა თეორიის აგებას საფრთხედ შეექმნას. ამიტომაც დაბეჯითებით ვიტყვით, რომ ნაშრომის კონცეფციაში ფორმამ კი არ განსაზღვრა კვლევის შინაარსი, არამედ - პირიქით. თუმცა, როგორც მკვლევარისთვის დიდი იყო ცდუნება, რომ კვლევის მეთოდებით ასახულ სურათს თეორიული რეალობა ჩაენაცვლებინა. ჩვენთვის საკვლევი პრობლემა და მეთოდები იმდენად არის მნიშვნელოვანი, რამდენადაც პრობლემის გადაწყვეტის გზის პოვნაში დაგვეხმარება.

დასკვნა

საჯარო მართვის კვლევაში მნიშვნელოვანია მიზნების ზუსტად განსაზღვრა. კვლევას თავისი ონტოლოგიური და ეპისტემოლოგიური საფუძვლები გააჩნია.

საჯარო მმართველობის აქსიოლოგიური კვლევა მეცნიერულ საფუძვლებზე უნდა წარიმართოს. კვლევის ურთულეს გზაზე მკვლევარს არაერთი ხაფანგისგან თავის დაზღვევა მოუწევს, როგორცაა: დეტერმინიზმი, ობიექტივიზმი, ვულგარული მატერიალიზმი, ნომინალიზმი და სხვ.

საჯარო მართვის კვლევები ხასიათის, მიზანდასახულობისა და კონცეფტუალური სტრუქტურის მიხედვით ერთმანეთისგან განსხვავდება და ამის ბუნებრივი მიზეზებია: სოციალური ურთიერთობების განვითარება, ახალი გამოწვევები, კვლევისა და პრობლემების იდენტიფიცირების ახლებური მიდგომები, ორგანიზაციული მართვის ახლებური ხედვა. საჯარო მმართველობის კვლევა არ არის „თავისთვის“, არამედ მას გამოყენებითი და პრაქტიკული მნიშვნელობა გააჩნია, კერძოდ, სოციოკულტურული გარემოს კვლევის მიზანი საჯარო მმართველობასა და საზოგადოებას შორის არსებული ნაპრალის ამოვსებაა. ამისთვის აუგმენტირებული კვლევის შედეგების პრაქტიკული გამოყენებისთვის მისაღები და გასაგები ფორმით კონსტრუირება არის საჭირო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბურძენიძე მ. კვლევის სახეების კლასიფიკაცია და სპეციფიკა ემპირიულ სოციოლოგიაში. თბილისი. 2010.
2. ზურაბიშვილი თ. თვისებრივი მეთოდები სოციალურ კვლევაში. თბილისი. 2006.
3. კალჭუნი ქ., ლაითი დ., კელერი ს. სოციოლოგია. თბილისი. 2008.
4. კაჭკაჭიშვილი ი. სოციალური მოქმედების თეორია. თბილისი. 2001.
5. ნონიაშვილი კ. სოციოლოგიური კვლევის მეთოდები. თბილისი. 2009.
6. პოპერი კ. ვარაუდები და დარღვევები: მეცნიერული ცოდნის ზრდა. თბილისი. 2000.
7. სოციოლოგია ენტონი გიდენსის მიხედვით. თბილისი. 2011.
8. სურმანიძე ლ. კულტურა მეთოდოლოგიურ პერსპექტივაში. თბილისი. 2010.

9. ფრანკფორტ-ნაჩმიასი ჩ., ნაჩმიასი დ. კვლევის მეთოდები სოციოლოგიურ მეცნიერებებში. თბილისი. 2009.
10. ლიბრაძე რ. სოციოლოგია. თბილისი. 2008.
11. შონია მ. სოციოლოგიური გამოკვლევის მეთოდოლოგია. თბილისი. 2017.
12. წულაძე ლ. რაოდენობრივი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში. თბილისი. 2008.
13. ჯოლია გ. SMART - კიბერუნივერსიტეტი: ინდუსტრიული რევოლუცია - 4.0-ის შესაბამისი ახალი საგანმანათლებლო მოდელი, ბიზნეს - ინჟინერინგი. ყოველკვარტალური რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო ჟურნალი. №1-2. 2016.
14. Alreck P.L., Settle R.B. The Survey Research Handbook. Homewood: Irwin. 1985.
15. Bernard H.R. Research Methods in Anthropology: Qualitative and Quantitative Methods. Oxford. 2002.
16. Box R.C. An examination of the debate over research in public administration. Public Administration Review. 52. 1992.
17. Brown A., Gibson W. Qualitative Data Analysis. London. 2009.
18. Bunge M. Epistemology and methodology - Exploring the world. Treatise on Basic Philosophy. volume 5. Dordrecht. 1983.
19. Campbell D.T., Fiske D.W. Convergent and discriminant validation by the multitrait-multimethod matrix. Psychological Bulletin. 56(2). 1959.
20. Cassel C., Symon G. Qualitative Methods in Organizational Research. 1994.
21. Debus M. Handbook for Excellence in Focus Group Research. Academy for Educational Development. New-York. 1997.
22. Farmer David John. Postmodernism and Public Administration's Identity Crisis. Public Administration Review. Vol. 57. №.2. Mar. - Apr. 1997.
- 22ა. Feyerabend P. Realism. Rationalism and Scientific Method. New York. 1981.
23. Fischer F. Beyond empiricism - Policy inquiry in postpositivist perspective. Policy Studies Journal. 26. 1998.
24. Flick Uwe. Doing Conversation. Discourse and Document Analysis. London. 2008.
25. Funtowicz Silvio O., Ravetz Jerome R. Science for the post-normal age. Futures. Vol. 25. Issue 7. September 1993.
26. Gildehuys J.S.H. The Philosophy of Public Administration. Stellenbosch. 2004.
27. Glaser B. Basics of grounded theory analysis. Mill Valley. 1992.
28. Guba E.G. The Alternative Paradigm Dialog. California. 1990.
29. Guba E.G., Lincoln Y.S. Competing paradigms in qualitative research. Handbook of qualitative research. 1994.
30. Harven Vanessa de. The Coherence of Stoic Ontology. A dissertation submitted in partial satisfaction of the requirements for the degree of Doctor of Philosophy. Berkeley. 2012.
31. Hyrylainen Essa. Approaching Ethics and Integrity in Public Administration and Management Research from a Citizen View; In: Ethical Governance: A Citizen Perspective. Public Management; University of Vaasa. 2010.
32. Kuhn T.S. The Structure of Scientific Revolutions. Chicago. 1962.
33. Lan Z., Anders K.K. A paradigmatic view of contemporary public administration research. Administration & Society. 32. 2000.
34. Leplin J. Scientific Realism. Berkeley. 1984; Feyerabend P. Realism. Rationalism and Scientific Method. New York. 1981.

35. Little J.H. Between positivism and relativism: A middle path for public administration. 13th Annual Conference of the Public Administration Theory Network. Fort Lauderdale. Florida. January 28-29. 2000.
36. Miller Gerald J., Kaifeng Yang (Edit.). Handbook of Research Methods in Public Administration. New York. 2007.
37. Newman W.L. Social Research Methods: Qualitative and Quantitative Approaches. Boston. 2003.
- 37ა. Niiniluoto I. Critical Scientific Realism. New York. 1999.
38. O'Sullivan Elizabethan, Gary R. Rassel. Research Methods for Public Administrator; New York. 1991.
39. Oakley Francis. Medieval Theories of Natural Law: William of Ockham and the Significance of the Voluntarist Tradition. Paris. 1961.
40. Prawat Richard S. The Nominalism Versus Realism Debate: Toward A Philosophical Rather Than A Political Resolution. Educational Theory. Vol. 53. Issue 3. January. 2003.
41. Riccucci Norma M. The Logic of Inquiry in the Field of Public Administration; In: Handbook of Research Methods in Public Management. Public Administration and Public Policy. Boca Raton. 2008.
42. Ritzer George, Michael Ryan (Editor-in-Chief). Sociological Theory. New York. 2011.
43. Sayer R.A. Realism and Social Science. California. 2000; Niiniluoto I. Critical Scientific Realism. New York. 1999.
44. Simon H.A. Administrative Behavior: a Study of Decision-Making Processes in Administrative Organization. New York. 1945.
45. Srivastava A., Thomson S.B. Framework Analysis: A Qualitative Methodology for Applied Policy Research. Journal of Administration & Governance. Vol. 4. №2. 2009.
46. Stivers C. Bureau Men, Settlement Women: Construction Public Administration in the Progressive Era. Lawrence. Kansas. 2000.
47. Thiel Sandra Van. Research Methods in Public Administration and Public Management: An Introduction. New York. 2014.
48. Van der Waldt G. Theories for research in Public Administration. African Journal of Public Affairs. 9(9). 2017.
49. Waldo D. The Administrative State. New York. 1948.
50. Weber M. Gesammelte Aufsätze zur Wissenschaftslehre. Tübingen. 1951.
51. Weber Max. The Methodology of the Social Sciences. Ed. Edward Shils and Henry Finch. New York. 1949.
52. Whetsell Travis A., Shields Patricia M. The Dynamics of Positivism in the Study of Public Administration. Administration & Society. published online 1 July. 2013.
53. William of Ockham. Stanford Encyclopedia of Philosophy. First published Fri Aug 16. 2002.
54. Бернгард Г. Качественные и количественные методы исследования в социальной работе. Социол. исслед. - №1. 2001.
55. Семенов В.С. Анализ и интерпретация данных в социологии. Владимир. 2009.

კანონმდებლობა:

1. მასწავლებლის პროფესიული ეთიკის კოდექსი. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №57/ნ; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი: 430.210.000.22.022.014.869
2. კანონი ზოგადი განათლების შესახებ. საქართველოს პარლამენტი. 08/04/2005, სარეგისტრაციო კოდი: 430.050.000.05.001.001.778

ინტერნეტ-რესურსები:

3. საქართველოს საზოგადოებრივი მაუწყებლის ოფიციალური ვებ-გვერდი: რობაკიძე გრ. მიმართვა ქართველი ახალგაზრდობისადმი. აუდიოჩანაწერი. მიუნხენი. 1954; <https://1tv.ge/radiomuseum/grigol-robaqidze-mimartva-akhalgazrdobisadmi/>
4. ამერიკული კომერციული სოციალური ქსელი მეცნიერთათვის: Academia.edu
5. პროექტ გუტენბერგის (Project Gutenberg) ელექტრონული ბიბლიოთეკა. <https://www.gutenberg.org/>
სტენფორდის ფილოსოფიური ლექსიკონი. <https://plato.stanford.edu/>; Stanford Encyclopedia of Philosophy; <https://plato.stanford.edu/entries/ockham/>
6. ციფრული ბიბლიოთეკის ინტერნეტ-არქივი: <https://archive.org/>

For the Problem of Public Administration Research

Tamar Kapanadze

Grigol Robakidze University, PhD student
kapanadzetamuna0@gmail.com

Abstract. “Systematic Approach to Research of Public Administration” are important and topical. The reason for this is problems of rapidly changing environment. The article is aimed at finding these ways and means. This will help us solve the problems of systems research of Public Administration. The “Research Problems of Public Administration” will be interest to both Government Governors, Civil Servants in public sector, and managers of non-profit and non-governmental organizations. The article will be read with interest by the heads of social institutions of a legal, pedagogical and medical profile. Obviously, the research methodology will be of particular interest to heads of the Ministry of Education and its subordinate departments. In general, the public sector should be frequently interested in problems of Public Administration Research. This will help them make scientifically sound decisions. In order for government to fund research projects in the relevant field, the civil servant must be able to determine appropriateness of the research and “Read” (Analyze) the project. In particular, the civil servant as a sponsor should be able to: assess clarity and clarity of defined purpose of research; Determine research objectives - to match goal; Determine the topical of research methods and values. In this article, we look at some of key issues in Systematic approach to research in Public Administration.

Keywords: Public Administration Research and Theory, Ethics and Values In Public Governance, Survey Research in Public Administration, Axiology of public administration, Research Paradigms in Public Administration

პირველადი ჯანდაცვა სოფლად - სისტემის თავისებურებები, პრობლემები და პერსპექტივები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მაგალითზე

ნინო გორგილაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
nigorgiladze@gmail.com

რეზიუმე. სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო დანახარჯების დაზოგვის მიზნით, პირველადი ჯანდაცვის რგოლის განვითარებას დიდი მნიშვნელობა აქვს, განსაკუთრებით ისეთი დაბალშემოსავლიანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა. პჯდ რგოლის ეფექტური ფუნქციონირება, დაავადების ადრეულ სტადიაზე აღმოჩენის საშუალებით, ხელს უწყობს მვირადღირებული სერვისების საჭიროების თავიდან აცილებას. საქართველოში პჯდ რგოლის განვითარება 2000-იანი წლებიდან დაიწყო, რეფორმის ფარგლებში რეაბილიტირდა და აღიჭურვა პჯდ ცენტრები, გადამზადდა სამედიცინო პერსონალი, ამოქმედდა პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამა და სოფლად სამედიცინო სერვისის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად გატარდა მნიშვნელოვანი ღონისძიებები. თუმცა, სისტემური ხასიათის პრობლემების გამო ჯერ კიდევ ვერ ხერხდება სოფლად ხარისხიანი პჯდ სერვისის უზრუნველყოფა. აჭარის მაღალმთიან სოფლებში მოსახლეობის გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა პჯდ რგოლთან საკმაოდ შეზღუდულია. სიტუაცია განსაკუთრებით მწვავედ ზამთარში, უხვთოვლიანობის დროს თემის ცენტრამდე გზების ჩაკეტვის გამო. აქედან გამომდინარე, აჭარის ყველა სოფელში შენარჩუნებულია ადრე არსებული საფერშლო-საბებიო პუნქტების ანალოგიური სტრუქტურა - თემის სამედიცინო პუნქტების (თსპ) სახით, რომელთა პროგრამული დაფინანსებაც ხორციელდება მუნიციპალიტეტების მიერ. წინამდებარე ნაშრომის მიზანია სოფლად პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარების პრობლემების შესწავლა აჭარის ა.რ. მაგალითზე. სტატიაში განხილულია ჯანდაცვის კანონმდებლობა, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო და რეგიონული პროგრამები, სხვადასხვა ავტორის ნაშრომები, ინტერნეტით მოძიებული მასალა და სხვ. ყურადღება გამახვილებულია სოფლად პჯდ სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემებსა და მათ მიზეზებზე. კვლევის საგანს წარმოადგენს საქართველოს პირველადი ჯანდაცვის სისტემა, ხოლო კვლევის ობიექტია აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტების პჯდ რგოლი. ნაშრომის მთავარი ამოცანაა მუნიციპალიტეტის დონეზე პჯდ რგოლის თავისებურებების შესწავლა, ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება. კვლევის პროცესში გამოყენებულ იქნა კვლევის ისეთი მეთოდები, როგორცაა ანალიზის და სინთეზის, სისტემური, ისტორიული, სტრუქტურულ-ფუნქციური და შედარებით-სამართლებრივი. კვლევის შედეგად დადგინდა, რომ ბოლო ათწლეულების განმავლობაში, სოფლად პირველადი ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებების მიუხედავად, სისტემა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს ჯანდაცვის პოლიტიკით გათვალისწინებული ამოცანების სრულყოფილად შესრულებას.

საკვანძო სიტყვები: პირველადი ჯანდაცვა (პჯდ), თემის სამედიცინო პუნქტი (თსპ), სოფლის ექიმი

1. შესავალი

პირველადი ჯანდაცვის (პჯდ) რგოლის ეფექტური ფუნქციონირება დაავადების პრევენციისა და ადრეული დიაგნოსტიკების საშუალებით, ხელს უწყობს ძვირადღირებული სერვისების საჭიროების თავიდან აცილებას. შესაბამისად, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფისა და სახელმწიფო დანახარჯების დაზოგვის მიზნით, პირველადი ჯანდაცვის სისტემის განვითარებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს განსაკუთრებით ისეთი დაბალშემოსავლიანი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა.

ხარისხიანი სამედიცინო სერვისი აუცილებელია მომსახურების ყველა დონეზე, თუმცა პირველადი ჯანდაცვის, როგორც ჯანდაცვის სისტემის საწყისი რგოლის ხარისხი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. განსხვავებით ჯანდაცვის მეორეული და მესამეული რგოლისგან, რომელთაც ძირითადად დაავადების განვითარების შემდგომ სტადიებთან აქვთ შეხება, პჯდ-ს საქმიანობა დაავადების თითქმის ყველა ფორმას ეხება, ნებისმიერ სტადიაზე; სწორედ ეს განაპირობებს მის უნივერსალურობას და მნიშვნელობას. (ყაზახაშვილი, 2020), (საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი).

საქართველოში პჯდ განვითარების მნიშვნელოვანი ეტაპი 2000-იანი წლების დასაწყისიდან იღებს სათავეს. ჯანმოს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით საქართველოში არაერთი პროექტი განხორციელდა, რამაც ქვეყნის ჯანდაცვის სისტემაზე დადებითი ზეგავლენა მოახდინა. (გამყრელიძე ა., კერესელიძე მ., ღამბაშიძე ქ.) თუმცა სამედიცინო მომსახურების ხარისხი და ხელმისაწვდომობის პრობლემები კვლავაც აქტუალურია.

თანაბრად ხელმისაწვდომი და ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველ-საყოფად დიდი მნიშვნელობა აქვს რეგიონის დონეზე სტრატეგიული და მიზან-მიმართული ჯანდაცვის პოლიტიკის განხორციელებას, რაშიც უდიდესი როლი რეგიონის ჯანდაცვის სისტემას ეკისრება.

საქართველო, მმართველობითი სტრუქტურის თვალსაზრისით, სამხარეო მოწყობის ქვეყანაა, სადაც გამონაკლისს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა წარმოადგენს, დამოუკიდებელი მთავრობის და შესაბამისად, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს არსებობით. სამინისტროს ერთ-ერთი ძირითადი ფუნქციაა ჯანდაცვის სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელება, რაც დამატებითი შესაძლებლობაა რეგიონში ეფექტური ჯანდაცვის სისტემის ჩამოყალიბებისთვის.

აჭარის მაღალმთიანი სოფლების დიდი ნაწილი სოფლის თემიდან დიდი მანძილითაა დაშორებული, რაც ზღუდავს მოსახლეობის გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას პირველადი ჯანდაცვის რგოლთან (სოფლის ექიმი, პოლიკლინიკა, სასწრაფო სამედიცინო დახმარება). სიტუაცია განსაკუთრებით მწვავედება ზამთარში, უხვთოვლიანობის გამო თემის ცენტრებამდე მისასვლელი გზების ჩაკეტვის გამო. აქედან გამომდინარე, სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, აჭარის ყველა სოფელში შენარჩუნებულია ადრე არსებული საფერშლო-საბებიო პუნქტების

ანალოგიური სტრუქტურა - თემის სამედიცინო პუნქტების (თსპ) სახით, რომელთა პროგრამული დაფინანსებაც ხორციელდება შესაბამისი მუნიციპალიტეტის მიერ.

თსპ თავის მხრივ პირველადი ჯანდაცვის სისტემის დამხმარე რგოლია, რომლის ძირითად მიზანსაც სოფლის მოსახლეობისთვის ექიმამდელი სამედიცინო დახმარებისა და პჯდ სერვისების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

თსპ-ს ეფექტური ფუნქციონირება და გადაუდებელი მდგომარეობების მართვის პროცესში თსპ პერსონალის ჩართულობა, დაავადების უკეთესი გამოსავლისა და სასწრაფო სამედიცინო დახმარების რესურსის დაზოგვის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. ამისათვის მნიშვნელოვანია, რომ თსპ-ს მართვის სისტემა იყოს გამართული, პჯდ რგოლთან მისი სტრუქტურულ-ფუნქციური კავშირი განსაზღვრული და თსპ-ს პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაში იყოს თანამედროვე მოთხოვნებთან.

ჰიპოთეზა: ბოლო ათწლეულების განმავლობაში სოფლად პირველადი ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებების მიუხედავად, სისტემა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს ჯანდაცვის პოლიტიკით გათვალისწინებული ამოცანების სრულყოფილად განხორციელებას.

კვლევის საგანი: საქართველოს პირველადი ჯანდაცვის სისტემა.

კვლევის ობიექტი: აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტების პჯდ რგოლი.

საკითხის აქტუალობიდან გამომდინარე, ნაშრომის მიზანია: აჭარაში მუნიციპალიტეტის დონეზე პჯდ რგოლის თავისებურებების შესწავლა, ხარვეზების გამოვლენა და რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დაისახა შემდეგი **ამოცანები:**

- თემის შესაბამისი ლიტერატურის და ნორმატიული დოკუმენტაციის მოძიება და შესწავლა/ანალიზი;
- პჯდ რგოლის სტრუქტურულ-ფუნქციური შესაბამისობის შესწავლა;
- თემის სამედიცინო პუნქტების საქმიანობის შესწავლა და ანალიზი;
- დამუშავებული მასალის განხილვა და ანალიზი;
- დასკვნების შემუშავება და რეკომენდაციების მომზადება.

2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის პროცესში შესწავლილი და დამუშავებულია ჯანდაცვის სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობა, ჯანდაცვის პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტაცია, ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო და რეგიონული პროგრამების შინაარსი, პირობები და მოცულობა, სხვადასხვა ავტორის სახელმძღვანელოები და სამეცნიერო ნაშრომები, ინტერნეტით მოძიებული ინფორმაცია და სხვ.

მოძიებული მასალების დამუშავებისთვის გამოყენებულ იქნა კვლევის როგორც ზოგადი ისე სპეციალური მეთოდები, მათ შორის ანალიზი და სინთეზი, სისტემური, ისტორიული, სტრუქტურულ-ფუნქციური და შედარებით-სამართლებრივი მეთოდები.

3. პჯდ განვითარება საქართველოში - ისტორიული ასპექტი

საქართველოს ჯანდაცვის სისტემის რეფორმის ერთ-ერთი პირველი ეტაპი იყო პჯდ ახალი ხედვის და სტრუქტურის განვითარება. 2003 წელს, დიდი ბრიტანეთის საერთაშორისო განვითარების დეპარტამენტის, ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით დაიწყო პირველადი ჯანდაცვის დიდი პროექტის განხორციელება, (ბიუჯეტი 40 მლნ აშშ დოლარი). პროექტის ძირითად ამოცანებს წარმოადგენდა სტრუქტურულ-ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტა, საოჯახო მედიცინის ახალი ცენტრების დაფუძნება, ადამიანური რესურსების მომზადება-გადამზადება, პჯდ-ს წამლების ნუსხის შექმნა და საოჯახო მედიცინის ახალი ფინანსური მოდელის შექმნა. (გამყრელიძე ა., კერესელიძე მ., ღამბაშიძე ქ.).

2004 წლიდან, პჯდ რეფორმის ფარგლებში დაიწყო წამლის ანაზღაურების პილოტური პროექტების განხორციელება, რომელიც აქცენტირებული იყო მედიკამენტების რაციონალურ გამოყენებაზე; გამოიცა წამლის ეროვნული ფორმულარის ახალი რედაქცია. (გამყრელიძე ა., კერესელიძე მ., ღამბაშიძე ქ.).

2006 წელს, ჯანმოს სისტემების ფუნქციონირების ჩარჩოზე დაყრდნობით და ჯანმოს ტექნიკური მხარდაჭერით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ შემუშავდა და გამოიცა ჯანდაცვის სექტორის რეფორმის კონცეფცია. შემუშავდა „საქართველოში პირველადი ჯანმრთელობის დაცვის განვითარების გენერალური გეგმა“. (გამყრელიძე ა., კერესელიძე მ., ღამბაშიძე ქ.), (ჯანდაცვის სექტორის რეფორმის კონცეფცია, 2006).

2008 წლისთვის, 2003 წელს დაწყებული პჯდ განვითარების პროექტის შედეგად, რეაბილიტირებული და აღჭურვილი იყო 200-მდე პჯდ დაწესებულება; გადამზადდნენ პრაქტიკოსი ექიმები და ექთნები. (გამყრელიძე ა., კერესელიძე მ., ღამბაშიძე ქ.).

2008 წელს, საქართველოს #62 მთავრობის დადგენილებით ამოქმედდა სოფლის ექიმის კერძო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა, რომელსაც ახორციელებდა სსიპ „ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის პროექტების განმახორციელებელი ცენტრი“. პროგრამის ბენეფიციარებად განისაზღვრნენ ახლად რეაბილიტირებულ და აღჭურვილ სოფლის ამბულატორიებში დასაქმებული ექიმები. მათთვის სოციალური დახმარების სახით განისაზღვრა ფულადი გასაცემელის დარიგება 2000,00 ლარის ოდენობით. პროგრამა სოფლად პჯდ სამედიცინო პრაქტიკის სტანდარტული აღჭურვილობის შეძენისა და პროგრამის ბენეფიციარებისათვის გადაცემის გარდა, ითვალისწინებდა ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ ბენეფიციარებისთვის სახელმწიფო ქონების საკუთრების უფლებით გაცემის უზრუნველყოფასაც. (დადგენილება 62, 2008).

2010 წლის პჯდ პროგრამის ფარგლებში ამოქმედდა სოფლად ამბულატორიული მომსახურების ქვეკომპონენტი, მომსახურების მიმწოდებლად განისაზღვრნენ მეწარმე-ფიზიკური პირები და გეოგრაფიულ-ფიზიკური ხელმისაწვდომობის გათვალისწინებით გაუფორმდათ შესყიდვის ხელშეკრულებები მომსახურებაზე, განისაზღვრა მომსახურების

ღირებულებაც. პროგრამას ახორციელებდა ჯანმრთელობის და სოციალური პროგრამების სააგენტო. (2010 წლის ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამები, 2009).

2008-2010 წლებში ჯანდაცვის პროგრამებით განსაზღვრული დებულებები გაუქმდა 2012 წელს, ძალადაკარგულად გამოცხადდა შესაბამისი ნორმატიული აქტებიც. (დადგენილება 2018, 2012), (მინისტრის ბრძანება 01-34/ნ, 2012).

2011 წლიდან ამოქმედდა სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამა, რომელიც სოფლად ამბულატორიულ მომსახურების გარდა, მოიცავდა სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების მიერ შესაბამისი ამბულატორიული და სტაციონარული მომსახურების მიწოდებას. პროგრამას ახორციელებდა სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“, ხოლო სოფლის ექიმის მომსახურების მიმწოდებლად განისაზღვრნენ საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული მომსახურების მიმწოდებელი ფიზიკური პირები. (დადგენილება 77, 2011), (დადგენილება 92, 2012), (დადგენილება 279, 2013).

სოფლის ექიმებისა და ექთნების უმთავრესი მოვალეობაა სამედიცინო მომსახურების ოპერატიული განხორციელება შესაბამისი მუნიციპალიტეტის ტერიტორიული ერთეულის სოფლებში, სახელმწიფო პროგრამის პირობებისა და დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, მათ შორის:

- სახელმწიფო პროგრამის და მომსახურების ხელშეკრულების პირობების ზედმიწევნით დაცვა;
- მომსახურების გაწევა სანიტარული და ეპიდემიოლოგიური რეჟიმების დაცვით;
- პაციენტის კანონიერი უფლებების, სამედიცინო ეთიკის ნორმების და პაციენტთა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა;
- სამედიცინო დოკუმენტაციის და სტატისტიკური ფორმების წარმოება;
- სამოქმედო ტერიტორიის მიხედვით მოსახლეობის ინფორმირება სახელმწიფო პროგრამებით გათვალისწინებული მომსახურების მოცულობის თაობაზე;
- საკუთარ პროფესიულ ზრდა-განვითარებაზე ზრუნვა, საოჯახო მედიცინის მზადების პროგრამაში მონაწილეობა და სხვ. (ხელშეკრულება-სოფლის ექიმი, 2021), (დადგენილება 828, 2020).

2013 წელს, საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით, შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულებში განისაზღვრა საექიმო და საექთნო პუნქტების რიცხვი და „ექიმის ჩანთა“. (ბრძანება 01-264/ო, 2013).

2014 წლიდან სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის მოცულობას დაემატა ამბულატორიული მომსახურებისთვის აუცილებელი მედიკამენტების, სამედიცინო დანიშნულების საგნების, ექიმის ჩანთისა და სამედიცინო დოკუმენტაციის მომსახურების შესყიდვის უზრუნველყოფაც. სოფლად პჯდ მომსახურების მიმწოდებელ ფიზიკურ პირებს (სოფლის ექიმი, სოფლის ექთანი/ფერშალი) განესაზღვრათ საგადასახადო ორგანოში გადამხდელად რეგისტრაციის ვალდებულება. (დადგენილება 650, 2014).

2015 წელს საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრომ ახალ პრიორიტეტულ მიმართულებად გამოაცხადა ჯანდაცვის პირველადი რგოლის რეფორმა. ჯანმოს ექსპერტთა დახმარებით

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი

დაიწყო პჯდ რეფორმის სამოქმედო გეგმის შემუშავება. რეფორმა ითვალისწინებდა საქართველოს მასშტაბით პოლიკლინიკების გარემონტებას და აღჭურვას, გარდა ამისა პჯდ ექიმების გადამზადებას და მათ ფინანსურ უზრუნველყოფას. (გამყრელიძე ა., კერესელიძე მ., ღამბაშიძე ქ.). ასევე 2015 წელს საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანებით, რამდენიმე ნოზოლოგიაში დაამტკიცა კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტები საოჯახო მედიცინის დარგში. იხ. ცხრილი 1. (ბრძანება 01-4/ო, 2015).

ცხრილი 1.

სოფლის ექიმის სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამის მახასიათებლები

	სახელმწიფო პროგრამის განმახორციელებელი	სოფლის ექიმის მომსახურების შემსრულებელი	მომსახურების ანაზღაურება (ლარი)	სოფლის ექიმის დამატებითი შრომის ანაზღაურება აჭარის ა.რ. რესპუბლიკა (ლარი)	აჭარის მუნიციპალიტეტებში საექიმო/საექთნო პუნქტების რაოდენობა	სოფლის ექიმის სახელმწ. პროგრამა ბიუჯეტი სულ (ათასი ლარი)	პჯდ მომსახურება სოფლად ბიუჯეტი (ათასი ლარი)
2010	ჯანმრთელობის და სოციალური პროგრამების სააგენტო	მეწარმე ფიზიკური პირი	სოფლის ექიმი - 456,00			14 694.110	11 516.8
2011	სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტო“	„სოფლის ექიმის პროგრამის მიმწოდებელი ფიზიკური პირი	ექთანი/ფერშალი - 304,00	---	107 საექიმო პუნქტი: ქედა-11, შუახევი-12, ხულო-20, ქობულეთი-33, ხელვაჩაური-31	15 140.1	11 826.0
2012			სოფლის ექიმი - 500,00			15 535.1	11 693
2013		ექთანი/ფერშალი - 350,00		15 242.0		10 974 900.0	
2014		სოფლის ექიმი - 650,00		20 619.5		16 070.7	
2015		ექთანი/ფერშალი - 455,00		23 928.0		19 129.0	
2016		სოფლის ექიმი - 650,00		24 944.8		19,146.0	
2017		ექთანი/ფერშალი - 455,00		25 078.5		19 082.7	
2018		საგადასახადო ორგანოში რეგისტრირებული, სოფლის ექიმის პროგრამის მიმწოდებელი ფიზიკური პირი	სოფლის ექიმი - 650,00	ექიმი: ქედა, შუახევი ხულო - 300,00 ხელვაჩაური, ქობულეთი - 200,00		110 საექთნო პუნქტი: ქედა-11, შუახევი-12, ხულო - 23, ქობულეთი-33, ხელვაჩაური-31	25 348.2
2019	სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“	სოფლის ექიმი - 650,00	ექიმი: ქედა, შუახევი ხულო - 300,00 ხელვაჩაური, ქობულეთი - 200,00	ქედა-11, შუახევი-12, ხულო - 23, ქობულეთი-33, ხელვაჩაური-31	26 074.3	17,160.0 01.01-დან 31.10-მდე 2,326.75 01.11-დან 31.12-მდე	
2020	სოფლის ექიმი - 750,00	ექთანი: ქედა, შუახევი ხულო - 150,00 ხელვაჩაური, ქობულეთი - 100,00		20 453.0	20 125.1		
2021	ექთანი/ფერშალი - 555,00			23 049.5	22 705.6		

წყარო: ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამები

2017 წელს პერინატალური სერვისების რეგიონალიზაციის ფარგლებში განხორციელდა პერინატალური სერვისების მიმწოდებელი დაწესებულებების კატეგორიზაცია და შეიქმნა პროტოკოლები პჯდ დაწესებულებისთვის. (გამყრელიძე ა., კერესელიძე მ., ღამბაშიძე ქ.).

2019 წლიდან, სოფლის ექიმის პროგრამის ფარგლებში, სოფლად პირველადი ჯანდაცვის მომსახურების კომპონენტს ახორციელებს სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“. ხოლო სპეცდაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებების კომპონენტი სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ ხორციელდება. (დადგენილება 693, 2018).

2019 წლიდან სოფლის ექიმის პროგრამის მოცულობას დაემატა ადმინისტრირება-მონიტორინგის კომპონენტი და „სოფლის ექიმის“ - კოორდინატორის სერვისი. გადაუდებელი დახმარების ცენტრის ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტით განისაზღვრა სოფლის ექიმის ფუნქცია-მოვალეობები. (დადგენილება 693, 2018).

2020 წლიდან სოფლის ექიმის კომპონენტი ხორციელდება „პირველადი და გადაუდებელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფის ქვეპროგრამის“ ფარგლებში, რომელიც ფარავს ორ მიმართულებას: 1) სასწრაფო სამედიცინო დახმარება და სამედიცინო ტრანსპორტირება; 2) სოფლის ექიმის სერვისი. სოფლის ექიმის პროგრამით განსაზღვრული საქმიანობის ადმინისტრირებას და მონიტორინგს ახორციელებს პროგრამის განმახორციელებელი - გადაუდებელი დახმარების ცენტრი. (დადგენილება 674, 2019), (დადგენილება 828, 2020).

4. პჯდ-ს რგოლის თავისებურებები აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, მთელი საქართველოს მასშტაბით გაუქმდა საფერშლო-საბებიო სამსახურები, თუმცა, აჭარის ჯანდაცვის სამინისტრომ სტრუქტურა შეინარჩუნა თემის სამედიცინო პუნქტების (თსპ) სახით და ის ფინანსდებოდა აჭარის ა.რ. ბიუჯეტიდან.

2014 წლიდან, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების პარალელურად, სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობის გაზრდისთვის, რეგიონული პროგრამის ფარგლებში აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამოქმედდა რამდენიმე ქვეპროგრამა:

- თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება;
- სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა;
- სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება;
- სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება.

4.1. თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება / სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა

2014 წელს, აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამოქმედებული პროგრამების ფარგლებში (სოფლად პჯდ-ს განვითარების ხელშეწყობა, თსპ-ში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება), თეორიული და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, დაიწყო პჯდ-ს ექიმების (107), ექთნების (111) და თსპ-ში დასაქმებული ექთნების (228) გადამზადება. (სოფლად პჯდ-ს განვითარების ხელშეწყობა, 2014), (თსპ-ში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება, 2014).

ასევე, 2014 წლიდან ამოქმედებული სოფლად პჯდ-ს განვითარების ხელშეწყობის ქვეპროგრამის ფარგლებში, მაღალმთიან მუნიციპალიტეტებში სოფლის პჯდ ცენტრების მობილურობის გაზრდისა და მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების დროული მიწოდების მიზნით დაიწყო მაღალი გამავლობის მქონე ავტომობილების შესყიდვა: 2014 წელს - 21 ავტომობილი, (სოფლად პჯდ-ს განვითარების ხელშეწყობა, 2014), 2015-2016 წლებში 20 ავტომობილი (მხოლოდ ქობულეთის და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლების პჯდ ცენტრებისთვის); (ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები, 2015), (სოფლად პჯდ-ს განვითარების ხელშეწყობა, 2016), 2017 წელს - 13 ავტომობილი; (სოფლად პჯდ-ს განვითარების ხელშეწყობა, 2017), ხოლო 2018 წელს კი დამატებით 8 ავტომობილი. ავტომობილების შეძენა განხორციელდა გაეროს მოსახლეობის ფონდთან (UNFPA) ერთად, თანადაფინანსების პრინციპით (ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები, 2015), (სოფლად პჯდ-ს განვითარების ხელშეწყობა, 2016), (სოფლად პჯდ-ს განვითარების ხელშეწყობა, 2018).

დღეისათვის, საქართველოს სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, აჭარის რეგიონის ყველა სოფლის ექიმს ემსახურება ავტომობილი და მძღოლი. მუნიციპალური პროგრამებით იფარება სოფლის ექიმის ყოველთვიური ადმინისტრაციული და სამეურნეო ხარჯები (მძღოლის ხელფასი; საწვავი; ავტომობილის დაზღვევა, მიმდინარე რემონტი და საბურავები; კომუნალური გადასახადები; სამედიცინო ნარჩენების გატანა და სხვ.). გარდა ამისა, მუნიციპალიტეტების მიერ, სახელმწიფო პროგრამის პარალელურად ხორციელდება სოფლის ექიმებისთვის დამატებით მედიკამენტებისა და სამედიცინო მოწყობილობების მიწოდება (ბიუჯეტი - თვეში 50,00 ლარი). (ქედა, 2021), (ხულო, 2021), (შუახევი, 2021), (ხელვაჩაური, 2021), (ქობულეთი, 2021).

4.2. სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება

2015 წლიდან, უწყვეტი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფისთვის სამედიცინო კადრების სოფლებში დამაგრების მიზნით, აჭარის ჯანდაცვის სამინისტროს მიერ ამოქმედდა „სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურების“ ქვეპროგრამა, სახელმწიფო პროგრამის პარალელურად, აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტებში დასაქმებული

სოფლის ექიმების მატერიალური სტიმულირებისთვის განისაზღვრა ხელფასი დანამატის სახით. (ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები, 2015), (სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება, 2016), (სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება, 2017), (სოფლის სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურება, 2018), (სოფლის სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურება, 2019).

2020 წლიდან ექიმებზე და ექთნებზე დანამატი სოციალური დახმარების სახით ხორციელდება აჭარის ა.რ. ბიუჯეტიდან, „სოფლის სამედიცინო პერსონალის სოციალური უზრუნველყოფის“ ქვეპროგრამით გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში. (ა.რ. კანონი 15-რს, 2020).

4.3. სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარება

აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტებში, გეოგრაფიული მდებარეობის და კლიმატური პირობებიდან გამომდინარე, მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების მიწოდების გართულების გამო, აუცილებელი გახდა ექიმამდელი სამედიცინო მომსახურების ორგანიზება.

2014 წლიდან, აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ ამოქმედდა სოფლის მოსახლეობის ექიმამდელი სამედიცინო დახმარების ქვეპროგრამა. ქვეპროგრამის მიზანი იყო ადგილზე ექიმამდელი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა და თემის სამედიცინო პუნქტების (თსპ) უზრუნველყოფა პირველი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებით და სადიაგნოსტიკო საშუალებების ყოველთვიური მარაგით. დაიწყო მომსახურების მიმწოდებლებთან ხელშეკრულებების გაფორმება (2014 წელი - 228 ექთანი, 2015-2016 წელი - 230 ექთანი. ხელფასი 250 ლარი). (ექიმამდელი სამედიცინო დახმარება, 2014), (ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები, 2015), (ექიმამდელი სამედიცინო დახმარება, 2016).

2016 წლიდან, თემის სამედიცინო პუნქტები (თსპ) მართვაში გადაეცათ აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტებს (სოფლად მოსახლეობისთვის სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფის ქვეპროგრამა). თსპ ექთნების შერჩევა და მათთან ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდა მუნიციპალიტეტების მერიაში შესული განცხადებების საფუძველზე, გასაუბრების წესით. თითოეული მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს თსპ-ში დასაქმებული პერსონალის მომსახურების ანაზღაურებას 2014 წლიდან განსაზღვრული მომსახურების საფასურის შესაბამისად (250,00 ლარი), და ასევე, პირველი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტებით და სადიაგნოსტიკო საშუალებებით თსპ-ს უზრუნველყოფას.

მუნიციპალიტეტები საჭიროებიდან გამომდინარე და შესაძლებლობების ფარგლებში ახორციელებენ ახალი თსპ-ებისა და ამბულატორიების კეთილმოწყობას. იხ. ცხრილი 2.

თსპ მაჩვენებლები აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტებში. 2020 წელი

აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტები	ქობულეთი	ხელვაჩაური	ქედა	შუახევი	ხულო
თსპ	29	47	40	46	57
ექთანი	46	47	40	46	57
წლიური სახელფასო ფონდი	138 000	141 000	120 000	138 000	171 000
მედიკამენტების ხარჯვა (დაახლოებით)	14 000	14 000	13 000	14 000	17 000

წყარო: აჭარის ა.რ. მუნიციპალიტეტების მერია

მუნიციპალიტეტებსა და თსპ ექთანს შორის გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული პერსონალის ძირითადი მოვალეობები, მათ შორისაა:

- ექიმადელი სამედიცინო დახმარების აღმოჩენა;
- კომპეტენციის ფარგლებში პაციენტის ჯანმრთელობის მდგომარეობის შეფასება, პრობლემის იდენტიფიკაცია და საჭიროების შემთხვევაში ექიმთან გაგზავნა (გადამისამართება);
- კომპეტენციის ფარგლებში სოფლის ექიმის მითითებებისა და დავალებების შესრულება;
- მწვავე და ქრონიკული დაავადებების მქონე პაციენტების მეთვალყურეობა;
- კომპეტენციის ფარგლებში პალიატიური ზრუნვის განხორციელება;
- ორსულთა მეთვალყურეობა კომპეტენციის ფარგლებში;
- ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება, მოსახლეობის ინფორმირება სამედიცინო პროფილაქტიკურ საკითხებზე და პრევენციული ღონისძიებების გატარება;
- პაციენტის კანონიერი უფლებების, სამედიცინო ეთიკის ნორმების და პაციენტთა კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვა;
- მომსახურების გაწევა სანიტარული და ეპიდემიოლოგიური რეჟიმების დაცვით;
- პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე ზრუნვა და სხვ. (ხელშეკრულება-თსპ, 2020).

თსპ ექთანის მომსახურება იფარება პროგრამით და თემის მოსახლეობისთვის სრულიად უფასოა. თსპ ექთანს არ აქვს დამატებითი გადასახადის მოთხოვნის უფლება. (ხელშეკრულება-თსპ, 2020).

5. დამუშავებული მასალის განსჯა და ანალიზი

2015 წელს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ ჩატარებული სოფლის ექიმის პროგრამის ეფექტიანობის აუდიტის ანგარიშის მიხედვით გამოიკვეთა რიგი ნაკლოვანებებისა, რაც უკავშირდებოდა პროგრამის დიზაინს, მის ადმინისტრირებას, მონიტორინგსა და მიღწეული შედეგების შეფასებას. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა მიიჩნია, რომ გრძელვადიანი პროგრამის დიზაინში არსებული ნაკლოვანებების გამო ვერ იქნებოდა მიღწეული მაქსიმალური შედეგები და ვერ გაუმჯობესდებოდა სოფლად პჯდ სერვისების უტილიზაცია და მომსახურების პროდუქტიულობა. (სახელმწიფო აუდიტის სამსახური, 2015). მიუხედავად სახელმწიფოს მიერ პჯდ რგოლის განვითარების მიზნით განხორციელებული რიგი ღონისძიებებისა, 2015 წლის სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში ასახული პრობლემები დღესაც მწვავედ აქტუალურია.

სოფლის ექიმი აჭარის მუნიციპალიტეტებში

დადებით კონტექსტში უნდა აღინიშნოს აჭარის ა.რ. დასაქმებული სოფლის ექიმების უპირატესობა საქართველოს სხვა მხარეებთან შედარებით. აჭარაში, სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობისა და პჯდ-ს მობილურობის გაზრდის მიზნით, ყველა სოფლის ექიმს ემსახურება მანქანა და მძღოლი, უზრუნველყოფილია საწვავის საჭირო რაოდენობით, კომუნალური გადასახადებით, დამატებით ეძლევათ მედიკამენტები, ერიცხებათ დანამატი სოციალური დახმარების სახით და სხვ. აღნიშნული პრივილეგიები დადებითად მოქმედებს პჯდ რგოლის საქმიანობაზე და ზრდის პროდუქტიულობას, მაგრამ, სხვა სისტემური ხასიათის პრობლემები აფერხებს პირველადი ჯანდაცვის განვითარებას.

დიაგნოსტიკური კვლევების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემები

პირველადი ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებით, გარკვეულწილად გადაიჭრა სამედიცინო მომსახურების გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის პრობლემა, ეფექტურად მიმდინარეობს იმუნიზაციის და მეთვალყურეობის (პატრონაჟის) პროცესიც; თუმცა, ისევ გადაუჭრელ პრობლემად რჩება მწვავე და გამწვავებული დაავადებების დიაგნოსტიკისა და შემდგომი მართვის საკითხი.

ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად, სოფლის ექიმს ევალება კლინიკური სიმპტომებისა და ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული კვლევების საფუძველზე დიაგნოსტიკა და მართვა, ხოლო საჭიროების შემთხვევაში პაციენტის გადამისამართება ვიწრო სპეციალობის ექიმთან. (დადგენილება 828, 2020). თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ პჯდ ცენტრის მწირი მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა არ იძლევა მყარი დიაგნოსტიკის საშუალებას, სოფლის ექიმის საქმიანობა ძირითადად მიმართულია რეფერირების სისტემაზე და არა ადგილობრივი მომსახურების უზრუნველყოფაზე. ეს კი თავის მხრივ იწვევს სოფლის ექიმის მიმართ ნდობის შემცირებას და შესაბამისად, პაციენტის „დაკარგვას“ - მწვავე დაავადება-გადატანილი პაციენტები, შემდგომში ჯანმრთელობის პრობლემის ან დაავადების

გართულების შემთხვევაში, სოფლის ექიმის გვერდის ავლით, პირდაპირ აკითხავენ ისეთ კლინიკას, სადაც შეძლებენ სრულყოფილი სერვისის მიღებას.

ასევე აღსანიშნავია პჯდ ცენტრებსა და ინსტრუმენტულ-ლაბორატორიული კვლევების განმახორციელებელ სამედიცინო დაწესებულებებს შორის მანძილი. მაგალითისთვის შეიძლება მოვიყვანოთ ქედის მუნიციპალიტეტის სოფლის ექიმის ერთ-ერთი პჯდ ცენტრი. იქიდან გამომდინარე, რომ პჯდ ცენტრსა და ამბულატორიულ კლინიკას შორის არ არის საზოგადოებრივი ტრანსპორტი, პაციენტების დიდ ნაწილს კი არ ყავს საკუთარი ავტომობილი, მათ, ექიმის მიერ დანიშნული სადიაგნოსტიკო კვლევების ჩასატარებლად ფეხით უწევს ამ მანძილის გავლა და შემდგომ კვლევის შედეგებით ისევ უკან დაბრუნება. იმის გათვალისწინებით, რომ პაციენტების უმეტესობა ასაკოვანი და სხვადასხვა ქრონიკული დაავადებების მქონეა, ეს კიდევ უფრო ართულებს სიტუაციას.

სოფლის ექიმის და თსპ რგოლის სტრუქტურულ-ფუნქციური ურთიერთკავშირი

სოფლის ექიმის პროგრამის განმახორციელებელია ცენტრალური სახელმწიფო სტრუქტურა - 2012-2018 წლებში - „სოციალური მომსახურების სააგენტო“, 2019 წლიდან „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“, ხოლო თსპ სოფლის მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამის კომპონენტია და ხორციელდება მუნიციპალიტეტის მიერ. იერარქიული სისტემით თუ განვიხილავთ არ არსებობს სტრუქტურული კავშირი ამ ორ ფაქტობრივად დამოუკიდებელ უწყებებს შორის, არც მათ ფუნქციურ კავშირთან დაკავშირებით არის განსაზღვრული ურთიერთობის ფორმები.

თსპ-ს, როგორც სოფლის ექიმის დამხმარე რგოლის საქმიანობის ძირითად არსს წარმოადგენს ექიმამდელი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფა, კოორდინირებული საქმიანობა სოფლის ექიმთან შეთანხმებით და კომპეტენციის ფარგლებში სოფლის ექიმის მითითებებისა და დავალებების შესრულება. (ხელშეკრულება-თსპ, 2020). თუმცა სტრუქტურულ-ფუნქციური კავშირისა და ვალდებულებების არქონის გამო, თსპ-სა და სოფლის ექიმს შორის კომუნიკაცია მხოლოდ კეთილ ნებაზეა დამყარებული, რაც უარყოფითად მოქმედებს სოფლის და თემის მოსახლეობის ჯანმრთელობაზე.

სოფლის პჯდ რგოლის უფლება-მოვალეობები და კონტროლის მექანიზმები

თსპ როგორც საქმიანობის განმახორციელებელი დამოუკიდებელი სუბიექტი, მუნიციპალიტეტთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე ახორციელებს საქმიანობას. სამწუხაროდ მკაფიოდ არ არის განსაზღვრული თსპ საქმიანობის სტანდარტი (უფლება-მოვალეობები და ვალდებულებები). გარდა ამისა, არ არსებობს თსპ რგოლის კონტროლის მექანიზმი და შეფასების კრიტერიუმები. აღნიშნული კი უარყოფითად მოქმედებს მომსახურების ხარისხზე და ზრდის კომპეტენციის და უფლებამოსილების გადაჭარბების რისკს, როგორცაა საექიმო კონსულტაციის ჩატარება, დიაგნოსტიკა, არასათანადო მკურნალობის დანიშვნა და სხვ.

უფლებამოსილების გადაჭარბების რისკი არსებობს სოფლის ექიმების შემთხვევაშიც; მათ შორის, კლინიკო-დიაგნოსტიკური კვლევების გარეშე, მხოლოდ დათვალისწინებით და

ზოგადი ანამნეზის შეკრებით და რიგ შემთხვევებში კი მხოლოდ სატელეფონო საუბრით არაეფექტური მკურნალობის დანიშვნა, ანტიბიოტიკების არარაციონალური გამოყენება და სხვ.

თსპ რგოლის მომსახურების ღირებულება და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა

თსპ პერსონალის მომსახურების საფასური განსაზღვრულია მინიმალური მოცულობით (250,00 ლ.). თსპ ექთანები წარმოადგენენ მომსახურების მიმწოდებელ დამოუკიდებელ სუბიექტებს, სტრუქტურულად ისინი მუნიციპალიტეტის დაქვემდებარებაში არ არიან და მათი მომსახურების შესყიდვა ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე. აქედან გამომდინარე, ისინი ვერ სარგებლობენ „მაღალმთიანი რეგიონის განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონით სამედიცინო პერსონალისთვის განსაზღვრული შეღავათებით, (კანონი 4036-რს, 2015), ხოლო შეზღუდული ბიუჯეტის პირობებში, მუნიციპალიტეტების მიერ ვერ ხორციელდება თსპ მომსახურების საფასურის გაზრდა.

მუნიციპალიტეტების მიერ თემის სამედიცინო პუნქტებს მიეწოდებათ პირველი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო მედიკამენტები და სადიაგნოსტიკო საშუალებების განსაზღვრული რაოდენობა. რა თქმა უნდა ეს დადებითი ტენდენციაა, თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ სამედიცინო სახარჯი მასალების მინიმალური რაოდენობა (ბიუჯეტი დაახლოებით 25,00 ლარი თვეში) ვერ ფარავს მოსახლეობის საჭიროებებს; თსპ ექთნები მარაგის შესავსებად იძულებულნი ხდებიან საკუთარი სახსრებით შეისყიდონ აუცილებელი მედიკამენტები თუ სახარჯი მასალები, რაც მომსახურების მინიმალური ანაზღაურების პირობებში ფაქტიურად შეუძლებელია. აღსანიშნავია ისიც, რომ სოფლის ექიმის პროგრამისგან განსხვავებით, თსპ პროგრამის ბიუჯეტი არ ითვალისწინებს არასამედიცინო ხარჯებს და საკანცელარიო საქონელს, რაც დამატებითი ფინანსური ტვირთია თსპ პერსონალისთვის.

თსპ რგოლის კვალიფიკაცია და უწყვეტი პროფესიული განვითარება

თსპ სერვისი ნამდვილად ზრდის სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობას. ექიმამდელი სამედიცინო მომსახურება და პაციენტის პირველადი შეფასება, სწორედ რომ თსპ-ს მოვალეობაა. შესაბამისად, თსპ-პერსონალის ცოდნას, კვალიფიკაციასა და შესაბამის პროფესიულ უნარ-ჩვევებს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის.

ჯანდაცვის რეფორმის საწყის ეტაპზე, სახელმწიფო დაფინანსების ფარგლებში განხორციელდა პჯდ რგოლის ექიმების და ექთნების გადამზადების რამდენიმე ეტაპი, თუმცა სამწუხაროდ, ამას არ მიეცა მუდმივი ხასიათი.

აჭარის ა.რ. ჯანდაცვის სამინისტრო თავის მხრივ, ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამების პარალელურად, 2014-2016 წლებში რეგულარულად ახორციელებდა სოფლის ექიმებისა და თსპ ექთნების გადამზადებას. თუმცა 2016 წლიდან, თსპ-ს მუნიციპალიტეტების მმართველობაში გადასვლის შემდეგ, ექთანთა გადამზადება აღარ განხორციელებულა.

პჯდ რგოლს (სოფლის ექიმი, თსპ პერსონალი), პროგრამის განმახორციელებელ სტრუქტურასთან გაფორმებული ხელშეკრულების პირობის შესაბამისად, სხვა დაკისრებულ

ვალდებულებებთან ერთად, ევალებათ საკუთარ პროფესიულ ზრდასა და განვითარებაზე ზრუნვა; რაც ლოგიკურია - სამედიცინო კადრების მუდმივი განვითარების კომპონენტის გარეშე, მომსახურების ხარისხი და ჯანმრთელობის გამოსავალი ვერ იქნება ეფექტური. მართალია არსებობს კერძო და ფასიანი სასწავლო ცენტრები, თუმცა დაბალი შემოსავლების პირობებში თსპ-ს ექთნებისთვის ნაკლებად ხელმისაწვდომია სახელმწიფო სუბსიდირების გარეშე.

პჯდ ცენტრების შენობებისა და მატერიალური ბაზის საკუთრების ფორმები

მოუწესრიგებელია პირველადი ჯანდაცვის დონისძიებების განხორციელებისათვის საჭირო შენობებისა და მატერიალური ბაზის საკუთრების ფორმის საკითხი. ამასთან დაკავშირებით ვერ იქნა მოპოვებული შესაბამისი დოკუმენტაცია, ხოლო კომპეტენტურ პირებთან გასაუბრებისა და კონსულტაციების საფუძველზე, ამ მხრივ სავარაუდოდ შემდეგი სიტუაციაა:

- 2000-იან წლებში დონორი ორგანიზაციების დახმარებით აშენებული და რეაბილიტირებული პჯდ ცენტრები და შეძენილი მატერიალური საშუალებები სარგებლობაში გადაეცათ სოფლის ექიმებს (გადაცემის იურიდიული ფორმა არ ზუსტდება და საჯარო რეესტრში არ არის დაფიქსირებული), ამჟამად ითვლება, როგორც აღურიცხავი ქონება. აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ინიციატივით, 2013-2016 წლებში, მუნიციპალიტეტების თვითმმართველობებს არაერთხელ გაეგზავნათ სარეკომენდაციო წერილი ამ ქონების აღრიცხვისა და მუნიციპალიტეტის ბალანსზე აყვანის თაობაზე, თუმცა ეს პროცესი არ წარიმართა სამართლებრივი პრობლემების გამო.
- თემის სამედიცინო პუნქტების დიდი ნაწილის მშენებლობა და აღჭურვა განხორციელდა ექთნების მიერ, მათზე სპეციალურად ამ მიზნით გამოყოფილი სოციალური დახმარების თანხების საშუალებით, თუმცა არ მომხდარა საჯარო რეესტრში რეგისტრაცია. მოგვიანებით აღნიშნული ქონება მუნიციპალიტეტის თვითმმართველობების უმეტესობამ აღრიცხა და აიყვანა ბალანსზე. თსპ-ს გარკვეული ნაწილი განთავსებულია სხვადასხვა შენობებში (სკოლა, ბაღი და სხვ.).

დასკვნა და რეკომენდაციები:

წარმოდგენილი მსჯელობიდან გამომდინარე, ნაშრომში მოყვანილი ჰიპოთეზა ვერიფიცირებულია, კერძოდ, დადასტურდა, რომ მიუხედავად ბოლო ათწლეულების განმავლობაში სოფლად პირველადი ჯანდაცვის მიმართულებით განხორციელებული მნიშვნელოვანი სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებებისა, სისტემა ჯერ კიდევ ვერ უზრუნველყოფს ჯანდაცვის პოლიტიკით გათვალისწინებული ამოცანების სრულყოფილად განხორციელებას. რაც განპირობებულია შემდეგი მიზეზებით:

- პჯდ რგოლის მართვის სისტემა არ არის გამართული;
- პჯდ რგოლის ორ მნიშვნელოვან ერთეულს შორის, როგორცაა სოფლის ექიმი და თსპ ექთანი, არ არსებობს სტრუქტურულ-ფუნქციური ურთიერთკავშირი;

- არ არსებობს თსპ რგოლის საქმიანობის სტანდარტი, კონტროლის მექანიზმი და მომსახურების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები;
- არ ხდება თსპ რგოლის გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება;
- თსპ არსებობა აჭარის რეგიონის გეოგრაფიული თავისებურებებიდან გამომდინარე, დადებით ზეგავლენას ახდენს საზოგადოების ჯანმრთელობაზე და ზრდის სამედიცინო მომსახურებაზე გეოგრაფიულ ხელმისაწვდომობას. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ თსპ-პერსონალის კვალიფიკაცია არ შეესაბამება თანამედროვე მოთხოვნებსა და გამოწვევებს, იზრდება სამედიცინო მომსახურების დაბალი ხარისხისა და გაზრდილი სახელმწიფო დანახარჯების რისკი;
- გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, თსპ არსებული რაოდენობა რიგ სოფლებში არ არის საკმარისი მოსახლეობის სრული მოცვისთვის;
- სოფლის პირობებში სამედიცინო მომსახურების ხელმისაწვდომობა ნაწილობრივია, შეუძლებელია დიაგნოსტიკური კვლევების ადგილზე - სოფლის ექიმის პჯდ ცენტრში განხორციელება, ხოლო ლაბორატორიამდე მანძილი კი დიდია;
- თსპ რგოლის მომსახურების ღირებულება განსაზღვრულია მინიმალური მოცულობით, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არის მწირი, ხოლო მიწოდებული სამედიცინო საშუალებები კი მინიმალური რაოდენობის და ვერ ფარავს მოსახლეობის საჭიროებებს.

მიღებული დასკვნების საფუძველზე შემუშავდა რეკომენდაციები:

- შეიქმნას პირველადი ჯანდაცვის რგოლის მართვის ერთიანი სისტემა. სოფლის ექიმის და თემის სამედიცინო პუნქტების (თსპ) ერთ სისტემაზე დაქვემდებარება და შესაბამისად, მათ შორის სტრუქტურულ-ფუნქციური კავშირის არსებობა, ხელს შეუწყობს კოორდინირებულ მუშაობას, რაც გაზრდის მომსახურების ხარისხს;
- შემუშავდეს თსპ რგოლის საქმიანობის სტანდარტი და განისაზღვროს ხარისხის შეფასების კრიტერიუმები;
- შეიქმნას კონცეფცია და ჩამოყალიბდეს უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემა, განისაზღვროს შესრულების ვალდებულება. სისტემის ჩამოყალიბების უზრუნველყოფა უნდა განხორციელდეს შესაბამისი მარეგულირებელი რგოლის მიერ (პჯდ - საქართველოს ჯანდაცვის სამინისტრო, თსპ - აჭარის ჯანდაცვის სამინისტრო);
- სოფლებში ხარისხიანი სამედიცინო მომსახურების უზრუნველყოფისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, დაინერგოს რუტინული მომზადება-გადამზადების პროგრამები. წინააღმდეგ შემთხვევაში, არსებული სტრუქტურები, განვითარების გარეშე, კიდევ უფრო დაამძიმებს ისედაც რთულ ვითარებაში მყოფ ჯანდაცვის სისტემას;
- დიდ სოფლებში, გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით დაემატოს თსპ რაოდენობა;
- დაინერგოს საბაზისო დიაგნოსტიკურ კვლევების ადგილზე (პჯდ ცენტრი) განხორციელების პრაქტიკა, ან გატარდეს ღონისძიებები პაციენტისთვის სამედიცინო ცენტრებში

გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გასაზრდელად, მათ შორის საზოგადოებრივი ტრანსპორტის მომსახურების უზრუნველყოფით;

- გაიზარდოს თსპ სერვისის მომსახურების ღირებულება და განისაზღვროს დაკისრებული მოვალეობის პროპორციულად;
- გაიზარდოს თემის სამედიცინო პუნქტებზე ყოველთვიურად განსაზღვრული მედიკამენტებისა და სამედიცინო სახარჯი მასალების რაოდენობა მოსახლეობის საჭიროებების შესაბამისად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ავტონომიური რესპუბლიკის კანონი: „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2020 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტის შესახებ“ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე, 15-რს (აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანო 2020 წლის 23 12). მოპოვებული 2021 წლის 16.01. <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/5059835?publication=0>-დან.
2. გამყრელიძე ა., კერესელიძე მ., დამბაშიძე ქ. (თ. გ.). *ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაცია და საქართველო: თანამშრომლობის მეოთხედი საუკუნე*. საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. თბილისი: საქართველოს ლევან საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლის და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ეროვნული ცენტრი. მოპოვებული 2020 წლის 06.11. <https://www.ncdc.ge/Handlers/GetFile.ashx?ID=f4c81ef2-9522-4823-829a-02dace7e10a0>-დან.
3. *თემის სამედიცინო პუნქტებში დასაქმებული სამედიცინო პერსონალის გადამზადება 2014 წ.* (2014). მოპოვებული აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი. www.adjara.gov.ge: <http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=20709&gid=3#.YA3EiegzZPZ>-დან.
4. მთავრობის დადგენილება: 2011 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, 77 (საქართველოს მთავრობა 2011 წლის 15.02). მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1208699?publication=16>-დან.
5. მთავრობის დადგენილება: 2012 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, 92 (საქართველოს მთავრობა 2012 წლის 15.03). მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1612781?publication=13>-დან.
6. მთავრობის დადგენილება: 2013 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, 279 (საქართველოს მთავრობა 2013 წლის 31. 10). მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2066026?publication=4>-დან.
7. მთავრობის დადგენილება: 2014 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, 650 (საქართველოს მთავრობა 2014 წლის 02. 12). მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2597507?publication=1>-დან.
8. მთავრობის დადგენილება: 2015 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, 308 (საქართველოს მთავრობა 2015 წლის 30. 06). მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2891068?publication=6>-დან.

9. მთავრობის დადგენილება: 2016 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, 660 (საქართველოს მთავრობა 2015 წლის 30. 12). მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3143621?publication=15>-დან.
10. მთავრობის დადგენილება: 2017 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, 638 (საქართველოს მთავრობა 2016 წლის 30. 12). მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3530020?publication=17>-დან.
11. მთავრობის დადგენილება: 2018 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, 592 (საქართველოს მთავრობა 2017 წლის 28. 12). მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/3972595?publication=10>-დან.
12. მთავრობის დადგენილება: 2019 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, 693 (საქართველოს მთავრობა 2018 წლის 31. 12). მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4444992?publication=18>-დან.
13. მთავრობის დადგენილება: 2020 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, 674 (საქართველოს მთავრობა 2019 წლის 31. 12). მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/4762618?publication=34>-დან.
14. მთავრობის დადგენილება: 2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, 828 (საქართველოს მთავრობა 2020 წლის 01. 01). მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5077572?publication=0>-დან.
15. მთავრობის დადგენილება: „2021 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2020 წლის 31 დეკემბრის №828 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე, 43 (საქართველოს მთავრობა 2021 წლის 02 02). მოპოვებული 2021 წლის 17.02. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/5093490?publication=0>-დან.
16. მთავრობის დადგენილება: საქართველოს მთავრობის ზოგიერთი დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, 218 (საქართველოს მთავრობა 2012 წლის 18.06). მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/1680695?publication=0>-დან.
17. მთავრობის დადგენილება: სოფლის ექიმის კერძო პრაქტიკის განვითარების ხელშეწყობის მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის შესახებ, 62 (საქართველოს მთავრობა 2008 წლის 17.03). მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/7984?publication=3>-დან.
18. მინისტრის ბრძანება: „საოჯახო მედიცინის“ დარგში - კლინიკური მდგომარეობის მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) დამტკიცების თაობაზე, 01-4/ო (საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო 2015 წლის 12.01). მოპოვებული 2020 წლის 20 11, <https://www.moh.gov.ge/ka/guidelines/>-დან.
19. მინისტრის ბრძანება: „სოფლის ექიმის“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში შესაბამისი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული ერთეულების მიხედვით საექიმო და საექთნო პუნქტების რაოდენობისა და „ექიმის ჩანთის“ განსაზღვრის შესახებ, 01-264/ო (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო 2013 წლის 23.12). მოპოვებული http://ssa.gov.ge/files/01_GEO/KANONMDEBLOBA/Kanon%20Qvemdebare/155.pdf-დან.

20. მინისტრის ბრძანება: 2010 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ, 424/ნ (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო 2009 წლის 22.12). მოპოვებული <https://matsne.gov.ge/ka/document/view/88168?publication=25>-დან.
21. მინისტრის ბრძანება: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ზოგიერთი ნორმატიული აქტის ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ, 01-34/ნ (საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი 2012 წლის 12.06). მოპოვებული <https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/1672960?publication=0>-დან.
22. *მუნიციპალური პროგრამები*. (2021). მოპოვებული 2021 წლის 28 01, ქობულეთის მუნიციპალიტეტი. www.kobuleti.org.ge: <http://kobuleti.org.ge/?paged=2&cat=59>-დან
23. *პროგრამები*. (2021). მოპოვებული 2021 წლის 28.01. ხულოს მუნიციპალიტეტი. www.khulo.ge: <http://khulo.ge/ge/city-hall/programs>-დან.
24. *პროგრამები: ჯანმრთელობა და სოციალური დაცვა*. (2021). მოპოვებული 2021 წლის 28.01. ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი. www.khelvachauri.ge: <https://khelvachauri.ge/%E1%83%AF%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%90-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%9D%E1%83%98%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%AA%E1%83%95%E1%83%90>-დან.
25. *პროგრამები: ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა*. (2021). მოპოვებული 2021 წლის 27.01. ქედის მუნიციპალიტეტი. www.keda.gov.ge: <http://keda.gov.ge/ge/programs-and-projects/programs>-დან.
26. საოჯახო მედიცინის ეროვნული სასწავლო ცენტრი. (თ. გ.). *პირველადი ჯანდაცვის არსი, ფილოსოფია და როლი*. მოპოვებული 2020 წლის 15.12. საქართველოს საოჯახო მედიცინის პროფესიონალთა კავშირი. www.gfma.ge: http://www.gfma.ge/moduli_erti.php-დან.
27. საქართველოს კანონი: მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ, 4036-რს (საქართველოს პარლამენტი 2015 წლის 16.07). მოპოვებული 2020 წლის 21.11. <https://matsne.gov.ge/ka/document/view/2924386?publication=4>-დან.
28. სახელმწიფო აუდიტის სამსახური. (2015). *სოფლის ექიმის სახელმწიფო პროგრამის ეფექტიანობის აუდიტი*. თბილისი. მოპოვებული 2020 წლის 17.12. <https://sao.ge/files/auditi/auditis-angarishebi/2015/Soflis-eqimi.pdf>-დან.
29. *სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა - 2018 წ.* (2018). მოპოვებული აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი. [www.adjara.gov.ge](http://adjara.gov.ge): <http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=618661&gid=3#.YA3Sv-gzZPY>-დან.
30. *სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა 2014 წ.* (2014). მოპოვებული აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი. [www.adjara.gov.ge](http://adjara.gov.ge): <http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=20707&gid=3#.YAw4Y0gzZPY>-დან.
31. *სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა 2016 წ.* (2016). მოპოვებული აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. აჭარის

- ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი. www.adjara.gov.ge:
<http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=335098&gid=3#.YA3KiOgzZPY>-დან.
32. *სოფლად პირველადი ჯანდაცვის განვითარებაზე ხელშეწყობა 2017 წ.* (2017). მოპოვებული აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი. www.adjara.gov.ge:
<http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=486932&gid=3#.YA3O2OgzZPY>-დან.
33. *სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება 2016 წ.* (2016). მოპოვებული აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი. www.adjara.gov.ge:
<http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=335101&gid=3#.YA3OLugzZPY>-დან.
34. *სოფლის ექიმების დამატებითი შრომის ანაზღაურება 2017 წ.* (2017). მოპოვებული აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი. www.adjara.gov.ge:
<http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=486931&gid=3#.YA3SHegzZPY>-დან.
35. *სოფლის მოსახლეობის ექიმადელი სამედიცინო დახმარება 2014.* (2014). მოპოვებული აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი. www.adjara.gov.ge:
<http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=20705&gid=3#.YAxCF-gzZPY>-დან.
36. *სოფლის მოსახლეობის ექიმადელი სამედიცინო დახმარება.* (2016). მოპოვებული აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი. www.adjara.gov.ge:
<http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=335100&gid=3#.YA3Ly-gzZPY>-დან.
37. *სოფლის სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურება - 2018 წ.* (2018). მოპოვებული აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი. www.adjara.gov.ge:
<http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=618662&gid=3#.YA3VY-gzZPY>-დან.
38. *სოფლის სამედიცინო პერსონალის დამატებითი შრომის ანაზღაურება - 2019 წ.* (2019). მოპოვებული აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი. www.adjara.gov.ge:
<http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=700129&gid=3#.YA3XpegzZPY>-დან.
39. ყაზახაშვილი ნ. (2020). *სამედიცინო მომსახურების ხარისხის უზრუნველყოფა, მართვა და გაუმჯობესება.* (ო. ვასაძე & ლ. ჯიმშიტაშვილი. რედ.) თბილისი: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.
40. (2020). *ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.* ქედის მუნიციპალიტეტი, დაბა ქედა. მოპოვებული 2020 წლის 31.01.
41. (2021). *ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ.* სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი“, ბათუმი. მოპოვებული 2021 წლის 01.02.
42. (2006). *ჯანდაცვის სექტორის რეფორმის კონცეფცია.* თბილისი: საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო.

43. *ჯანდაცვისა და სოციალური დაცვის პროგრამები*. (2021). მოპოვებული 2021 წლის 27.01. შუახევის მუნიციპალიტეტი. www.shuakhevi.gov.ge:
<http://www.shuakhevi.gov.ge/index.php?m=693>-დან.
44. *ჯანმრთელობის დაცვის პროგრამები 2015 წ.* (2015). მოპოვებული აჭარის ა.რ. ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის სამინისტრო. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის ერთიანი პორტალი. www.adjara.gov.ge:
<http://adjara.gov.ge/branches/description.aspx?gtid=102738&gid=3#.YAxz1ugzZPY>-დან.

Primary Health Care in Rural Areas - Characteristics, Problems and Prospects of the system based on the pattern of Autonomous Republic of Adjara

Nino Gorgiladze

Grigol Robakidze University, MD. PhD student
nigorgiladze@gmail.com

Abstract. Primary health care development is of great importance, especially for such a low-income country like Georgia. The efficient functioning of the PHC helps to avoid the need for expensive services. The improvement of the PHC in Georgia began in the 2000s. Within the scope of the reform, PHC centers were restored and equipped, medical staff were trained, a state primary health care program was launched, and measures were taken to increase access to medical services in rural areas. However, it is still challenging to provide high-quality PHC service in rural areas due to some system problems. In the mountainous villages of Adjarian region, the population's geographical access to the PHC sector is quite limited. The situation becomes especially complicated in winter due to the road closure to the center of the community during intense snow. Therefore, in all villages of Adjara, a structure similar to pre-existing maternity wards is maintained - in the form of Community Medical Points (CMP), financially supported by the municipalities. This paper aims to study the problems of rural primary health care system development based on the pattern of Adjara AR. The study discusses health legislation, state and regional healthcare programs, works by various authors and materials found on the Internet. The focus is on the problems of access to rural PHC services and their underlying causes. The research subject is the Primary Health Care System of Georgia, and the object is the PHC sector of Adjara AR municipalities. The paper endeavours to study the features of the PHC at the municipal level, identify gaps and provide recommendations. Research methods such as analysis and synthesis, systemic, historical, structural-functional and comparative-legal were used in the research process. The study found that despite vital structural-functional changes in rural primary health care in recent decades, the system still fails to thoroughly meet the objectives introduced by healthcare policy.

Keywords: Primary health care (PHC), community medical point (CMP), Rural doctor

საგანმანათლებლო ტურიზმი და მისი გამოწვევები პანდემიის პირობებში

ანა გვარამაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
ann.gvaramadze@gmail.com

რეზიუმე. საგანმანათლებლო ტურიზმი, ასევე ცნობილი როგორც ედუ-ტურიზმი, არის ერთ-ერთი ტენდენცია, რომელიც ბოლო წლებში გამოირჩევა განსაკუთრებული ზრდით. სტატიის მიზანია გამოკვეთოს საგანმანათლებლო ტურიზმის მნიშვნელობა და კოვიდ 19-ის გავლენა საგანმანათლებლო ტურისტებზე. ეს არის თეორიული კვლევა, რომელიც ემყარება შესაბამისი ლიტერატურის მიმოხილვას, მეორადი წყაროების გამოყენებას, ლოგიკურ კონსტრუქციასა და სამეცნიერო ინდუქციას. დღესდღეობით ტურისტები უფრო მეტ მნიშვნელობას ანიჭებენ სხვადასხვა ტურისტული მიმართულებების შეცნობის ახალ გზებს, ამიტომ სწავლის შესაძლებლობები მნიშვნელოვნად იზრდება. საგანმანათლებლო ტურიზმს აქვს თავისი საზღვრები ტურიზმის სხვა სახეობებთან და საგანმანათლებლო საქმიანობებთან მიმართებაში. ის დღეს ტურიზმის ერთ-ერთი ცნობილი ქვეტიპია. მისი პოპულარობა და აუცილებლობა ტურისტულ ბაზარზე დღითიდღე იზრდება. საგანმანათლებლო ტურიზმი განიხილება, როგორც აუცილებელი საბაზრო სეგმენტი ტურიზმის ინდუსტრიაში და გასაკვირი არ არის, რომ მრავალი ქვეყანა იყენებს მას, როგორც შემოსავლის ერთ-ერთ წყაროს. კვლევის შედეგად გამოირკვა, რომ მიუხედავად საგანმანათლებლო ტურიზმისა და ტურისტების განმარტებების განსხვავებისა მაინც არსებობს ბაზრის სეგმენტის კონცეპტუალიზაციის გზა და საქმიანობის ფართო სპექტრით განხილვა, როგორც: სასკოლო გასვლები, სასწავლო ტურები, გაცვლითი პროგრამები, დიპლომის შემდგომი საფეხურები, ასპირანტურა, მოკლე კურსები, ენის კურსები და სხვა კლასიკურ განათლებასთან დაკავშირებული საქმიანობები. ასევე გამოირკვა, რომ მიუხედავად პანდემიისა სხვა ქვეყნებთან შედარებით, საქართველოდან წასული საგანმანათლებლო ტურისტების რაოდენობა მეტია ვიდრე წინა წლებში.

საკვანძო სიტყვები: საგანმანათლებლო ტურიზმი, საგანმანათლებლო ტურისტი, კოვიდ 19

შესავალი

საუკუნეების განმავლობაში ადამიანებს დიდი ინტერესი ჰქონდათ სხვადასხვა მხარეების მონახულების მიმართ. ისინი მოგზაურობდნენ მიუხედავად იმისა, რომ არ არსებობდა სწრაფი თვითმფრინავები, მდიდრული გემები, ჩქაროსნული მატარებლები. ტურიზმმა, როგორც პროდუქტმა, XVII საუკუნიდან დაიწყო ჩამოყალიბება, ძირითადად დასავლეთ ევროპიდან და მისი ფესვები გვხვდება ინდუსტრიულ და პოსტინდუსტრიულ დასავლეთში. როდესაც დიდგვაროვანი ადამიანი მოგზაურობდა საზღვარგარეთ და ეცნობოდა და ეზიარებოდა სხვა ქვეყნების კულტურას, ეს უკვე მოიცავდა განათლების მიღების ელემენტებს. XVI საუკუნის მიწურულიდან დაწყებული, ახალგაზრდა არისტოკრატებისთვის მოდური გახდა პარიზის, ვენეციის, ფლორენციისა და უპირველეს

ყოველისა რომის მონახულება, როგორც მათი კლასიკური განათლების მიღების კულმინაცია. ასე გაჩნდა გრანდ ტურის იდეაც, რომელიც ინგლისელებს, გერმანელებს, სკანდინავიელებს და ასევე ამერიკელებს აცნობდა საფრანგეთისა და იტალიის ხელოვნებასა და კულტურას შემდეგი 300 წლის განმავლობაში. ამ დროისათვის მოგზაურობა მხოლოდ პრივილეგირებული კლასისთვის იყო ხელმისაწვდომი. გრანდ ტური განიხილებოდა, როგორც კულტურული და საგანმანათლებლო ტურიზმის დასაწყისი, რომელიც თავდაპირველად მეცნიერებმა და არისტოკრატმა ბრიტანელმა ახალგაზრდებმა განახორციელეს, მეჩვიდმეტე, მეთვრამეტე და მეცხრამეტე საუკუნეების განმავლობაში. გრანდ ტურის მიზანი იყო მონაწილეების სწავლება და მათი ცივილიზაციასთან მჭიდრო კავშირი, მთელი რიგი სასწავლო ტურების მეშვეობით, რომლებიც გრძელდებოდა ევროპის მიმართულებით რამდენიმე წლის განმავლობაში. მონაწილეებს ასწავლიდნენ უცხო ენებს, ფარიკაობას, ცხენოსნობას, ცეკვას და საგარეო საქმეებს. ისტორიის ამ ეტაპზე გრანდ ტურის განხორციელების მიზანი არ იყო ეკონომიკური.

XIX საუკუნის დასაწყისისთვის ევროპაში მოგზაურობა ჯანმრთელობის, დასვენებისა და კულტურის მიმართულებით საშუალო ფენებისთვის იქცა ჩვეულებრივ მოვლენად, ამიტომ, ზოგიერთ საზოგადოებაში, განათლების მიღება საზღვარგარეთ, ოჯახისგან მოშორებით, გახდა პოპულარული ტენდენცია.

XXI საუკუნის დასაწყისისთვის საერთაშორისო ტურიზმი გახდა ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური საქმიანობა და მისი გავლენაც სულ უფრო აშკარად გამოიკვეთა მთელს მსოფლიოში. ამიტომ ტურიზმის ისტორიას დიდი ინტერესი და მნიშვნელობა აქვს. ტურიზმი კიდევ უფრო მასშტაბური ბიზნესი გახდა XX საუკუნის მეორე ნახევარში, რადგან ავიაბილეთები უფრო მეტი ადამიანისთვის იყო უკვე ხელმისაწვდომი.

მრავალი გზა არსებობს, თუ როგორ გაიზარდა და განვითარდა ტურიზმის ინდუსტრია წლების განმავლობაში. დღესდღეობით ტურიზმის ინდუსტრიის ზრდამ დიდი წვლილი შეიტანა ქვეყნების ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებაში. გლობალურ ეკონომიკაში ამ სექტორის მეტ ჩართულობას მეტი დამატებითი ღირებულება მოაქვს. განათლება მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მხოლოდ ტურიზმის ზრდაში ადამიანური რესურსების საჭირო პოტენციალის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, არამედ ის ასევე ქმნის ახალ გზას ახალი ღირებულებების შექმნის თვალსაზრისით. ამის ნათელი მაგალითია საგანმანათლებლო ტურიზმი, რომელიც განისაზღვრება როგორც „მიზანმიმართული სწავლა და მოგზაურობა“. (Ritchie, 2003).

საგანმანათლებლო ტურიზმი, როგორც ძველი და ახალი ტენდენცია

ზოგადად, როდესაც ტურიზმზე ვფიქრობთ, პირველი ასოციაცია რაც გვიჩნდება არის დასვენება, ღირსშესანიშნაობების დათვალიერება, რეკრეაცია. მაგრამ თუ კარგად დავაკვირდებით და შევისწავლით ტურიზმის სფეროებს, დავინახავთ, რომ ტურიზმის მრავალი სახეობა არსებობს. ლოგიკურად, მოტივაციაც და მიზნებიც განსხვავებულია

თითოეული მოგზაურობისას. მაგალითად, გართობა, თავგადასავლები, ბიზნესი და ა.შ. ამ სიაში იშვიათად ვხვდებით საგანმანათლებლო ტურიზმს, ანუ „ედუ-ტურიზმს“, რომელიც განსაკუთრებული პოპულარობით ბოლო წლებში სარგებლობს, როგორც გლობალური ტურიზმის ახალი ტენდენცია. ამასთან, თუ შუა საუკუნეების მსოფლიო ისტორიას გადავხედავთ, ტურიზმში უკვე არსებობდა ორი მიმართულება - „სამედიცინო და საგანმანათლებლო“. ევროპაში, თავდაპირველად ყველაფერი დაიწყო ბავშვების გაგზავნით სხვა ქვეყანაში სასწავლებლად. მაგალითად: პარიზი, ვენა, ფლორენცია. ბავშვებს თან ახლდათ მენტორი, როგორც გიდი უცხო ქვეყანაში. დღეს, ზოგიერთი მკვლევარისა და ტურისტული ასოციაციის აზრით, მოკლევადიანი ან სემესტრული განათლება სცილდება ტურიზმის ჩარჩოებს და წარმოადგენს ტურიზმთან დაკავშირებულ მომსახურების სფეროს. ამასთან, უდავოა ერთი ფაქტი, რომ სტუდენტების საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის ორგანიზება საკმაოდ მნიშვნელოვანი სერვისია. ლიტერატურაში საგანმანათლებლო ტურიზმი ნაკლებად არის გამოკვლეული. საჭიროა მეტი ძიება საგანმანათლებლო ტურიზმის ბაზრის გასაგებად. საგანმანათლებლო ტურიზმს აქვს ჰიბრიდიზაციის პოტენციალი ტურიზმის და არატურიზმის სექტორებთან. ამის მიუხედავად, ემპირიული კვლევები ძალიან მცირეა საგანმანათლებლო ტურიზმის მიმართულებით. ამას ხელი უნდა შეუწყონ მეცნიერებმა, მკვლევარებმა და მეტი დაინტერესება გამოხატონ აღნიშნული სფეროს მიმართ.

ეჭვგარეშეა, რომ ტურიზმის ინდუსტრიაში საგანმანათლებლო ტურიზმი აღიარებულია, როგორც აუცილებელი საბაზრო სეგმენტი და ნამდვილად არ არის ახალი კონცეფცია. მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო ტურიზმის განმარტება განსხვავებულია, საბაზრო სეგმენტის კონცეპტუალიზაციის საუკეთესო გზა არის საქმიანობის ფართო სპექტრით შეხედვა. ეს მოიცავს კლასიკურ განათლებასთან დაკავშირებულ აქტივობებს, როგორცაა სასკოლო ექსკურსია და სასწავლო ტურები, გაცვლითი პროგრამები, სამაგისტრო და ასპირანტურის სასწავლო პროგრამები, მოკლე კურსები და ენის კურსები, სადაც ტურიზმი და ინგლისური ძლიერ კომბინაციას ქმნის.

შიდა და საერთაშორისო სტუდენტებს შორის არსებობს განსხვავებები, მაგრამ ყველა სახის საგანმანათლებლო ტურისტი იყენებს ადგილობრივ, ეროვნულ თუ საერთაშორისო სამუშაოებს. მათ შორის: ოჯახის ვიზიტებს, ატრაქციების მონახულებას, ექსკურსიებს. ყველა ეს აქტივობა დაკავშირებულია საგანმანათლებლო ტურიზმის ქვესექტორთან. ფოლკი, ბალანტინი, პაკერი და ბენკენდორფი (Falk, Ballantyne, Packer, and Benckendorff 2012) კამათობენ, რომ მოგზაურობასა და სწავლას შორის კავშირები მკვლევარებმა შედარებით უგულვებელყვეს მოგზაურობის, როგორც საგანმანათლებლო საქმიანობის დიდი ხნის ისტორიის მიუხედავად.

საგანმანათლებლო ტურისტების რამდენიმე განმარტებას გვთავაზობენ მკვლევარები. მაგალითად: როგორც რიჩი ბ. (Brent W. Ritchie, 2003) განმარტავს, საგანმანათლებლო ტურისტი არის ადამიანი, რომელიც ღამით შორს არის მშობლიურ ქალაქიდან ან ქვეყანიდან, სადაც განათლება და სწავლება ან მათი მოგზაურობის ძირითადი მიზეზია, ან მეორეხარისხოვანი მიზეზებია. ჰუანგ რ. (Huang R, 2008) აღნიშნავს, რომ თეორიების

უმეტესობა არ ცნობს საერთაშორისო სტუდენტებს, როგორც ტურისტებს მაშინაც კი, თუ მათი სწავლის პერიოდი წელიწადზე ნაკლებ ხანს გრძელდება, რადგან ისინი დროს არატურისტულ გარემოში ატარებენ. მკვლევარი ამტკიცებს, რომ საგანმანათლებლო ტურისტები მხოლოდ სტუდენტებად არ უნდა განვსაზღვროთ. გიბსონი ჰ. (Gibson H. 1998) აღნიშნავს, რომ საგანმანათლებლო სტუდენტებად ითვლებიან მოგზაურები, რომლებიც მონაწილეობდნენ სასწავლო ტურებში, რომლებიც ესწრებოდნენ სემინარებს შვებულებაში ყოფნისას ახალი უნარების მისაღებად. პიტმენი (Pitman, 2011) განსაზღვრავს, რომ ტურისტული გამოცდილების ფორმა, რომელიც აშკარად მიზნად ისახავს სტრუქტურული სწავლების უზრუნველყოფას, არის საგანმანათლებლო ტურისტული პროდუქტი.

საერთო ჯამში, ვფიქრობ, არ აქვს მნიშვნელობა რამდენ დროს ხარჯავს ტურისტი საზღვარგარეთ განათლების მისაღებად ან რომელ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწევა. მიუხედავად ამისა, საზღვარგარეთ ცხოვრებისას და სწავლის დროს, სტუდენტები იყენებენ ტრანსპორტს, სტუმრობენ კულტურულ ღირსშესანიშნაობებს, მიირთმევენ რესტორნებში სადილს, აგემოვნებენ ადგილობრივ კერძებს და წვლილი შეაქვთ ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებაში. საგანმანათლებლო ტურიზმი ხორციელდება უნივერსიტეტების, კოლეჯების, მუზეუმების საშუალებით და საგანმანათლებლო ტურიზმის გამოცდილება დამოკიდებულია სწავლის მიმწოდებლებისა და თავად ინდუსტრიის პარტნიორობაზე, როგორცაა: ტრანსპორტი, ქალაქის ობიექტები, განსახლება და ა.შ. ამ მიმართულებებმა შესაბამისად უნდა იმუშაონ ორმხრივად სასარგებლო პროდუქტების შესაქმნელად და საგანმანათლებლო ტურისტების საჭიროებების დასაკმაყოფილებლად. კვლევის ნაკლებობაა მოთხოვნილებასა და მიწოდებას, და საგანმანათლებლო ტურიზმის გავლენას შორის და ამიტომ საჭიროა კვლევითი საქმიანობის ზრდა.

საგანმანათლებლო ტურიზმი პანდემიის დროს

კოვიდ 19-მა შექმნა გამოწვევები მთელ მსოფლიოში. მან გავლენა მოახდინა ადამიანებზე, ეროვნების, განათლების დონის, შემოსავლისა და სქესის მიუხედავად. განათლება არ არის გამონაკლისი. უნივერსიტეტები, კოლეჯები, სკოლები ტრადიციული კლასებიდან ონლაინ კლასებში გადავიდნენ. პედაგოგებს ასევე მოუწიათ ადაპტირება ახალ პედაგოგიურ კონცეფციებსა და სწავლების მიწოდების რეჟიმებთან, რისთვისაც ისინი შესაძლოა არ იყვნენ მომზადებული. ბოლოდროინდელმა მოძრაობებმა ასევე შეცვალა საზღვარგარეთ საგანმანათლებლო ტურისტების წასვლის გზები. მიუხედავად იმისა, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა შეცვალეს პირისპირ ლექციები ინტერნეტში, ამ დახურვამ უარყოფითი გავლენა იქონია სწავლასა და გამოცდებზე, ასევე საერთაშორისო სტუდენტების უსაფრთხოებასა და იურიდიულ სტატუსზე მათ ადგილსამყოფელ ქვეყანაში. ჯერჯერობით გაუგებარია, რა გავლენას ახდენს კრიზისი გრძელვადიან პერსპექტივაში. ლოგიკურია, პანდემია აისახება როგორც ფულის დახარჯვაზე განათლების მისაღებად, ასევე იმ სახსრებზე, რომლებსაც მთავრობა შესთავაზებს, რადგან ამჟამად ფინანსების უმეტესობა ჯანდაცვის სექტორსა და ეკონომიკაში ნაწილდება. საერთოდ, მთავრობის


დაფინანსება განათლებაზე ხშირად იცვლება გარე ფაქტორებზე დაყრდნობით და შესაბამისად, მთავრობები ქმნიან ინვესტიციების პრიორიტეტულ მიმართულებას. პანდემიის გამო, ეკონომიკური ზრდის ამჟამინდელმა შენელებამ შეიძლება გავლენა იქონიოს განათლების დაფინანსების ხელმისაწვდომობაზე. უფრო მეტიც, ადამიანების უმეტესობისთვის მომავალი გაურკვეველია და საგანმანათლებლო ტურისტები, ზოგიერთ შემთხვევაში, თვითონ ამბობენ უარს საზღვარგარეთ სასწავლებლად წასვლაზე.

პანდემიის დაწყების შემდეგ ზოგიერთი გაცვლითი პროგრამა შეჩერდა მონაწილეების სამშობლოში დაბრუნების მიზნით. ზოგიერთი პროგრამა საერთოდ გაუქმდა საზღვრის დახურვის ან ადმინისტრაციული გადაწყვეტილების გამო და ბევრ სტუდენტს მოუწია ჰუმანიტარული ფრენის დალოდება, რომ ისინი დაბრუნებულიყვნენ საკუთარ სამშობლოში. არც ერთ-ერთი ცნობილი გაცვლითი პროგრამა - „ERASMUS+“ აღმოჩნდა გამონაკლისი. „ERASMUS+“-ის სტუდენტური ქსელის მიერ წარდგენილი ანგარიშის თანახმად, (ESN) სტუდენტთა გაცვლის 25% გაუქმდა კოვიდ 19-ის გამო. ასევე, სტუდენტების 37.5%-ს შეექმნა ერთი სერიოზული პრობლემა მაინც სამშობლოში დაბრუნებისას ან ჰქონდათ პრობლემები ჯანმრთელობის დაცვის აუცილებელ სერვისებზე, სანიტარიულ პროდუქტებზე, საკვებსა თუ ტრანსპორტირებაზე.

როგორც დიაგრამა 1-ზეა ნაჩვენები, სტუდენტების დაახლოებით 64% აცხადებს, რომ მათი მობილობა გრძელდება. გამოკითხულთა 25%-მა გააუქმა მობილობა თვითონ, ან თავად გამგზავნმა უნივერსიტეტმა, ან მასპინძელმა უნივერსიტეტის ან სხვა მიზეზთა გამო. გამოკითხულთა 5% არ იყო დარწმუნებული, თუ რა მოხდებოდა, ხოლო დანარჩენმა 6%-მა აღნიშნა სხვა გავლენა მობილობის გამოცდილებაზე.

დიაგრამა 1.


კოვიდ 19-ის გავლენა „ERASMUS+“-ის სტუდენტების მობილობის გამოცდილებაზე



ამ ეტაპზე, „ERASMUS+“ პროგრამის ფარგლებში, 37 საქართველოს უმაღლესი სასწავლებელი თანამშრომლობს ევროპის 33 ქვეყნის უნივერსიტეტებთან. საქართველო ამ პროგრამის ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ქვეყანაა და პროგრამაში მონაწილე 141 ქვეყანას შორის მეექვსე ადგილზეა. ბოლო წლებში საქართველო მუდმივად ინარჩუნებს პოზიციას ყველაზე წარმატებულ ქვეყნების ათეულში. პანდემიის მიუხედავად, „ERASMUS+“-ის 2020 წლის დეკემბრის სტატისტიკის თანახმად, საქართველოში გასული და შემოსული სტუდენტების რიცხვი წინა წელთან შედარებით გაიზარდა. (დიაგრამა 2).

დიაგრამა 2.

საგანმანათლებლო ტურისტები საქართველოში 2019-2020



ზემოთ წარმოდგენილი დიაგრამების მიზანი იყო ევროპაში უმაღლესი განათლების სტუდენტების გამოცდილების შედარება კოვიდ 19-ის გავლენის შესახებ და საქართველოს მაგალითის ჩვენება, სადაც სტატისტიკა განსხვავებულია და პანდემიის გავლენა ჯერჯერობით არ ჩანს. საგანმანათლებლო პროგრამებში დაჩქარებულმა ცვლილებებმა ზოგი სკოლა აიძულა შეეჩერებინა საქმიანობა, სხვებმა გადაინაცვლეს ონლაინ გარემოში. „ERASMUS+“ მხოლოდ ერთი მაგალითია, რომელზე გავლენაც მოახდინა კოვიდ 19-მა და მომავლის შესახებ მნიშვნელოვანი გლობალური გაურკვევლობა შექმნა ჩვენი ცხოვრების ყველა სფეროში.

უცნაურია, მაგრამ მართალია მსოფლიოში კლება ფიქსირდება არა მხოლოდ საგანმანათლებლო ტურიზმის, არამედ ზოგადად ნებისმიერი ფორმის ტურიზმის მიმართულებით, საქართველოდან გასულ წელთან შედარებით, უფრო მეტი საგანმანათლებლო ტურისტი წავიდა საზღვარგარეთ. რა თქმა უნდა, ამის მიზეზი ჯერ არ არის შესწავლილი, მაგრამ ვფიქრობთ, რომ ბოლო წლების განმავლობაში უცხოეთში სწავლა საქართველოს მოქალაქეებისთვის უფრო ხელმისაწვდომი და პოპულარული გახდა, და სწორედ

ამიტომაც პანდემიამ ვერ შეძლო ქართველი სტუდენტების ნაკადის შეჩერება. ქართველ სტუდენტებს აღმოაჩნდათ მეტი მოტივაცია გამოიყენონ უცხოეთში სწავლის შანსი და ხელიდან არ გაუშვან ეს შესაძლებლობა. ეს არის ის მიზეზები, რის გამოც ვფიქრობთ, რომ სტუდენტების რაოდენობა, რომლებიც პანდემიის პერიოდში წავიდნენ საზღვარგარეთ, 2019 წლის მონაცემებთან შედარებით კვლავ მეტია.

დასკვნა

ეს ნაშრომი იყო მცდელობა საგანმანათლებლო ტურიზმი და მისი როლი შეესწავლა ტურიზმის ინდუსტრიაში. ნაშრომში წარმოდგენილი იყო სხვადასხვა მოსაზრებები საგანმანათლებლო ტურისტების შესახებ და მოკლე მიმოხილვა მთავრობების, ორგანიზაციების და უნივერსიტეტების როლზე საგანმანათლებლო ტურიზმთან მიმართებაში. სტატიაში აღინიშნა საგანმანათლებლო ტურიზმი როგორ უკავშირდება ტურიზმის სხვა სექტორებს, აგრეთვე, კოვიდ 19-ის გავლენა ტურიზმის ამ სფეროზე მთელ მსოფლიოში და ვითარება საქართველოში. საჭიროა დამატებითი კვლევები საგანმანათლებლო ტურიზმის დღევანდელი გამოწვევების შესახებ უფრო ზუსტი ინფორმაციის მისაღებად. დღესდღეობით საგანმანათლებლო ტურიზმის განხორციელებისას ჩნდება გარკვეული პრობლემები, როგორცაა: შეზღუდული ფინანსური რესურსები, ტექნოლოგიური მხარდაჭერა და პანდემია. ტურიზმის მარკეტინგის წარმომადგენლებმა მჭიდროდ უნდა ითანამშრომლონ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან ამ ბაზრის სეგმენტის საფუძვლიანი გამოყენების მიზნით. საგანმანათლებლო ტურიზმს აქვს მეტი ღირებულება, როდესაც ტურიზმის სექტორის სხვა სეგმენტებთან არის ჰიბრიდიზებული. საგანმანათლებლო ტურიზმი რჩება ნაკლებ პოპულარულ შესასწავლ სფეროდ, მაგრამ პანდემიის დროს მოგზაურობის ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ ტენდენციად და, ვფიქრობთ, საჭიროა შემდგომი კვლევების ჩატარება ამ მიმართულების პოტენციალის გაზომვისა და განათლების მოტივების შესასწავლად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. French, C., Craig-Smith, S. and Collier, A. (2000) *Principles of Tourism*. French's Forest. Australia: Pearson Education.
2. Gabriels, W., Benke-Aberg, R., (2020). Student Exchanges in Times of Crisis - *Research report on the impact of COVID-19 on student exchanges in Europe*. Erasmus Student Network AISBL.
3. Gibson, H. (1998) The Educational Tourist. *Journal of Physical Education. Recreation and Dance*, 69, 32–34.
4. Huang, R. (2008). Mapping Educational Tourists: *Experience in the UK: Understanding International Students*. Third World Q. 29. 1003–1020.
5. Pitman, T.; Broomhall, S.; Majocha, E. (2011) Teaching Ethics beyond the Academy: *Educational Tourism, Lifelong Learning and Phronesis*. Stud. Educ. Adults. 43. 4–17.
6. Ritchie, B.W. (2003) *Managing educational tourism*. Clevedon, Bristol: Channel View Publications.
7. UNWTO; Madrid. Spain: 2020. UNWTO World Tourism Barometer. Vol. 18. Issue 2. May. 2020.
8. The National Erasmus+ Office (NEO) Georgia, *Erasmus+ statistics*. <http://erasmusplus.org.ge/en/services/statistics>, <http://erasmusplus.org.ge/en>, 16/11/2020.

Educational tourism and its challenges during the pandemic

Anna Gvaramadze

Grigol Robakidze University, PhD student
ann.gvaramadze@gmail.com

Abstract. Educational tourism, also known as edu-tourism, is one of the trends that have higher growth in recent years. The aim of the article is to highlight the importance of the educational tourism and the impact of COVID 19 on educational tourists. This is a theoretical research based on the review of appropriate literature, usage of secondary sources, logical construction and the scientific induction. Nowadays, tourists are beginning to give more importance to new ways of knowing different tourist destinations, so the possibilities of learning grow significantly. Educational tourism delineates its boundaries with other types of tourism and education activities. It is one of the famous sub-types of tourism in the world today. Its popularity and necessity in the tourism market increases day by day. To define simply, educational tourism is when the main purpose of the trip is the learning itself. Educational tourism is considered as an essential market segment in the tourism industry and not surprisingly, many countries use it as one of the main earning source. The research revealed that even though definitions of educational tourism and tourists vary, there is still the way to conceptualize the market segment and look at the broad range of activities, such as: school trips, study tours, exchange programs, under and post graduate studies, short courses, language courses and other classic education-related activities. It was also found that despite the pandemic compared to other countries, the number of educational tourists leaving Georgia is higher than in previous years.

Keywords: Educational Tourism, Educational Tourist, Covid 19

შიდა ტურიზმის განვითარების ახალი შესაძლებლობები პანდემიის პირობებში

სალომე ბესტაევა

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
salomebestaeva@gmail.com

რეზიუმე. 2020 წლის ბოლოს მსოფლიო ახალი გამოწვევის წინაშე დადგა. კოვიდ-19-ის გამოჩენამ მთლიანად შეცვალა მანამდე არსებული სოციალური და ეკონომიკური ცხოვრება. პანდემიის პირობებში ჩაიკეტა საზღვრები, რამაც უდიდესი ზარალი მიაყენა ტურიზმის სფეროს. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ჩაკეტილი საზღვრების პირობებში ტურისტული ბიზნესების შენარჩუნება, ბაზრიდან გავიდა ძალიან ბევრი წარმატებული კომპანია. დღესდღეობით მსოფლიო და მათ შორის საქართველო აქტიურად იბრძვის პანდემიის წინააღმდეგ, დაიწყო მოსახლეობის ვაქცინაცია, შეიქმნა უსაფრთხოების სტანდარტები მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის კონკრეტული მითითებებით, შემსუბუქდა ნაწილი შეზღუდვებისა, თუმცა ტურიზმის სტატისტიკა მაინც ძალიან მძიმეა, რადგან ჯერ კიდევ გაურკვეველია ტურიზმის ბედი და ტურისტები უფრთხიან ქვეყნის გარეთ მოგზაურობას. საქართველოში ჩაკეტილმა საზღვრებმა გამოაჩინა ახალი შესაძლებლობები შიდა ტურიზმის განვითარებისთვის. საქართველოდან დროებით გავიდა იაფი ავიზაზები, რითაც ძირითადად სარგებლობდა ადგილობრივი მოსახლეობა. სტატიის მიზანს წარმოადგენს დეტალურად შევისწავლოთ ტურისტულ ბაზარზე გამოჩენილი ახალი მოთხოვნა, როგორც შიდა ტურიზმის განვითარების შესაძლებლობა, რომელიც ნაწილობრივ მაინც მისცემს ტურიზმის სფეროს გამოცოცხლების საშუალებას.

საკვანძო სიტყვები: შიდა ტურიზმი, ჩაკეტილი საზღვრები, კოვიდ-19

შესავალი

ძალიან მძიმე აღმოჩნდა კორონა ვირუსის გავლენა ტურიზმსა და მასთან დაკავშირებულ სექტორებზე. პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია ეკონომიკის ყველა სექტორზე, განსაკუთრებით ტურიზმზე. ეპიდემიოლოგიურმა შიშმა და ჩაკეტილმა საზღვრებმა ეკონომიკის ამ დარგის პარალიზება გამოიწვია. საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, მხოლოდ თებერვალში ტურისტული ნაკადები 0.7%-ით შემცირდა. პანდემიით გამოწვეული ზიანი ჯერ არ არის დადგენილი, რადგან ჩვენ ჯერ კიდევ გვიწევს ბრძოლა ვირუსთან და ვცხოვრობთ დაწესებული შეზღუდვების პირობებში. შექმნილი ვითარების გამო ბევრი ქვეყანა იმედს შიდა ტურიზმის განვითარებაზე იტოვებს.

ჩვენი კვლევის მიზანი იყო პანდემიის გავლენის დადგენა შიდა ტურიზმის განვითარებაზე და მისი როლი შიდა ტურისტების მოტივაციაზე. ჩვენი აზრით, საკმაოდ აქტუალური და საინტერესოა ადგილობრივი ტურისტების აზრის გაგება საქართველოში შიდა ტურისტული მარშრუტების მიმართ. მაგალითად ავიღეთ თუშეთის რეგიონი,

შევისწავლეთ აქ ჩამოსული ტურისტების მოგზაურობის მოტივაცია და მიზნები. შევეცადეთ გაგვეგო იყო თუ არა ჩაკეტილი საზღვრები აღნიშნულ რეგიონში ჩამოსვლის მიზეზი.

მსოფლიო ტურიზმის ორგანიზაციის (UNWTO) მონაცემებით, საერთაშორისო ტურისტული ტრაფიკი 3%-მდე შემცირდება, რაც მიუთითებს, რომ საერთაშორისო მოგზაურობიდან მიღებული შემოსავალი 30-50 მილიარდი დოლარით შემცირდება. ამავე ორგანიზაციის მონაცემებით, ყველაზე მეტად დაზარალდნენ აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონის ქვეყნები, სადაც საერთაშორისო ტურისტული ვიზიტების რაოდენობა 9-12%-ით შემცირდა.

2020 წლის სექტემბერში UNWTO-მ გამოაქვეყნა მოკლე აღწერა - ტურიზმი და COVID-19, რომელშიც აღწერილია შიდა ტურიზმის განვითარების მეთოდოლოგია და მისი მნიშვნელობა პანდემიის პირობებში ეკონომიკური მდგრადობის შენარჩუნებისათვის. პანდემიამ, საზღვრების ჩაკეტვამ და ყოველდღიურმა რუტინამ ადამიანებში მრავალი ფსიქოლოგიური და სოციალური პრობლემა გამოიწვია. პანდემიის საწყის ეტაპზე ხალხი ჩაიკეტა, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ ხალხში გაიღვიძა მოგზაურობის სურვილმა, ამიტომ მათ დაიწყეს უსაფრთხო ტურისტული ადგილების ძებნა ქვეყნის შიგნით, რამაც გამოიწვია შიდა ტურისტების გადაადგილება. ბარტონ ქეტის სტატიაში „როდესაც საზღვრები იკეტება“ განხილულია ფსიქოლოგიური ცვლილებები, რამაც გამოიწვია საზღვრების დახურვა და ქვეყნის შიგნით ტურისტული მიმართულებების დაინტერესება.

მრავალი მკვლევარი შიდა ტურიზმს ქვეყნის განვითარების ერთ-ერთ მნიშვნელოვან ეკონომიკურ ინსტრუმენტად მოიაზრებს. ევროპის ბევრ ქვეყანაში შიდა ტურიზმი ქვეყნის შემოსავლის ძირითადი წყაროა, რადგან სულ უფრო მეტი ადამიანი ცდილობს უკეთ გაიცნოს საკუთარი ქვეყანა. საგანმანათლებლო დაწესებულებებში ახალგაზრდებს ასწავლიან საკუთარი ქვეყნის გაცნობისა და მოგზაურობის კულტურას. ისეთი განვითარებადი ქვეყნისთვის, როგორც საქართველოა, შიდა ტურიზმის განვითარება პრინციპულად მნიშვნელოვანი საკითხია, არა მხოლოდ ეკონომიკის განვითარებისთვის, არამედ ეროვნული კულტურული და ისტორიული თვითმყოფადობის შენარჩუნებისთვის. შიდა ტურიზმის განვითარება ასევე იწვევს ქვეყნის მოსახლეობის სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, ის ხელს უწყობს გზებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებას საინტერესო და მიუვალ ადგილებზე.

შიდა ტურიზმის განვითარების მნიშვნელობაზე საუბრისას, ერთ-ერთი საკვანძო საკითხია ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობისა და განათლების ამაღლება ამ სფეროში. ფორმალური და არაფორმალური განათლება აუცილებელია მოსახლეობის ინფორმირებულობისა და განათლების გასაზრდელად, იგი იწვევს საკუთარ ქვეყანაში მოგზაურობის და არსებული ბუნების დაცვის სიყვარულს.

რომ გილბერტი თავის სტატიაში საინტერესოდ განიხილავს ეკოტურიზმს და განათლების მნიშვნელობას ამ მიმართულებით. პირველი საკითხი, რომელსაც ის განიხილავს ამ სტატიაში, არის გარემო, როგორც საგანი, რომელიც უნდა შეისწავლოს მოგზაურმა

როგორც დამოუკიდებელი საგანი. მეორე საკითხი, რომელსაც ავტორი განიხილავს, არის განათლება, რომელიც მოიცავს ცოდნას ჩვენს გარშემო არსებული გარემოს შესახებ. მესამე საკითხი, რომელსაც ავტორი აღწერს არის ბუნება, სიმდიდრე, რომელიც არსებობს ჩვენს ქვეყანაში. შიდა ტურიზმის განვითარებისთვის აუცილებელია სამივე ტიპის განათლების ქონა, რათა შევინარჩუნოთ და დავიცვათ ჩვენს გარშემო არსებული გარემო. ავტორი ასევე დიდ მნიშვნელობას ანიჭებს არაფორმალური განათლების მნიშვნელობას ეკოტურიზმში, რაც თავისთავად მნიშვნელოვანი საკითხია ჩვენი სტატისთვის (Gilbert R. 2003).

შიდა ტურიზმის განვითარება ხელს უწყობს სოფლად აგროტურიზმის განვითარებას, რომლის წყალობითაც მაღალმთიან რეგიონში მაცხოვრებლებს ეძლევათ საშუალება მიიღონ დამატებითი შემოსავალი თავიანთ საცხოვრებელ ადგილებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო შიდა ტურიზმის მნიშვნელობა პანდემიის პირობებში.

ჩვენი კვლევის ერთ-ერთი მიზანი იყო დახურული საზღვრების გავლენის ჩვენება შიდა ტურიზმის განვითარებაზე. ზაფხულის სეზონზე დახურული საზღვრების პირობებში ბევრ კურორტსა და ტურისტულ მიმართულებას მიეცათ შესაძლებლობა გაეგრძელებინათ თავისი ეკონომიკური საქმიანობა შიდა ტურისტების მიღების ხარჯზე. შიდა ტურიზმის განვითარებისა და მოსახლეობაში შიდა ტურიზმის კულტურის ფორმირებისთვის აუცილებელია სახელმწიფომ შეიმუშაოს შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამები, რომლებიც ახალ თაობას ჩამოუყალიბებს ქვეყნის შიგნით მოგზაურობის კულტურასა და ცნობიერებას.


მიუხედავად იმისა, რომ მრავალი სამეცნიერო სტატია მიემდგნა პანდემიის გავლენას ტურიზმზე, ჯერჯერობით ვერ მოიძებნა სტატია ან კვლევა, რომელიც პირდაპირ შეისწავლის პანდემიის გავლენას შიდა ტურიზმზე, რაც თავის მხრივ ხაზს უსვამს ჩვენი კვლევის მნიშვნელობას.

ჩვენი კვლევის დროს, სამიზნე ჯგუფი იყო ის ხალხი, ვინც თუშეთს ესტუმრა 2020 წლის ზაფხულში, გამოვიკითხეთ 32 ადამიანი თოვლის გუნდის პრინციპით, მათ გავუზავინეთ წინასწარ შემუშავებული ანკეტა, რომელიც შეიცავდა კითხვარს. კითხვარის თითოეული მოდული საშუალებას გვაძლევდა დაგვედგინა ის ძირითადი მაპროვოცირებელი ფაქტორები, რამაც ხელი შეუწყო ტურისტების მოგზაურობას თუშეთში. კვლევის თანახმად, თუშეთში მოგზაურების 40% მიიჩნევს, რომ პანდემიამ ხელი შეუწყო მათ ჩამოსვლას რეგიონში და რომ არა დახურული საზღვრები, ისინი თუშეთში არ გაემგზავრებოდნენ, რაც ჩვენთვის მოულოდნელი სიახლე იყო. თუშეთში მცხოვრებმა მოსახლეობამ, რომელიც ტურიზმის ბიზნესშია, ინდივიდუალური გამოკითხვის შედეგად თქვეს, რომ პანდემიის პირობებში ისინი ტურისტული სეზონის ჩავარდნას ვარაუდობდნენ. ამას მოწმობს ის ფაქტი, რომ ტურისტული სეზონი თუშეთში ცოტა დაგვიანებით დაიწყო, რადგან ისინი ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ინტერესს არ ელოდებოდნენ.


ქვემოთ მოცემულია კვლევის შედეგები, რომლებიც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს, რომ პანდემიამ ხელი შეუწყო შიდა ტურიზმის განვითარებას რეგიონში და შექმნილი

ვითარებიდან გამომდინარე შიდა ტურიზმის განვითარების მნიშვნელობა კიდევ უფრო გაიზარდა, როგორც ეკონომიკური ასევე სოციალური სტაბილურობის შენარჩუნებისათვის.


დიაგრამა 1




დიაგრამა 2



დიაგრამა 3



დიაგრამა 4



ჩვენმა მცირე კვლევამ აჩვენა ახალი შესაძლებლობები შიდა ტურიზმის განვითარებისათვის პანდემიის პირობებში. კვლევამ ასევე გამოავლინა პრობლემები, რომლებიც არსებობს საქართველოში შიდა ტურიზმის განვითარებისათვის. საქართველოში შიდა ტურიზმის განვითარების მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორებია:

- ქვეყნის შიგნით მოგზაურობის კულტურისა და ცნობიერების ნაკლებობა;
- ქვეყანაში არსებული ისტორიული, კულტურული და ბუნებრივი ძეგლების შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა;
- ევროპის მიმართულებით დაბალბიუჯეტური მოგზაურობების წახალისება სხვადასხვა სარეკლამო კამპანიებით;
- მაღალი ფასები საქართველოში არსებულ ტურისტულ პროდუქტებსა და მომსახურებაზე;
- ტურისტულ ადგილებზე სატრანსპორტო მარშრუტების სირთულე.
- გაუმართავი გზები და ინფრასტრუქტურა.

დასკვნა

პანდემიამ უზარმაზარი გავლენა მოახდინა ეკონომიკის ყველა სექტორზე. განსაკუთრებით საშიშია მისი შედეგები ტურიზმის ინდუსტრიისთვის. კორონავირუსმა მსოფლიოს წინაშე უამრავი ახალი გამოწვევა დააყენა. საქართველო კვლავ იბრძვის ეკონომიკური სტაბილურობის შესანარჩუნებლად, რაც თავის მხრივ გულისხმობს მეტი რესურსის ინვესტიციას შიდა ტურიზმის განვითარებისათვის. ჩვენმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ქვეყანაში არსებობს ტურისტული რესურსი, რომელსაც შეუძლია კრიზისული სიტუაციის შემსუბუქება და პოზიტიური ზეგავლენა ადგილობრივი მოსახლეობის შემოსავლებზე. აღსანიშნავია, რომ პანდემიის მიუხედავად, თუშეთში ტურისტული სეზონი შედგა და მოსახლეობამ გარკვეული შემოსავლის მიღება შეძლო. რა თქმა უნდა, ღია საზღვრები მათთვის მეტი შემოსავლის მიღების შესაძლებლობა იქნებოდა, მაგრამ პანდემიის ფონზე შიდა ტურიზმის განვითარებამ უდიდესი წვლილი შეიტანა ეკონომიკური სტაბილურობის შენარჩუნებაში. ჩვენი აზრით, ეპიდემიის შემდეგ ადგილობრივ მოსახლეობას უნდა მიეწოდოს საჭირო ტურისტული ინფორმაცია, ასევე უნდა შეიქმნას ტურისტული მარშრუტები ადგილობრივი მოსახლეობის შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სახელმწიფო სამსახურების ჩართვა და მათ მიერ მოსახლეობის განათლების მისაღწევად მიღებული ზომების ეფექტურობა და ქვეყნის შიგნით მოგზაურობის კულტურის ფორმირება და ინფორმირებულობა ძალიან მნიშვნელოვანია შიდა ტურიზმის განვითარებისათვის.

პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლა ჯერ კიდევ აქტიურ ფაზაშია, გაურკვეველია ვირუსის გავრცელების მომავალი, ამ ეტაპისთვის ჯერ კიდევ რთულია რაიმე კონკრეტულზე საუბარი. მიუხედავად ვაქცინის გამოგონებისა და მისი უკვე ფართო მასშტაბით

გამოყენებისა, მოსახლეობაში არსებობს მოგზაურობის შიში, განსაკუთრებით რთულია ქვეყნის დატოვება, რადგან ახალი მიღებული რეგულაციებისა და გართულებული სამოგზაურო ნორმების დაცვა კიდევ უფრო ართულებს მოგზაურობას. აქვე უნდა ვისაუბროთ დამატებით ხარჯებზე, რომელიც დაემატა მოგზაურობას პანდემიის პირობებში, რაც რა თქმა უნდა კიდევ დიდხანს დარჩება მოგზაურობის თანმდევ პრობლემად.

ვირუსმა რადიკალურად შეცვალა ადამიანების ცნობიერება, დაგვაფიქრა ბევრ რამეზე და გვაიძულა გადაგვეფასებინა მანამდე არსებული აზროვნება. იმ პირობებში, რომ ვირუსი კიდევ დიდხანს დარჩება ჩვენს ცნობიერებაში და კიდევ დიდი დრო იქნება საჭირო, რომ მსოფლიო დაუბრუნდეს პანდემიამდე არსებულ ეკონომიკურ და სოციალურ მდგომარეობას, აუცილებელია ვისწავლოთ, დავინახოთ ახალი შესაძლებლობები, გადავავასოთ ჩვენი ხედვა და უფრო მეტად დავავასოთ ჩვენი გარემო და ადამიანები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Bochorishvili E., Kavtaradze L. 2020. Georgian Economy Ongoing.
2. Recovery Despite Labor Market Weakness and Tough Times for Tourism. pp.1-9
3. <https://www.unwto.org/> (Statistical analysis of coronavirus damage)
4. Unwto Briefing Note – Tourism And Covid-19, Issue 3.
5. Burton Katie. When the borders shut. 2020. *Geographical (Geographical Magazine Ltd.)*. Vol. 92 Issue 9. pp. 36-41.
6. Kelly Dr. Bricker S. 2011. Trends and Issues for Ecotourism and Sustainable tourism. pp. 9-10.
7. Wood M.E. 2002. Ecotourism: principles, practices and policies for sustainability. pp. 17-19.
8. Sheyvens R. 1999. Ecotourism and the empowerment of Local communities. pp. 240-250.
9. Brian Archer. 1973. The Impact of Domestic Tourism. pp. 2-5.
10. Urias D., Russo A. 2009. Ecotourism as an Educational Experience. pp. 1-8.
11. Mondino E. Beery T. 2018. Ecotourism as a learning tool for sustainable development. The case of Monviso Transboundary Biosphere Reserve. Italy. pp. 107-121.
12. Sander B. 2012. The Importance of Education in Ecotourism Ventures: lessons from Rara Avis ecolodge. Costa Rica. pp. 22-34.
13. Gilbert R. 2003. Ecotourism and Education for Sustainability: A Critical Approach. pp.10-15.

New Opportunities for Domestic Tourism Development in Pandemic Conditions

Salome Bestaeva

Grigol Robakidze University, PhD student
salomebestaeva@gmail.com

Abstract. By the end of 2020, the world is facing a new challenge. The appearance of Covid 19 completely changed the pre-existing social and economic life. The pandemic closed the borders and caused great damage to the tourism sector. It was especially difficult to maintain tourism businesses in the conditions of closed borders, many successful companies also left the market. Today, the world, including Georgia, is actively fighting the pandemic, vaccinating the population, setting safety standards with specific guidelines from the World Health Organization, easing some restrictions, but tourism statistics are still very difficult, as the fate of tourism and tourists traveling outside the country is still unclear. Closed borders in Georgia have revealed new opportunities for the development of domestic tourism. Cheap flights have temporarily left Georgia, mainly for locals who travel within the country before the border opens. The purpose of our article is to study in detail the emerging new demand in the tourism market as an opportunity to develop domestic tourism, which will at least partially enable the revival of the tourism sector.

Keywords: Domestic tourism, Locked borders, Covid-19

ბავშვის უფლებათა რეალიზაცია მუნიციპალიტეტებში

ბავშვის უფლებათა კოდექსის მიხედვით¹

სოფო კილაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
sopio.kiladze20@gruni.edu.ge

რეზიუმე. ბავშვის უფლებათა კოდექსი ბავშვთა უფლებების დაცვის უმნიშვნელოვანეს საკანონმდებლო აქტს წარმოადგენს, რომელმაც შექმნა გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენციის რეალიზების სამართლებრივი საფუძველი. ის, სხვა მნიშვნელოვან სიახლეებთან ერთად, ითვალისწინებს ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის გარკვეული ფუნქციების მუნიციპალიტეტებზე გადაცემას, რაც კონცეფტუალურად ცვლის საქართველოს სახელმწიფოს მიდგომას ბავშვთა დაცვის კუთხით. რადგან საქართველოს კონსტიტუციის მიხედვით, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხები ადგილზევე უნდა წყდებოდეს, ხოლო მუნიციპალიტეტს სხვა ორგანოებთან შედარებით, ყველაზე მეტად აქვს შეხება ადგილებზე ბავშვებთან და მათ ოჯახებთან სხვადასხვა მიმართულებით, ეს ცვლილებები უდიდესი მნიშვნელობისაა, არა მხოლოდ ბავშვთა დაცვის ხარისხის უზრუნველსაყოფად, არამედ ზოგადად, ადგილობრივი თვითმმართველობის გასაძლიერებლად. ბავშვის უფლებათა კოდექსით, მუნიციპალიტეტი განისაზღვრა, როგორც სახელმწიფო ერთეული ხელისუფლების ჰორიზონტალურ დანაწილებაში, რომლის კოორდინაციის ქვეშ ერთიანდება მის სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული ბავშვის უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებული ყველა სახელმწიფო თუ საჯარო ფუნქციების განმახორციელებელი კერძო პირი. ასევე, მუნიციპალიტეტებს მიენიჭათ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების შესაძლებლობა ბავშვთა უფლებათა სფეროში, თუმცა, იმავდროულად კონკრეტული სახელმწიფო უწყებების მიერ დელეგირებული უფლებამოსილებების შესრულების ვალდებულებაც. კოდექსი ითვალისწინებს კონტროლის კონკრეტულ მექანიზმებს, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, ერთი მხრივ, ჯერ კიდევ სუსტად განვითარებული ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერების, მეორე მხრივ, ბავშვთა დაცვის უზრუნველსაყოფად.

სამიზნო სიტყვები: ადგილობრივი თვითმმართველობა, ბავშვის უფლებათა კოდექსი, ბავშვთა დაცვა, კოორდინაცია, ბავშვის უფლებები

¹ სოფო კილაძე არის საქართველოს კანონის „ბავშვის უფლებათა კოდექსის“ და „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონის ავტორი, რომელიც, იმავდროულად, ზედამხედველობდა ორივე რეფორმის იმპლემენტაციის პროცესს; 2016-2020 წწ. IX მოწვევის პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე, ბავშვის უფლებათა საბჭოს თავმჯდომარე; 2021-2024 წწ. გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტის წევრი. შესაბამისად, ამ სტატიაში წარმოდგენილი ფაქტები ემყარება ავტორის ინსტიტუციურ მეხსიერებას, ხოლო მოსაზრებები იმ შინაარსს, რაც კანონმდებელმა აღნიშნული კანონების შემუშავებისას გაითვალისწინა.

1. შესავალი

ბავშვის უფლებათა კოდექსის ძალაში შესვლის შემდეგ, საქართველო, ბავშვის უფლებების კუთხით, სრულიად ახალი რეალობის წინაშე დადგა. კოდექსი წარმოადგენს სახელმწიფოს ერთიან ხედვას, თუ როგორ უნდა იქნეს ბავშვის უფლებები დაცული. მას თამამად შეგვიძლია ვუწოდოთ ბავშვის უფლებათა კონსტიტუცია, სადაც თავმოყრილია ბავშვის ყველა უფლება და მისი დაცვის ძირითადი მექანიზმი, სახელმწიფო სტრუქტურა, ქართული საზოგადოების ძირითადი ფასეულობები.²

ბავშვის უფლებათა კოდექსმა შეცვალა საქართველოს ბავშვის უფლებათა დაცვის სისტემა საერთაშორისო მოწინავე სტანდარტების მიხედვით. სისტემური ცვლილებები შეეხო ხელისუფლების დანაწილების როგორც ჰორიზონტალურ, ასევე, ვერტიკალურ სტრუქტურებს. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ნათლად განისაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის როლი და ფუნქციები ამ პროცესში. მუნიციპალიტეტებისთვის უფლებამოსილების გადაცემა ბავშვის უფლებათა ნაწილში, ბავშვის უფლებათა კოდექსის შემუშავების პროცესშივე პრობლემურ თემას წარმოადგენდა. სახელმწიფო უწყებათა ერთი ნაწილი, თავიდანვე აფიქსირებდა უარყოფით განწყობას მუნიციპალიტეტებისთვის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ფუნქციების გადაცემასთან მიმართებით. არგუმენტს წარმოადგენდა მუნიციპალიტეტების სუსტი განვითარება და ამის გათვალისწინებით, მათ მიერ ფუნქციების განხორციელების შეფერხება. მაგრამ, ასეთი წინააღმდეგობის მიუხედავად, მუნიციპალიტეტებზე ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ფუნქციები პარლამენტის გადაწყვეტილებით მაინც გადანაწილდა თანამედროვე, დასავლური მიდგომის შესაბამისად. ეს ფაქტი, უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯია, არა მხოლოდ ბავშვის უფლებათა დაცვის კუთხით, არამედ, ზოგადად, თვითმმართველობების განვითარების მიმართულებით. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ საქართველოს კანონი „სოციალური მუშაობის შესახებ“, დეცენტრალიზაციას, ასევე, სოციალური მუშაობისთვისაც ითვალისწინებს, რაც მნიშვნელოვანი კონცეფტუალური სიახლეა. თუმცა, კოდექსის იმპლემენტაციის პროცესში, რომელიც დაახლოებით ერთ წელს ითვლის, არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მუნიციპალიტეტის ბავშვის უფლებათა დაცვის უფლებამოსილებებთან, ისევე როგორც, სხვადასხვა სახელმწიფო უწყებების ერთმანეთთან კოორდინაციასთან დაკავშირებით.

ბავშვის უფლებათა კოდექსის სხვადასხვა მუხლებში გადანაწილებულია მუნიციპალიტეტის ფუნქციები თავად ამ საკანონმდებლო ნორმის კომპლექსურობიდან და შინაარსის სირთულიდან გამომდინარე. ეს გარემოება, კი, თავის მხრივ, ნორმის სწორად განმარტებისა და აღქმის სირთულეებს იწვევს, მათ შორის, როგორც გარკვეული მუნიციპალიტეტების, ასევე, სახელმწიფო ორგანოების მესვეურთა მხრიდან. რადგან ამ კანონის ძალაში შესვლიდან ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოსაყალიბებლად საკმარისი დრო არ არის გასული, ნორმების განხორციელებისას გარკვეული საკითხები სადავოდ

² კილაძე ს., ტურავა პ. 2021. *ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები*. თბილისი: იურისტების სამყარო, გვ. 14.

რჩება. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინების საფუძველზე შეგვიძლია ვთქვათ, რომ ასევე, მუნიციპალიტეტებისა და სახელმწიფო ცენტრალური ორგანოების, ისევე როგორც, სასამართლოს კოორდინაციის პრობლემატიკა საკმაოდ მწვავედ დგას. ვითარებას ამძაფრებს ის ფაქტიც, რომ გარკვეული კანონქვემდებარე აქტები, რომელიც კოდექსის საფუძველზე უნდა მიეღო აღმასრულებელ ხელისუფლებას, ჯერ არ არის მიღებული.³

ზემოთ აღნიშნული სირთულეები, კი, ბავშვის უფლებათა კოდექსის იმპლემენტაციის დამუხრუჭებას იწვევს ადგილობრივი თვითმმართველობის და სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოების მხრიდან რაც, რა თქმა უნდა, საბოლოო ჯამში, ბავშვის კეთილდღეობის უზენაესი მიზნის მიღწევას უშლის ხელს.

სტატიის მიზანია, ნათლად გამოკვეთოს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები ბავშვის უფლებათა კოდექსის საფუძველზე განმარტების სხვადასხვა მეთოდების გამოყენებით, ისევე როგორც, მუნიციპალიტეტის ადგილი ბავშვის უფლებათა დაცვის კოორდინაციის ერთიან სისტემაში და მისი საქმიანობის კონტროლი. საბოლოო ჯამში, ეს განმარტებები ხელს შეუწყობს კოდექსის ჯეროვან განხორციელებას იმ გზით, რაც ავტორის მიერ ჩადებული იყო კოდექსში.

ამ მიზნის მისაღწევად, წინამდებარე სტატია განსაზღვრავს ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობას ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში ზოგადად (მეორე თავი). შემდეგი ნაბიჯია, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილების განსაზღვრა ბავშვის უფლებათა კოდექსის მიხედვით ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში, სადაც დეტალურად განისაზღვრება მუნიციპალიტეტის საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები, ის მექანიზმები, რომლითაც ეს უფლებამოსილებები ხორციელდება, ასევე, მუნიციპალიტეტის ადგილი ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ერთიან სისტემაში, რომელიც უწყებათაშორის კოორდინაციასაც მოიცავს (თავი მესამე). სტატიის შემდეგი თავი ეთმობა მუნიციპალიტეტის საქმიანობის კონტროლის სხვადასხვა დონეებს ბავშვის უფლებათა დაცვის კუთხით (თავი მეოთხე). ბოლოს შეჯამდება ყველა ის ძირითადი საკითხი და მიგნება, რომლის შესახებ მსჯელობას ადგილი დაეთმო სტატიაში.

³ მაგალითად, ბავშვის უფლებათა კოდექსის 99-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ა.ა“ ქვეპუნქტის მიხედვით საქართველოს მთავრობას 2020 წლის 1 მარტამდე უნდა დაემტკიცებინა „ბავშვის დაცვისა და დახმარების სფეროში დასაქმებული პირების პროფესიული განვითარების სტანდარტების შესახებ“ დებულება, ხოლო „ა.ბ.“ ქვეპუნქტის მიხედვით, „ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტი“. თუმცა, დღემდე არც ერთი მათგანი არ არის დამტკიცებული, რაც, ხელს უშლის ბავშვის უფლებათა დაცვის სისტემის გამართულ მუშაობას, რადგან კოდექსი ერთიანობაში, სისტემურად ყველა მიმართულების ჯეროვანი განხორციელების შემდეგ მოგვემს მსჯელობის მაქსიმალურ ეფექტს.

2. ადგილობრივი თვითმმართველობის მნიშვნელობა ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში

ადგილობრივი თვითმმართველობა დემოკრატიის ყველაზე სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი შემადგენელი ელემენტია.⁴ ის ავითარებს ინიციატივების, ტოლერანტულობისა და კომპრომისის ხარისხს, რომელიც ასე მნიშვნელოვანია დემოკრატიისთვის და არა მხოლოდ განტვირთავს ცენტრალურ ხელისუფლებას, არამედ აკონტროლებს მხარდ ბიუროკრატias, რისი შედეგიცაა პოლიტიკური დეცენტრალიზაცია.⁵ ევროპის ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტიის მიხედვით, ის წარმოადგენს უფლებასა და ადგილობრივი ორგანოების შესაძლებლობას, კანონის ჩარჩოებში, დაარეგულირონ და მართონ საჯარო ფუნქციების არსებითი ნაწილი საკუთარი პასუხისმგებლობის ქვეშ და ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით.⁶

საქართველოზე საუბრისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ ისტორიული განვითარების ის გზა, რომელიც ქვეყანამ გაიარა ბოლო საუკუნის განმავლობაში. მკაცრად ცენტრალიზებულ, ავტორიტარულ კომუნისტურ სისტემაში, დემოკრატიული ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარებაზე საუბარიც კი ზედმეტი იყო. ამ კუთხით ვითარება დამოუკიდებლობის კვლავადგენის შემდეგაც არ შეცვლილა 2012 წლამდე, როდესაც ხელისუფლებები ცდილობდნენ მაქსიმალური კონტროლის ქვეშ ჰყოლოდა ხალხი, მათ შორის, რეგიონებიც. 2012 წლიდან ნაბიჯ-ნაბიჯ მიმდინარეობს თვითმმართველობების გაძლიერება, მიღებულ იქნა ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი⁷, რომლის საფუძველზე მოხდა ფუნქციების და რესურსების გადაცემა ადგილებზე, გაცილებით დემოკრატიული გახდა თვითმმართველობის არჩევნების სისტემა. 2017 წლის საკონსტიტუციო რეფორმამ კონსტიტუციის დონეზე მოახდინა თვითმმართველობების გაძლიერება და უფლებამოსილებათა მკაფიო გამიჯვნა ცენტრალურ ხელისუფლებასთან. თუმცა, ამ პოზიტიური ნაბიჯების მიუხედავად, თვითმმართველობებს სერიოზული გამოწვევები აქვთ ამ კანონმდებლობის დებულებების ცხოვრებაში განხორციელების პროცესში და ადგილობრივი თვითმმართველობის რეალობა ჯერ კიდევ შორს არის იმ მიზანთან, რომელიც ქართულმა სახელმწიფომ დაისახა. სიახლეებს დრო სჭირდება ადაპტაციისთვის, როგორც ხელისუფლებასთან, ასევე, მოქალაქეებთან მიმართებით.

ამდენად, ასეთი ისტორიული წარსულის სახელმწიფოს ადგილობრივი თვითმმართველობების განვითარების კუთხით ვერ შევადარებთ ისეთ ქვეყანას, როგორცაა, მაგალითად გერმანია, სადაც ადგილობრივი თვითმმართველობები

⁴ Murray Seasongood. 1943. *The Continuing Importance of Local Self Government*. 3 Marquette Law Review 27. გვ. 133-134.

⁵ U.B. Singh. 2003. *Decentralized Democratic Governance in New Millennium: Local Government in the USA. UK. France. Japan. Russia and India*. New Delhi: Concept Publishing Company. გვ. 5.

⁶ ევროპის ადგილობრივი თვითმმართველობის ქარტია I ნაწილი. მე-3 მუხლი.

⁷ ხელმისაწვდომია <www.matsne.gov.ge>

საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბდა, როგორც დემოკრატიის ერთ-ერთი ქვაკუთხედი;⁸ ან გაერთიანებული სამეფოს, სადაც, მაგალითად, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ადგილობრივ სერვისების ხანგრძლივი ისტორია აქვს.⁹

საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის მე-4 პუნქტი¹⁰ განსაზღვრავს, რომ ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეები სწორედ ადგილზე წყდება და ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილება სუბსიდიარობის პრინციპის საფუძველზე უნდა განისაზღვროს. ამასთანავე, კონსტიტუციის 30-ე მუხლი ბავშვის უფლებათა დაცვის დეტალების დელეგირებას ახდენს კანონზე,¹¹ რაც ბავშვის უფლებათა კოდექსის კონსტიტუციურ საფუძველს წარმოადგენს.

ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის კომპეტენცია, როგორც წესი, ძირითადად, სწორედ ადგილობრივი თვითმმართველობის ქოლგის ქვეშ მოიაზრება.¹² ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების როლი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სახელმწიფო მმართველობის ნებისმიერი სფეროში, რადგან ისინი ინსტიტუციური თვალსაზრისით ყველაზე ახლოს იმყოფებიან მოქალაქეების ცხოვრებასა და პრობლემებთან.¹³ ადგილობრივი თვითმმართველობა აუცილებელია, რადგან ზოგიერთი საკითხი სწორედ ადგილობრივი მნიშვნელობისაა მისი ინტენსიურობის, ხასიათისა და სფეროს მიხედვით, ის წარმოადგენს სერვისების ფართო სპექტრს და ახორციელებს მრავალფეროვან და ძლიერ ფუნქციებს. ამდენად, პრაგმატული ინტერესიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობა არა მხოლოდ უნდა გაგრძელდეს, არამედ უნდა გაძლიერდეს კიდევ.¹⁴

ამ სფეროს განეკუთვნება სწორედ ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ფუნქციები საქართველოში. რადგან ადგილობრივი თვითმმართველობა ხელისუფლების ყველაზე

⁸ გერმანიის თვითმმართველობების განვითარება იხ. Goetz Frank, Heinrich-Wilhelm Langrehr [eds.] 2007. *Die Gemeinde: Festschrift zum 70. Geburtstag von Heiko Faber*. Tuebingen: Mohr Siebeck. გვ. 3.

⁹ ინგლისისა და შოტლანდიის ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სისტემაზე იხ. Zaal Noel and Mathias Carmel. 2002. *Local Government and the Provision of Child Care Services: An Essential Area for Legislative Reform*. 119 South African Law Journal. გვ.138-154.

¹⁰ „საქართველოს მოქალაქეები ადგილობრივი მნიშვნელობის საქმეებს აწესრიგებენ ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. სახელმწიფო ხელისუფლებისა და თვითმმართველი ერთეულების უფლებამოსილებათა გამიჯვნა ეფუძნება სუბსიდიარობის პრინციპს. სახელმწიფო უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ფინანსური სახსრების შესაბამისობას ორგანული კანონით განსაზღვრულ თვითმმართველი ერთეულის უფლებამოსილებებთან.“

¹¹ საქართველოს კონსტიტუციის მუხლი 30. პუნქტი 2 „დედათა და ბავშვთა უფლებები დაცულია კანონით“.

¹² იხ. *Kinder und Jugendhilfe*. 2020. Berlin: Bundesministerium fuer Familie. Senioren. Frauen und Jugend. გვ. 44. <www.bmfsfj.de>

¹³ კილაპე ს., ფირცხალაშვილი ა. 2018. *სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო*. თბილისი: ფრიდრიხ-ებერტის ფონდი. გვ. 236.

¹⁴ U.B. Singh.2003. *Decentralized Democratic Governance in New Millennium: Local Government in the USA, UK, France, Japan, Russia and India*. New Delhi: Concept Publishing Company. გვ. 6.

ახლოს მდგომი წარმომადგენლობაა, მას ყველაზე მეტად ხელეწიფება გაანალიზოს ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ტენდენციები ადგილზე.¹⁵

მიუხედავად იმისა, რომ ისტორიული წარსულის, ისევე როგორც, ობიექტური თუ სუბიექტური გარემოებების გათვალისწინებით, რეალურად, დღეს ადგილობრივი თვითმმართველობა საქართველოში სუსტად არის განვითარებული, თუმცა მისი გაძლიერება - შეუქცევადი პროცესია. დეცენტრალიზაციის სკეპტიკოსების საწინააღმდეგოდ უნდა ითქვას, რომ, თუ მუდმივად მოხდება აპელირება, რომ ადგილობრივი თვითმმართველობები გარკვეული ფუნქციების შესრულებას ვერ შეძლებენ, რადგან მათ ჯერ კიდევ არ აქვთ განვითარების ის ხარისხი, როგორც, მაგალითად, ამ კუთხით მოწინავე ზემოაღნიშნულ ქვეყნებს, ქვეყანა ჩაკეტილი წრიდან ვერასდროს გამოვა. რა თქმა უნდა, ფუნქციების გადანაწილებისას აუცილებელია ობიექტური მოცემულობისა და შესაძლებლობების გათვალისწინება, მაგრამ ეს პროცესი უნდა იყოს პროგრესული და არა რეგრესული. მხოლოდ ამ შემთხვევაში იქნება შესაძლებელი მათი განვითარება. სწორედ ეს ხაზი გაატარა ბავშვის უფლებათა კოდექსმა და „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონმა, როდესაც ერთ-ერთ მთავარ ფუნდამენტად ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში ფუნქციების დეცენტრალიზაცია განსაზღვრა.

ადგილობრივი თვითმმართველობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფუნქციაა სამოქალაქო სერვისების შეთავაზება ადგილობრივი მოსახლეობისთვის.¹⁶ ბავშვის დაცვის და მხარდაჭერის სერვისებიც ამ ჭრილში უნდა მოვიაზროთ. ადგილობრივი მოსახლეობის უმეტესობის ოჯახებში ბავშვ(ებ)ია, რომელთაც ხელისუფლების ორგანოებიდან ყველაზე მეტი შეხება სწორედ ადგილობრივ თვითმმართველობებთან აქვთ. შეხების ეს წერტილები მუნიციპალიტეტის ორგანოებს აძლევს მეტ ინფორმაციას, მათ შორის, კონკრეტული ოჯახებისა და ბავშვების მოწყვლადობასთან მიმართებით, ისევე როგორც, ზოგადად, ადგილობრივი გამოწვევების და მიღწევების კუთხით. განსაკუთრებით ხაზგასასმელია ის გარემოება, რომ მუნიციპალიტეტი არის ყველაზე შესაბამისი ერთეული სახელმწიფო სხვადასხვა ორგანოებს შორის, რომლის გარშემოც შეიძლება მოხდეს კოორდინაცია ყველა იმ სტრუქტურასთან მიმართებით, რომელიც ითვალისწინებს ბავშვის უფლებათა დაცვის სხვადასხვა სერვისებსა თუ ინიციატივებს. ამას მიუთითებს ის ფაქტი, რომ აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა სხვა უწყება კონკრეტულ სექტორზეა პასუხისმგებელი და მის გარშემო ყველა სხვა სექტორის გაერთიანება არ იქნებოდა არც რაციონალური და არც ლოგიკური ბავშვისთვის მაქსიმალური ეფექტის მიზნის მისაღწევად ადგილებზე. ამდენად, ოჯახის გაძლიერების მთავარი ბაზისი, ბავშვთა დაცვა და მხარდაჭერა, ბუნებრივად ექცევა ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებში.¹⁷ ეს არ მოიაზრებს, რომ

¹⁵ იხ. Zaal Noel and Mathias Carmel. 2002. *Local Government and the Provision of Child Care Services: An Essential Area for Legislative Reform*. 119 South African Law Journal. გვ. 138-154.

¹⁶ U.B. Singh. 2003. *Decentralized Democratic Governance in New Millennium: Local Government in the USA, UK, France, Japan, Russia and India*. New Delhi: Concept Publishing Company. გვ. 10.

¹⁷ დეტალურად ადგილობრივი თვითმმართველობების როლისა და ფუნქციების შესახებ ბავშვთა დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში იხ. Reiner Pröhl *Grundwissen Kommunalpolitik: 8. Kommunale Jugend, Familien-, Bildungs-, und Sozialpolitik* (Friedrich-Ebert-Stiftung 2018), გვ. 21-40. ხელმისაწვდომია <www.libraryfes.de>

არც ერთ სხვა სახელმწიფო უწყებას არ აქვს ოჯახის გაძლიერებისა თუ ბავშვის უფლებათა დაცვის მიმართულებით პროგრამების და ღონისძიებების გატარების უფლება. თუმცა, ყველაზე განვითარებულ დემოკრატიებში, არც თუ უსაფუძვლოდ, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის კომპეტენცია, პირველყოფლისა, სწორედ მუნიციპალიტეტების გამგებლობას მიკუთვნებულ საკითხებს განეკუთვნება. თუ როგორ მოწესრიგდა ეს საკითხი საქართველოში, მომდევნო თავის განხილვის საკითხს წარმოადგენს.

3. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებები ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში

3.1. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა სისტემური განსაზღვრის აუცილებლობა

ბავშვის უფლებათა კოდექსის მიხედვით, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის შუაგულში სწორედ მუნიციპალიტეტია, რომლის გარშემო მოქმედებს ყველა სხვა სახელმწიფო სტრუქტურა, რომელსაც პირდაპირი თუ ირიბი შეხება აქვს ბავშვის უფლებების დაცვის საკითხებთან, როგორც სერვისების, ასევე, ცალკეულ თუ სისტემურ ღონისძიებათა განხორციელების კუთხით. თუმცა, უფლებამოსილებათა ამგვარი განაწილება, როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ საკანონმდებლო ნორმის რთული სისტემიდან გამომდინარე, ერთი შეხედვით რომელიმე ერთ კონკრეტულ მუხლში პირდაპირ და ნათლად არ არის თავმოყრილი, მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის ავტორის და კანონმდებლის ნება სწორედ ამგვარი მოწყობა იყო, არამედ ის ნათლად სჩანს ნორმათა ერთობლიობით, სისტემაში, განმარტების ოთხივე მეთოდის (ისტორიული, ლიტერატურული, სისტემური და რაციონალური) საფუძველზე¹⁸. ეს განმარტებები წინამდებარე ქვეთავებში დეტალურად იქნება განხილული.

3.2. მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებები

3.2.1. მუნიციპალიტეტების უფლებამოსილებათა სახეები

მუნიციპალიტეტს, ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში გააჩნია საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებები.¹⁹ ამ საკითხის განხილვა მნიშვნელოვანია ისტორიულ რაკურსში, რაც უფრო ნათლად დაგვანახებს კანონმდებლის ნებას, თუ რამ გამოიწვია კომპეტენციათა ამგვარი გადანაწილება.

კანონმდებლის მიზანი იყო, ერთი მხრივ, გაეძლიერებინა თვითმმართველობები ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის ფუნქციებში, მეორე მხრივ, კი, გამოეჩინა სიფრთხილე და ჯერ კიდევ განვითარების ეტაპზე მყოფი თვითმმართველობებისთვის არ დაეკისრებინა ისეთი ვალდებულებები, რომლებიც მათ გადატვირთვას და საბოლოო ჯამში, ფუნქციათა შეუსრულებლობას გამოიწვევდა. ეს რაციონალური მიდგომაა, რომელიც ევოლუციას

¹⁸ განმარტების მეთოდების შესახებ დეტალურად იხ. Von Savigny FC. 1840. *System des heutigen roemischen Rechts*. Berlin: Veit und Comp.

¹⁹ იხ. ბავშვის უფლებათა კოდექსის 96-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

თანმიმდევრულად, მტკიცენული ქირურგიული ჩარევების გარეშე ეფექტიანად უზრუნველყოფს. ამდენად, მოინახა „ოქროს შუალედი“, განისაზღვრა როგორც მუნიციპალიტეტის საკუთარი, ასევე, დელეგირებული უფლებამოსილება, რაც, საბოლოო ჯამში, აბალანსებს უფლებამოსილებებს და მაქსიმალურად აზღვევს რისკებს, რომელიც შეიძლება წარმოიქმნას ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის განხორციელების პროცესში.

3.2.2. საკუთარი უფლებამოსილება

საკუთარი უფლებამოსილება ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სფეროში გულისხმობს მუნიციპალიტეტის საკუთარ კომპეტენციას, სადაც მას გააჩნია სრული თავისუფლება კანონის ფარგლებში, რომ ბავშვებთან დაკავშირებული საკითხების განხორციელებაში ხელი არ შეეშალოს. იმავდროულად, თითოეული მუნიციპალიტეტის ადამიანურ რესურსს, გამჭრიახობასა თუ პოლიტიკურ ნებაზეა დამოკიდებული, ვინ როგორ გაართმევს თავს და რაციონალურად გამოიყენებს თუ არა ამ უმნიშვნელოვან შესაძლებლობას.

საკუთარ უფლებამოსილებას, დემოკრატიის განვითარების კუთხით, დიდი დატვირთვა აქვს, როგორც ადგილობრივი თვითმმართველობის ხელისუფლების ანგარიშვალდებულების, ასევე, მოქალაქეთა მხრიდან მათი კონტროლის განვითარებისთვის, რაც თავის თავში ასევე, მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლებას მოიცავს. ეს ეფექტი, ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნების ოთხწლიანი ციკლის მიხედვით უნდა გავითვალისწინოთ. კონკრეტული მუნიციპალიტეტის ის ადგილობრივი ხელისუფლება, რომელიც არ გამოიყენებს ამ შესაძლებლობას, არ შესთავაზებს შესაბამისი სერვისებს თვითმმართველობის მცხოვრებთ, არის მაღალი ალბათობა, რომ ის მეორე ვადით აღარ იქნება არჩეული. დემოკრატიის ამ ელემენტს, ასევე, აუცილებლად სჭირდება, რომ მოქალაქეებს ჰქონდეთ ცნობიერება მუნიციპალიტეტის ასეთი კანონისმიერი უფლებამოსილებისა და ვალდებულების შესახებ.²⁰ ცნობიერების ამაღლებას, კი, გარკვეული დრო სჭირდება. ბავშვის უფლებათა კოდექსის ძალაში შესვლის ერთი წლის თავზე ნაკლებად სავარაუდოა, რომ ადგილობრივი მოსახლეობის დიდ ნაწილს ამის შესახებ ინფორმაცია ჰქონდეს. თუმცა, დროთა განმავლობაში ეს მიზანი აუცილებლად იქნება მიღწეული.

მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება, პირველყოვლისა, ეყრდნობა ბავშვის უფლებათა კოდექსის 96-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმად, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალური სამსახურის და შესაბამისად, მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებაა, ბავშვის უფლებების დაცვის მუნიციპალური პროგრამების შემუშავება, მათი განხორციელების კოორდინაცია, განხორციელების პროცესის მონიტორინგი და შეფასება. ეს ნორმა წარმოადგენს მუნიციპალური საკუთარი პროგრა-

²⁰ მოქალაქეებისა და თვითმმართველობების ურთიერთმიმართების აღნიშნულ ასპექტებზე დეტალურად იხ. Collin Rallings, Michael Temple and Michael Thrasher 'Participation in Local Elections' in: Lawrence Pratchett and David Wilson [eds.] *Local Democracy and Local Government* (Macmillan 1996 London) გვ. 62.

მების შემუშავების საფუძველს, რომელიც სექტორულად, ადგილობრივი მნიშვნელობის საკითხებით შემოიფარგლება ბავშვის უფლებებთან მიმართებით როგორც აბავშვის უფლებათა კოდექსით, ასევე, საქართველოს კონსტიტუციისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ გათვალისწინებულ ჩარჩოებში და ბუნებრივია, არ არის განუსაზღვრელი. ასევე, ეს ნორმა ქმნის ფუნქციათა და ამოცანათა ჩამონათვალს, რომელიც „თ“ ქვეპუნქტის მიხედვით, არ არის ამომწურავი. ეს ნორმა, თავის მხრივ, უნდა იქნეს დანახული საქართველოს კანონმდებლობის ერთიან სისტემაში. კერძოდ, ის არის გამოძახილი, ერთი მხრივ, საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული სუბსიდიარობის პრინციპისა და მეორე მხრივ, „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტისა, რომლის თანახმად, თვითმმართველობებს აქვთ უფლებამოსილება თავისი ინიციატივით გადაწყვიტონ ის საკითხი, რომელიც არ წარმოადგენს ხელისუფლების სხვა ორგანოს უფლებამოსილებას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დაუშვებელია თვითმმართველობის უფლებამოსილება იმგვარად შეიზღუდოს, რომ რეალური თვითმმართველობის განხორციელება შეუძლებელი გახდეს და მას მხოლოდ ფასადური სახე დარჩეს რეალური შინაარსის გარეშე.²¹

ასევე, მუნიციპალიტეტის საკუთარი უფლებამოსილება ვრცელდება უფრო კონკრეტულად, საჯარო სივრცეში დაცვაზე; საჯარო ღონისძიებებში მონაწილეობის მიზნით ბავშვის ჯგუფური ტრანსპორტირების წესების და ბავშვზე მეთვალყურეობის განმახორციელებელი პირების (ორგანიზატორი) მიერ საკუთარი ვალდებულებების დაცვაზე; ბავშვისათვის საფრთხის შემცველი ინფორმაციის შემცველი ბეჭდური მედიის გავრცელების წესების დაცვაზე; საჯარო კინოჩვენებებზე და ღამის კლუბებში ბავშვის დასვენების წესების დაცვაზე; ჩაწერილ ფილმებზე ხელმისაწვდომობის სამართლებრივ შეზღუდვების დაცვასა და ალკოჰოლური, ნარკოტიკული, ფსიქოტროპული, ტოქსიკური და სხვა თრობის საშუალებების, ალკოჰოლის შემცველი სასმელის, თამბაქოსა და ნიკოტინის შემცველი ნაწარმის ან კაფესულების ბავშვისათვის უსასყიდლო ან სასყიდლიანი მიწოდების აკრძალვის წესების დაცვაზე ზედამხედველობას და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების გამოვლენას, შესაბამისი ოქმების შედგენას, სახდელის შეფარდებას ან ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის განხილვაზე უფლებამოსილი ორგანოსათვის გადაგზავნას. აღნიშნული ეფუძნება მუნიციპალიტეტის საკუთარ უფლებამოსილებას „ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტი-ტის საფუძველზე“²², რომელსაც ბავშვის უფლებათა კოდექსისა და „ადგილობრივი თვითმმართველობის

²¹ იხ. BVerfG 1, 167-184; იხ. Gregory Garloff *Die Angemessenheit von Unterkunftskosten nach SGB II im Spannungsfeld zwischen Staatsgewalten* (Kassel University Press 2020 Kassel) გვ. 197.

²² ბავშვის დაცვის ტექნიკური რეგლამენტი, კოდექსის მოთხოვნის მიუხედავად, ჯერ არ არის შემუშავებული და შესაბამისად, დამტკიცებული.

კოდექსის“ მე-18 მუხლის საფუძველზე შეიმუშავებს და ამტკიცებს საქართველოს მთავრობა.²³

მუნიციპალიტეტს შეუძლია შეიმუშავოს ბავშვის მოხალისეობის პროგრამა საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში.²⁴ ხოლო, ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამა მუნიციპალიტეტმა, შესაძლებელია, განახორციელოს, როგორც საკუთარი, ასევე, დელეგირებული უფლებამოსილების საფუძველზე²⁵. ეს განსაკუთრებულობა გამომდინარეობს ამ პროგრამის შინაარსის ბუნებიდან, რომელიც, შესაძლებელია ახლოს იყოს, როგორც სახელმწიფო ხელისუფლებას, ასევე, ადგილობრივი თვითმმართველობასთან მიმართებით. კოდექსის მიხედვით, ეს პროგრამა შეეხება შემდეგ მიმართულებებს: არაფორმალური განათლება ზოგადი, პოლიტიკური, სოციალური, კულტურული, შემეცნებითი, ტექნიკური, ეკოლოგიური და ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებებით; გონებრივი განვითარებისა და ფიზიკური აქტივობის ხელშემწყობი სპორტული და გასართობი ღონისძიებები; სასკოლო ან შრომით ვალდებულებებსა და ოჯახურ გარემოსთან დაკავშირებული ღონისძიებები; საერთაშორისო ახალგაზრდული პროგრამები; ბავშვთა დასვენების პროგრამები; ბავშვთა საკონსულტაციო პროგრამები; კულტურული და სახელოვნებო პროგრამები; წინაპროფესიული უნარ-ჩვევების განმავითარებელი პროგრამები.

3.2.3. დელეგირებული უფლებამოსილება

მეორე მხრივ, თუ გარკვეულ სფეროებში არსებობს მომეტებული რისკი, რომ კონკრეტული პროგრამის განხორციელებას შეიძლება მეტ-ნაკლები ზედამხედველობა დასჭირდეს სახელმწიფო ცენტრალური ორგანოების მხრიდან, ასეთი შემთხვევებისთვის ბავშვის უფლებათა კოდექსმა გაითვალისწინა დელეგირებული კომპეტენცია. სახელმწიფო ხელისუფლების შესაბამისი ორგანო მუნიციპალიტეტს გადასცემს უფლებამოსილებას, თუმცა იტოვებს მისი ზედამხედველობის განხორციელების უფლებას, რათა, საჭიროების შემთხვევაში დროულად ჩაერთოს იქ, სადაც ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზებით ვერ ან არ ხდება ამ უფლებამოსილებათა ჯეროვანი განხორციელება. აქ სჩანს კანონმდებლის სიფრთხილე, სწორედ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ ადგილობრივ თვითმმართველობებს განვითარების ხანგრძლივი ისტორია და შესაბამისი გამოცდილება არ აქვთ, მათ გარკვეულ საკითხებში გადასცეს უფლებამოსილებები, თუმცა იმავდროულად დაიტოვოს ზედამხედველობის ბერკეტი და საჭიროების შემთხვევაში ჩაერიოს საბოლოო ეფექტიანი შედეგის მიღების მიზნით. ამ კომპეტენციით, ხდება უფლებამოსილების გადაცემა გარკვეულ საკითხებთან მიმართებით

²³ კილაძე ს., ტურავა პ. 2021. *ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები*. თბილისი: იურისტების სამყარო. გვ. 288. იხ. ბავშვის უფლებათა კოდექსის 96-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

²⁴ ბავშვის უფლებათა კოდექსის 52-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

²⁵ ბავშვის უფლებათა კოდექსის 50-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

მუნიციპალიტეტებზე, რათა ისინი განვითარდნენ, იმავდროულად ეს დროში შესაძლებელია გადანაწილდეს ეტაპობრივად, იმის მიხედვით, თუ რა შესაძლებლობა აქვს ყოველ კონკრეტულ მუნიციპალიტეტს.²⁶

მეორე მხრივ, კი, დელეგირებული უფლებამოსილებით მაქსიმალურად ხდება საფრთხეების შემცირება, რაც აუცილებელია სისტემის დასაწყის ეტაპზე. ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სისტემაში, თუ ადგილი ექნა შეცდომებს, რაც რთული უფლებამოსილებების შესრულებისას სავსებით შესაძლებელია, ამან გამოუსწორებელ ზიანამდეც კი შეიძლება მიგვიყვანოს კონკრეტული ბავშვების შემთხვევაში, რაც, რა თქმა უნდა ვერც სახელმწიფოს და ვერც საზოგადოების ინტერესში ვერ იქნება. ამდენად, ეს ფრთხილი მიდგომა განსაკუთრებით აუცილებელი იყო კანონის ძალაში შესვლის პირველ ეტაპისთვის, მანამ, სანამ ადგილობრივ თვითმმართველობებს შესაბამისი გამოცდილება და ინსტიტუციური მეხსიერება დაუგროვდებათ.

დელეგირებულ უფლებამოსილებებს აუცილებლად შესაბამისი ფინანსური სახსრებიც უნდა მიჰყვეს თან, ან შესაძლებელია გრანტის ან კანონმდებლობით დასაშვები სხვა ფინანსური წყაროებით მოხდეს დაფინანსება.²⁷ თუ თვითმმართველობა არ არის ფინანსური სახსრებით აღჭურვილი უფლებამოსილებების შესრულებისთვის, ეს მისი კონსტიტუციით გარანტირებული უფლებაში ჩარევას წარმოადგენს.²⁸ შესაბამისად, თუ საქართველოში რომელიმე სახელმწიფო უწყება გადასცემს მუნიციპალიტეტს დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში რაიმე ფუნქციას, თავადვე უნდა იზრუნოს მისი დაფინანსებისთვის აუცილებელ სახსრებზე. ასეთ შემთხვევაში, ეს ამ კონკრეტული უწყების პასუხისმგებლობაა და არა მუნიციპალიტეტის.

მუნიციპალიტეტებისთვის საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად, შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილების გადაცემა შემდეგი მიმართულებით: ოჯახის მხარდამჭერი პროგრამა²⁹, ბავშვის ჯანმრთელობის მხარდამჭერი ღონისძიებები³⁰, ბავშვის სოციალური

²⁶ არ არის აუცილებელი ყველა კომპეტენციის დელეგირება მოხდეს სათითაოდ ყველა მუნიციპალიტეტზე. ბავშვის უფლებათა კოდექსი იძლევა კარგ მოქნილობას, იმისათვის, რათა დროში შესაძლებლობების მიხედვით მოხდეს სხვადასხვა სფეროებში დელეგირება. ეს მოქნილობა, ასევე, ხელს უწყობს იმას, რომ მუნიციპალიტეტები არ გადაიტვირთონ იმგვარად, რომ საერთოდ ვერ გაართვან თავი ფუნქციების შესრულებას და ამგვარად, შეუძლებელი გახდეს მათი ოპერირება ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის პროცესში.

²⁷ ბავშვის უფლებათა კოდექსის 96-ე მუხლის მე-7 პუნქტი განსაზღვრავს, მათ შორის, დელეგირებული უფლებამოსილებების დაფინანსების წყაროებს.

²⁸ Reiner Pröhl *Grundwissen Kommunalpolitik: 8. Kommunale Jugend-, Familien-, Bildungs-, und Sozialpolitik* (Friedrich-Ebert-Stiftung 2018), გვ. 8. ხელმისაწვდომია <www.libraryfes.de>

²⁹ ბავშვის უფლებათა კოდექსის 28-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

³⁰ ბავშვის უფლებათა კოდექსის 41-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

დაცვის პროგრამები³¹, ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამები³², სოციალური ინკლუზიის ღონისძიებები³³.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-17 მუხლით დადგენილი წესისა და პირობების შესაბამისად დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში შესაძლებელია მუნიციპალიტეტებისთვის ბავშვის განათლების ხელშეწყობის ღონისძიებების³⁴ გადაცემა.

3.3. ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის პროგრამების შემუშავების პროცესში მუნიციპალიტეტების სავალდებულო ჩართულობის ვალდებულება

იმისათვის, რათა ცენტრალური ხელისუფლებისა და მუნიციპალიტეტების საქმიანობა ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის ფარგლებში ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად თანშეწყობილად ფუნქციონირებდეს, ბავშვის უფლებათა კოდექსი ითვალისწინებს კიდევ ერთ, ჰიბრიდულ ბერკეტს, როდესაც პროგრამებისა თუ ღონისძიებების შემუშავების პროცესში სახელმწიფო უწყებებს მუნიციპალიტეტის ჩართულობის კანონისმიერი ვალდებულება აქვთ. მაგალითად, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბავშვის განათლების ხელშეწყობის პროგრამები³⁵, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის უმაღლესი სტანდარტით სარგებლობის უფლების განხორციელების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმა³⁶, ისევე როგორც, ბავშვის სოციალური დაცვის პროგრამა³⁷, ბავშვის სოციალური აქტივობის პროგრამა³⁸, ბავშვის სოციალური ინკლუზიის პროგრამა³⁹ უნდა შემუშავდეს მუნიციპალიტეტებთან თანამშრომლობით. არ აქვს მნიშვნელობა, ეს პროგრამა უშუალოდ სამინისტროს მიერ უნდა განხორციელდეს თუ დელეგირების ფარგლებში, ჩართული უნდა იქნეს მუნიციპალიტეტი, წინააღმდეგ შემთხვევაში, პროგრამის ფორმალური კანონიერება დადგება კითხვის ნიშნის ქვეშ.

³¹ ბავშვის უფლებათა კოდექსის 46-ე მუხლის მე-8 პუნქტი.

³² ბავშვის უფლებათა კოდექსის 50-ე მუხლის მე-7 პუნქტი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ პროგრამას ორმაგი ბუნება გააჩნია და ის შეიძლება განხორციელდეს, როგორც მუნიციპალიტეტის საკუთარი, ასევე, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

³³ ბავშვის უფლებათა კოდექსის 51-ე მუხლის მე-4 პუნქტი.

³⁴ ბავშვის უფლებათა კოდექსის 37-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

³⁵ ბავშვის უფლებათა კოდექსის 37-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

³⁶ ბავშვის უფლებათა კოდექსის 41-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

³⁷ ბავშვის უფლებათა კოდექსის 47-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

³⁸ ბავშვის უფლებათა კოდექსის 50-ე მუხლის მე-5 პუნქტი.

³⁹ ბავშვის უფლებათა კოდექსის 51-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

ეს მექანიზმი აძლიერებს მუნიციპალიტეტის როლს იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ სახელმწიფო პროგრამები და ღონისძიებები შესაბამისობაში უნდა მოდიოდეს ადგილებზე მოსახლეობის საჭიროებებთან და არ უნდა იყოს აცდენილი რეალობას. მიუხედავად იმისა, რომ კოდექსის დებულებებში არსადაა მითითებული, რომ ცენტრალური ხელისუფლების ორგანოებმა სავალდებულოდ უნდა გაითვალისწინონ მუნიციპალიტეტის მიერ წარმოდგენილი მოსაზრებები, გარკვეული, რეციონალური დოზით გათვალისწინების ვალდებულება გამომდინარეობს კოდექსის საერთო სულისკვეთებიდან და უწყებათაშორისი თანამშრომლობის პრინციპიდან⁴⁰ გამომდინარე. სწორედ ამგვარი თანამშრომლობით მიიღწევა ბავშვის კეთილდღეობის შედეგი.

3.4. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელების მექანიზმები

მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელება საჭიროებს მექანიზმებს ბავშვის უფლებათა კოდექსის განსახორციელებლად. ისინი შესაძლებელია, პირობითად დავეყოს ძირითად და დამხმარე მექანიზმებად.

ძირითადი მექანიზმია ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სტრუქტურული ერთეული. ხოლო, დამხმარე, კი, მუნიციპალიტეტში შემავალი ყველა ის შიდა სტრუქტურული დანაყოფი, ფიზიკური თუ იურიდიული პირი, რომელიც პირდაპირ ან ირიბ შემხებლობაშია მუნიციპალიტეტის ბავშვის უფლებათა დაცვის უფლებამოსილებების განხორციელებასთან. ასეთია, მაგალითად, სოციალური დაცვის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სტრუქტურული ერთეულის მიერ იდენტიფიცირებულ მოწყვლად ბავშვს მედიკამენტებისთვის აუცილებელი თანხით თუ ერთჯერადი ფულადი დახმარებით. ან, მაგალითად განათლებისა და სპორტის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს იდენტიფიცირებული ბავშვების ჩართვას არაფორმალური განათლებისა თუ სპორტის წრეებში. ყველა ეს სამსახური ერთობლიობაში უზრუნველყოფს ძირითადი ინსტრუმენტის დამხმარე, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციას და ერთობლიობაში ქმნის ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის მუნიციპალურ სისტემას.

კოდექსის იმპლემენტაციის პირველივე ეტაპზე წარმოიქმნა აზრთა სხვადასხვაობა, ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სტრუქტურული ერთეულის შექმნა გულისხმობს თუ არა ერთ კონკრეტულ დანაყოფს⁴¹ (ფორმალური მიდგომა), სადაც თავს მოიყრის ყველა ის სპეციალისტი, რომელიც კოდექსით სავალდებულო შემადგენლობის ნაწილადაა განსაზღვრული.⁴² თუ, საკმარისია, სტრუქტურული ერთეულის ფუნქციების განხორციელება და არ აქვს მნიშვნელობა, რომელი დანაყოფის ქვეშ ოპერირებს ესა თუ ის სპეციალისტი (ფუნქციური მიდგომა). ფორმალური ერთეულების შექმნის წინააღმდეგობა მომდინარე-

⁴⁰ იხ. ბავშვის უფლებათა კოდექსის 83-ე მუხლი.

⁴¹ იგულისხმება, მაგალითად ა(ა)იპ ან განყოფილება.

⁴² ბავშვის უფლებათა კოდექსის 96-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

ობდა იმ ხარჯების გათვალისწინებით, რაც ცალკე სტრუქტურული ერთეულის შექმნას სჭირდება.

რა თქმა უნდა, ცალკე სტრუქტურული ერთეული, რომელიც აერთიანებს ბავშვზე მომუშავე ბავშვის უფლებათა კოდექსით გათვალისწინებულ ყველა სპეციალისტს ერთი ორგანიზაციული დანაყოფის ქვეშ, გაცილებით უფრო ეფექტიანი შეიძლება იყოს, ვიდრე სპეციალისტების გადანაწილებისას სხვადასხვა სტრუქტურულ დანაყოფებში ერთიანი ორგანიზაციის გარეშე. თუმცა, ქვეყანაში არსებული რეალობის გათვალისწინებით, იმისათვის რათა კანონსა და რეალობას შორის დიდი უფსკრული არ გაჩნდეს, აუცილებელია 96-ე მუხლის მე-3 პუნქტის კანონის მიზნიდან (*ratio legis*) გამომდინარე განმარტება. კერძოდ, იმისათვის, რათა გარკვეულ დონეზე იყოს უზრუნველყოფილი ბავშვის უფლებების დაცვა, აღნიშნული დანაწესი უნდა იქნეს განმარტებული მატერიალისტური გაგებით. თუ მუნიციპალიტეტს ჰყავს ყველა ის სპეციალისტი, რომელიც 96-ე მუხლით არის მოთხოვნილი და ისინი ფუნქციებს ჯეროვნად ასრულებენ, მე-3 პუნქტის მოთხოვნები უნდა ჩაითვალოს შესრულებულად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბევრი მუნიციპალიტეტი რესურსის არქონის გამო საერთოდ ვერ შეძლებს კოდექსით გათვალისწინებული ფუნქციების შესრულებას, განსაკუთრებით - პირველ ეტაპზე.

სტრუქტურულ ერთეულში დასაქმებული უნდა იყვნენ ბავშვის სოციალური მუშაკი, ბავშვის ფსიქოლოგი, ბავშვის ჯანმრთელობის დაცვის სპეციალისტი, იურისტი.⁴³ მიუხედავად იმისა, რომ კოდექსში სახელდებით არ არის მითითებული, 96-ე მუხლის მე-5 პუნქტის განხორციელება მოითხოვს საჯარო სივრცეში, ისევე როგორც ბავშვის სხვადასხვა დამოკიდებულებებისგან დაცვის კუთხით ინსპექტორის სავალდებულოდ არსებობას. თუმცა, ეს არ არის ამომწურავი ჩამონათვალი, არამედ წარმოადგენს კანონისმიერ მინიმალურ აუცილებლობას. მუნიციპალიტეტს შეუძლია დაასაქმოს ყველა ის სპეციალისტი, ვინც აუცილებელია მისი ფუნქციების განსახორციელებლად, თუ მას ამის ადამიანური და ფინანსური რესურსი გააჩნია საკუთარი ან დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში.

სტრუქტურული ერთეული ფინანსდება უშუალოდ მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან. ამას ემატება ფინანსური რესურსი დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, გრანტებიდან თუ სხვა კანონით დაშვებული დაფინანსების წყაროდან.⁴⁴

განსაკუთრებული დატვირთვა ენიჭება სოციალური მუშაკის როლს და ფუნქციას. „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონმა განსაზღვრა მუნიციპალური საქმიანობის როლი და იგი საკანონმდებლო დონეზე სოციალური მუშაობის ინსტიტუციური სისტემის შემადგენელ რგოლად აღიარა. მისი მიღებით, სოციალური მუშაობის დეცენტრალიზაციის მიმართულებით პირველი მნიშვნელოვანი ნაბიჯი

⁴³ ბავშვის უფლებათა კოდექსის 96-ე მუხლის მე-6 პუნქტი.

⁴⁴ ბავშვის უფლებათა კოდექსის 96-ე მუხლის მე-7 პუნქტი.

გადაიდგა.⁴⁵ შემთხვევით არ მომხდარა, რომ ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღებამდე, საქართველოს პარლამენტმა სწორედ „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი მიიღო. ორივე რეფორმის ავტორმა ეს პროცესი სწორედ იმგვარად დაგეგმა, რომ პირველყოვლისა, სხვა მოწყველად ჯგუფებთან ერთად, ბავშვის უფლებათა დაცვის უმნიშვნელოვანესი ინსტიტუტი - სოციალური მუშაკი, გამლიერებულიყო და მისი საქმიანობა ერთიან სტანდარტში მოქცეულიყო. როდესაც ეს შედეგი დაიდო საკანონმდებლო დონეზე, ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ბავშვის უფლებათა კოდექსის მიღება.

ნიშანდობლივია, რომ „სოციალური მუშაობის შესახებ“ საქართველოს კანონი ამკვიდრებს სრულიად ახლებურ მიდგომას, სოციალური მუშაობის ვერტიკალური გადანაწილების მხრივ. სოციალური მუშაობა, რომელიც გულისხმობს ინდივიდთან, თემთან და საზოგადოებასთან მუშაობას, საუკეთესოდ შესრულდება ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, რადგან ამ უკანასკნელს გაცილებით უფრო ახლო და უშუალო შეხება აქვს მოსახლეობასთან, ვიდრე ცენტრალურ ხელისუფლებას. შესაბამისად, უფრო მარტივი იქნება, მათ შორის, ძალადობის ფაქტების გამოვლენა, პრევენცია და სხვა., რაც საწყისი უფლებამოსილება ადგილობრივ თვითმმართველობაში დასაქმებული სოციალური მუშაკისათვის. თუ ის დაასკვნის, რომ საჭიროა საქმის რეფერირება, შესაბამისი წესის მიხედვით მოახდენს მის გადამისამართებას შესაბამის უწყებასთან.⁴⁶

სოციალური მუშაობა წარმოადგენს თვითმმართველობისთვის დელეგირებულ უფლებამოსილებას.⁴⁷

3.5. მუნიციპალიტეტი ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სისტემის ცენტრში

კოდექსის რთულ და კომპლექსურ სისტემაში არსებობს გარკვეული ბუნდოვანობა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ როგორ ფუნქციონირებს სხვადასხვა ორგანოთა კოორდინაციის სისტემა მუნიციპალიტეტებთან მიმართებით.

ბავშვის უფლებათა კოდექსის ერთ-ერთ უმთავრეს დაუწერელ პრინციპს წარმოადგენს უწყვეტობა, რაც გულისხმობს, რომ თუ მოწყველადი ბავშვი „დაინახა“ სახელმწიფო სისტემამ, აუცილებელია, მისი ყველა ერთეული ჩაერთოს მის მხარდაჭერასა და უფლებების დაცვაში და ეს მხარდაჭერა გაგრძელდეს მანამ, სანამ ბავშვის კეთილდღეობის მთავარი მიზანი არ იქნება მიღწეული. ეს პროცესი უნდა წარიმართოს თუნდაც ერთი რომელიმე რგოლის წყვეტისა და ხარვეზების გარეშე. წინააღმდეგ შემთხვევაში, უწყვეტობის პრინციპი დარღვეულია. ამ პრინციპის სამართლებრივი საფუძველია ბავშვის უფლებათა კოდექსის პირველი მუხლის პირველი პუნქტისა და 83-ე მუხლის პირველი

⁴⁵ კილაძე ს., ფირცხალაშვილი ა. 2018. *სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო*. თბილისი: ფრიდრიხ-ებერტის ფონდი. გვ. 237.

⁴⁶ კილაძე ს., ფირცხალაშვილი ა. 2018. *სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო*. თბილისი: ფრიდრიხ-ებერტის ფონდი. გვ. 237.

⁴⁷ „სოციალური მუშაობის შესახებ“. საქართველოს კანონის 56-ე მუხლის მე-2 პუნქტი.

პუნქტის ერთობლიობა, რომელიც ბავშვის კეთილდღეობისთვის ყველა შესაბამისი სტრუქტურის კოორდინირებულ მუშაობას გულისხმობს. ბავშვის კეთილდღეობა ვერ იქნება მიღწეული, თუ ამ საერთო სისტემიდან რომელიმე რგოლი ამოვარდება ან დაწყებული საქმე ბოლომდე ვერ მივა. მათ შორის, მოიაზრება უკუგების კომპონენტი, რაც კონტროლს აადვილებს და ხარისხს ამალვებს. ხშირად, ბავშვის კეთილდღეობის უზრუნველყოფა კომპლექსური ღონისძიებების ერთობლიობის გარეშე ვერ იქნება მიღწეული.

ამ უწყვეტი სისტემის ცენტრში, კი, სტრუქტურულად სწორედ მუნიციპალიტეტი დგას და ბავშვის უფლებათა დასაცავად ყველა სხვა სახელმწიფო უწყება მის გარშემო გაერთიანებული.

ბავშვის უფლებათა კოდექსის ეს კონცეფტუალური საკითხი გამყარებულია როგორც ნორმატიული, ასევე, რაციონალური არგუმენტით: 96-ე მუხლის მე-4 პუნქტის „ა“, „გ“ და „დ“ ქვეპუნქტებისა და 83-ე მუხლის პირველი პუნქტის ერთობლიობა გვიჩვენებს, რომ მუნიციპალიტეტი საკუთარი და დელეგირებული უფლებამოსილებების საფუძველზე ადგილებზე ახდენს სხვადასხვა სახელმწიფო უწყებათა, ადგილობრივი თუ საერთაშორისო კერძო და იურიდიული პირების მიერ განხორციელებული პროექტებისა და ღონისძიებების კოორდინირებას, რომელიც ამ მუნიციპალიტეტის სამოქმედო ტერიტორიაზე ოპერირებენ. კოდექსის ეს მიდგომა რაციონალურია, რადგან ერთ სტრუქტურულ ერთეულში უნდა არსებობდეს კოორდინაციის სისტემის ცენტრი, სადაც თავს მოიყრის ყველა იმ საკითხთა ერთობლიობა, რომელიც ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სისტემისთვის აუცილებელია.⁴⁸ ზემოთ აღნიშნული დეტალური მსჯელობის თანახმად, რადგან მუნიციპალიტეტი ყველაზე ახლოს დგას ადგილობრივ მოქალაქეებთან და სექტორთა ფართო სპექტრს მოიცავს მისი საქმიანობა, რადგან მან ყველაზე მეტად იცის ადგილობრივი საჭიროებები და ინფორმაციაზეც ყველაზე უფრო მეტად მიუწვდება ხელი, ამდენად სწორედ ის განისაზღვრა მაკოორდინირებელ ერთეულად.

მიუხედავად იმისა, რომ კოდექსი კანონის დონეზე ითვალისწინებს და განსაზღვრავს იმ ძირითად საკითხებს, რომელიც აუცილებელია უწყებათაშორისი კოორდინაციის კუთხით, მიჯნავს უფლებამოსილებებს სხვადასხვა სახელმწიფო ორგანოებთან მიმართებით, ეს ყველაფერი წარმოადგენს კანონმდებლის არსებით გადაწყვეტილებებს. თუმცა, სხვადასხვა ერთეულების კოორდინირებულ მუშაობას აუცილებლად სჭირდება პროგრამებისა და კანონქვემდებარე აქტების დონეზე დეტალური გაწერა. ოპერაციული ღონისძიების უნდა გაიმიჯნოს დეტალური წესები, რომელიც ყველა წვრილმანს გაითვალისწინებს. კანონმდებლის ფუნქციაა, მიიღოს გადაწყვეტილება არსებით საკითხებზე⁴⁹, ხოლო კანონქვემდებარე აქტების დონეზე, კი, დეტალები უნდა გაიწეროს. ეს უკანასკნელი

⁴⁸ იხ. Reiner Pröll *Grundwissen Kommunalpolitik: 8. Kommunale Jugend-, Familien-, Bildungs-, und Sozialpolitik* (Friedrich-Ebert-Stiftung 2018), გვ. 21. ხელმისაწვდომია <www.libraryfes.de>

⁴⁹ ადგილობრივი თვითმმართველობის კონტექსტში არსებითი გადაწყვეტილებების მიღების ვალდებულების (Wesensgehaltslehre) შესახებ იხ. Gregory Garloff *Die Angemessenheit von Unterkunftskosten nach SGB II im Spannungsfeld zwischen Staatsgewalten* (Kassel University Press 2020 Kassel) გვ. 197.

კი, იმ ორგანოს ვალდებულებაა, რომლის უფლებამოსილებასაც შესაბამისი საკითხის განხორციელება განეკუთვნება.

მთელი რიგი კანონქვემდებარე აქტები, რაც გაწერილია ბავშვის უფლებათა კოდექსის 99-ე მუხლით, ჯერ კიდევ არ არის მიღებული. შესაბამისად, არ არსებობს ოპერაციული პროცედურები, რაც საბოლოო ჯამში სახელმწიფო ორგანოთა კოორდინირებულ მუშაობას უშლის ხელს, რომლის შუაგულში, ბავშვის უფლებათა კოდექსის მიხედვით, მუნიციპალიტეტია.

4. მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელების პრინციპები და ნორმები

მუნიციპალიტეტის ბავშვის უფლებათა დაცვის ფუნქციის განხორციელების მთავარ შინაარსობრივ საფუძველს წარმოადგენს ბავშვის უფლებათა კოდექსი. ეს დანაწესი მომდინარეობს ბავშვის უფლებათა კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილიდან. ყველა ის უფლება, პრინციპი თუ ნორმა, რომელიც გათვალისწინებულია პირველი წიგნის მეორე თავში (ბავშვის უფლებები და თავისუფლებები), ასევე, მეორე წიგნში (ბავშვის დაცვისა და მხარდაჭერის სისტემა), სავალდებულოა მუნიციპალიტეტებისთვის საკუთარი უფლებამოსილების ფარგლებში. მათ შორის, ბავშვის საუკეთესო ინტერესების უპირატესი გათვალისწინება, თანასწორობა, ბავშვის მონაწილეობა მასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას, მულტიდისციპლინარული მიდგომა, ბავშვზე მორგებული ადმინისტრაციული წარმოება და სხვ.

აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტი, როგორც ხელისუფლების განმახორციელებელი ორგანო ადგილებზე, ვალდებულია, ასევე, საერთაშორისო სამართლით. პირველყოფილსა, უნდა აღინიშნოს ბავშვის უფლებათა კონვენცია⁵⁰, რომელიც საქართველოს ნორმათა იერარქიულ სისტემაში ორგანულ კანონზე მაღალი დონე უჭირავს, როგორც საერთაშორისო კონვენციას⁵¹ და ბოჭავს მათ შორის, ადგილობრივ თვითმმართველობებს. ასევე, აღსანიშნავია ევროპის ადამიანის უფლებათა კონვენცია და მის საფუძველზე, სტრასბურგის სასამართლოს იურისდიქცია.

5. მუნიციპალიტეტის საქმიანობის ზედამხედველობა

ბავშვის უფლებათა კოდექსი მუნიციპალიტეტების საქმიანობის რამდენიმე დონეს გამოკვეთავს. მათი ერთობლიობა ქმნის ერთიან სისტემას, სადაც თუ ყველა საზედამხედველო რგოლი გამართულად ფუნქციონირებს, ბავშვის უფლებები მაქსიმალურადაა დაცული.

⁵⁰ ყველა შესაბამისი, მათ შორის, თვითმმართველობის ორგანოების კონვენციით ბოჭვის საკითხები დეტალურად იხ. S Schmahl *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar* (2. Aufl. Nomos 2017 Baden-Baden), გვ. 107.

⁵¹ იხ. „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-7 მუხლის მე-3 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის კუთხით, ზოგადად, გამოჰყოფენ სამართლებრივ და დარგობრივ ზედამხედველობას, რომელიც დეტალურად არის კანონით გაწერილი⁵², ისევე როგორც, მუნიციპალიტეტის ორგანოების აუდიტი⁵³. იგივე წესები ვრცელდება ბავშვის უფლებათა კოდექსით განსაზღვრულ სფეროებში

თუმცა, კოდექსი უფრო შორს მიდის და მათ შორის, მუნიციპალიტეტების ზედამხედველობისათვის სხვა მნიშვნელოვან მექანიზმებსაც დეტალურად განსაზღვრავს ბავშვის უფლებათა დაცვის ეფექტიანობის ასამაღლებლად.

პირველ რიგში უნდა აღინიშნოს საპარლამენტო ზედამხედველობა. პარლამენტის ფარგლებში ხაზი უნდა გაესვას ბავშვის უფლებათა საბჭოს, რომელიც ბავშვთან დაკავშირებულ საკითხების ზედამხედველობის კოორდინაციის მთავარი ორგანოა.⁵⁴ თუმცა, იმავდროულად პარლამენტს შეუძლია ძლიერი საზედამხედველო ბერკეტების გამოყენება საკომიტეტო მოსმენებისა თუ ყველა სხვა მიმართულებით⁵⁵.

მუნიციპალიტეტის საქმიანობის კონტროლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ბავშვის უფლებათა დაცვის მექანიზმი სასამართლოა⁵⁶. ბავშვის უფლებათა კოდექსის ერთ-ერთი მთავარ ქვაკუთხედს მისი შემუშავების საწყისი ეტაპიდანვე წარმოადგენდა მიდგომა, რომ ბავშვის უფლებები არ უნდა დარჩეს დეკლარაციულ დონეზე, არამედ უნდა იყოს ქმედითი. ამ ქმედითობის უზრუნველყოფის ერთ-ერთი მთავარი ინსტრუმენტი სწორედ სასამართლოა. მით უფრო, თუ გავითვალისწინებთ, რომ თავად ბავშვები აღჭურვა ბავშვის უფლებათა კოდექსმა უფლებათა დარღვევის ფაქტებზე სასამართლოსადმი მიმართვის უფლებამოსილებით თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად. რადგან კოდექსი მუნიციპალიტეტებს ფართო უფლებამოსილებას აძლევს, შესაბამისად, მუნიციპალიტეტების მიმართ სასამართლო კონტროლი ბავშვის უფლებათა დაცვის ნაწილში მნიშვნელოვნადაა გაზრდილი და ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტების გაძლიერებისა და მოქალაქეთა, მათ შორის ბავშვთა ცნობიერების ამაღლების კვალდაკვალ კიდევ უფრო გაიზრდება.

სახალხო დამცველი წარმოადგენს ზედამხედველობის კიდევ ერთ დონეს⁵⁷, რომელიც მათ შორის, უფლებამოსილია, როგორც მუნიციპალიტეტების აქტების ბავშვის უფლებებთან შესაბამისობის, ასევე, ფაქტობრივი დარღვევების გამოსავლენად.

⁵² იხ. „ადგილობრივი თვითმმართველობათა კოდექსის“ XVI თავი.

⁵³ იხ. „ადგილობრივი თვითმმართველობათა კოდექსის“ XVII თავი.

⁵⁴ ბავშვის უფლებათა საბჭოს დეტალური ფუნქციების შესახებ. იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 77¹ მუხლი.

⁵⁵ საპარლამენტო კონტროლის ყველა მექანიზმი. იხ. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის XIII თავში.

⁵⁶ იხ. ბავშვის უფლებათა კოდექსის 95-ე მუხლი.

⁵⁷ იხ. ბავშვის უფლებათა კოდექსის 97-ე მუხლი.

6. დასკვნა

ბავშვის უფლებათა კოდექსმა რევოლუციური ცვლილებები მოიტანა ადგილობრივი თვითმმართველობებისთვის ბავშვის უფლებების, მისი დაცვისა და მხარდაჭერის უფლებამოსილებების სფეროში. მუნიციპალიტეტი განისაზღვრა ამ სისტემის შუაგულში ადგილობრივ მოსახლეობასთან, ოჯახებთან მისი განსაკუთრებული სიახლოვის გათვალისწინებით და შესაბამისად, ბავშვთა კეთილდღეობის მიზნის მისაღწევად. ის არის საკუთართან ერთად ყველა სხვა სახელმწიფო სერვისის, ადგილობრივი თუ საერთაშორისო კერძო თუ იურიდიული პირის კოორდინაციის შუაგულში ადგილებზე, რომელიც ბავშვთან დაკავშირებულ საკითხებთან პირდაპირი თუ ირიბი შეხება აქვს.

კანონმდებლის ეს გადაწყვეტილება, ერთი მხრივ, განპირობებული იყო ბავშვის უფლებათა დაცვის გაუმჯობესების სურვილით. რადგან, რაც არ უნდა კარგად გამართული კონკრეტული სახელმწიფო სერვისი ფუნქციონირებდეს, თუ არ აქვს ადგილობრივი გამოწვევებისა და საკითხების მიმართ მგრძობელობა და თუ ის მჭიდრო კოორდინაციაში არ არის სხვა ორგანოების სერვისებთან, თუ ერთმა უწყებამ არ იცის რას აკეთებს მეორე უწყება და მათი საქმიანობა არ არის კოორდინირებული, იხარჯება მეტი რესურსი და მიიღება ნაკლები შედეგი. ეს კი, თავის მხრივ, ბავშვების კეთილდღეობაზე ნეგატიურად აისახება. მეორე მხრივ, კანონმდებლის გადაწყვეტილება მოტივირებული იყო, როგორც მმართველი პოლიტიკური გუნდის ადგილობრივი თვითმმართველობების გაძლიერების პროცესის ნაწილი.

თუმცა, იმავდროულად, კანონმდებელმა გამოიჩინა სიფრთხილე და მუნიციპალიტეტისთვის საკუთარ უფლებამოსილებებთან ერთად, დელეგირებული უფლებამოსილებებიც განსაზღვრა, რაც გაწერილია ბავშვის უფლებათა კოდექსში. ეს მუნიციპალიტეტს აძლევს მოქნილობას, საკუთარი რესურსის ფარგლებში მაქსიმუმი გააკეთოს ბავშვის უფლებათა რეალიზებისა და ოჯახების გაძლიერებისთვის. იმავდროულად, მოქნილობა აქვთ სახელმწიფო სტრუქტურებს, რომლებსაც მუნიციპალიტეტების მხარდი მზაობის კვალდაკვალ უფრო მეტი ადგილობრივი მნიშვნელობის ფუნქციები შეუძლიათ გადასცენ მათ და იმავდროულად, შეუძლიათ ისინი აკონტროლონ, რომ განსაკუთრებით, პირველ ეტაპზე, სწორად მოხდეს ბავშვის უფლებათა რეალიზება.

მუნიციპალიტეტების გაძლიერების ჭრილში უნდა განვიხილოთ ბავშვის უფლებათა სფეროში კონტროლის ის რამდენიმე დონე, რომელიც სახელმწიფო კონტროლთან ერთად, ბავშვის უფლებათა კოდექსმა განსაზღვრა. კონტროლის მექანიზმების ეს მრავალფეროვნება მუნიციპალიტეტებისადმი უნდობლობის გამოხატულებად კი არა, მათ გაძლიერების სურვილით მოტივირებულად უნდა იქნეს აღქმული, ვინაიდან, სწორედ ერთობლივი ძალისხმევა უზრუნველყოფს საბოლოო ჯამში წარმატების მიღწევას.

პირველ ეტაპზე წარმოუდგენელია ქართულ რეალობაში სუსტად განვითარებული მუნიციპალიტეტების მიერ ბავშვთა უფლებების დაცვის იმ ხარისხის უზრუნველყოფა, რომელსაც კოდექსი ითვალისწინებს. თუმცა, რადგან ბავშვის უფლებათა დაცვა მუდმივ

დახვეწას საჭიროებს, ამ საკითხსაც პრაგმატული მიდგომა სჭირდება. ნაბიჯ-ნაბიჯ, ინსტიტუციური მშენებლობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. კილაძე ს, ტურავა პ. 2021. *ბავშვის უფლებათა კოდექსის სახელმძღვანელო კომენტარები*. თბილისი: იურისტების სამყარო.
2. კილაძე ს, ფიცხალაშვილი ა. 2018. *სოციალური მუშაობის სამართლის სახელმძღვანელო*. თბილისი: ფრიდრიხ-ებერტის ფონდი.
3. BVerfG 1, 167-184.
4. Frank G., Langrehr HW [eds.] 2007. *Die Gemeinde: Festschrift zum 70. Geburtstag von Heiko Faber*. Tuebingen: Mohr Siebeck.
5. Garloff G., *Die Angemessenheit von Unterkunftskosten nach SGB II im Spannungsfeld zwischen Staatsgewalten*. Kassel: Kassel University Press 2020.
6. Hubmer A. 2016. Kinder-, und Jugendhilfe. Loderbauer B [Hrsg.] *Recht für Sozialberufe*. Wien: LexisNexis, გვ. 385-413.
7. *Kinder und Jugendhilfe*. 2020. Berlin: Bundesministerium fuer Familie, Senioren, Frauen und Jugend. ხელმისაწვდომია <www.bmfsfj.de>
8. Laurensius AS. The Role of Local Governments in Protection of Children Rights Based on the Law of Child Protection <osf.io>
9. Noel Z, Carmel M. 2002. *Local Government and the Provision of Child Care Services: An Essential Area for Legislative Reform*. 119 South African Law Journal გვ.138-154
10. Prölß R. 2018. *Grundwissen Kommunalpolitik: 8. Kommunale Jugend-, Familien -, Bildungs-, und Sozialpolitik*. Friedrich-Ebert-Stiftung. გვ. 21-40. ხელმისაწვდომია <www.libraryfes.de>
11. Rallings C., Temple M., Thrasher M. 1996. Participation in Local Elections. Pratchett L., Wilson D [Eds.] *Local Democracy and Local Government*. London: Macmillan.
12. Seasongood M. 1943. *The Continuing Importance of Local Self Government*. 3 Marquette Law Review 27, გვ. 133-154
13. Singh UB. 2003. *Decentralized Ddemocratic Governance in New Millennium: Local Government in the USA, UK, France, Japan, Russia and India*. New Delhi: Concept Publishing Company. გვ. 5.
14. Schmahl S. 2017. *Kinderrechtskonvention mit Zusatzprotokolle: Handkommentar*. 2. Aufl. Baden-Baden: Nomos.
15. UN Committee on the Rights of the Child. 2013. *General Comment No. 14*. UN DOC CRC/C/GC/14.
16. UNICEF. 2010. Child Protection System: Mapping and Assessment Toolkit <un.org>
17. Von Savigny FC. 1840. *System des heutigen roemischen Rechts*. Berlin: Veit und Comp.
18. Friederike Wapler. 2015. *Kinderrechte und Kindeswohl: Eine Untersuchung zum Status des Kindes im Öffentlichen Recht*. Tübingen: Mohr Siebeck.
19. ევროპის საბჭო. 1985. ევროპული ქარტია ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ. www.rm.coe.int
20. გაერთიანებული ერების ორგანიზაცია. 1989. გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია. www.matsne.gov.ge
21. საქართველო. პარლამენტი. 1994. საქართველოს კონსტიტუცია (786, 24.08.1995) თბილისი: საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge
22. საქართველო. პარლამენტი. 2009. ნორმატიული აქტების შესახებ ორგანული კანონი (1876, 22.10.2009). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე, www.matsne.gov.ge

23. საქართველო. პარლამენტი. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი (1958-III, 05.02.2014). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე, [www. matsne.gov.ge](http://www.matsne.gov.ge)
24. საქართველო. პარლამენტი. 2018. საქართველოს კანონი: სოციალური მუშაობის შესახებ (2519-III, 29.06.2018). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე, www. matsne.gov.ge
25. საქართველო. პარლამენტი. 2018. საქართველოს პარლამენტის რეგლამენტი (3875-რს, 06.12.2018). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე, www. matsne.gov.ge
26. საქართველო. პარლამენტი. 2019. საქართველოს კანონი: ბავშვის უფლებათა კოდექსი (5004-IX, 27.09.2019). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე, www. matsne.gov.ge

Realization of Child Rights in Municipalities

According to the Code on the Rights of the Child

Sopio Kiladze

Grigol Robakidze University, PhD student
sopio.kiladze20@gruni.edu.ge

Abstract. The Code on the Rights of the Child is the legislative act of utmost importance, which created legal bases for realization of the UN Convention on the Rights of the Child. Amongst other important novelties, it defines delegation of certain functions regarding child protection on municipalities, which changes attitude of Georgian state conceptually with regard to child protection. Taking into consideration, that according to Georgian Constitution, local issues should be decided at the local level and municipalities in comparison with other entities are closer to children and their families, these changes have huge positive impact, not only for ensuring child protection quality, but also for strengthening local self-governments in general. The Code on the Rights of the Child has defined municipality as the state entity in horizontal division of powers, under coordination of which are unified with child rights realization connected all state agencies, as well as public private entities implementing public functions. Also, municipalities have possibility to implement their own rights in child rights field, but at the same time, obligation to fulfill delegated rights from concrete state entities. The Code defines concrete mechanisms, which have huge importance, on the one side, for strengthening weak developed self-governments, on the other side, for ensuring child rights.

Keywords: local self-government, code on the rights of the child, child protection, coordination, child rights

დაზარალებულის გამოკითხვის ფსიქოლოგია

იოსებ წერეთელი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
tsereteliioseb@gmail.com

რეზიუმე. სტატია ეხება დაზარალებულისგან ინფორმაციის მიღების ფსიქოლოგიურ თავისებურებებს. დაზარალებული წარმოადგენს პროცესის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფიგურას. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-7 თავი ეთმობა დაზარალებულს და მის უფლება-მოვალეობებს. დაზარალებულის მიერ ობიექტური და სრული ჩვენების მიცემაზე ბევრადაა დამოკიდებული თუ რამდენად სრულყოფილად მოხდება საქმის ფაქტობრივი გარემოებების დადგენა და ქმედებისათვის სწორი სამართლებრივი შეფასების მიცემა. აქედან გამომდინარე გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს დაზარალებულის გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგიური მეთოდების სწორად და ეფექტურად გამოყენებას, დაზარალებულისათვის მოტივაციის მიცემას, რათა სრულყოფილი ინფორმაცია მიაწოდოს საქმის მწარმოებელ პირს. მოხსენების თემატიკა დაზარალებულის გამოკითხვის ფსიქოლოგიასთან არის დაკავშირებული. წინამდებარე სტატიაში ყურადღება გამახვილებული იქნება მასზე, რომ გამოკითხვის პროცესში არ მოხდეს დაზარალებულის ნებაზე უკანონო ზემოქმედება, რაც მის მიერ მიცემულ ინფორმაციას დაუშვებელ მტკიცებულებად აქცევს. უნდა აღინიშნოს, რომ ხშირ შემთხვევაში საკმაოდ პრობლემურია მიჯნის გავლება კანონით დაშვებულ ფსიქოლოგიურ ხერხსა და უკანონო ზემოქმედებას შორის და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ფსიქოლოგიური ხერხის გამოყენების დროს დაზარალებულის, მოწმის თუ პროცესის სხვა მონაწილის მიმართ საქმის მწარმოებელმა პირმა დიდი სიფრთხილე უნდა გამოიჩინოს, რათა ფსიქოლოგიური მეთოდის გამოყენების პროცესში არ მოახდინოს კანონით დაშვებული ხერხების და უკანონო მეთოდების ერთმანეთში აღრევა.

საკვანძო სიტყვები: დაზარალებული, გამოკითხვის ფსიქოლოგია, გამოძიება

შესავალი

დაზარალებული წარმოადგენს პროცესის ერთ-ერთ ცენტრალურ ფიგურას. დანაშაულებრივი ქმედების გარემოებების, მიზეზებისა და პირობების სრულყოფილად დადგენა შეუძლებელია თუ მხედველობაში არ არის მიღებული დაზარალებული პიროვნება და მის მიერ მიწოდებული ინფორმაცია. დანაშაულის მსხვერპლი დანაშაულის ჩადენის და მისი კონტროლის შესაძლებლობის მნიშვნელოვანი ელემენტია (6,755). აღნიშნული პროცესის განმავლობაში გამომძიებლისათვის ძალზედ მნიშვნელოვანია დაზარალებულთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარება. ამ დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაზარალებულის ფსიქიკური მდგომარეობა და ინდივიდუალური თავისებურებები, რაც სრული და ობიექტური ინფორმაციის მიცემის მნიშვნელოვანი წინაპირობაა. დაზარალებულის ფსიქოფიზიოლოგიური თვისებების შესწავლით, ნერვული პროცესების

თავისებურებების, მისი ტემპერამენტის გაცნობიერებით, გამომძიებელს ფაქტობრივად სრულად შეუძლია აღადგინოს მოვლენათა განვითარების ზუსტი სურათი.

დაზარალებულის მიერ ინფორმაციის მიწოდების პროცესში ცდომილებათა გამორიცხვის მიზნით პროცესის მწარმოებელმა პირმა ყურადღება უნდა გაამახვილოს დაზარალებულის ფსიქოლოგიაზე და სხვადასხვა სახის ფსიქოლოგიური ხერხების სწორად გამოყენებაზე. დადგენილია, რომ დაზარალებულის მიერ განცდილი შიში, ბრაზი, სირცხვილი, წყენა და ა.შ. უარყოფითად მოქმედებს მოვლენათა ადეკვატურად აღქმაზე, რაც საბოლოო ჯამში ფაქტების და დეტალების არასწორი შეფასების საფუძველი ხდება.

დანაშაულებრივი ხელყოფის პროცესში დაზარალებული ხშირად ფიზიოლოგიური აფექტის მდგომარეობაში ვარდება, რაც თვითკონტროლის, საკუთარ ქმედებათა მართებული შეფასებისა და რეალური ვითარების აღქმისათვის მნიშვნელოვანი ხელის შემშლელი ფაქტორია. აქვე იმასაც უნდა გაესვას ხაზი, რომ აღქმის სიმძაფრე, ძლიერი განცდები, რომელსაც დაზარალებული განიცდის დანაშაულებრივი ხელყოფის პროცესში, ხშირ შემთხვევაში აღქმის უნარს მეტად ამძაფრებს, აღრმავებს მას, რაც საბოლოო ჯამში მოვლენათა დეტალების დიდი ხნით დამახსოვრების შესაძლებლობას აძლევს დაზარალებულს. უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითხვის პროცესში დაზარალებული თავად უთითებს სხვადასხვა სახის ვერსიებს დანაშაულის და დამნაშავე პირთა შესახებ. ამ ვერსიათა უმრავლესობა ფაქტობრივ საფუძველს ხშირად მოკლებულია, თუმცა გამომძიებელმა უყურადღებოდ მაინც არ უნდა დატოვოს მსგავსი მოსაზრებები. ასეთი მოქმედება ერთი მხრივ ხელს უწყობს დაზარალებულთან ფსიქოლოგიური კონტაქტის დამყარებას და მეორე მხრივ დაზარალებულის ვერსიებში შესაძლებელია აღმოჩნდეს საქმის გახსნისათვის საჭირო მნიშვნელოვანი მოსაზრებანი. საგამომძიებო პრაქტიკაში არაერთხელ დადასტურებულა დაზარალებულის მიერ წამოყენებული ვერსიის რეალობა. სისხლისსამართლებრივი ქმედების სრულყოფილ გაგებას და გაანალიზებას მნიშვნელოვნად უწყობს ხელს ასევე კრიმინოლოგიის საგნის სწავლება (1,4). ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლა შეუძლებელია ზოგადად კრიმინოლოგიის და მისი დარგის, ვიქტიმოლოგიის, საფუძვლების გარეშე.

სტატიაში მსჯელობა იქნება დაზარალებულის გამოკითხვის ფსიქოლოგიის ზოგიერთ ასპექტზე, რომელსაც არსებითი მნიშვნელობა ენიჭება გამოკითხვის დროს დაზარალებულისგან სწორი და სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად. ამასთანავე ყურადღება იქნება გამახვილებული საპროცესო კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვაზე, რათა ფსიქოლოგიური მეთოდების გამოყენების პროცესში არ დაირღვეს კანონის ნორმები და არ მოხდეს დაზარალებულის მიერ მიცემული ინფორმაციის დაუშვებელ მტკიცებულებად ცნობა.

1. დაზარალებულის გამოკითხვის ფსიქოლოგია

საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად დაზარალებული არის პირი, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური თუ ქონებრივი ზიანი (13). დაზარალებული წარმოადგენს ერთ-ერთ მნიშვნელოვან

საპროცესო ფიგურას, რომლის სრულყოფილად დაკითხვაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული დანაშაულის გახსნა და დამნაშავე პირის დასჯა. როგორც აღვნიშნეთ დაზარალებულის ფსიქოლოგიის შესწავლა შეუძლებელია კრიმინოლოგიის უმნიშვნელოვანესი დარგის, ვიქტიმოლოგიის მეცნიერების გარეშე. ვიქტიმოლოგია შეისწავლის დანაშაულის მსხვერპლის პიროვნებას, მის მსხვერპლად გახდომის გარემოს, მის საქციელს, როგორც მსხვერპლად გახდომის მომენტში, ასევე მას შემდეგ და მსხვერპლად გახდომით გამოწვეულ შედეგებს (1,12).

დაზარალებულისგან სრულყოფილი ინფორმაციის მიღება დამოკიდებულია პროცესის მწარმოებლის პროფესიონალიზმზე. ინფორმაციის მიღების პროცესში განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს დაზარალებულის დაკითხვის ფსიქოლოგიაზე.

პიროვნების წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენ პირთა 75-80% დაზარალებულთან აქვს ნათესაური, ინტიმური, სამსახურებრივი ან სხვა სახის ახლობლური ურთიერთობა და როგორც წესი, დანაშაულებრივი ქმედება წარმოადგენს მათ შორის არსებული კონფლიქტის უკანასკნელ ფაზას (11,105). აქვე უნდა აღინიშნოს, რომ დამნაშავემ შესაძლებელია უმოქმედობითაც ჩაიდინოს დანაშაული, როცა თავს არიდებს სპეციალური ზრუნვის ვალდებულებას, მეტიც პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს იმ შემთხვევაშიც, როცა დაზარალებულზე სპეციალური ზრუნვის ვალდებულება არ აკისრია (2,150). პირი შეიძლება მსხვერპლი გახდეს სტიქიური უბედურების დროს, ადამიანის ორგანიზმში მიმდინარე ფიზიოლოგიური და პათოლოგიური პროცესებით (3,150), „დანაშაულებრივი ქმედებებით“ და სხვ.

უმნიშვნელოვანესია, გამომძიებელს შეემლოს დაზარალებულის შეფასება მის ქცევაზე ყურადღებით დაკვირვების შედეგად. დაკვირვების პროცესში გამომძიებელმა უნდა მართოს საკუთარი ფსიქიკური მდგომარეობა. კარგი გამომძიებელი, საკუთარ ემოციური სფეროსა და ნებელობის კონტროლის შედეგად შეძლებს, კანონის ფარგლებში, სასურველი მიმართულებით წარმართოს დასაკითხი პირის ემოციები. გამომძიებელს ხშირად უწევს დაზარალებულის ღრმა დეპრესიიდან გამოყვანა და მხოლოდ ამის შემდგომ მასთან დიალოგზე გადასვლა. ეს უპირველესად ეხება დაზარალებულსა და მოწმეებს, რომლებიც, სხვადასხვა ფსიქოლოგიური ფაქტორების ზემოქმედებით, შეიძლება იყვნენ დათრგუნულ, რის გამოც იმყოფებოდნენ დეპრესიულ მდგომარეობაში. გამომძიებელი ვალდებულია, ყურადღება მიაქციოს ასეთ მდგომარეობას, სწორად განსაზღვროს მისი მიზეზები და სპეციალური ფსიქოლოგიური ხერხებით მოახდინოს ასეთი მდგომარეობის ლიკვიდაცია და მოუხსნას დასაკითხს ნერვული დამაბულობა. ასეთ უნარ-ჩვევებს განეკუთვნება: გულღიაობა, ემოციური მდგრადობა, ადამიანის მოსმენის და მასთან საუბრის უნარი, ადამიანის შინაგანი სამყაროს შეცნობის უნარი, თავაზიანობა, გულისხმიერება, თავშეკავებულობა და ა.შ. (5,108).

დაზარალებულის მიერ მიცემული ინფორმაცია გამომძიებელმა უნდა შეიტანოს გამოკითხვის ოქმში, რომელშიც დეტალურად უნდა აისახოს გამოკითხვის მთელი პროცესი, მათ შორის გამომძიებლის მიერ დასმული კითხვები, წარდგენილი

დოკუმენტები და ნივთიერი მტკიცებულებები, ასევე შეძლებისდაგვარად დეტალურად უნდა იქნეს დაფიქსირებული დაზარალებულის მიერ შეკითხვებზე გაცემული პასუხები.

დაზარალებულის გამოკითხვამდე გამომძიებელმა უნდა განსაზღვროს იმ საკითხთა წრე, რომლის გარკვევაც მას სურს. ამ დროს გამომძიებელმა უნდა გაითვალისწინოს დაზარალებულის ფსიქოლოგიური თავისებურებები, მისი დამოკიდებულება ბრალდებულის და მართლმსაჯულების მიმართ. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს იმაზე, თუ რა ვითარებაში აღიქვა მან დანაშაულებრივი ქმედება, თუ როგორ ფსიქოლოგიურ მდგომარეობაში იმყოფებოდა დაზარალებული დანაშაულის ჩადენის მომენტში და მის შემდგომ პერიოდში. მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ის გარემოება, რომ დანაშაულებრივი ქმედების მომენტში დაზარალებულის შემეცნება მკვეთრად მცირდება, შესაძლებელია ადგილი ქონდეს შოკსა და რეალობის არაადეკვატურ აღქმას. განსაკუთრებით ხშირია მოვლენათა თანმიმდევრობის აღრევა, ერთი ობიექტის ნიშნების სხვა ობიექტისათვის მიკუთვნება.

2. გამომძიებლის და დაზარალებულის ურთიერთობა

დაზარალებულთან გამომძიებლის ურთიერთობის დროს მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული დაზარალებულის, როგორც ფსიქიკური ტრამვის მატარებლის, მდგომარეობა, რომელსაც აქვს მართლმსაჯულების მხარდაჭერის და დაცვის იმედი. ამდენად გამომძიებლის მხრიდან მცირედი უყურადღებობა და ეჭვი მძაფრად აღიქმება დაზარალებულის მხრიდან, აძლიერებს მის უარყოფით ემოციურ მდგომარეობას. აქედან გამომდინარე გამომძიებლის ამოცანაა დაზარალებულის მაქსიმალური დამშვიდება, მისი დარწმუნება იმაში, რომ დანაშაული ობიექტურად და სრულყოფილად იქნება გამოძიებული.

დაზარალებულთა ფსიქიკური თავისებურებებიდან გამომდინარე ზოგიერთ შემთხვევაში აუცილებელია მათი განმეორებითი გამოკითხვა. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ დაზარალებულმა შესაძლებელია ვერ მიუთითა დანაშაულის ყველა დეტალზე მისი ემოციური მდგომარეობიდან გამომდინარე, ხოლო გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ შესაძლოა გაახსენდეს დანაშაულებრივ ქმედებასთან ან დამნაშავესთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი გარემოებები. ჩატარებული კვლევებით დადგენილია, რომ ადამიანს აღქმული ინფორმაციის ნახევარი ავიწყდება პირველ 30 წუთში, 9 საათის განმავლობაში 2/3, 3 დღის განმავლობაში 3/4 და 4/5 ერთი თვის განმავლობაში (7,12).

დაზარალებულის გამოკითხვისას მხედველობაშია მისაღები ცხოვრებისეული ვითარება, რომელშიც ის აღმოჩნდა დანაშაულის შემდეგ. ამასთანავე აუცილებლად უნდა იქნეს მიღებული შესაბამისი ზომები, რათა თავიდან იქნეს აცილებული დაზარალებულზე დაინტერესებულ პირთა მხრიდან ზემოქმედება (საცხოვრებელი და სამუშაო ადგილის შესახებ ინფორმაციის გაუმჟღავნებლობა, დაინტერესებულ პირთა მხრიდან დაზარალებულთან ნებისმიერი კონტაქტის შემთხვევაში სამართალდამცავი ორგანოების ინფორმირება).

3. დაზარალებულის გამოკითხვის მომზადება

დაზარალებულის გამოკითხვის მომზადება შემდეგი სახის ფსიქოლოგიურ ასპექტებს მოიცავს:

1. საქმის მასალების ანალიზს და იმ საკითხთა ჩამონათვალის, რომელიც უნდა იქნეს გამოკვლეული;
2. დაზარალებულის პიროვნულ შესწავლას;
3. შედეგიანი გამოკითხვისათვის აუცილებელი პირობების შექმნას;
4. გამომძიებლის სწორ მოქმედებას.

დაზარალებულის გამოკითხვის მთავარ კომპონენტს წარმოადგენს გამოკითხვის გეგმა, რომლის მეშვეობითაც ხდება გამოძიებისათვის საინტერესო საკითხების განსაზღვრა და მათი რიგითობის დადგენა. გამოკითხვამდე აუცილებელია საქმის მასალების შესწავლა, იმ მტკიცებულებათა ანალიზი, რომელიც დაკავშირებულია გასარკვევ საკითხებთან. თუ გამომძიებელი არასაკმარისად არის მომზადებული გამოკითხვისათვის, დიდი ალბათობით გამოკითხვას ჩაატარებს არამიზანმიმართულად. ბუნებრივია გამომძიებლის მსგავსი ქცევა არ დარჩება შეუმჩნეველი დაზარალებულს, რაც გააძლიერებს მის მღელვარებას, გაართულებს მოვლენათა აღდგენისა და გახსენების პროცესს, რაც საბოლოო ჯამში უარყოფითად აისახება გამოკითხვის შედეგზე. ხოლო იმ შემთხვევაში, როცა დაზარალებული წინასწარი შეცნობით ცრუ ინფორმაციას აწვდის გამომძიებელს ამ უკანასკნელის მოუმზადებლობა მეტად თავდაჯერებულს გახდის დაზარალებულს.

დაზარალებულის პიროვნული შესწავლა გულისხმობს მისი ბიოგრაფიული მონაცემების და მნიშვნელოვანი სახის ფსიქოლოგიური თავისებურებების ცოდნას, აგრეთვე იმ ვითარების შესწავლას, რომლის დროსაც მან აღიქვა დანაშაულებრივი ქმედება და სხვ. ზოგადი წესის მიხედვით დაზარალებული რაც შეიძლება მალე უნდა გამოიკითხოს. თუმცა ამ წესიდან არსებობს გამონაკლისი, კერძოდ, თუ დანაშაულის ჩადენის მომენტში დაზარალებული იყო ადევნებული, დამაბული, დაზნეული, ასეთ შემთხვევაში უმჯობესია გამოკითხვის გადადება.

გამოცდილი გამომძიებლები გამოკითხვის პროცესში, კანონის ფარგლებში, გარკვეული სახით ზემოქმედებენ გამოსაკითხზე. ზემოქმედების დროს არ უნდა დაირღვეს კანონმდებლობა, რადგანაც საპროცესო კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების თანახმად დაუშვებელია ადამიანის ნების თავისუფლებაზე ზემოქმედება წამების, ძალადობის, სასტიკი მოპყრობის, მოტყუების, სამედიცინო ჩარევის, ჰიპნოზის, ასევე სხვა ისეთი ღონისძიებების გამოყენებით, რომელიც ზემოქმედებს ადამიანის მეხსიერებაზე ან აზროვნებაზე. აგრეთვე დაუშვებელია მუქარა ან ისეთი შელავათების დაპირება, რომელიც კანონით არ არის გათვალისწინებული (12). ასეთი გზით მიღებული ჩვენება უკანონოა და მოპოვებული მტკიცებულება დაუშვებელი. აქედან გამომდინარე დაზარალებულის გამოკითხვის პროცესში ფსიქოლოგიური ხერხების გამოყენების დროს გამოსაკითხმა პირმა არ უნდა დაარღვიოს საპროცესო კანონმდებლობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი

პრინციპი, რომელიც გულისხმობს პიროვნების ღირსების ხელშეუვალობას და მასზე კანონსაწინააღმდეგო ზემოქმედების მოხდენას. ამ მხრივ საინტერესოა პრაქტიკიდან აღებული ერთ-ერთი მაგალითი. ზარაფხანიდან მოიპარეს ბრილიანტის თვლები. გამოძიებას ჰქონდა ინფორმაცია იმის შესახებ, რომ აღნიშნული ბრილიანტები მოპარული ჰქონდა საწარმოს საცავის უფროსს. მოპოვებული ოპერატიული ინფორმაციით საცავის უფროსი ბრილიანტებს ინახავდა ვალიდოლის წამლის ყუთში. გამომძიებელმა გამოკითხვაზე დაიბარა საცავის უფროსი, რა დროსაც მაგიდაზე, გამოსაკითხისათვის შესამჩნევ ადგილზე, დადო ცარიელი ვალიდოლის ყუთი. გამოკითხვის პროცესში მან კითხა საცავის უფროსს „თქვენ ფიქრობთ, რომ ყუთში ვალიდოლია?“ საცავის უფროსი დარწმუნებული იყო იმაში, რომ გამოძიებამ ამოიღო ბრილიანტები და მისცა აღიარებითი ჩვენება.

არის თუ არა გამომძიებლის მიერ გამოყენებული ფსიქოლოგიური ხერხი უკანონო? ვფიქრობთ, რომ მოცემულ შემთხვევაში გამომძიებლის მოქმედება კანონიერია, რადგანაც მან გამოიყენა ფსიქოლოგიური ხერხი და მიიღო აღიარებითი ჩვენება, მას არ მოუტყუებია გამოსაკითხი პირი.

დაზარალებულისთვის მისი დაზარების მიზეზის განმარტების შემდეგ გამომძიებელმა უნდა მოისმინოს მისი თავისუფალი თხრობა, ეს დაზარალებულს აძლევს კონცენტრაციის და წარსულში მომხდარი მოვლენის დეტალიზირების შესაძლებლობას. ამ დროს გამომძიებელს არ სჭირდება მისახვედრი შეკითხვების დასმა და გამოსაკითხზე ზემოქმედების მოხდენა.

თავისუფალი თხრობის პროცესში ან მისი დასრულებისთანავე, თუ გამომძიებელი შენიშნავს, რომ დასაკითხი პირი გასცდა საქმისათვის საინტერესო საკითხებს ან თავს არიდებს მათ, მას შეუძლია დაუსვას დამატებითი დამაზუსტებელი ან საკონტროლო კითხვები. ამავდროულად გამომძიებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს შეკითხვების დასმის ფორმას, საკუთარ ინტონაციას, უნდა აკონტროლოს საკუთარი ჟესტები და მიმიკა, რადგანაც მსგავსი ქცევით შესაძლებელია ზემოქმედება მოახდინოს გამოსაკითხზე. ამავდროულად დაუშვებელია მიმანიშნებელი კითხვების დასმა. თუმცა მიმანიშნებელი შეკითხვების დასმის დაუშვებლობის მოთხოვნა შეუძლებელია დაცული იქნეს სრულად, რადგანაც ზემოქმედების ელემენტებს შეიცავს გამომძიებლის ხმის ინტონაციის შეცვლა, გარკვეულ კითხვებზე აქცენტის გაკეთება, ჟესტები და მიმიკა (8.43).

ზოგიერთ შემთხვევაში დაზარალებული შეგნებულად არასწორ ინფორმაციას აწვდის საგამომძიებო ორგანოებს. ამ დროს აუცილებელია ცრუ ინფორმაციის მიწოდების მოტივის დადგენა, რის შემდეგაც გამომძიებელი უნდა შეეცადოს დაარწმუნოს არაკეთილსინდისიერი დაზარალებული პოზიციის შეცვლის აუცილებლობაში.

გამოკითხვის პროცესში დაზარალებულის მდგომარეობის განსაზღვრის მიზნით უნდა მოხდეს მასზე დაკვირვება. ამ დროს ყურადღება უნდა გამახვილდეს მის გარეგნულ იერზე, ქცევაზე, ინფორმაციის მიწოდების პროცესში მის რეაქციაზე (საუბრის ტემპი, გამეორება და სხვ.). მაგ. მოულოდნელი სპაზმები, ზგერის სიჩქარისა და რიტმის

ცვალებადობა, ხშირი და ზედაპირული სუნთქვა განიხილება, როგორც დამაბულობისათვის დამახასიათებელი ნიშნები (9,134).

დანაშაულის გამოძიების პროცესში ხშირად დგება დანაშაულის ჩადენის ზუსტი დროის დადგენის აუცილებლობა. აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა დადგინდეს განსაზღვრულ ადგილზე ბრალდებულის ყოფნის ფაქტი, თვითმხილველთა ვინაობა და საქმისათვის მნიშვნელოვანი სხვა გარემოებანი.

ისეთი დანაშაულის გამოძიების დროს, რომლისთვისაც დამახასიათებელია სწრაფად დენადი ხასიათი და აღქმის ხანმოკლეობა, მიზანშეწონილია მოხდეს რაც შეიძლება მეტი მოწმის და დაზარალებული პირის დადგენა, მათ მიერ მიწოდებული ინფორმაციის ურთიერთმედარების მიზნით. გამომძიებელს შეუძლია ხელი შეუწყოს დაზარალებულს ამა თუ იმ მოვლენის ზუსტი დროის გახსენებაში, რა დროსაც უნდა გამოიყენოს ე.წ. ქრონომეტრაჟის მეთოდი. ამ დროს ათვლის წერტილად აიღება დაზარალებულისათვის ცნობილი რომელიმე მოვლენა და ყველა მნიშვნელოვანი ფაქტი განისაზღვრება ამ მოვლენასთან მიმართებაში.

გამოკითხვის დასკვნით ეტაპზე გამომძიებელი აფიქსირებს დაზარალებულის მიერ მიწოდებულ ინფორმაციას, კერძოდ, საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისად ადგენს გამოკითხვის ოქმს. საჭიროების შემთხვევაში გამომძიებელი ახდენს გამოკითხვის პროცესის ვიდეო ან / და აუდიო ჩაწერას. გამოკითხვის ოქმს ყოველ გვერდზე ხელმოწერით ადასტურებს დაზარალებული, ხოლო ოქმის ბოლოს ხელს აწერს გამომძიებელი.

დაზარალებულის მიერ მიწოდებული ინფორმაციის მიმართ ნეიტრალური დამოკიდებულება სავალდებულო უნდა იყოს გამომძიებლისათვის. ამ უკანასკნელის მხრიდან დაუშვებელია უხეშობა, დაცინვა, უნდობლობა, უყურადღებობა, სიჩქარე და ა.შ. (10,134).

დაზარალებულის გამოკითხვა საჭიროებს მისი პიროვნების სიღრმისეულ ფსიქოლოგიურ შესწავლას. აღნიშნული შესაძლებლობას იძლევა ანტისაზოგადოებრივი შეხედულებების მქონე, საზოგადოებრივი მორალის დამრღვევ, სასტიკი და მშიშარა ბუნების მატარებელ დაზარალებულებზე განხორციელდეს აღმზრდელი სახის ზემოქმედებანი (13).

და ბოლოს შეიძლება ითქვას, რომ გამოკითხვის პროცესში გამომძიებელსა და დაზარალებულს შორის ადგილი აქვს ინფორმაციის ურთიერთგაცვლას, რა დროსაც გამოიყოფა ორი ასპექტი: ინფორმაციის სიტყვიერი გაცვლა და დაზარალებულის მდგომარეობის შესახებ ინფორმაციის მიღება და მის ქმედებასა და გარეგნულ იერზე დაკვირვება (ჟესტები, მიმიკა, კანის ფერზე დაკვირვება და ა.შ.).

ზემოაღნიშნულ ფსიქოლოგიურ თავისებურებათა მხედველობაში მიღებით შესაძლებელია გამოკითხვის პროცესში დაზარალებულისაგან მიღებული იქნეს სრული და ობიექტური სახის ინფორმაცია და მინიმუმდე იქნეს დაყვანილი დაზარალებულის მხრიდან გამოძიებისათვის ხელის შეშლის მცდელობა.

დასკვნა

სტატიაში განხილული იქნა დაზარალებულის ფსიქოლოგიური თვისებურებები, რა დროსაც ყურადღება გამახვილდა მის ქცევაზე, როგორც დანაშაულის ჩადენამდე აგრეთვე დანაშაულის ჩადენის მომენტში და ჩადენის შემდგომ პერიოდში. ამავდროულად მიმოხილული იქნა დაზარალებულის ინდივიდუალურ-ფსიქოლოგიური თავისებურებები და მოხდა ზოგიერთი მონაცემის განზოგადება.

ბუნებრივია ერთი მოხსენების ფარგლებში შეუძლებელია ზემოაღნიშნული თემატიკის სრულყოფილი კვლევა, თუმცა შევეცადეთ გაგვეხილა დაზარალებულის გამოკითხვის ფსიქოლოგიის ზოგიერთი მნიშვნელოვანი ასპექტი.

ვფიქრობთ დაზარალებულის ფსიქოლოგიური თავისებურებების შესწავლა ხელს შეუწყობს საგამომიებო მოქმედებათა, მათ შორის გამოკითხვის პროცესის, ეფექტურად ჩატარებას და პრაქტიკული რეკომენდაციების შემუშავებას.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე მიგვაჩნია, რომ დაზარალებულის ფსიქოლოგიური თავისებურებების და გამოკითხვის ფსიქოლოგიური ასპექტების შესწავლა დაეხმარება პრაქტიკოსს მუშაკებს დანაშაულის მიზეზების და პირობების დადგენაში და ახალ მტკიცებულებათა აღმოჩენაში, რაც საქმის სრულყოფილი გამომიების და სასამართლო განხილვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შალიკაშვილი მ. 2011. ვიქტიმოლოგია - მეცნიერება დანაშაულის მსხვერპლის შესახებ. თბილისი. მერიდიანი.
2. წულაია ზ. 2000. კრიმინოლოგია. თბილისი. მერიდიანი.
3. ლეკვეიშვილი მ. და ავტ. კოლ. 2008. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი (წიგნი 1). თბილისი. მერიდიანი.
4. შალიკაშვილი მ. 2011. კრიმინოლოგია. თბილისი. მერიდიანი.
5. ახალაშვილი ნ. 2008. იურიდიული ფსიქოლოგიის საფუძვლები დამხმარე სახელმძღვანელო. წიგნი 2. თბილისი. უნივერსალი.
6. Schneider. H. 1987.
7. Ebbinhaus H. 1885. Uber das Gedochtniss. Untersuchungen und experiementellen Psychologie. Leipzig.
8. Horoszowskij P. 1958. Kryminalistyczna.
9. Шибутани Т. 1969. Социальная психология. Москва.
10. Строгович М. 1974. Проблемы судебной этики. Москва.
11. Чуфаровский Ю. 1997. Юридическая психология. Москва.

სახელისუფლებო დოკუმენტები:

12. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 22.07.1999. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი. #22-87რს.<https://matsne.gov.ge/>

ვებ-გვერდები:

13. <http://www.koob.ru>

Victim Survey Psychology

Ioseb Tsereteli

Grigol Robakidze University, PhD student
tsereteliioseb@gmail.com

Abstract. The article deals with the psychological peculiarities of receiving information from the victim. The victim is one of the important figures in the process. Chapter 7 of the Criminal Procedure Code of Georgia is dedicated to the victim and his / her rights and responsibilities. Much depends on the victim giving an objective and complete testimony on how well the factual circumstances of the case will be established and a correct legal assessment will be given for the action. Therefore, it is crucial to use psychological methods correctly and effectively in the process of interviewing the victim, to motivate the victim to provide complete information to the person making the case. The topic of the report is related to the psychology of victim surveying. The present article will focus on the fact that the interrogation process does not illegally affect the will of the victim, which makes the information provided by him as inadmissible evidence. It should be noted that in many cases it is quite problematic to draw a line between the psychological method allowed by the law and the unlawful influence, and in each case the person making the psychological method should be very careful not to use the psychological method in the process of applying the psychological method. Mixing of allowed methods and illegal methods.

Keywords: Victim, Survey psychology, Investigation

შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ვალდებულების უხეში დარღვევისა და სხვა ობიექტური გარემოებების საფუძველზე

ზურაბ მორჩაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
Morchadze.zura11@gmail.com

რეზიუმე. წარმოდგენილი სტატია შეეხება დღესდღეობით საკმაოდ აქტუალურ თემას, რომელიც საინტერესოა ნებისმიერ სფეროში მოღვაწე ადამიანისთვის, განურჩევლად მათი სქესის თუ პროფესიული მიღწევებისა. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა ერთნაირად აინტერესებს და სჭირდება ყველა კატეგორიის ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში. შრომითი ურთიერთობის წარმოშობა, ვალდებულების უხეში დარღვევის და სხვა ობიექტური გარემოებების საფუძველით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა, ეს ის თემებია, რომელიც სტატიაშია განხილული. შრომის კოდექსის ძირეულმა ცვლილებებმა ერთი მხრივ დიდი მოლოდინები გააჩინა, რომ ეს სფერო მეტ-ნაკლებად გაიმართებოდა და შრომის კოდექსი მისცემდა როგორც დასაქმებულს, ასევე, დამსაქმებელს საშუალებას მაქსიმალურად დაეცვა თავის უფლებები. თუმცა, მიუხედავად ამისა, ცვლილებებმა კვლავ დატოვა ორაზროვანი და ბუნდოვანი ჩანაწერები კოდექსში. აქედან გამომდინარე, კვლავ აქტუალურია სასამართლო პრაქტიკის როლი შრომის კოდექსის მუხლების განმარტებისას. სასამართლო პრაქტიკას შეიძლება, „მეორე შრომის კოდექსიც“ ვუწოდოთ, თავისი მნიშვნელოვანი განმარტებებიდან გამომდინარე. საყურადღებოა, რომ სასამართლო პრაქტიკა გარკვეულწილად ჩამოყალიბებულია ამ საკითხებთან დაკავშირებით, სასამართლო ცალსახად ამბობს, რომ დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს ultima ratio-ს პრინციპი დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულების მოშლისას. ფაქტობრივად, შეიძლება დამსაქმებელს იმაზე მეტ მტკიცების ტვირთს აკისრებდეს, ვიდრე გამართლებულია. საინტერესოა აღინიშნოს, რომ თავის მხრივ, შრომითი ხელშეკრულების მოშლა არის ცალმხრივი ნების გამოვლენა, რომელიც აუცილებელია, რომ მივიდეს მეორე მხარესთან. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, სხვა ობიექტური გარემოებების არსებობისას შრომითი ხელშეკრულების მოშლისას, რომ დამსაქმებლის მიერ ცალმხრივად გამოვლენილი ნება მივიდეს დასაქმებულამდე სათანადოდ. სწორედ ამიტომ, ნაშრომში განხილული იქნება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ისეთი პრობლემური საფუძველები, როგორც არის ვალდებულების „უხეში დარღვევის გამო“ და „სხვა ობიექტური გარემოებების არსებობისას“ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის თავისებურებები. ნაშრომის მიზანია, განხილულ იქნეს დასაქმებულსა და დამსაქმებელს შორის ვალდებულების უხეში დარღვევისას და სხვა ობიექტური გარემოებების არსებობისას შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესის თავისებურებები. ასევე, გამოკვეთოს კანონმდებლობაში და პრაქტიკაში არსებული პრობლემები შრომითი ხელშეკრულების ამ საფუძველებით შეწყვეტასთან დაკავშირებით.

საკვანძო სიტყვები: უხეში დარღვევა, სხვა ობიექტური გარემოებები, შემაკავებელი ეფექტი, მტკიცების ტვირთი, ultima ratio

შესავალი

შრომის სამართალი არის სფერო, რომელიც შექმნილია იმისათვის, რომ მოაწესრიგოს და შეამციროს სოციალური უთანასწორობა, ასევე, დააბალანსოს ძალაუფლება. მისი მოქმედების სფერო, იწყება დამსაქმებლისა და დასაქმებულის ინდივიდუალური ურთიერთობებიდან და განეწესება ინდუსტრიულ ურთიერთობებზე (რომლებიც რეგულირდება „ინდუსტრიული სამართალით“) ისევე, როგორც სოციალური უსაფრთხოების გარანტიაზე (რომელიც სოციალური უზრუნველყოფის სამართლის რეგულირების სფეროა) (1.3).

შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის კანონისმიერ რეგულირებას აქვს ერთგვარი შემაკავებელი ეფექტი, რომელიც ამ ურთიერთობის მონაწილეებს იცავს თვითნებობისა და სოციალური უსამართლობისგან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლის თანახმად, სამოქალაქო უფლება უნდა განხორციელდეს მართლზომიერად. დაუშვებელია უფლების გამოყენება მარტოდენ იმ მიზნით, რომ ზიანი მიადგეს სხვას. შრომის ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლების განზოგადებას დიდი მნიშვნელობა აქვს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის სამართლიანი ბალანსის დასაცავად. ერთი მხრივ, დასაქმებულს უსაფუძვლოდ არ უნდა შეუწყდეს შრომითი ხელშეკრულება და ამით არ მოესპოს საარსებო საშუალება, ხოლო მეორე მხრივ, დამსაქმებელს არ უნდა შეეზღუდოს შრომითი მოვალეობების დამრღვევი დასაქმებულის სამუშაოდან გათავისუფლების უფლება და მისთვის მიუღებელი დასაქმებულის სამუშაოზე დატოვებით არ უნდა შეექმნას გარკვეული რისკი (2).

დღემდე პრობლემად რჩება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საკითხები, რომელიც ერთი მხრივ არ განიცდის მნიშვნელოვან ცვლილებებს, თუნდაც იმიტომ, რომ კვლავ რჩება შრომის კოდექსის 47-ე მუხლში უკვდავი ჩანაწერი „სხვა ობიექტური გარემოებების არსებობისას“, რომელიც ყველაზე აქტიურად თუ არა, საკმაოდ ხშირად გამოიყენება შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის გასამართლებლად.

1. შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები

საქართველოს ორგანული კანონი – შრომის კოდექსის მეორე მუხლის მეორე პუნქტი შრომითი ურთიერთობის წარმოშობას უკავშირებს მხარეთა შეთანხმებას, კერძოდ, შრომითი ურთიერთობა წარმოიშობა მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად მიღწეული შეთანხმებით. იქიდან გამომდინარე, რომ შრომითი ხელშეკრულებაც არის კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება, გასაკვირი არ არის რომ შეთანხმების მიღწევას წინ უძღვის წინასახელშეკრულებო ურთიერთობა, რომელიც შრომის უფლების განხორციელების თვალსაზრისით მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენს. საკანონმდებლო რეგულირების მიღმა მისი დატოვების შემთხვევაში, დაცვის გარეშე დარჩებოდა დასაქმების მაძიებელი, რაც შრომის უფლებების შემდგომ რეგულირებას აზრს დაუკარგავდა. ამიტომ შრომის სამართლის, როგორც დაცვითი სამართლის ყურადღება ეთმობა, ასევე წინასახელშეკრულებო

ურთიერთობების მოწესრიგებას შრომის უფლების სრულფასოვანი განხორციელების მიზნით. თუმცა ამ რეგულირებას არ აქვს მხოლოდ ცალმხრივი დანიშნულება. იგი დამსაქმებლის ინტერესების დაცვასაც ემსახურება. შრომის სამართალი წინასახელშეკრულებო ურთიერთობის სტადიაზე იმთავითვე უზრუნველყოფს ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების დაბალანსებას ჯანსაღი გზით, ორმხრივად სასარგებლო შრომითი ურთიერთობის წარმოშობას (19.166). ეს ალბათ იმიტომ გახდა საჭირო, რომ თავის მხრივ, დამსაქმებელს და დასაქმებულს შორის არსებული უთანასწორო მდგომარეობა შრომითი ურთიერთობის წარმოშობის მომენტშივე დარეგულირდეს და დაბალანსდეს.

შრომითი ურთიერთობის წარმოშობისთვის აუცილებელია მხარეთა შეთანხმება არსებით პირობებზე და შესაბამისი შრომითი ხელშეკრულების გაფორმება. თუმცა სხვა კერძო სამართლებრივი ხელშეკრულებებისაგან განსხვავებით, შრომის კოდექსი შეიცავს შრომითი ხელშეკრულების შინაარსის სავალდებულო პირობებს. ეს მიანიშნებს, რომ შრომითი ხელშეკრულება არის ვალდებულებითი ხელშეკრულებების სპეციალური სახე (20.99).

მხარეთა უფლებები დაცული უნდა იყოს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას, რაც მოცემულია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის რეკომენდაციებში (24.3). აქაც, როგორც ბევრ სხვა საერთაშორისო რეკომენდაციებში თუ საკანონმდებლო აქტებში ნახსენებია, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა მოხდეს მხოლოდ და მხოლოდ შესაბამისი ლეგიტიმური საფუძვლების არსებობისას.

ხელშეკრულების სტაბილურობა არის შრომითი ურთიერთობის უმნიშვნელოვანესი პრინციპი, რომელსაც ცნობს ევროპის კავშირი (26). სწორედ ამიტომ, ხელშეკრულების შეწყვეტისას ყველაზე მნიშვნელოვანია, რის საფუძველზე და რა დროს შეუძლია მხარეებს შეწყვიტონ ხელშეკრულება (31.3).

დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ხელშეკრულების მოშლა ლეგიტიმური საფუძველია. თუმცა ხელშეკრულების შეწყვეტა აუცილებელია კანონით გათვალისწინებული წესითა და საფუძვლებით განხორციელდეს. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლები შესაძლებელია განსხვავებული იყოს და მათი დეტალური ჩამონათვალი კოდექსში არის გათვალისწინებული. მაგ.: დასაქმებულის ვალდებულებაა განახორციელოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულება, უხეში დარღვევა, ეკონომიკური ვითარება და სხვ. (24.122).

საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი ნაწილი შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველებს განმარტავს, რომელთაგან რამდენიმე საკმაოდ პრობლემატურია. საინტერესოა განხილული იქნეს დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულების უხეში დარღვევისა და სხვა ობიექტური გარემოებების არსებობისას შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლის თავისებურებები.

2. უხეში დარღვევა, როგორც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი და მისი მიმართება „ultima ratio“-ს პრინციპთან

საქართველოში შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის საკითხი რეგულირდება საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს შრომის კოდექსის 47-ე მუხლით. სშკს 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის მიხედვით შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს დასაქმებულის მიერ მისთვის ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულებით ან კოლექტიური ხელშეკრულებით ან/და შრომის შინაგანაწესით დაკისრებული ვალდებულების უხეში დარღვევის დროს. ეს ჩანაწერი გულისხმობს, რომ შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს მხოლოდ და მხოლოდ ვალდებულების უხეში დარღვევის დროს და არა ჩვეულებრივი დარღვევისას. ამ ჩანაწერით კოდექსი განმარტებას საჭიროებს, ვინაიდან ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში უნდა მოხდეს დარღვევის შეფასება და სასამართლომ საქმის გარემოებების შეფასებისას იმსჯელოს დასაქმებულის ქმედება უხეშ დარღვევას წარმოადგენდა თუ არა. შესაბამისად, სასამართლოს უწევს დასაქმებულის ქმედების შეფასება და კვალიფიკაცია.

ანგლო-ამერიკული სამართლის მიხედვითაც, შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს შესაბამისი გაფრთხილების საფუძველზე ნებისმიერი მხარის მიერ, თუმცა ასევე დასაშვებია, რომ შრომითი ხელშეკრულება შეწყდეს, მაშინ როდესაც ერთი მხარის მიერ ხდება ხელშეკრულებულის დარღვევა ან ფუნდამენტური დარღვევა (28).

უსამართლო გათავისუფლების თავიდან ასაცილებლად იმ ვითარებაში, როდესაც დამსაქმებელი უბრალოდ იქცეოდა არაგონივრულად, უხეშად, კაპრიზულად ან უსამართლოდ, სასამართლოები დაჟინებით მოითხოვდნენ, რომ სამსახურიდან გათავისუფლება მოხდეს მხოლოდ მაშინ, როდესაც დამსაქმებელმა ჩაიდინა ხელშეკრულების ფუნდამენტური დარღვევა (29.61).

იქიდან გამომდინარე, რომ საქართველოს შრომის კოდექსი არ განმარტავს უხეშ დარღვევას, აუცილებელია მისი განმარტებისთვის გადავხედოთ შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 158-ე კონვენციას, რომლის მე-11 მუხლის მიხედვით, დამსაქმებელს შეუძლია მოშალოს შრომითი ხელშეკრულება, ვალდებულების დარღვევის დროს, როდესაც დარღვევის ხასიათიდან გამომდინარე შეუძლებელია დასაქმებულის მიერ მუშაობის გაგრძელება (30).

საკასაციო სასამართლო თავის ძალიან ბევრ გადაწყვეტილებაში აღნიშნავს, რომ დასაქმებულის მიერ შრომითი ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულების დარღვევა არის თუ არა „უხეში“, ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ინდივიდუალური შეფასების საგანია და უნდა შეფასდეს საქმის ყველა კონკრეტული გარემოების გათვალისწინებით. ერთი და იგივე ქმედება, რომელიც ერთ შემთხვევაში არაარსებით დარღვევას წარმოადგენს, სხვა შემთხვევაში შესაძლებელია უთანაბრდებოდეს უხეშ დარღვევას. იმისათვის, რომ დამრღვევის მოქმედების (ან უმოქმედობის) სიმძიმე შეფასდეს, პირველ რიგში, უნდა გამოკვლეულ იქნეს იმ სამსახურის დანიშნულება, სადაც დასაქმებული მუშაობს, და ამ სამსახურში დასაქმებულის ფუნქცია და მოვალეობები (7).

დასაქმებული, რომელიც გათავისუფლებულია შრომის კოდექსის 47-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, წარადგენს სარჩელს სასამართლოში და დაასახელებს გარემოებებს, რის საფუძველზეც იგი იქნა გათავისუფლებული. დამსაქმებელი ამ შემთხვევაში ვალდებულია ამტკიცოს ის, თუ რატომ გახდა აუცილებელი ხელშეკრულების შეწყვეტა. ამას მტკიცების ტვირთის შეტრუნება ეწოდება. იგივენაირად შეიძლება განაწილდეს მტკიცების ტვირთი საწარმოს რეორგანიზაციის დროს ან სხვა ობიექტური გარემოებების არსებობის საფუძველით სამსახურიდან გათავისუფლების დროს მიუხედავად აღნიშნული წნეხისა დამსაქმებლის მიმართ, ხელშეკრულების შეწყვეტამდე იგი ყველა ღონეს ხმარობს, რომ არამართლობიერად არ ჩაითვალოს მისი ქმედება. დღემდე ყოველივე ეს სასამართლოს მსჯელობაზეა დამოკიდებული, ვინაიდან სანამ სასამართლო არ შეაფასებს დარღვევის ხასიათს პასუხგაუცემელია კითხვა საფუძველიანად მოხდა თუ არა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა შრომითი ვალდებულების უხეში დარღვევის გამო.

შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შესახებ კონვენცია, 1982 წლის (№158) აყალიბებს პრინციპს, რომლის თანახმადაც მუშაკთან შრომითი ურთიერთობა არ უნდა შეწყდეს, თუ არ არსებობს მართლობიერი მიზეზი, რომელიც უკავშირდება მუშაკის უნარშესაძლებლობებს, ან მის ქცევას, ან განპირობებულია საწარმოში, დაწესებულებაში ან სამსახურში შექმნილი საწარმოო აუცილებლობით. 158-ე კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნა შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას, რაც უკავშირდება დასაქმებულის შესაძლებლობებსა და ქცევის წესს ან დაწესებულების, საწარმოს აუცილებლობას, ან სამსახურს. აქვე უნდა აღინიშნოს 158-ე კონვენციის 9(3) მუხლის დებულება, რომლის თანახმადაც, თუ ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველად მითითებულია საწარმოს, დაწესებულების, ან სამსახურის საოპერაციო მოთხოვნები, სასამართლოს უნდა ჰქონდეს უფლებამოსილება, განსაზღვროს მართლაც შეწყდა თუ არა ხელშეკრულება აღნიშნული მიზეზით. 166-ე რეკომენდაციის მე-8 პარაგრაფის მიხედვით, „შრომითი ურთიერთობა დასაქმებულთან არ შეიძლება შეწყდეს სამუშაოს არადამაკმაყოფილებლად შესრულების გამო, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც დამსაქმებელს დასაქმებულის მიმართ გაცემული აქვს შესაბამისი მითითება და წერილობითი გაფრთხილება, და დასაქმებული განაგრძობს მოვალეობების არადამაკმაყოფილებლად შესრულებას მას შემდეგ, რაც გასულია შესრულების გასაუმჯობესებლად განსაზღვრული გონივრული ვადა“. ექსპერტთა კომიტეტის განმარტებით, აღნიშნული დებულების მიზანია, რომ ისეთი მნიშვნელოვანი სანქციის გამოყენებამდე, როგორცაა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა, დასაქმებულს მიეცეს შესაძლებლობა, გააუმჯობესოს სამუშაოს შესრულება.

საქართველოს მიერ არ არის რატიფიცირებული ILO-ს 1982 წლის 158-ე კონვენცია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ (შემდგომში „No. 158-ე კონვენცია“). შესაბამისად, მას საქართველოში სავალდებულო ძალა არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, 158-ე კონვენცია, ისევე როგორც 166-ე რეკომენდაცია შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ (შემდგომში „No. 166-ე რეკომენდაცია“) სასამართლომ შესაძლოა, გამოიყენოს,

როგორც გზამკვლევი ეროვნული კანონმდებლობის – ნორმის ინტერპრეტაციის მიზნებისათვის (18.224). აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს სასამართლო პრაქტიკა თანხვედრაშია 158-ე კონვენციის 9(3) მუხლის დებულებასთან (18.795-796). მაგალითისთვის, საკასაციო სასამართლო ერთ-ერთ საქმეზე ასე განმარტავს: „უზენაესი სასამართლო თავის გადაწყვეტილებებში მიმართავს „დამსაქმებლის ინიციატივით დასაქმების შეწყვეტის შესახებ“ 1982 წლის №158 კონვენციას, რომელიც აწესრიგებს დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის სამართლებრივ საფუძვლებს. უზენაესი სასამართლო განმარტავს, რომ: „მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის მითითებული კონვენცია ძალაში არ არის, საკმაოდ საყურადღებოა მისი მოთხოვნები სამოსამართლო სამართლებრივი მოსაზრებების განმარტებისათვის. ამასთან ერთად აღსანიშნავია, რომ მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ მიუერთდა ამ კონვენციას, შრომით ურთიერთობებში მოქმედი საქართველოს კანონმდებლობა არ ეწინააღმდეგება ამ კონვენციით გათვალისწინებულ მოთხოვნებს და მასთან თანხვედრაშია, კერძოდ, კონვენციის მე-4 მუხლის თანახმად, დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნა შეიძლება მხოლოდ კანონიერი საფუძვლის არსებობისას, რაც უკავშირდება დამსაქმებლის შესაძლებლობებსა და ქცევის წესს ან დაწესებულებას, საწარმოს წარმოების აუცილებლობას ან სამსახურს“ (17). სასამართლო თავის კიდევ ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ „დამსაქმებლის ინიციატივით შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის შესახებ“ 1982 წელს შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მიერ მიღებულ N158 კონვენციას საქართველოსთვის სავალდებულო ძალა არა აქვს, მისი დებულებები და ამ თვალსაზრისით, განვითარებული პრაქტიკული მიდგომები საქართველოსთვისაც საინტერესოა. N158 კონვენციის მე-9 მუხლის მე-2 (ა) პარაგრაფი სამუშაოდან არამართლზომიერი გათავისუფლებისაგან დაცვის ეფექტიან საშუალებად მტკიცების ტვირთის დამსაქმებელზე დაკისრებას ადგენს“ (5).

ვალდებულების უხეში დარღვევის დროს მხარე შებოჭილია და მისთვის ერთგვარი შემაკავებელი ეფექტი აქვს გონივრული საფუძვლის პრინციპს, რასაც საერთაშორისო სამართალში უწოდებენ – *Ultima Ratio*-ს. მაგალითად, გერმანულ სამართალში იგი განიმარტება, როგორც უკანასკნელი საშუალება, რადგან მიჩნეულია, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტამდე გამოყენებულ უნდა იქნეს უფრო მსუბუქი ზომა, თუკი ამის საშუალებას, დამსაქმებლის მიერ ჩადენილი დარღვევიდან გამომდინარე, იძლევა დასაქმებულის კანონიერი ინტერესი (4). „*Ultima ratio*“-ს პრინციპს დიდი ხნის ისტორია აქვს და მას ყოველთვის მნიშვნელოვანი დატვირთვა ჰქონდა, როგორც სოციალურ ან პოლიტიკურ, ასევე იურიდიულ კონტექსტში. მისი არსის დასადგენად იგი, უპირველეს ყოვლისა, უნდა განიმარტოს ტერმინოლოგიურად. სახელი მომდინარეობს ლათინური სიტყვიდან *Ultimas*, რომელიც ნიშნავს უკანასკნელს, ან ყველაზე შერეულს. სიტყვა *Ratio* კი განიმარტება, როგორც რაიმე საშუალება ან ზომა კონკრეტული მიღწევისა. მნიშვნელოვანია განიმარტოს, რომ „უკანასკნელი“ მოიაზრება არა ქრონოლოგიური დატვირთვით, არამედ შედეგობრივი თვალსაზრისით.

საკასაციო პალატა განმარტავს, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა არის უკიდურესი ღონისძიება, რომელიც გამოყენებული უნდა იქნეს გამონაკლის და მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, მყარი საფუძვლის არსებობის პირობებში. საქართველოში განხორციელებული შრომის კანონმდებლობის რეფორმის ერთ-ერთი მიზანი სწორედ დასაქმებულის უფლებების დაცვა იყო. ამასთან, მნიშვნელოვანია, რომ შრომის სამართალი დაკავშირებულია ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებასთან და თითოეული დასაქმებულის საქმის ინდივიდუალური შეფასებისას გამოყენებული უნდა იქნეს ე.წ. “favor prestatoris” პრინციპი, რაც დასაქმებულთათვის სასარგებლო წესთა უპირატესობას ნიშნავს. სწორედ აღნიშნული პრინციპის გამოყენებისას, საჭიროა დამსაქმებლისა და დასაქმებულის მოთხოვნებისა და ინტერესების წონასწორობის დაცვა სამართლიანობის, კანონიერებისა და თითოეული მათგანის ქმედების კეთილსინდისიერების კონტექსტით (18).

ნიშანდობლივია, რომ ამავე პრინციპის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოასწორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს (3). საკასაციო სასამართლო შრომითი ხელშეკრულების ცალმხრივად მოშლის განმარტებისას, ყოველთვის აღნიშნავს, რომ სამსახურიდან გაშვება უნდა იყოს უკიდურესი სახე, რაც გულისხმობს, რომ დასაქმებულის გამოსწორებას არავითარი აზრი აღარ აქვს, შესაბამისად დისციპლინური სახდელის სახით გარდა გათავისუფლების სხვა სახდელის დაკისრება არაგონივრულია. საკასაციო პალატამ ერთ-ერთი საქმის ზეპირი განხილვისას მოწინააღმდეგე მხარისაგან ვერ მიიღო მოტივირებული და დამაჯერებელი არგუმენტები იმის თაობაზე, თუ რატომ არ შეეძლო დამსაქმებელს გამოვლენილი გადაცდომის გამო დასაქმებულისათვის სხვა, ნაკლებად რადიკალური პასუხისმგებლობის ზომის შეფარდება და რატომ იყო ერთადერთი ალტერნატივა შრომითი ურთიერთობის მოშლა, შესაბამისად მხარის დამაჯერებლობაზე და შესაბამის მტკიცებულებებზეა დამოკიდებული სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილება (17).

დასაქმებულის სამსახურიდან გათავისუფლება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი უკიდურესი ზომა იქნება მის მიმართ. ამასთან, მის მიერ ჩადენილი გადაცდომა/დარღვევა უნდა იყოს უხეში. ვალდებულების დარღვევის გამო ხელშეკრულების მოშლისას დამსაქმებელმა უნდა გაითვალისწინოს შემდეგი გარემოებები: დამსაქმებელმა ნამდვილად დაარღვია ვალდებულება, მომავალში დარღვევის რისკი იქნება თუ არა ძალიან დაბალი, ხელშეკრულების შეწყვეტა უნდა იყოს ერთადერთი გამოსავალი არსებული სიტუაციიდან (23.141). საქართველოს უზენაესმა სასამართლომ განმარტა: „დასაქმებულის მიერ ჩადენილი ყოველი დარღვევა შეფასებულ უნდა იქნეს მისი ჩადენის სიხშირის, სიმძიმის და რაც მთავარია, შედეგობრივი თვალსაზრისით. შესაბამისად, შრომის სამართალში “Ultima Ratio“-ს პრინციპი ითხოვს დამსაქმებლის მხრიდან დასაქმებულის სამსახურიდან დათხოვნამდე მისი ქმედების შეფასებას მიზეზ-შედეგობრივი თვალსაზრისით, დარღვევასა (გადაცდომას) და გათავისუფლებას შორის

ზომიერი ბალანსის დაცულობა. ნიშანდობლივია, რომ ამავე პრინციპის შესაბამისად, დამსაქმებლის მიერ დარღვევის (გადაცდომის) ჩადენისას გამოყენებულ უნდა იქნეს ისეთი ზომები, რომელიც არსებულ ვითარებას გამოასწორებს, გააუმჯობესებს, დასაქმებულ მუშაკს უკეთესს გახდის, კვალიფიკაციას აუმაღლებს, უფრო წინდახედულად და გულისხმიერად მოქცევას აიძულებს. შესაბამისად, მიზანშეწონილობის კუთხით, გადაცდომის დროს არჩეულ უნდა იქნეს პროპორციული დასჯის მექანიზმი, რაც, შედეგობრივად, გარდა იმისა, რომ დამრღვევს დასჯის, მას და სხვა დასაქმებულებს უფრო ეფექტური შრომის მოტივაციას შეუქმნის“ (19). გამომდინარე აქედან, ეს კიდევ უფრო რთულს ხდის დასაქმებულის მიერ უხეში დარღვევის დროს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას, იმ თვალსაზრისით, რომ ამ საკითხებთან დაკავშირებით მართალია თითქოს ინდივიდუალურად ხდება საქმის დეტალების შესწავლა, თუმცა სასამართლო პრაქტიკას მაინც გასდევს ის მიდგომა, რომ დასაქმებული არის სუსტი მხარე. ერთ-ერთი საქმის განხილვისას სააკველაციო პალატამ მიიჩნია, რომ „ამ ნაწილში, პირველი ინსტანციის სასამართლომ არასწორად გადაანაწილა მტკიცების ტვირთი და ეს ტვირთი მოსარჩელეს გადააკისრა, მაშინ, როცა შრომის სამართლებრივი ურთიერთობის თავისებურებიდან გამომდინარე (ვინაიდან ამ ურთიერთობებში მონაწილეობს სუსტი მხარე – დასაქმებული და ძლიერი მხარე – დამსაქმებელი)“ (20). სასამართლოს განმარტებით, შრომით ურთიერთობაში აშკარად გამოკვეთილია დამსაქმებლის უპირატესი მდგომარეობა „სუსტ“ მხარესთან – დასაქმებულთან შედარებით, რაც უდავოდ იწვევს „ძლიერი“ მხარის მიერ თავისი უფლებების გადამეტებულად, მეორე მხარის საზიანოდ გამოყენების საშიშროებას. სწორედ ამგვარ „უთანასწორობაში“ ბალანსის აღდგენასა და დაცვას ემსახურება შრომის სამართალი (21).

ყველაზე საინტერესო სასამართლოს მიერ უხეში დარღვევის შეფასებასთან დაკავშირებით არის ის, რომ პალატა შეფასების თავისუფალი სტანდარტით ადგენს თავად ამ დარღვევის სიმძიმეს, მის ნეგატიურ შედეგებსა და თანაზომიერებას დასაქმებულის გადაცდომასა და დამსაქმებლისათვის მიყენებულ ზიანს შორის. მაგალითისთვის, „ერთ-ერთ საქმეში რომელშიც დამსაქმებელი სამსახურებრივი მოვალეობების უხეშ დარღვევად მიიჩნევდა დასაქმებულის მიერ უცხო პირის დაცულ ტერიტორიაზე შესაყვანად საკუთარი ID ბარათის გამოყენებას, არ იქნა გაზიარებული საკასაციო პალატის მიერ, ვინაიდან მიჩნეული იქნა, რომ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომა თავისი ხასიათიდან და სიმძიმეიდან გამომდინარე (ამასთან, შედეგობრივი თვალსაზრისით) არ იყო უხეში: დაცულ ზონაში შეყვანილი უცხო პირი იყო სამსახურის ყოფილი თანამშრომელი, რომელიც დაცულ ტერიტორიაზე იმყოფებოდა მხოლოდ 10 წუთის განმავლობაში და ამ დროის განმავლობაში, როდესაც ის ყოფილ თანამშრომლებს მოიკითხავდა, მის გვერდით იყო მოსარჩელე ან აღნიშნული პირი იყო მისი თვალთახედვის არეში. ამ დისციპლინური გადაცდომის შედეგად რაიმე სახის ზიანი არ დამდგარა“ (23).

3. „სხვა ობიექტური გარემოებები“, როგორც შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი

შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის მიხედვით, შრომითი ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს სხვა ობიექტური გარემოებების არსებობისას. ეს საკმაოდ ზოგადი ფორმულირება ბევრ გაუგებრობას და პრობლემას იწვევს, როგორც დამსაქმებლის მტკიცების ტვირთის მხრივ, ისე სასამართლო პრაქტიკისთვის.

2020 წელს განხორციელებული ცვლილებები ასე თუ ისე გარდამტეხი უნდა ყოფილიყო, თუმცა შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ეს ზოგადი ფორმულირება კვლავ რჩება 47-ე მუხლში ჩამოთვლილ საფუძვლებს შორის, ამას შეიძლება შესაბამისი მიზეზიც ქონდეს. შეუძლებელია შრომის კოდექსი ჩამოთვლიდეს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ყველა საფუძველს. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში შეიძლება წარმოიშას შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის სხვა საფუძველი, რაც არ არის შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველ პუნქტში ჩამოთვლილი. კანონმდებელმა, უბრალოდ დაამატა სიტყვა „ობიექტური“, რათა მეტი ლეგიტიმაცია მიეცა ნორმის ამ შინაარსის გამოყენებას. შესაბამისად, ამ საფუძველით არსებობისას დამსაქმებელმა უნდა დაადასტუროს, რომ ის გარემოება, რომელმაც შეწყვეტა გამოიწვია არ არის კოდექსში გათვალისწინებული, თუმცა ობიექტურად ამართლებდა შრომითი ურთიერთობის შეწყვეტას. მტკიცების ტვირთი ამ შემთხვევაშიც დამსაქმებელს აკისრია. საკანონმდებლო ჩანაწერი „სხვა ობიექტური გარემოება“ არ არის განჭვრეტადი და ბუნდოვანია. თუმცა ამ შემთხვევაშიც სასამართლოს განმარტების საკითხია, გათავისუფლების საფუძველი, რამდენად იქნება მიჩნეული ობიექტურ გარემოებად.

ჩვეულებრივ, ობიექტურ გარემოებას მიუკერძოებელის მნიშვნელობით განიხილავენ – ე.ი. მიაჩნიათ, რომ „ობიექტურ გარემოებად“ ის გარემოება ჩაითვლება, რომელიც გარეშე, მიუკერძოებელი დამკვირვებლის თვალში ხელშეკრულების მოშლის მიზეზი შეიძლება გახდეს. ერთი მხრივ ეს სწორი განმარტებაც არის, თუმცა შრომის კოდექსის ჩანაწერის მიხედვით მთლად მართებული არ გამოდის, რადგანაც ეს ლეგიტიმური საფუძველიც უნდა იყოს შრომითი ხელშეკრულების ცალმხრივად შეწყვეტის და უნდა „ამართლებდეს“. შესაბამისად შეიძლება დავასკვნათ, რომ შეიძლება გარემოება იყოს ობიექტური, თუმცა ნორმის მიზნებიდან ეს თავისთავად არ ნიშნავს რომ ამართლებს ცალმხრივად შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას (22.38-39). მაგალითისთვის, სასამართლო სხვა ობიექტური გარემოებების გამო შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტასთან მიმართებით, თვითონვე გამოყოფს, რომ როდესაც დამსაქმებელი ირჩევს შრომითი ხელშეკრულების საკმაოდ ზოგად რეგულირებას, ამ შემთხვევაში კიდევ უფრო იზრდება სასამართლოს როლი და პასუხისმგებლობა, რომ მაქსიმალურად დეტალურად გამოიკვლიოს საქმის ფაქტობრივი გარემოებები და ისე მიიღოს გადაწყვეტილება. აქვე იზრდება მხარის მტკიცების ტვირთიც რა თქმა უნდა. უზენაესი სასამართლოს მიდგომა ამ საკითხთან დაკავშირებით ასეთია: სხვა ობიექტური გარემოების არსებობის საფუძველით შრომითი ხელშეკრულების მოშლისთვის აუცილებელია: ა) შრომითი ხელშეკრულების მოშლის საფუძველი იყოს განსხვავებული იმავე მუხლში მითითებული სხვა საფუძველისაგან; ბ) იგი არ იყოს

დამოკიდებული დამსაქმებლის სუბიექტურ ნებაზე; გ) იყოს ფაქტობრივი, ე.ი. იმგვარი, რომლის დამტკიცება და უარყოფა შესაძლებელია; დ) გარეშე, ნეიტრალური დამკვირვებლის თვალში წარმოადგენდეს საკმარის მიზეზს შრომითი ხელშეკრულების მოშლისათვის. ამასთან, ნების გამოხატვის საფუძვლად არსებულ ქმედებასა და ნების გამოვლენას შორის უნდა არსებობდეს შედეგობრივი კავშირი და ე) ხელშეკრულების მოშლით დამდგარ ფაქტობრივ შედეგს ხელშეკრულების შენარჩუნებით დამდგარ ფაქტობრივ შედეგთან უპირატესობა ჰქონდეს (24).

2020 წლის 29 სექტემბრის ცვლილებების მიხედვით, მართალია ნორმის შინაარსში არაფერი შეცვლილა, თუმცა გაჩნდა ახალი ჩანაწერი ამ საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის წესის მუხლში. კერძოდ, იმ შემთხვევაში თუ დამსაქმებელი გადაწყვეტს, რომ დასაქმებულთან შეწყვიტოს შრომითი ხელშეკრულება სშკ-ს 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტის საფუძველზე, ის ვალდებულია რომ დამტკიცოს ობიექტური გარემოების არსებობა და დაასაბუთოს კიდევ წერილობითი შეტყობინებით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სშკ-ის 37-ე მუხლის პირველი ნაწილის „ო“ ქვეპუნქტის საფუძვლით (ობიექტური გარემოება, რომელიც ამართლებს შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტას) შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დამსაქმებლის პოზიტიური ვალდებულებაა დაასრულოს დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობა მხოლოდ ლეგიტიმური გზებით, ხოლო ნეგატიური - დამსაქმებელს არ უნდა შეეძლოს დასაქმებულის სამსახურიდან გაშვება შესაბამისი და გამართლებული საფუძვლის გარეშე, ამიტომ შრომითი ურთიერთობის შეწყვეტის იმ რეგულაციებს, რომლებიც სშკ-ის 37-ე და 38-ე მუხლებშია მოცემული, აქვთ ერთგვარი „შემაკავებელი ეფექტი“, რომლის საფუძველიც არის წინაპირობა შრომის ურთიერთობათა მხარეების თვითნებური, გაუმართლებელი გადაწყვეტილებების აღკვეთისთვის (25). ასევე ყურადღება უნდა გამახვილდეს სშკ-ს 47 მუხლის იმ ჩანაწერზე, სადაც კანონმდებელი ამბობს, რომ გარდა პირველ პუნქტში ჩამოთვლილი საფუძვლებისა დამსაქმებელს არ შეუძლია შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტა. ეს ცალსახად წინააღმდეგობაში მოდის სხვა ობიექტურ გარემოებებთან, რომელიც ღიად ტოვებს შეწყვეტის კონკრეტულ საფუძველს და მასში ძალიან ბევრი რამე შეიძლება მოიაზრობოდეს პრაქტიკული კუთხით.

კანონმდებელმა „სხვა ობიექტურ გარემოებებს“ ის წინაპირობა მაინც უნდა შეუსადაგოს, რომ „უნდა არსებობდეს პატივსადები მიზეზი, რაც შეუძლებელს ხდის შრომითი ურთიერთობის გაგრძელებას“. ასეთი მინიმალური ჩანაწერი, ნაკლებად სადავოს გახდის ამ ნორმაზე დაფუძნებულ საქმეებს. არც სასამართლოს დამატებითი განმარტებები იქნებოდა საჭირო და არც დამსაქმებელს დააწვებოდა ზედმეტი მტკიცების ტვირთი. არ შეიძლება მხარე ვაიძულოთ ისეთ დასაქმებულთან გააგრძელოს ურთიერთობა, რომელთანაც შეუძლებელია ჯანსაღი, პროდუქტიული შრომითი ურთიერთობის არსებობა. მთავარია, რომ მოცემული საფუძვლით ხელშეკრულება შეწყდეს მართლ-ზომიერი საშუალებითა და ობიექტურად გამართლებული გარემოებით, რაც ასევე არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს მხარეთა შორის უფლება-მოვალეობების კეთილსინდისიერად განხორციელების პრინციპს (6).

დასკვნა

2020 წლის 29 სექტემბერს განხორციელებული ცვლილებების მიუხედავად, შრომის კოდექსის გარკვეული მუხლები კვლავ პრობლემატური და ბუნდოვანია. განსაკუთრებით, ხაზი უნდა გაესვას შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებს, რომელთაც კანონმდებელმა კვლავ ვერ მოუძებნა ამომწურავი მოწესრიგება. მიუხედავად ცვლილებებისა, კვლავ დაუბალანსებელია დამსაქმებლის და დასაქმებულის შრომითი უფლებები.

აქცენტი გაკეთებულია ხელშეკრულების შეწყვეტის ორ საფუძველზე: ვალდებულების უხეშ დარღვევასა და სხვა ობიექტური გარემოებების არსებობისას დასაქმებულთან შრომითი ურთიერთობის დასრულებაზე. შეიძლება ითქვას, რომ შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ამ საფუძვლებს გარკვეული მსგავსება გააჩნია. ორივე საფუძველით ხელშეკრულების შეწყვეტისას, სასამართლოს აქვს უდიდესი პასუხისმგებლობა, რომ დაადგინოს ნამდვილად ლეგიტიმურად მოხდა თუ არა შრომითი ურთიერთობის დასრულება.

კანონმდებელმა შრომის კოდექსის 47-ე მუხლით არ განსაზღვრა ვალდებულების უხეშ დარღვევისას რა გარემოებების შემოწმება და დამატებით რა ფაქტობრივი მოცემულობის არსებობაა საჭირო, რომ შრომითი ხელშეკრულება ჩაითვალოს კანონიერად შეწყვეტილად. სამაგიეროდ, ეს როლი დაეკისრა სასამართლოს, რომელიც უამრავი მნიშვნელოვანი დეტალის გამოკვლევის, ფაქტობრივი გარემოებების შესწავლის და დამსაქმებლისთვის მტკიცების ტვირთის დაკისრებით ადგენს, ესა თუ ის შრომითი ხელშეკრულება ნამდვილად შრომის კოდექსის 47-ე მუხლის პირველი პუნქტის „ზ“ ქვეპუნქტის და ამ ნორმის მიზნების შესაბამისად შეწყდა თუ არა. სასამართლო ამ საფუძველით ხელშეკრულების შეწყვეტისას ამოწმებს: ნამდვილად ჰქონდა თუ არა დაკისრებული დამსაქმებელს ის ვალდებულება, რომელიც მის მიერ დაირღვა, ნამდვილად დაირღვა თუ არა ხელშეკრულებით ან შინაგანაწესით ნაკისრი ვალდებულება, რამდენად ჰქონდა დარღვევას უხეში ხასიათი (ესეც, თავის მხრივ, მინიმუმ საქმიანობის სპეციფიკის შემოწმების გათვალისწინებით), იყო თუ არა სამსახურიდან გათავისუფლება ჩადენილი ქმედების პროპორციული სახდელი და შეიძლებოდა თუ არა სხვა უფრო მსუბუქი სახდელის დაკისრება. კოდექსით მინიმალურად მაინც უნდა იყოს დაკონკრეტებული ისეთი მნიშვნელობის მქონე ვალდებულებები, რომელთა დარღვევაც ავტომატურად ჩაითვლება უხეშ დარღვევად. თუმცა დღევანდელი რეალობაც არ არის მისაღები, საქმე თუ სასამართლომდე არ მივიდა, ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებებიდან ვერ დავასკვნით, რომ დასაქმებულის გათავისუფლება მოხდა ნამდვილად უხეში დარღვევის გამო.

რაც შეეხება სხვა ობიექტურ გარემოებებს, ეს არის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ყველაზე ზოგადი ფორმულირება, რაც უკვე მიუთითებს მის პრობლემატურ შინაარსზე. ერთი მხრივ კანონმდებელს კარგი განზრახვა უნდა ჰქონოდა ამ ჩანაწერის არსებობით შრომის კოდექსში, ვინაიდან შეუძლებელია ერთი მუხლის ერთ პუნქტში მოაქციო ყველა ის საფუძველი, რის გამოც შეიძლება შრომითი ხელშეკრულება შეწყდეს. ამით სრული თავისუფლება ენიჭება დამსაქმებელს, ხოლო კიდევ უფრო მეტი პასუხისმგებლობა - სასამართლოს, განმარტების კონტექსტში. კანონმდებელს, შეეძლო სამოქალაქო კოდექსის

მსგავსად გამოყენებინა პატივსადები მიზეზის ფორმულირება ამ ქვეპუნქტში, რაც ცოტა დაავიწროვებდა ნორმის შინაარსს. ეს ჩანაწერი დამსაქმებელს აძლევს უფლებას გაათავისუფლოს დასაქმებული მისთვის ობიექტური მიზეზის არსებობის გამო, იქიდან გამომდინარე, რომ მიზანშეუწონელია დამსაქმებელი აიძულო სამსახურში დაიტოვოს ისეთი თანამშრომელი, რომელთანაც შეუძლებელია შრომითი ურთიერთობის გაგრძელება. შრომის კოდექსის 2020 წლის ცვლილებებმა, დამსაქმებელს დააკისრა ამ საფუძვლით შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტისას დასაქმებულს გაუზიაროს დასაბუთებული შეტყობინება, ეს წინ გადადგმული ნაბიჯია, ვინაიდან ამით კანონმდებელმა სავალდებულო გახადა სხვა ობიექტური გარემოებების დამსაქმებლის მხრიდან განმარტება, თუმცა საბოლოოდ მაინც სასამართლო ადგენს დამსაქმებლის მიერ განმარტებული და შესაბამისად დასაბუთებული „სხვა ობიექტური გარემოება“ რამდენად არის შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძველი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Borroni A. Commentary on the Labour Code of Georgia. Meridiani. Tbilisi. 2016.
2. Decision of the Tbilisi Court of Appeals - Case N 2ზ/3964-14, 17.11.2015.
3. Decision of the Supreme Court of Georgia - Case N ას-21-2020, 19.02.2020.
4. Decision of the Supreme Court of Georgia - Case N ას-1027-981-2013, 24.01.2014.
5. Decision of the Supreme Court of Georgia - Case N ას-235-2021, 18.06.2021.
6. Decision of the Supreme Court of Georgia - Case N ას-142-2020, 16.09.2020.
7. Decision of the Supreme Court of Georgia - Case N ას-127-123-2016, 13.06.2016.
8. Decision of the Supreme Court of Georgia - Case N ას-252-239-2015, 6.05.2015.
9. Decision of the Supreme Court of Georgia - Case N ას-941-891-2015, 29.01.2016.
10. Decision of the Supreme Court of Georgia - Case N ას-416-399-2016, 29.06.2016.
11. Decision of the Supreme Court of Georgia - Case N ას-886-836-2015, 25.11.2015.
12. Decision of the Supreme Court of Georgia - Case N ას-864-1150-09, 28.04.2010.
13. Decision of the Supreme Court of Georgia - Case N ას-1327-2018, 3.06.2019.
14. Decision of the Supreme Court of Georgia - Case N ას-166-156-2017, 21.04.2017.
15. Decision of the Supreme Court of Georgia - Case N ას-1001-2018, 5.03.2021.
16. Decision of the Supreme Court of Georgia - Case N ას-188-2021, 08.04.2021.
17. Shvelidze Z., Bodone X., Todria T., Khazhomia T., Gujabidze N., Meskhishvili K. "Georgian Labor Law and International Labor Standards. Tbilisi. International Labor Organization. 2017.
18. Shvelidze Z. Characteristics of Legal Status of Employee According to the Labor law of Georgia, Employment Law. Collection of Article I, Zaalishvili V. (red), 2011.
19. Chavhava S. Competition of demands and grounds of demand in private law, publishing house of Tbilisi University. 2010.
20. Chkhaidze S. "Other Objective Circumstance", as a Basis for Terminating a Labor Contract. Justice and Law N 4 (56). Tbilisi. 2017.
21. 2019 edition of the Labor Code of Georgia.
22. Charter of Fundamental Rights of The European Union (2000/C364/01). 30-ე მუხლი.
23. Freedom of Association, Digest of Decisions and Principles of the Freedom of Association Committee of the Governing Body of the ILO. 2006.

24. Kirchner J., Kremp P.R., Magotsh M. Key Aspects of German Employment and Labour Law. Heidelberg. Germany. 2010.
25. Weiss M., Schmidt M. Labour law and Industrial Relations in Germany. The Netherlands. 2008.
26. Rasnic C.D. Die Kündigung. Licenciement. Recesso Dal Contrato, „Firing“ or „Sacking“: Comparing European and American Laws on Management Prerogatives and Discretion in Termination Decisions. Indiana International And Comparative Law Review. 2008.
27. Société Général. London Branch v Geys [2012] UKSC 63.
28. Bogg A., Costello C., ACL Prassl D.J. The Autonomy of Labour Law. OXFORD AND PORTLAND. OREGON. 2015.
29. Termination of Employment Convention. 158 , Article 11.
30. Earthman J. Illusory Protection: The Treatment of Severance Packages in Business Bankruptcies. PA.J. Labor & Employment Law. 2002.

Termination of the employment contract on the grounds of gross violation of obligation and other objective circumstances

Zurab Morchadze

University of Grigol Robakidze, PhD student

Morchadze.zura11@gmail.com

Abstract. The presented article deals with important topical issues that are of interest to people working in all fields, regardless of their gender or professional achievements. Termination of an employment contract is equally interested in and needed by all categories of people throughout their lives. The origin of the employment relationship, termination of the employment contract on the grounds of gross violation of obligation , termination of employment contract in the presence of other objective circumstances, these are the topics discussed in the article. The fundamental changes in the Labor Code of Georgia on the one hand raised great expectations that this field would be more or less held and the Labor Code would allow both the employee and the employer to protect their rights as much as possible in future. Nevertheless, the changes still left ambiguous and unclear entries in the Code. Therefore, the role of the court practice in explaining the articles of the Labor Code is still relevant. Judicial practice can even be called the "Second Labor Code" due to its important definitions. It is noteworthy that the practise of the court is somewhat established in relation to these issues, the court explicitly states that the employer must take into account the principle of ultima ratio when terminating an employment contract with an employee. In fact, the employer may be imposing the burden of proof more than that is justified. It is interesting to note that termination of an employment contract in turn is an expression of the unilateral will that is necessary to reach out to the other party. It is especially important, in the presence of other objective circumstances, in the event of termination of the employment contract, that the will unilaterally expressed by the employer reach the employee properly. Therefore, the paper will discuss the problematic grounds for termination of the employment contract, such as the peculiarities of termination of the employment contract due to "gross violation of obligation" and "in the presence of other objective circumstances". The aim of the paper is to discuss the peculiarities of the rule of termination of the employment contract in the presence of gross violation of obligation between the employee and the employer and also in the presence if the other objective circumstances. Also, the aim of the paper is to highlight the problems in the legislation and practice related to the termination of the employment contract on these grounds.

Key words: Gross violation, other objective circumstances, deterrent effect, the burden of proof, "ultima ratio"

სასამართლო (კრიმინალისტიკური) ლინგვისტიკის არსი და ძირითადი პარამეტრები

გია ბერძენიძე¹, გია დეკანოზიშვილი¹

¹გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
g.dekanozishvili@gruni.edu.ge

რეზიუმე. სასამართლო მეცნიერებები გადაწყვეტილების მიმდებარე მეცნიერებებს შორის გამოირჩევა თავისი მრავალფეროვნებით, მის ახსნა, შესწავლის და განვითარების პროცესს ჩვენ ექსპერტოლოგია ვუწოდებთ, რომლის კვლევის ობიექტსაც ექსპერტიზა წარმოადგენს, სუბიექტებად კი გარდა გარკვეული სპეციალობის ექსპერტებისა მრავალი პროფესიის ადამიანი შეიძლება მოიაზრებოდეს. წინამდებარე კვლევაში შესწავლილია სასამართლო ლინგვისტიკის ძირითადი ელემენტების სტრუქტურა და მათი მოკლე მიმოხილვა, მასში შემავალი დისციპლინების ანალიზი, ისტორია, განვითარება და ენობრივი (ლინგვისტიკური) მტკიცებულებების გამოყენება სასამართლო პროცესებში. გარდა ამისა, ყურადღებაა გამახვილებული ტიპურ ენობრივ მტკიცებულებებზე, როგორცაა ავტორის იდენტიფიკაცია, სასამართლო სტილისტიკა, დისკურსის ანალიზი, სასამართლო ფონეტიკა, გამოკვლეულია ტრანსკრიფცია და ვარიაცია (შიდასავტორო და ავტორთშორისი). მოკლე შესავლის შემდეგ ვეცნობით იმ სფეროს, რომელიც შეისწავლის სასამართლო ანუ კრიმინალისტიკური ექსპერტიზების ლინგვისტიკასთან დაკავშირებულ ზოგად საკითხებს. ამ მიზნით, დოკუმენტის ექსპერტიზებში შემოდის ისეთი თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენება, როგორცაა პროგრამული უზრუნველყოფითი ექსპერტიზა, სემიოტიკა და პლაგიატი.

საკვანძო სიტყვები: სასამართლო ლინგვისტიკა, კრიმინალისტიკური ლინგვისტიკა, ლინგვისტური ანალიზი, ლინგვისტური იდენტიფიკაცია

შესავალი

ტერმინი „სასამართლო ლინგვისტიკა“ („კრიმინალისტიკური ლინგვისტიკა“) პირველად ენათმეცნიერმა, პროფესორმა იან სვარტვიკმა გამოიყენა 1968 წელს წიგნში „ევანსის განცხადებები: კრიმინალისტიკური ლინგვისტიკის ნიმუში“ (1). 1980-იან წლებში ავსტრალიელმა ლინგვისტებმა განიხილეს ენათმეცნიერებისა და სოციოლინგვისტიკის გამოყენების საკითხები იურისპრუდენციაში. ისინი მივიდნენ დასკვნამდე, რომ ენა ღიაა ინტერპრეტაციებისთვის. გერმანია, ბრიტანეთი, ავსტრალია, ბრაზილია, ირლანდია, ჰოლანდია, საბერძნეთი, უკრაინა ნერგავენ სასამართლო ექსპერტიზის - ლინგვისტიკის სასწავლო კურსებს (2).

რას წარმოადგენს სასამართლო ლინგვისტიკა? სასამართლო ლინგვისტიკა იურისპრუდენციაში ენათმეცნიერების გამოყენებაა. ეს ამოსავალი წერტილია, მაგრამ მოცემული დეფინიცია უფრო მეტ კითხვას ბადებს. მაგალითად, რას ნიშნავს „ენათმეცნიერების გამოყენება?“ (3).

ლინგვისტიკა არის ენის, როგორც ადამიანის საქმიანობის სამეცნიერო შესწავლა. ეს ეხება როგორც ენის სტრუქტურას, ასევე მისი ფუნქციონირების გზებს სხვადასხვა გარემოში. ენათმეცნიერების დარგში მრავალი სფეროა და ერთ-ერთი გამოყენებითი კვლევის სულ უფრო თვალსაჩინო დარგი ხდება სასამართლო (კრიმინალისტიკური) ლინგვისტიკა. ეს დარგი წარმოიშვა ენობრივი დაკვირვებების შედეგად და გულისხმობს ენაში დაგროვებული სამეცნიერო ცოდნის გამოყენებას სისხლის სამართლისა (სისხლის-სამართალწარმოებაში), სამოქალაქო სამართლის და საერთოდ სამართლის კონტექსტში.

ლინგვისტიკური კრიმინალისტიკები დაინტერესებულნი არიან გაიგონ ენის სამართლებრივი და წერილობითი ასპექტები, მისი სირთულე და წარმოშობა, აგრეთვე ენის გამოყენება სასამართლო პროცედურებში. ისინი ასევე შეისწავლიან სამართლებრივ პროცესს დაკავებისა და გასაუბრების, დაკითხვის მომენტიდან, ბრალის წაყენების, სასამართლო განხილვის, განაჩენის გამოტანისა და მისჯის ეტაპების ჩათვლით. ერთ-ერთი მაგალითია ენათმეცნიერების პოლიციელის ან გამომძიებლის, მოწმეების და ეჭვმიტანილების გასაუბრებისა და დაკითხვის ოქმებში არსებული ენობრივი თავისებურებებით დაინტერესება (4).

ძირითადი ნაწილი

როდესაც სასამართლო ლინგვისტიკა მოიხსენება, როგორც გამოყენებითი ენათმეცნიერება, თავისი მნიშვნელობით ეს სულ არ ნიშნავს, მაგალითად გამოყენებით მათემატიკას, გამოყენებით ფიზიკას ან გამოყენებით ქიმიას, რომლებიც იყენებს კონკრეტულ სამეცნიერო დისციპლინებს პრაქტიკაში. კრიმინალისტიკური ლინგვისტიკა არის ენობრივი ცოდნის გამოყენება კონკრეტულ სოციალურ გარემოში, კერძოდ, ჩვენ შემთხვევაში კრიმინალურ გამოძიებაში. ყველაზე ფართო გაგებით შეიძლება ითქვას, რომ კრიმინალისტიკური ლინგვისტიკა არის დანაშაულის და სამართლის ენის ურთიერთქმედება, სადაც კანონი და ენა მოიცავს სამართალდამცავ ორგანოებს, სასამართლოს საკითხებს, სასამართლო პროცესებში ენობრივი მტკიცებულებების გამოყენებას. ლინგვისტიკის მიერ მიცემულ ჩვენებებიდან გამომდინარე ამ დარგის გამოყენებას გააჩნია სხვადასხვა ხარისხის საიმედოობა (5).

ავტორის იდენტიფიკაცია - ემსახურება იმის გარკვევას, თუ მოცემულმა პირმა თქვა თუ არა რამე, რომელიც ეყრდნობა მისი იდიოლექტის: ანალიზს, ან ენის გამოყენების განსაკუთრებულ ნიმუშებს (ლექსიკა, კოლოკაციები, გამოთქმა, მართლწერა, გრამატიკა).

სასამართლო სტილისტიკა - ეს დისციპლინა წერილობით ან სამეტყველო მასალებს (ან ორივეს) მეცნიერული გაანალიზებისთვის და შინაარსის, მნიშვნელობის, მომხსენებლის

¹ **იდიოლექტი** — ერთი პირისთვის დამახასიათებელი მეტყველება ერთსა და იმავე თანამოსაუბრესთან ერთსა და იმავე თემაზე დროის გარკვეულ მოკლე მონაკვეთში.

² **კოლოკაცია** (გამოთქმა: KOL-oh-KAY-shun) - არის სიტყვათა ნაცნობი დაჯგუფება, განსაკუთრებით ის სიტყვები, რომლებიც ჩვეულებრივად ჩნდება ერთად და ამით მნიშვნელობას თანაბრად ატარებენ.

იდენტიფიკაციის ან საავტორო უფლებების განსაზღვრას და პლაგიატის დადგენას ემსახურება; **დისკურსის ანალიზი** ეხება წერიტი, ზეპირი ან ჟესტების ენის გამოყენების ან რაიმე მნიშვნელოვანი სემიოტიკური მოვლენის ანალიზს; **ენობრივი დიალექტოლოგია** ეხება დიალექტების შესწავლას მეთოდოლოგიურად, ანთროპოლოგიურ ინფორმაციაზე დაყრდნობით.

სასამართლო ლინგვისტიკის ენის მეცნიერული შესწავლის ასპექტებიდან საყურადღებოა: ტექსტის იურიდიული მიზნებით შესწავლა; სასამართლო-ლინგვისტური ექსპერტიზის დადგენის სწავლება; სოციალურ-კრიმინალური სუბკულტურის ლინგვისტური ასპექტების შესწავლა. ჩვენი აზრით, კონცეფცია სასამართლო (კრიმინალისტიკური) ლინგვისტური ექსპერტიზა მოიცავს კრიმინალური სამყაროს სუბკულტურის ელემენტების შესწავლასაც: პირობითი ენა, მეტსახელები (თიკუნები), ტატუები, საიდუმლო ჟესტები და მიმიკა, ანდაზები და გამონათქვამები. არსებობს მოსაზრება, რომ კრიმინალისტიკური ლინგვისტიკის ძირითადი ამოცანაა - ექსკლუზიურად სასამართლო ექსპერტიზის ლინგვისტიკა, ტექნიკური ექსპერტიზა ან პირადული იდენტიფიკაცია მისი ენობრივი მახასიათებლებით. ეჭვგარეშეა, დავების წარმოების ტრენინგის ენობრივი ექსპერტიზა დიდ მნიშვნელობას იძენს ენობრივი ექსპერტიზის სპეციალისტის მომზადებისას (6).

ზოგადად ენას ცენტრალური ადგილი უჭირავს ადამიანის ცხოვრებაში და, კონკრეტულად, სამართალში, ამიტომ, შესაძლოა, გარკვეულწილად გასაკვირიც კი იყოს, რომ კრიმინალისტიკური ლინგვისტიკა არენაზე შედარებით ახლად გამოჩნდა, განსაკუთრებით საქართველოს რეალობაში, ხოლო სხვა დარგები, როგორცაა მაგალითად ოდოროლოგია, შედარებით ძველია და საგამოძიებო პროცესებში თითქმის კარგად დამკვიდრებული (7).

ლინგვისტური მეთოდების მისადაგება იურიდიულ საკითხებთან საგნის მხოლოდ ერთი მხარეა, რომლის თანახმად, კრიმინალისტიკური ლინგვისტიკა არის ენათმეცნიერების სხვადასხვა თეორიის გამოყენება კვლევა-ძიებისას. ამრიგად, კრიმინალისტიკურ ლინგვისტიკას შეუძლია მოიშველიოს დაკვირვებები სხვადასხვა სფეროში ჩატარებულ კვლევებიდან, როგორცაა ლაპარაკი, კოგნიტური ენათმეცნიერება, დისკურსის ანალიზი, გრამატიკული თეორია, მეტყველების აქტის თეორია, ენისა და აზროვნების ურთიერთ-მიმართება, და სხვ.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლინგვისტი კრიმინალისტი იყენებს ლინგვისტურ ცოდნას და ტექნიკას იმ ენის მიმართ, რომელიც მონაწილეობს საგამოძიებო საქმეებში ან სასამართლო გარჩევებში ან მხარეებს შორის კერძო დავაში, რამაც შემდგომ ეტაპზე შეიძლება გამოიწვიოს რაიმე სახის იურიდიული ქმედებანი (8).

³ **სემიოტიკა** (ბერძნულად *sēmeiotikon* < *sēmeion* – ნიშანი), ს ე მ ი ო ლ ო გ ი ა, დისციპლინა, რომელიც იკვლევს ნიშანთა სისტემების ფუნქციონირების ზოგად კანონზომიერებას. მისი შესწავლის ობიექტია ყველანაირი ტიპის ნიშანი (დაწყებული სიგნალიზაციის უმარტივესი სისტემებიდან ბუნებრივი ენებისა და მეცნიერულად ფორმალიზებული ენების ჩათვლით).

როგორც ზემოთ აღინიშნა, ნახევარ საუკუნეზე მეტი ხნის წინ იან სვარტციკმა თავის რომანში აჩვენა ენობრივი ცოდნის აუცილებლობა და სარგებლობა. თავის ანალიზში მან გამოიყენა ტიმოთე ევანსის დაკითხვის ოქმი, რომელიც 1949 წელს ნასამართლევნი იყო მეუღლისა და პატარა ქალიშვილის მკვლელობისთვის. სვარტციკმა აშკარად აჩვენა, რომ ჩანაწერის ზოგიერთი ნაწილი გრამატიკული სტრუქტურის მიხედვით მნიშვნელოვნად განსხვავდებოდა დანარჩენი დაკითხვის ოქმებისაგან. ამ კვლევისა და სხვა ფაქტების საფუძველზე, მოსამართლეებმა დაადგინეს, რომ ევანსი შეცდომით გაასამართლეს. სამწუხაროდ, უკვე 1950 წელს ის სიკვდილით დასაჯეს. ამასთან, სვარტციკის ნამუშევრის წყალობით, გვიან იგი ოფიციალურად გაამართლეს და აყრილი პატივი დაუბრუნეს. დღეს სვარტციკის საქმე მიჩნეულია პირველ საქმედ, სადაც სამართლიანობამ გაიმარჯვა ლინგვისტური კვლევის წყალობით (9).

გარდა ამისა, საერთაშორისო პრაქტიკაში არსებობს კიდევ საქმეები, რომელშიც ენობრივმა ექსპერტიზამ მნიშვნელოვანი როლი ითამაშა. არის მსოფლიოში ცნობილი მუსიკოსის კურტ კობეინის მიერ დაწერილი თვითმკვლელობის წერილები, გამოსასყიდი ჩანაწერები ჩარლზ ლინდენბერგთან (ამერიკელი პილოტი, რომელმაც პირველი ფრენა განახორციელა ატლანტიკის ოკეანეზე), რომლის ვაჟიც გაიტაცეს და მოგვიანებით ლინდენბერგის სახლის ეზოში მოკლული იპოვეს (10).

ამჟამად, ენობრივი ექსპერტიზა კვლევის ცალკე დარგია, რომელიც აღიარებულია მთელ მსოფლიოში და მისი პროცედურა და საფუძვლები განისაზღვრება სამართლის პროცესულური წესებით (11).

მოკლედ რომ ვთქვათ, სასამართლო პროცესი პოტენციურად სამი საფეხურისაგან შედგება: გამოძიების, სასამართლო განხილვისა და აპელაციის საფეხურებისაგან. გამოძიების სტადიას დაზვერვით საფეხურსაც კი უწოდებენ. პროცესის ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია (სავარაუდოდ) დანაშაულის შესახებ ინფორმაციის შეგროვება-თავმოყრა. გამოძიებისას მოპოვებული მთლიანი მასალა, ინფორმაცია თუ მტკიცებულება, შეიძლება სასამართლო-ზე არც კი იქნეს გამოყენებული (რაც ყველა გამომძიებელმა უნდა იცოდეს), ამიტომ ლინგვისტი, რომელიც ეხმარება სამართალდამცავი ორგანოების თანამშრომლებს გამოძიების, დაზვერვის ეტაპზე, ფაქტობრივად აღმოაჩენს, რომ არავითარი აუცილებლობა არ არსებობს ყოველ მომდევნო სასამართლო განხილვისას მისცეს ჩვენებები. ანალოგიურად, ლინგვისტის შრომა გამოყენებულია სასამართლოზე და აპელაციის ეტაპზე არ საჭიროებს სასამართლოსთვის მის დახმარებას, თუკი აპელაციის შინაარსი არ შეიცავს ლინგვისტურ საკითხებს. სხვა მხრივ კი, თუკი ლინგვისტური მტკიცებულება, რომელიც კვლევის ადრეულ ეტაპებზე ხელმისაწვდომი არ იყო და აპელაციის მომზადების დროს აღმოჩნდება, მაშინ ეს ის ეტაპია, რომელშიც ენათმეცნიერს დასკვნის გამოსატანად ეძახიან (12).

საგამომძიებო ეტაპზე - როგორც წესი, ლინგვისტების გამოყენება ენობრივი ანალიზზე სამართალდამცავი ორგანოების, ან გამომძიებლის მოთხოვნით ხდება. ლინგვისტური კვლევის მტკიცებულებები მოიცავენ გამოსასყიდზე ჩანაწერებისა და წერილების ანალიზს, რომლებიც მიზნად ისახავდა ინფორმაციის მიწოდებას რაიმე საქმის შესახებ, მობილური ტელეფონის ტექსტური შეტყობინებებით ან კონკრეტული საფრთხის

შემცველი წერილებით. ლინგვისტებს ასევე სთხოვენ გააანალიზონ ტექსტები, წერილები, რომლებიც სავარაუდოდ თვითმკვლელობის წინ არის დაწერილი. მიუხედავად იმისა, რომ გამოძიებას ასეთ შემთხვევებში შეიძლება ექვი არ ეპარებოდეს ბოროტმოქმედებაში, შეიძლება მნიშვნელოვანი აღმოჩნდეს იმის დადგენა, რომ საექვო ტექსტის ანალიზმა რაიმე შუქი მოფინოს სიკვდილის მიზეზს ან გარემოებებს.

გამოძიების ეტაპზე შესაძლოა გამოძიებელს დასჭირდეს რაიმე დაწერილი ტექსტის ან დაკითხვის ჩანაწერის ანალიზი, რაც შემდგომში, შესაძლოა გასაუბრებისა და გამოკითხვის, დაკითხვის სტრატეგიის შემუშავებაში დაეხმარება, მაგრამ ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს ანალიზი, რასაც ლინგვისტი „სიმართლის შესახებ“ დასკვნის სახით წარმოადგენს (ანალიზის მსგავსი ტექნიკის გამოყენებით), სასამართლოში მტკიცებულების სახით მისაღები იქნება, რის გამოც ამგვარი ენობრივი ანალიზი ჩვეულებრივ შემოიფარგლება საგამოძიებო ეტაპით (13).

სასამართლო (კრიმინალისტიკური) ფონეტიკა - ითვალისწინებს ნათქვამის ზუსტი ტრანსკრიფციის წარმოებას. ტრანსკრიფციამ შეიძლება გამოავლინოს ინფორმაცია მოსაუბრის სოციალური და რეგიონული ფონის შესახებ. კრიმინალისტიკური ფონეტიკის მეშვეობით შეიძლება განისაზღვროს მსგავსება ორი ან მეტი ცალკეული ჩანაწერის მოსაუბრეებს შორის (14).

სასამართლო ექსპერტიზაში კვლევის ობიექტად ტრანსკრიფციის ორი ძირითადი ტიპი არსებობს - წერილობითი დოკუმენტები და ვიდეო და აუდიო ჩანაწერები. ზუსტი, საიმედო ტექსტის ტრანსკრიფცია მნიშვნელოვანია, რადგან ტექსტი არის ის მონაცემი, რაც ხელმისაწვდომ მტკიცებულებად იქცევა ხოლმე (15).

ინტრაავტორული ვარიაციები არის ის გზა, რითაც ერთი და იგივე საავტორო ტექსტი განსხვავდება ერთმანეთისგან. საავტორო ვარიაციები არის სხვადასხვა ფორმით განსხვავებული ავტორების წერითი მანერა. ერთი ავტორის ორი ტექსტი არანაკლებ განსხვავდება ორი განსხვავებული ავტორის ტექსტებისაგან.

აღწერითი ლინგვისტიკის საექსპერტო გამოყენება ხდება ენათმეცნიერების დახმარებით, რომლებსაც სასამართლო ლინგვისტებს უწოდებენ და რომლებიც ეხმარებიან სასამართლოს რამდენიმე ძირითად შეკითხვაზე პასუხის გაცემაში - რას „ამბობს“ მოცემული ტექსტი და ვინ არის მისი ავტორი? ამ კითხვებზე პასუხის გაცემისას ლინგვისტები აღჭურვილი არიან დესკრიფციული ანუ აღწერითი ენათმეცნიერების რამდენიმე ქვედარგის ცოდნით, ესენია: ფონეტიკა და ფონოლოგია, ლექსიკა, სინტაქსი, სემანტიკა, პრაგმატიკა, დისკურსი და ტექსტის ანალიზი (16). ტექსტი და მასზე მუშაობა ფონეტიკოსისთვის ეს არის ფირზე ან ციფრულ მატარებელზე არსებულ რაიმე აუდიო ჩანაწერში ფრაზების დეკოდირების საკითხი - როდესაც უხარისხოდ ხორციელდება ჩანაწერი არაპროფესიონალმა შეიძლება მოსმინოს ერთი რამ, ხოლო ექსპერტმა დახვეწილი სმენითა და ასევე სპეციალური მოწყობილობით, ან პროგრამული უზრუნველყოფით განსხვავებულად აღიქვას ყველაფერი.

სასამართლო ექსპერტი-ლინგვისტი არა სიტყვების გაშიფვრით, არამედ მათი ინტერპრეტაციით არის დაკავებული. სასამართლო ლინგვისტიკის ამოცანების აქტუალობა უტყუარი ინფორმაციის მოპოვების სირთულით არის განპირობებული, რაც წარმოადგენს მის როგორც მიზნობრივ ფუნქციას, ასევე არსსაც. შემცნობი სუბიექტი ჩადენილ დანაშაულს წარსულად მიიჩნევს და ეს დანაშაული მატერიალურ კვალს ტოვებს ან ცნობიერებაში ინახება. ორივე ინფორმაციის გამოაშკარავება, ასევე გაანალიზება და საბოლოო შეფასება კოგნიტური კვლევის ქვაკუთხედაა. ინფორმაციის წყარო უნდა გამოვლინდეს, დამაგრდეს, დეკოდირდეს, შეიკრიბოს, გამოიყოს და შეფასდეს. კრიმინალისტიკური ინფორმაცია აქტუალურია მაშინ, როდესაც კვლევის დროს ინფორმაციულად ძალზე მნიშვნელოვანია. თავისთავად ინფორმაცია ობიექტებს შორის აზრობრივი მიმოცვლაა. სწორედ აქ იწყება მოცემული ინფორმაციული პროცესების მოდელირებისა და ალგორითმიზაციის ჩამოყალიბება, რაც მკვლევარის დაკვირვება-აღქმაზე დამოკიდებულია. აქ მათემატიკური მოდელირება ერთვება, რომელიც შეუცვლელია შეუმცდარი ინფორმაციის მოპოვებისათვის.

ავტორობის დადგენის ლინგვისტური ანალიზი გულისხმობს საექვო ავტორის პრობლემის კვლევას თეორიული პოზიციიდან. თითოეული ენის მატარებელს თავისი ინდივიდუალური ენობრივი ვარიანტი - იდიოლექტი გააჩნია, რომელზეც ის წერს ან ლაპარაკობს. ეს იდიოლექტი გამოიხატება გამორჩეული და თავისებური, ინდივიდუალური არჩევანის საშუალებით. კრიმინალისტიკურ ლინგვისტიკასთან დაკავშირებული სფეროებია: დოკუმენტების გამოკვლევა - ენათმეცნიერებისა და დოკუმენტების ექსპერტიზას შორის ნაწილობრივი დამთხვევა უზრუნველყოფს ორმაგ სასარგებლო სამუშაოს სტილისტიკურ შემოქმედებაში, ესენია: პუნქტუაცია, ორთოგრაფია, აბრევიატურა და თარიღების საერთო მონაცემები. დაკითხულთა დოკუმენტების კვლევა ეყრდნობა დოკუმენტის ნივთიერი მტკიცებულების მეცნიერულ შესწავლას (17).

კომპიუტერული პროგრამირების სტილისტური ანალიზის გამოყენება კრიმინალისტური საავტორო უფლებების იდენტიფიკაციის საქმეში წამყვან ადგილს იკავებს. ეს განსაკუთრებით პლაგიატს ეხება, სადაც სტრიქონის საიდენტიფიკაციოდ პლაგიატში დაექვებული კომპიუტერული მეცნიერების პროფესორი იყენებს პროგრამულ უზრუნველყოფას დავალებაში საექვო კოდის სტრიქონის საიდენტიფიკაციოდ. გრაფიკული იდენტიფიკაციურობის ალგორითმი და კრიმინალისტიკური რეგისტრაციის მეთოდის ენობრივი მნიშვნელოვანი ნაწილია კვლევისა, რომელიც ეყრდნობა კოდირებისა და დეკოდირების მათემატიკურ გამოხატვას; ეს კი იწვევს მოკლედ და შეკუმშულად წარმოდგენილ ძირითად ინფორმაციას ისე, რომ შემოკლებითი პირობითი ციფრული ნიშნებით არ ირღვევა ძირითადი შინაარსი (18).

საცდელ საფეხურზე შეიძლება მოთხოვნილ იქნეს ლინგვისტური ანალიზის მრავალი ტიპი, მათ შორის, საავტორო საკითხები (ვინ დაწერა ტექსტი? / ვინ არის მოსაუბრე ამ ჩანაწერში?), მნიშვნელობა და ინტერპრეტაცია (ნიშნავს ეს სიტყვა, მაგალითად, x y ან რამე სხვა?), მუქარის ანალიზი (შეიცავს თუ არა ტექსტი მუქარას?), ან ტექსტის წარმოშობა და აგებულება (ტექსტს ორი ავტორი ჰყავდა? ჩაწერილი იყო თუ გახმოვანებული? და ა.შ.).

გამოძიებას შეიძლება ჰქონდეს სამოქალაქო ან სისხლის სამართლის ხასიათი და ეს განსაზღვრავს სასამართლოსათვის მისაღები „მტკიცებულების“ დონეს. ჩვეულებრივ, რამდენიმე ხნით ადრე სასამართლო ექსპერტი ლინგვისტს ინსტრუქციას აძლევს, სანამ საქმეს სასამართლო მიიღებდეს. ექსპერტის დასკვნა წარედგინება ინსტრუქტორთა იურიდიულ ჯგუფს ან ბრალდებისთვის, ან დაცვისთვის (ან სამოქალაქო საქმის მოსარჩელისთვის). მიუხედავად იმისა, რომ ლინგვისტი საქმის ანგარიშს ერთი „მხარისთვის“ ამზადებს და არა მეორისთვის, სინამდვილეში ის სასამართლოსთვის სრულდება. ლინგვისტის უპირველესი მოვალეობა, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა ექსპერტისა, არის სასამართლო და არა კლიენტი, რომლის სახელითაც თავდაპირველად ტარდება ანალიზი (19).

გასაჩივრების (აპელაციის) ეტაპი გულისხმობს შემდეგს - თუ ბრალდებული დამნაშავედ არის მიჩნეული დანაშაულის ჩადენაში, დღესდღეობით ძალიან ხშირად ადვოკატთა გუნდი თითქმის დაუყოვნებლივ იწყებს გასაჩივრებას. საჩივრების პროცესუალური სტრუქტურა და ხასიათი სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავდება; ზოგიერთ ქვეყანაში სააპელაციო საჩივრები ახალ მტკიცებულებებს ემყარება, რომ არსებული მტკიცებულებები ახლებურად იქნეს განხილული. უფრო ხშირად იურისკონსულტის დასახმარებლად ლინგვისტებს იძახებენ გასაჩივრების ეტაპზე, ან იმის გამო, რომ შეიძლება დავა წარმოიშვას პოლიციაში განცხადების ან აღიარებითი ჩვენების ფორმულირების, ინტერპრეტაციის ან ავტორის შესახებ, ან იმის გამო, რომ სასამართლო ექსპერტიზით შესწავლილი ტექსტი (მაგალითად, თვითმკვლელობის ან გამოსასყიდის ჩანაწერი) შეიძლება სასჯელის გამოტანის შემდეგ გამოაშკარავდეს (20).

ლინგვისტ-კრიმინალისტის მუშაობის არცთუ მცირე ნაწილი შედგება კერძო საქმეებისგან. ეს გულისხმობს, რომ სამუშაოს დაკვეთა ხორციელდება კერძო პირების მიერ, რომლებიც არ მონაწილეობენ სასამართლო გარჩევებში. ასეთი საქმეები მოიცავს ანონიმური, სიძულვილის ენით დაწერილი წერილის ავტორის იდენტიფიცირებას, სკოლის ან უნივერსიტეტისთვის ან სტუდენტის პლაგიატის გამოაშკარავებას. ზოგჯერ ხდება ისე, რომ ლინგვისტის დასკვნამ შეიძლება გავლენა იქონიოს კლიენტის გადაწყვეტილებაზე საკითხის შემდგომ გადასაწყვეტად, როგორც სამოქალაქო, ასევე სისხლის სამართლის საქმის აღძვრაზე, მაგრამ ხშირად არა. ჩვეულებრივ, ხდება ის, რომ დასკვნა ან ანგარიში წარედგინება და კლიენტი ამ საკითხს განიხილავს შიგნით - ან უნივერსიტეტის განყოფილებაში, ან ბიზნეს ორგანიზაციაში, ან ოჯახის წევრებს შორის.

ენობრივი მტკიცებულებების გამოყენებას სასამართლო პროცესებში გააჩნიათ სხვადასხვა ხარისხის საიმედოობა:

ავტორის იდენტიფიკაცია - იმის გარკვევა, მოცემულმა პირმა თქვა თუ არა რამე, ეყრდნობა მათი იდიოლექტის ანალიზს, ან ენის გამოყენების განსაკუთრებულ ნიმუშებს (ლექსიკის, შესიტყვებების, გამოთქმის, მართლწერის, გრამატიკის სფეროებს).

სასამართლო სტილისტიკა - ეს დისციპლინა წერილობით ან სამეტყველო მასალებს (ან ორივეს) სამეცნიერო ანალიზის გზით ადგენს, რათა განსაზღვროს მისი შინაარსი, მნიშვნე-

ლობა, მოლაპარაკე სუბიექტის იდენტიფიკაციის ან ავტორობის დადგენის, ასევე პლაგიატის დადგენის მიზნით.

დისკურსის ანალიზი - ეხება წერითი, ზეპირი ან ჟესტების ენის გამოყენების ან რაიმე მნიშვნელოვანი სემიოტიკური მოვლენის ანალიზს.

ენობრივი დიალექტოლოგია - ეხება დიალექტების შესწავლას მეთოდოლოგიურად, ანთროპოლოგიურ ინფორმაციაზე დაყრდნობით. დიდი მნიშვნელობა ენიჭება დიალექტების სისტემატურ შესწავლას.

სასამართლო ფონეტიკა - ითვალისწინებს წარმოთქმულის ზუსტი ტრანსკრიპციის წარმოებას.

ტრანსკრიფციამ, როგორც ზემოთ აღინიშნა, შეიძლება გამოავლინოს ინფორმაცია მოსაუბრის სოციალური და რეგიონული ფონის შესახებ. სასამართლო ფონეტიკა განსაზღვრავს მსგავსებას ორი ან მეტი ცალკეული ჩანაწერის მოსაუბრეებს შორის.

ენათმეცნიერები, რომლებიც შეისწავლიან წერილობით მასალებს, აკვირდებიან მართლწერას, წინადადების სტრუქტურას, ლექსიკის არჩევანს, პუნქტუაციას და ა.შ. შედარებისთვის, მეტყველების ექსპერტები „უსმენენ“ აქცენტს, დიალექტს, გამოთქმას, ხმის ტემბრს, მეტყველების სიჩქარეს, რიტმს და ა.შ.

თავად ლინგვისტური განათლების გარდა, მრავალი ექსპერტი გამოირჩევა განსაკუთრებული ცოდნით სამართალში, ფსიქოლოგიაში, სოციოლოგიაში, კომპიუტერულ ტექნოლოგიაში, კრიმინალისტიკაში და კრიმინოლოგიაში.

სუიციდისა და ძალადობრივი დანაშაულების გარდა, ლინგვისტური კრიმინალისტიკა ხშირად გამოიყენებოდა სავაჭრო ნიშნის სამართალწარმოების პროცესებში. მაგალითად, დავა ბითლზის Apple Corporation-სა და Apple-ის კომპანიას შორის, რომელიც სტივ ჯობსმა დააარსა.

ლინგვისტური კრიმინალისტიკა შესანიშნავი გზაა ლექსების, მოთხრობების ან რომანების ავტორობის დასადგენად. ასეთ შემთხვევებში შედის პლაგიატის კონცეფცია. როდესაც გაურკვეველია, ვინ დაწერა კონკრეტულად მოცემული ტექსტი, ექსპერტები ანალიზებენ სხვადასხვა ავტორების ნამუშევრების ნიმუშებს და ადგენენ, თუ ვისი სტილი და ენა უფრო შეესაბამება გამოძიების საგნის სტილს და ენას. ლიტერატურის ორი პოპულარული ნაწარმოები, რომლებმაც ჩააბარეს ეს გამოცდა, არის ჯ.კ. როულინგის ჰარი პოტერი და დენ ბრაუნის და ვინჩის კოდი.

ენათმეცნიერების საერთაშორისო ასოციაცია (www.iafl.org) აერთიანებს ექსპერტებს მთელი მსოფლიოდან და ატარებს სხვადასხვა თემატურ სემინარს და კონფერენციას.

სასამართლო ფონეტიკისა და ხმის ინჟინერიის საერთაშორისო ასოციაცია ყურადღებას ამახვილებს ზეპირი მტკიცებულებების გამოკვლევაზე. მასში გაერთიანებულია იურისტები, პროგრამისტები და ენათმეცნიერები, რომლებიც, პირველ რიგში, ამუშავებენ მეტყველების მონაცემებს და ეხმარებიან სამართალდამცავ და სასამართლო ორგანოებს ხმების

იდენტიფიკაციაში, ვიდეო მასალების, აუდიოჩანაწერებისა და სატელეფონო საუბრების ანალიზში.

იურისპრუდენციისა და ენათმეცნიერების შერწყმა, ენობრივი ექსპერტიზა არის მეცნიერების ძალიან მნიშვნელოვანი დარგი. სხვადასხვა დისციპლინები და კვლევის შესაძლებლობები, სხვა მეცნიერებებთან კავშირი (სოციოლოგია, ფსიქოლოგია, სოციოლინგვისტიკა) იზიდავს ახალგაზრდა პროფესიონალების ყურადღებას და უქმნის მათ ახალ პერსპექტივებს.

აღწერითი ლინგვისტიკის კრიმინალისტიკურ პროგრამებში შემოდის კრიმინალისტიკური ლინგვისტიკა, ტექსტის ტიპები, ავტორი და ავტორობის ენობრივი გამოკვლევა. იურისტებმა და ენათმეცნიერებმა უფრო მჭიდროდ უნდა იმუშაონ ერთმანეთთან სამართლის ინტერესებიდან გამომდინარე და არამარტო ენათმეცნიერებმა უნდა გაიუმჯობესონ ცოდნა სამართლის საკითხებში, არამედ იურისტებმაც ისარგებლონ ენათმეცნიერების გამოცდილებით, როგორც კონსულტანტებმა და ექსპერტ-მოწმეებმა.

კრიმინალისტიკური ლინგვისტიკის მომავალი იმედისმომცემი იქნება, თუ ენათმეცნიერები იმუშავენ იურიდიულ საკითხებზე, აგრეთვე კვალიფიკაციის, უნარებისა და ცოდნის მიღებაზე. გაიღრმავონ ცოდნა სხვა მონათესავე დისციპლინებში, რათა უკეთ მომზადდნენ მუშაობისთვის.

ამჟამად ლინგვისტური პრობლემები სულ უფრო აქტუალური ხდება იურისპრუდენციაში. კრიმინალისტიკური ლინგვისტიკა ცალკე დარგად ყალიბდება, რადგან მისი კონცეფცია მოიცავს (ვერბალურ და წერილობით) ტექსტთან დაკავშირებულ ყველა კონცეფციას.

კრიმინალისტიკური ლინგვისტიკის ძირითადი ობიექტია ტექსტი. ეს კი ჩვეულებრივ ნიშნავს სემანტიკური ბმულით გაერთიანებული ნიშნის ერთეულების თანმიმდევრობას. ნებისმიერი ნიშანთა სისტემა როგორებიცაა: საგზაო, სახმელეთო, თუ საზღვაო ნიშნები შეიძლება ენად/ტექსტად ან კიდეც, ინფორმაციად ჩაითვალოს. ამ ინფორმაციას თავისი სისტემა გააჩნია და გარკვეულ სოციალურ თუ კულტურულ სივრცეში არსებობს.

ნაწერის მიზანია, ნებისმიერ შემთხვევაში მოახდინოს აზროვნების (მეტყველების) ფიქსირება, ინფორმაციის დროთა განმავლობაში შენახვა და სხვა ადგილზე მისი გადაცემა. ნაწერის ეს ნიშანი მიუთითებს მის მიზნობრივ დანიშნულებაზე. ნაწერი შეიძლება შესრულებული იყოს ორი ძირითადი საშუალებით, ესენია: მექანიკური გზით (კომპიუტერით, ან სხვა მექანიკური საშუალებით) და შესრულებული ხელით. ნაწერის კრიმინალისტიკური გამოკვლევა შეისწავლის ნაწერს - როგორც ადამიანის აზრების ჩამოყალიბებას და სხვადასხვა საშუალებებით ფიქსირებას და წერისას ხელის განვითარების, ფორმირების კანონზომიერებებს, შემდგომში მისი შემსრულებლის იდენტიფიცირების მიზნით, ე.ი. დადგინდეს გამოსაკვლევი ობიექტის (წერილის, ხელნაწერის, ხელმოწერის, ციფრობრივი მონაცემების) შემსრულებელი პირი.

კრიმინალისტიკის ფარგლებში ნაწერის ცნება ზოგჯერ გულისხმობს მხოლოდ ადამიანის ხელით ნაწერს შესრულებულს, როგორც ქაღალდზე, ისე სხვა საგანზე (ხეზე, ლითონზე, ტყავზე და ა.შ.), ხოლო ტერმინს ხელწერა სხვადასხვა მნიშვნელობა აქვს. მაგალითად

ხელწერა გაგებულია როგორც მწერლობა, ე.ი. გარკვეული ისტორიული განვითარების საფეხურზე ჩამოყალიბებული გრაფიკული ნიშნების სისტემა, რომელიც გამოხატავს ასოებს, ციფრებს, სიტყვებს და ცნებებს. ამ შემთხვევაში ნაწერის ქვეშ იგულისხმება წერის პროცესი ე.ი. ადამიანის აზრების ჩამოყალიბება ქაღალდზე ან სხვა საგანზე, შესრულებული, როგორც ხელით წერის საფუძველზე ასევე საბეჭდო მანქანაზე, კომპიუტერზე, ან სტამბური წესით და სხვა მექანიკური საშუალებებით. ტერმინი ხელწერა გამოიყენება ასევე, როგორც ადამიანთა ურთიერთობის და ურთიერთგაგების საშუალება.

სხვადასხვა მეცნიერებს და მათ შორის კრიმინალისტიკურ კვლევებში მოღვაწე მეცნიერებს, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით გააჩნიათ განსხვავებული მიდგომები. აგრეთვე არსებობს ენობრივი ანუ თარგმნიდან გამომდინარე გაურკვევლობის პრობლემა დეფინიციებთან დაკავშირებით (21).

ენობრივი კვლევა ტარდება იმავე წესებისა და კანონების შესაბამისად, როგორც ნებისმიერი სხვა. ამ მიმართულებებით სფეროს წინსვლა დაეკისრება როგორც აკადემიურ, ისე კრიმინალური ლინგვისტიკის თემებს. ამის გაკეთება განსაკუთრებით რთულია იმ ორმაგი როლის გათვალისწინებით, რომელსაც ბევრი თამაშობს - როგორც აკადემიკოსები, ასევე კონსულტანტები. დაახლოებით ოცდაათი წლის წინ, სწორედ აკადემიურმა ენათმეცნიერებმა და ფონეტიკოსებმა მოითხოვეს, რომ სპექტროგრამების (ხმოვანი ანაბეჭდების) სასამართლო ექსპერტიზის გამოყენება გონივრულად ყოფილიყო გამოყენებული, რადგან ისინი ზუსტად არ იყო დამტკიცებული სასამართლო ექსპერტიზებში. კრიმინალურ ლინგვისტიკის სფეროს შეუძლია კვლავ წაიწიოს წინ ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში.

დასკვნა

იურისტები და ენათმეცნიერები უფრო მჭიდროდ უნდა თანამშრომლობდნენ ერთმანეთთან სამართლიანობის ინტერესებიდან გამომდინარე და არა მხოლოდ ენათმეცნიერებმა უნდა გააუმჯობესონ ცოდნა სამართლის საკითხებზე, არამედ იურისტებმაც უნდა ისარგებლონ ენათმეცნიერების გამოცდილებით, როგორც კონსულტანტებმა და ექსპერტ-მოწმებმა. წინამდებარე კვლევის თანახმად, კრიმინალური ლინგვისტიკის მომავალი იმედისმომცემი იქნება, თუ ენათმეცნიერები იმუშავებენ იურიდიულ საკითხებზე და პირიქით.

წინამდებარე კვლევა შეისწავლის კრიმინალისტიკური ლინგვისტიკის ძირითად ელემენტებს და მოკლედ მიმოიხილავს ამ დისციპლინას, მის ისტორიასა და განვითარებას და სასამართლო პროცესებში ენობრივი მტკიცებულებების გამოყენებას. უფრო მეტიც, ისეთ ტიპურ ენობრივ მტკიცებულებებს, როგორებიცაა ავტორის იდენტიფიკაცია, სასამართლო სტილისტიკა, დისკურსის ანალიზი, სასამართლო ფონეტიკა, კრიმინალისტიკა, გამოკვლეულია ტრანსკრიფცია და ვარიაცია (შინაგანი ავტორისეული და ინტერ-ავტორისეული). ის შეისწავლის კრიმინალისტიკურ ლინგვისტიკასთან დაკავშირებულ

სფეროებს. ამ მიზნით, დოკუმენტის განყოფილებაში შემოდის ექსპერტიზა, პროგრამული კრიმინალისტიკა, სემიოტიკა და პლაგიატი.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჯ. სვარტვიკი. ევანსის განცხადებები. კრიმინალისტიკური ლინგვისტიკის ქეისი. Jan Svartvik. The Evans Statements. A case for Forensic Linguistics. 1968.
2. ჯ. ოლსონი და ჯ. ლაჩენბროიერსი. კრიმინალისტიკური ლინგვისტიკა. Olsson, J. and Luchjenbroers, J. (2014). Forensic Linguistics. London: Bloomsbury. 3rd ed.
3. ჯ. ოლსონი, ა.ს. ბლეკი. დანაშულის გამომიება კრიმინალური ლინგვისტიკის მეშვეობით. J Olsson. A&C Black. Solving crime through forensic linguistics. 2009. 51, 2009.
4. ხელოვნებისა და ჰუმანიტარული კვლევის საბჭო. AHRC. Art & Humanities Research Council. 14-21, 2009.
5. კრიმინალისტიკური ლინგვისტიკა. Forensic linguistics. Retrieved from <http://www.ahrc.ac.uk/What-We-Do/Build-the.../Forensiclinguistics.pdf>. 2009.
6. ჯ.მ. სვეილსი. ჟანრის ანალიზი: ინგლისური აკადემიურ და კვლევით გარემოში. Swales. J.M. Genre Analysis: English in academic and research settings. New York: Cambridge University Press. 1990.
7. მაკკინლი და ე.ს. ტირაკიანი. თეორიული სოციოლოგია. McKinney and E.A. Tiryakian (eds) Theoretical Sociology. New York: Appleton-Century-Crofts. 187-238.
8. კრიმინალისტიკური მეტყველება და აუდიო ანალიზი კრიმინალისტიკურ ლინგვისტიკაში. Forensic speech and audio analysis in forensic linguistics 1998 to 2001: a review. quoted in Rose 2002.
9. რ. ბული და ბ. კლიფორდი. New Law Journal-ის სპეციალური დამატება ახალი მოწმე-ეზის შესახებ. New Law Journal. Bull, R. and Clifford, B. Special supplement on Expert Witnesses Journal. 1999. 149. Feb. 216-20.
10. რიჩარდ გ. გეჰილი, ჰაუპტმანის კიბე: ლინდბერგის გატაცების ეტაპობრივი ანალიზი. Cahill, Richard T. Hauptmann's Ladder: A Step-by-Step Analysis of the Lindbergh Kidnapping. Kent. Ohio: Kent State University Press. 2014.
11. ეროვნული აკადემიების ეროვნული სამეცნიერო საბჭო შეერთებული შტატების სასამართლო ექსპერტიზის განმტკიცების მიზნით: წინსვლის ბილიკი. National Research Council of the National Academies Strengthening Forensic Science in the United States: A Path Forward. Washington. D.C.: The National Academy Press. 2009.
12. კოულტარდი და ა. ჯონსონი. კრიმინალისტიკური ლინგვისტიკის სახელმძღვანელო. ენა მტკიცებულებების ფონზე. Coulthard, M. and Johnson, A. A Handbook of Forensic Linguistics: Language in Evidence. London. Routledge. 2010.
13. ლია ბარტოსი, არ არის კრიმინალისტიკური ფონი? აღარც პრობლემაა. Bartos. Leah. No Forensic Background? No Problem. ProPublica. 17 April 2012.
14. ჯონ ოლსონი, რა არის კრიმინალისტიკური ლინგვისტიკა? What is the Forensic linguistics? Forensic Linguistics Institute International consultant to law enforcement agencies and legal professionals. Wales. United Kingdom. 2007.

15. ჰარი ჰოლიენი, გ.ტ. ბენეტ/მერილუ, პ. გელფერი. კრიმინალური იდენტიფიკაციის შედარება: სიმულაციური დანაშაულის შედეგად ხმოვანი / ვიზუალური დადგენილი იდენტიფიკაციები. Hollien, Harry/G T Bennet/Marylou P. Gelfer. Criminal identification comparison: aural/visual identifications resulting from a simulated crime. J. Forensic Sciences. 1983. 28, 208-221.
16. მალკომ კოულტარდი, ელისონ ჯონსონი, დევიდ რაითი. კრიმინალისტიკური ლინგვისტიკის შესავალი: ენა მტკიცებულებების ფონზე. Malcolm Coulthard, Alison Johnson, David Wright. An introduction to forensic linguistics: Language in evidence. 2016.
17. ჯერალდ რ. მაკმენამინი. კრიმინალისტიკური ლინგვისტიკა. კრიმინალისტიკური სტილისტიკის მიღწევები. Forensic Linguistics: Advances in Forensic Stylistics. 2002-03-28.
18. რუი სოუსა-სილვა. 2014 წლის ივნისი. განათლების მთლიანობის საერთაშორისო ჟურნალი. Rui Sousa-Silva. Investigating academic plagiarism: A forensic linguistics approach to plagiarism detection. June 2014. International Journal for Educational Integrity 10(1):31-41DOI:10.21913/IJEI.v10i1.932.
19. ჯოზეფ რუდმენი. უილიამ შექსპირის საავტორო უფლებების კანონიკური მიკუთვნების არატრადიციული გამოკვლევები: Joseph Rudman. *Non-traditional Authorship Attribution Studies of William Shakespeare's Canon: Some Caveats*, 5 J. Early Mod. Stud. 307. 2016.
20. შაი რ. ათი უპასუხო კითხვა მირანდას შესახებ. ენობრივი მეტყველებისა და კანონის საერთაშორისო ჟურნალი. Shuy R. Ten unanswered questions about Miranda. International Journal of Speech Language and the Law 4 (2). 1997, 175-196.
21. გია დეკანოზიშვილი. სადავო დოკუმენტების ექსპერტიზა. სისხლის სამართლის საქმეზე მუშაობის პრაქტიკული საკითხები. სახელმძღვანელო იურისტებისათვის. ISBN 978-9941-25-010-1. 2015. მერიდიანი. გვ. 85-86.

The Essence and Basic Parameters of Forensic (Criminalistics) Linguistics

Gia Berdzenidze¹, Gia Dekanozishvili¹

¹Grigol Robakidze University, PhD
student.g.dekanozishvili@gruni.edu.ge

Abstract. The present study examines the structure and brief overview of the basic elements of forensic linguistics, the analysis, history and development of the disciplines contained in it, and the use of linguistic evidence in litigation. Moreover, typical linguistic evidence such as author identification, forensic stylistics, discourse analysis, forensic phonetics, forensic examination, transcription and variation (intra-author and inter-author) are cited. After a brief introduction we will get acquainted with the field that will study general issues, the fields related to the linguistics of forensic expertise. For this purpose, the document section includes expertise, software expertise, semiotics and plagiarism. In addition, the research focuses on descriptive linguistics forensic programs such as forensic linguistics, text types, author, and authoring linguistic examination.

Keywords: Forensic linguistics, criminalistic linguistics, linguistic analysis, linguistic identification

ირიბი ჩვენების მნიშვნელობა საგამოძიებო ორგანოებისათვის და მისი მტკიცებულებითი ძალა სასამართლოში

ნუკრი მატუა

გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
nukri.matua20@gruni.edu.ge

რეზიუმე. წარმოდგენილ სტატიაში: „ირიბი ჩვენების მნიშვნელობა საგამოძიებო ორგანოებისათვის და მისი მტკიცებულებითი ძალა სასამართლოში“ განხილულია ირიბი ჩვენება, როგორც მეორადი (წარმოებული) მტკიცებულება და მისი დასაშვებობის კრიტერიუმი სისხლის სამართლის პროცესში. ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების გამოყენების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს არსებითი დამახინჯების და ცვლილების შესაძლებლობა, როდესაც იგი სხვადასხვა სიჩქარის კოეფიციენტებით არის შუამავლობითი. ნაშრომში ყურადღება გამახვილებულია ირიბი ჩვენების სამართლებრივ საფუძვლებზე. კლასიფიცირებულია ჩვენებები და განხილულია მათი ფორმები, წარმოქმნის მექანიზმები და სტანდარტები შედარებით-სამართლებრივ კონტექსტში. სტატია მოიცავს ირიბი ჩვენების ქართული მოდელის მიმოხილვასა და ანალიზს. ქართული გამოცდილება განხილულია სამართლებრივ კონტექსტში, ირიბი ჩვენების გავრცელებიდან დღემდე, შეფასებულია ქართული მოდელის თავისებურებები და ძირითადი მახასიათებლები. ნაშრომი ასევე ეხება შინაარსობრივ, ტექნიკურ და სამართლებრივ მახასიათებლებს. განხილულია სამართლებრივი და საკანონმდებლო ტექნიკის მხრივ არსებული პრობლემები და მათი გადაწყვეტის შესაძლო გზები. ნაშრომის მიზანია ირიბი ჩვენების გამოყენების გავრცელებული მოდელების ანალიზი, ამ სამართლებრივი ასპექტების მიმოხილვა და განზოგადება, უკეთესი და შინაარსობრივად ადეკვატური მეთოდების შემუშავება, ირიბი ჩვენების სამართლებრივი ფორმების შესწავლა, რათა გამოიყოს ის ძირითადი მექანიზმები, რომელთა რეცეფცია და ადაპტაცია შესაძლებელი იქნება ქართულ სინამდვილეში. კვლევა ძირითადად ეყრდნობა შედარებით-სამართლებრივ მეთოდიკას, ანალიტიკურ, ისტორიულ, დესკრიფციულ, ჰერმენევტიკულ და სხვა სამეცნიერო მეთოდებს. მეთოდური კვლევის საფუძველზე მოხდება პრაქტიკულ სფეროში არსებული სამეცნიერო ლიტერატურის, სამართლებრივი აქტებისა და სასამართლო პრაქტიკის შესწავლა. უნდა დამუშავდეს ქართული საერთო და საკონსტიტუციო სასამართლოების, ევროპის სასამართლოს, ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს მნიშვნელოვანი რამდენიმე სახელმწიფოს პრაქტიკა, რაც შეიძლება უკეთესი მოწესრიგებისა და საქართველოში არსებული პრობლემების გადაწყვეტის საუკეთესო საშუალება იყოს. წინამდებარე სტატია მოიცავს ირიბი ჩვენების ისტორიულ მიმოხილვას, სადაც ხაზგასმულია ირიბი ჩვენების საჭიროების პირველი აღიარება ინგლისში და მისი დაშვებულ მტკიცებულებად ცნობა. ასევე შეფასებულია სამართლის აღნიშნული კომპონენტის ევოლუცია, მისი საჭიროება და როლი ქართული სისხლის სამართლის სისტემაში. მნიშვნელოვან ადგილს იკავებს 2015 წლის 22 იანვრის და 2020 წლის 25 დეკემბრის საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებები, რომლითაც ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების დასაშვებობის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი განისაზღვრა. ასევე გასათვალისწინებელია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, სადაც ირიბი ჩვენების გამოყენებისა და მისი მნიშვნელობის შესახებ მრავალწლიანი პრაქტიკა არსებობს. წინამდებარე სტატიაში მიმოხილულია საერთო

სასამართლოების მიდგომის ირიბი ჩვენების გამოყენებასთან დაკავშირებით საქართველოში, ამასთან ყურადღება გამახვილებულია ევროპის ქვეყნების კანონმდებლობასა და არსებული პრაქტიკის შეფასებაზე. საკითხზე შედარებით მოქნილი მიდგომა აქვს ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს, კერძოდ სტატიაში მითითებულ ერთ-ერთ საქმეზე გარკვეული სტანდარტის ჩამოყალიბების შესახებ. განსხვავებული მიდგომების მიუხედავად ფაქტია, რომ სახელმწიფოთა უმრავლესობა ცდილობს უფრო მოქნილი და დახვეწილი გახადოს ირიბი ჩვენების ინსტიტუტი ისე, რომ სისხლის სამართალში მართლმსაჯულების განხორციელების პროცესში აუცილებელ მთავარ ღირებულებებს არ შეექმნას საფრთხე, დაცული იყოს მხარეთა ინტერესი და არსებული სიტუაციის ობიექტური შეფასება, რაც საქმის სწორ კვალიფიკაციას განაპირობებს. დასკვნის სახით სტატია აჯამებს სისხლის სამართალში ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებულ მთავარ გამოწვევებსა და პრობლემებს. საუბარია საკონსტიტუციო სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების პრაქტიკაში დანერგვის მნიშვნელობაზე. თავმოყრილია ავტორის პოზიცია სხვადასხვა ქვეყნებში არსებულ განსხვავებულ მიდგომებთან დაკავშირებით, ავტორი ავითარებს მოსაზრებას ირიბი ჩვენების გამონაკლისის სახით დასაშვებობასთან დაკავშირებით.

სამიზნო სიტყვები: ირიბი ჩვენება, ირიბი ჩვენების წესი, წარმოებული მტკიცებულება, მტკიცებულებათა დასაშვებობა, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია.

1. შესავალი

ირიბი ჩვენების წესი მტკიცებულებებს შორის ერთ-ერთი ყველაზე რთულ და ხშირად სადავო საკითხს წარმოადგენს, მნიშვნელოვან როლს ასრულებს სისხლის სამართლის საქმეში. ირიბი ჩვენების მოწესრიგების საკითხი ქართული კანონმდებლობისათვის ფართო მსჯელობის საგანი ხდება, მიუხედავად მისი, არც თუ ისე ხანგრძლივი ისტორიისა. არსებულმა საგამომიზნო პრაქტიკამ აჩვენა, რომ ირიბი ჩვენება სისხლის სამართლის პროცესისათვის მნიშვნელოვანია და გარკვეულწილად მასზე დამოკიდებული ქვეყანაში მართლმსაჯულების ხარისხი. საქართველოს კონსტიტუციის 31-ე მუხლის მე-7 პუნქტი განსაზღვრავს ირიბი ჩვენების გამოყენების საკითხს, „დადგენილება ბრალდებულის სახით პირის პასუხისგებაში მიცემის შესახებ უნდა ემყარებოდეს დასაბუთებულ ვარაუდს, ხოლო გამამტყუნებელი განაჩენი – უტყუარ მტკიცებულებებს. ყოველგვარი ეჭვი, რომელიც ვერ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით, უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ“ (17).

ირიბი ჩვენების სანდოობის შემოწმების სამართლებრივი მექანიზმებისა და მისი გამოყენებისათვის საჭირო სათანადო პროცესუალური გარანტიების არარსებობა ხდება საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების მიღების მიზეზი, სადაც, პირის ბრალდებულად ცნობა და მის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა ირიბი ჩვენების საფუძველზე არაკონსტიტუციურად იქნა ცნობილი. მიუხედავად აღნიშნულისა, საკონსტიტუციო სასამართლო არ გამორიცხავს გამონაკლის შემთხვევებში ირიბი ჩვენების გამოყენების მართლობიერებას.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის №1/1/548 გადაწყვეტილებამ (4) გარკვეულწილად იმოქმედა საერთო სასამართლოების მიერ ირიბი ჩვენების

გამოყენების პრაქტიკაზე, ვინაიდან ხშირად სასამართლოები ირიბი ჩვენების მტკიცებულებით ძალაზე იმ შემთხვევაში მსჯელობენ, თუ მასში გადმოცემული ინფორმაცია საქმეში წარმოდგენილი პირდაპირი მტკიცებულებით დასტურდება, ხოლო საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებაში (5) აღნიშნა, რომ შინაარსობრივად პოლიციელის ჩვენება, რომელიც ემყარება ოპერატიულ ინფორმაციას ირიბი ჩვენების ერთგვარი ფორმაა. როგორც ჩანს იგი, დღემდე გამოიყენება გამამტყუნებელი განაჩენის გამოსატანად.

ეროვნული სასამართლოების წინაშე უფრო მწვავედ დადგა ირიბი ჩვენების მტკიცებულებითი ძალის შეფასების საკითხი. ამიტომაც სტატიაში განხილულია ირიბი ჩვენების საკითხები საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მიხედვით. სტატიაში აღწერილი და გაანალიზებულია საქართველოს კანონმდებლობა საერთაშორისო კანონმდებლობასთან, ასევე პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე განისაზღვრება ირიბი ჩვენების მნიშვნელობა და მისი მტკიცებულებითი ძალის საკითხი.

2. ირიბი ჩვენების მოკლე ისტორიული მიმოხილვა

ზოგადი სამართლის წესის თანახმად საქმეში არსებული ყველა შესაბამისი მტკიცებულება დასაშვებია, გარდა ირიბი ჩვენების წესისა. საერთო სამართლის წესი, რომელიც არსებობს უკვე წლების განმავლობაში წარმოადგენს adversarial system-ს (ე.წ. შეჯიბრებითობის სისტემის) განუყოფელ ნაწილს და უპირატესობას ანიჭებს ცოცხალი მოწმეების ჩვენებით მტკიცებულებებს, მხარეები მთლიანად არიან პასუხისმგებელნი თავიანთი პოზიციის დასაბუთებაზე (2,73).

ირიბი ჩვენებების გამორიცხვის საჭიროება პირველად აღიარეს ინგლისში, ჯერ კიდევ 1202 წელს (7,498) მიუხედავად იმისა, რომ ირიბი მტკიცებულებების შესაძლო საფრთხეები (არაკეთილსინდისიერი გზებით მოპოვებულ ირიბი ჩვენებები) პირველად შენიშნეს ინგლისში XIII საუკუნეში, მაინც გრძელდებოდა მათი დაშვებულ მტკიცებულებებად ცნობა სამართალწარმოების პროცესში. XV საუკუნის ბოლოს, ხდება შედარებით მკაფიო გამიჯვნა ნაფიც მსაჯულთა და მოწმეთა ფუნქციებს შორის, დაიწყო მზარდი აღიარება აუცილებლობისა, რომ უზრუნველყოფილიყო მოწმეებისგან უფრო საიმედო ჩვენების მიღება (8,556). XIX საუკუნის დასაწყისში ირიბი ჩვენების წესი უკვე შედარებით სრულად ჩამოყალიბდა და ყურადღება გამახვილდა მისი დიაპაზონის განსაზღვრაზე და წესის გამონაკლისების შექმნაზე (9,566), ხოლო 2003 წლის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ უახლეს რეფორმებთან დაკავშირებით, სისხლის სამართლის პროცესში ირიბი ჩვენების შესახებ კანონი შეიცვალა, რამაც ის უფრო თავისუფლად დასაშვები გახადა (11). ბოლოს კი, დღეისთვის გაერთიანებულ სამეფოში, ირიბი ჩვენება მტკიცებულებად არ განიხილება, თუ სამართლის საერთო წესით სხვაგვარად არ არის განსაზღვრული. ამასთან, მოქმედებს სამი ძირითადი პრინციპი: პირველი - მოსამართლეს აქვს უფლება, საქმიდან ამოიღოს ნებისმიერი მტკიცებულება, თუ სამართლიანობაზე

დამაზიანებელი ეფექტი მეტია ვიდრე, მისი სამართლებრივი ღირებულება; მეორე - იმ შემთხვევაშიც კი, თუ ირიბი ჩვენება დაშვებული იქნება და მსაჯულები მოისმენენ მას, მოსამართლე საბოლოო შეფასებისას ვალდებულია გააფრთხილოს ისინი იმ საფრთხეების შესახებ, რაც შეიძლება გამოიწვიოს ირიბ ჩვენებაზე დაყრდნობამ. და ბოლოს - მსაჯულებმა ბრალდებულის ბრალეულობის გადაწყვეტისას უნდა გაითვალისწინონ გონივრულ ეჭვს მიღმა სტანდარტის წესი, მათ შორის, ამ სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს ირიბი ჩვენებებით წარმოქმნილი მტკიცებულებაც (10,43-44).

3. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებების გავლენა ირიბ ჩვენებასთან მიმართებაში

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2015 წლის 22 იანვრის და 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებებით განისაზღვრა ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების, დასაშვებობის მომწესრიგებელი ნორმების კონსტიტუციურობის საკითხი. სასამართლომ განმარტა, რომ იმგვარი ჩვენების დასაშვებად ცნობა, რომელიც სხვა პირის მიერ გაკეთებულ განცხადებას ან გავრცელებულ ინფორმაციას ემყარება, შეიცავს მრავალ რისკს. მართალია, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობა ითვალისწინებს მოწმის მიერ ცრუ ჩვენების მიცემისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუმცა კონკრეტულ მოცემულობაში, ეს სამართლებრივი მექანიზმი, რომელიც მოწმის ჩვენების სანდოობის შემოწმებას ემსახურება, უფუნქციოდ რჩება, რადგან ირიბი ჩვენების მიმცემს არ ძალუძს დაადასტუროს სხვა პირის მიერ გავრცელებული ინფორმაციის სანდოობა. მიუხედავად სასამართლოს ამგვარი შეფასებისა, მან ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობა და მისი გამოყენება მკაფიოდ ფორმულირებული მარეგულირებელი ნორმებისა და სათანადო პროცესუალური გარანტიების პირობებში დასაშვებად მიიჩნია (4).

მიუხედავად იმისა, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ ობიექტური მიზეზების არსებობისას და ასევე მართლმსაჯულების ინტერესებიდან გამომდინარე, გამართლებულად მიიჩნია ირიბი ჩვენების დასაშვებობა, 2020 წლის 25 დეკემბრის გადაწყვეტილებით დაადგინა, რომ საერთო სასამართლოს პრაქტიკაში ყოფილა შემთხვევები, როდესაც ოპერატიული ინფორმაციის მიმღები პოლიციელის ჩვენება, სადაც ეს უკანასკნელი სხვა რაიმე დამატებითი ინფორმაციის მითითების გარეშე, უბრალოდ გადმოსცემდა ოპერატიული ინფორმაციის წყაროს მონათხრობს, გამოყენებული იყო გამამტყუნებელი განაჩენის ერთ-ერთ საფუძველად. საკონსტიტუციო სასამართლომ აღნიშნა, რომ შინაარსობრივად პოლიციელის ჩვენება, რომელიც ემყარება ოპერატიული ინფორმაციის მომწოდებელ წყაროს - კონფიდენტის ინფორმაციას, ირიბი ჩვენების ერთგვარი ფორმაა, რომელიც თანაბარ რისკებს უქმნის პირისთვის არაუტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანის სახელმწიფო ვალდებულებას. გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ განმარტა, რომ პოლიციელის ამგვარი ჩვენების გამამტყუნებელი განაჩენისთვის გამოყენება აშკარად უთანასწორო მდგომარეობაში აყენებს დაცვის მხარეს. დაცვის მხარეს არ აქვს შესაძლებლობა უშუალოდ დაკითხოს ოპერატიული ინფორმაციის მიმწოდებელი პირი, ეჭვქვეშ დააყენოს იმ პირის სანდოობა და დამაჯერებ-

ლობა, რომლის ჩვენებასაც სასამართლო ეყრდნობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას. დაცვის მხარისთვის ამგვარი შესაძლებლობის არქონა აშკარად ქმნის იმის საფრთხეს, რომ საქმეზე გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანა მოხდეს არაუტყუარი მტკიცებულებების საფუძველზე.

გასათვალისწინებელია გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკა, სადაც შეიმუშავეს საკმაოდ მრავალწლიანი მდიდარი სასამართლო პრაქტიკა ირიბი ჩვენების საკითხზე, გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს პრაქტიკით, როდესაც ნდობით აღჭურვილი პირები ან ფარული აგენტები მხოლოდ იმიტომ არ შეიძლება იქნან დაკითხული მოწმის სახით სასამართლოს მთავარ სხდომაზე, ვინაიდან კომპეტენტური ორგანო თავს იკავებს მათი ვინაობის გამხელისა და ჩვენების უფლების მიცემისაგან. გერმანიის ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ და გერმანიის უზენაესმა ფედერალურმა სასამართლომ ჩამოაყალიბეს მუდმივი სასამართლო პრაქტიკა ირიბი ჩვენების საკითხზე. მართალია, სასამართლოს დასაშვებად მიაჩნია ირიბი ჩვენება, თუმცა მხოლოდ მტკიცებულებთა შეფასების ფონზე, ირიბი ჩვენების განსაკუთრებული პრობლემების გონივრული გათვალისწინებით. იმაში დასარწმუნებლად, რომ ბრალდებულმა ჩაიდინა დანაშაული (გონივრული ეჭვის გასაქარწყლებლად) საკმარისია ირიბი ჩვენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ის გამყარებულია დამატებითი მტკიცებულებებით ან მტკიცებულებითი ნიშან-თვისებებით (5).

შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გერმანიის ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლოს მსგავსად, უარი არ უთქვამს ირიბი ჩვენების გამოყენებასთან დაკავშირებით, მიმოხილულია რა სტანდარტების დაცვის შემთხვევაშია მტკიცებულებითი ძალის მინიჭება შესაძლებელი.

4. საერთო სასამართლოების მიდგომა ირიბი ჩვენების გამოყენებასთან დაკავშირებით

საერთო სასამართლოების ერთგვაროვანი პრაქტიკის შესწავლის გარეშე, რთულია იმსჯელო ირიბი ჩვენების ირგვლივ. ყურადღების ღირსია საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2015 წლის 30 ივნისის განაჩენი, სადაც სასამართლომ იმსჯელა ერთ-ერთი მოწმის ჩვენებაზე და განაცხადა, რომ იგი „იმ ნაწილში, რომ ბრალდებულმა დაჭრა დაზარალებული, თავისი სამართლებრივი ბუნებით არის მოწმის ირიბი ჩვენება (რაც არც მხარეებს გაუხდიათ სადავოდ), ვინაიდან ეფუძნება სხვა პირის - ამ შემთხვევაში ბრალდებულის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას, ხოლო ამ უკანასკნელმა კი უარყო მის მიერ აღნიშნული ინფორმაციის მოწმისთვის მიწოდება“. სასამართლომ მიუთითა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე და აღნიშნა, რომ რამდენადაც სხვა არც ერთი პირდაპირი მტკიცებულება არ ადასტურებდა ბრალდებულის მიერ დაზარალებულის დაჭრის ფაქტს, ირიბი ჩვენება ვერ იქნებოდა ბრალდებულის მსჯავრდების საფუძველი. ამასთან, საკასაციო სასამართლომ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოტივაცია, რომ საქმეში არსებობდა სხვა პირდაპირი მტკიცებულებების ერთობლიობა და მოწმეთა ჩვენებებზე მსჯელობისას დაასკვნა, რომ რიგ შემთხვევაში

ჩვენებები არ უთითებდნენ არც პირდაპირ და არც ირიბად ისეთ ფაქტებს, რაც მსჯავრდებისათვის მტკიცებულება იქნებოდა. აღნიშნული გადაწყვეტილებებით გამოიკვეთა, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ ირიბი ჩვენების, როგორც მტკიცებულების გამოყენება აღარ ხდება კასაციის ეტაპზე გამამტყუნებელი განაჩენის საფუძვლად. აქ უკვე წარმოჩინდა უზენაესი სასამართლოს პოზიცია, რომ სასამართლო ვერ გამოიყენებს ირიბ ჩვენებას (1,19).

საერთო სასამართლოების მიდგომა ირიბი ჩვენების დასაშვებობასთან დაკავშირებით ერთიანია. ამაზე კი განსაკუთრებულ ზეგავლენას საკონსტიტუციო სასამართლო ახდენს. აღსანიშნავია, რომ სასამართლოები მსჯელობენ ირიბი ჩვენების მტკიცებულებით ძალაზე და გარკვეულწილად იზიარებენ ან არ იზიარებენ მას საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. თუმცა, როგორც ეროვნული სასამართლოების განაჩენები ცხადყოფს, მოსამართლეები ირიბი ჩვენების მტკიცებულებით ძალას იმის მიხედვით აფასებენ, მოიპოვება თუ არა საქმეში ირიბი ჩვენების დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულება. ამგვარი მიდგომის შედეგად, უდავოდ, გაიზარდა მტკიცებითი სტანდარტი, თუმცა სამართლებრივი თვალსაზრისით ისიც მისაღებია, თუ სასამართლოები ირიბი ჩვენების მტკიცებულებით ძალაზე იმ შემთხვევაშიც იმსჯელებდნენ, როდესაც ირიბი ჩვენებით გადმოცემული ინფორმაცია საქმეში არსებული არაპირდაპირი მტკიცებულებებით იქნებოდა დადასტურებული, ვინაიდან როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ მტკიცებულებას თანაბარი იურიდიული ძალა გააჩნია და ერთნაირად უნდა აკმაყოფილებდეს სანდოობის კრიტერიუმს.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებმა და საერთო სასამართლოების პრაქტიკამ მიგვიყვანა იქამდე, რომ შემუშავებულიყო მოქნილი კანონი. მოწმის დაკითხვის წესის ახალი პროექტი, რომელიც იუსტიციის სამინისტროს მიერ იქნა შემუშავებული, ითვალისწინებს გარკვეულ ცვლილებებს და სიახლეებს სისხლის სამართლის პროცესში. კერძოდ, როგორც განმარტებითი ბარათით არის განსაზღვრული, კანონპროექტის მომზადება განაპირობა სისხლის სამართლის საქმის წარმოების პროცესში მტკიცებულებებთან, მათ შორის, ირიბი ჩვენების დასაშვებობასთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში არასაკმარისი რეგულაციების არსებობამ. პროექტის ყველაზე მნიშვნელოვანი ნოვაციაა ე.წ. „განაგონის“ ცნება (არსებული უფრო ვიწრო მნიშვნელობის მქონე ტერმინის - „ირიბი ჩვენების“ ნაცვლად), რომლის დეფინიციაში მკაფიოდ არის ჩამოყალიბებული მისი კონკრეტული ელემენტები. კერძოდ, განაგონის ცნება სცდება ირიბი ჩვენების ჩარჩოს და მოიცავს, ნებისმიერ ინფორმაციას, რომელიც მესამე პირმა გამოხატვის ნებისმიერი ფორმით შეიძლება გადმოსცეს. კანონპროექტი აწესრიგებს, ასევე, ბრალდებულისა და მოწმის ნასამართლობის ან ხასიათის ნიშანთვისებების შესახებ მტკიცებულებების წარდგენის საკითხს და ამ მიზნით განსაზღვრავს ამგვარი მტკიცებულების დაუშვებლობის პირობებს, ისევე როგორც - შემთხვევებს, როდესაც მხარეს შეუძლია სასამართლოში ასეთი მტკიცებულებების გამოყენება. კანონპროექტით ბევრად უფრო დეტალურად განიმარტება მტკიცებულებათა შეფასების კრიტერიუმები (კოდექსის 82-ე მუხლი), რომელთა ერთობლიობაც აუცილებელია

გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისათვის. მნიშვნელოვანია, რომ კანონპროექტი პროცესის წარმართველი პირისათვის გარკვეული ვალდებულებების დაკისრებას ითვალისწინებს. კერძოდ, მოსამართლეს უჩნდება ვალდებულება, სამართლიანი და გონივრული კონტროლი გაუწიოს მოწმის დაკითხვის პროცესს, რათა უზრუნველყოს პროცესის ეფექტიანობა და თავიდან აიცილოს დროის გაჭიანურება და სხვა უკანონო ქმედებები (14).

5. ევროპისა ქვეყნების კანონმდებლობა და პრაქტიკა

საერთო სამართლისა და კონტიტენტური სამართლის ქვეყნების, სისხლის საპროცესო სამართალში ირიბი ჩვენების დასაშვებობის წესები და პრინციპები ერთმანეთისგან განსხვავებულია, რამდენადაც განსხვავდება სისტემები. ამავდროულად კონტინენტური ევროპის ზოგ ქვეყანაში დადგენილია ირიბი ჩვენების დასაშვებობის მინიმალური პრინციპები როგორცაა ესპანეთსა და იტალიაში (6). ესტონეთში ირიბი ჩვენების დასაშვებობის კრიტერიუმები კონკრეტიზირებულია სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში. საერთო სამართლის ქვეყნებში ეს კონკრეტიზაცია ხდება სასამართლო პრაქტიკით, თუმცა განსხვავებულია პოზიცია კანადაში, სადაც ირიბი ჩვენების დაშვების წესი ზოგადაა და სასამართლოს ეძლევა საშუალება ზოგადი პრინციპების საფუძველზე მოახდინოს ამა თუ იმ ჩვენების მტკიცებულებად დაშვება. ამერიკის ფედერალურ წესებში, განსხვავებით სხვა საერთო სამართლის ქვეყნებისა, ირიბი ჩვენების წინააღმდეგ წესის გამონაკლისების ძალიან ფართო ჩამონათვალი არსებობს (1,3).

ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებით ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს შედარებით მოქნილი მიდგომა აქვს. ზოგადად, სასამართლო ასეთ მტკიცებულებას ნაკლებად სანდოდ მიიჩნევს და „მაშინაც კი როდესაც არმყოფი მოწმის ჩვენება არ არის ერთადერთი, ან საქმისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობის, მისი საქმეზე დაშვებით შეიძლება დაირღვეს მე-6 მუხლის პირველი და 3 (დ) ნაწილები, თუკი არ არსებობს მოწმის სასამართლოზე არდასწრების გამამართლებელი ობიექტური მიზეზი.“ 2011 წელს საქმეში Al-Khawaja and Tahery v. United Kingdom ევროპული სასამართლოს დიდმა პალატამ მანამდე არსებული მიდგომები ოდნავ შეარბილა და აღნიშნა, რომ ირიბი ჩვენების დასაშვებად ცნობა და მეტიც, მასზე გამამტყუნებელი განაჩენის დამყარება ავტომატურად არ არღვევს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფის მოთხოვნებს. გადაწყვეტილებაში სასამართლომ კიდევ ერთხელ გაუსვა ხაზი იმას, რომ მნიშვნელოვანია ეროვნული კანონმდებლობის სისტემური შეფასება და არა კონკრეტულად იმის გარკვევა, უშვებს თუ არა ის შესაძლებლობას, გამამტყუნებელი განაჩენი დაემყაროს ირიბ ჩვენებას. პირველ რიგში, აუცილებელია დადგინდეს მოწმის გამოუცხადებლობა რამდენად იყო განპირობებული ობიექტური მიზეზებით. ამის პარალელურად, გადაწყვეტილების ირიბ ჩვენებაზე დამყარების შემთხვევაში, უნდა შემოწმდეს, რამდენად ითვალისწინებს ეროვნული კანონმდებლობა დამატებით პროცესუალურ მექანიზმებს, რომლებიც მთლიანობაში სამართლიანს აქცევს პროცესს და უზრუნველყოფს მხარისათვის იმ შესაძლო ზიანის დაბალანსებას, რასაც ასეთი მტკიცებულების დაშვება იწვევს (1,3).

ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ აღნიშნულ საქმეში ჩამოაყალიბა სტანდარტი - ალ ხავაჯას ტესტი, რომელიც უნდა დაკმაყოფილდეს ირიბი ჩვენების გამოყენებისას, რათა არ დაირღვეს სამართლიანი სასამართლო უფლების მოთხოვნები, კერძოდ: უნდა არსებობდეს მოწმის სასამართლოში არგამოცხადების მნიშვნელოვანი მიზეზი; ირიბი ჩვენება არ უნდა წარმოადგენდეს განაჩენის არსებით ან ერთადერთ საფუძველს; ნეგატიური ფაქტორები, რომლებიც ირიბი ჩვენების დასაშვებობით დაცვის მხარეს წარმოემობა, სათანადოდ უნდა დაბალანსდეს.

ირიბი ჩვენება, რომელიც ბრალდებულის ერთადერთი მამხილებელი მტკიცებულებაა, არ შეიძლება გამამტყუნებელი განაჩენის დადგენის საფუძველს წარმოადგენდეს. აგრეთვე, ირიბ ჩვენებას არ შეიძლება გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში. იმ შემთხვევაში, როდესაც ირიბი ჩვენება დასტურდება სხვა მტკიცებულებით, შეფასება, თუ რამდენად არსებითი მნიშვნელობა აქვს მას საბოლოო გადაწყვეტილების მიღების პროცესში, დამოკიდებულია დამადასტურებელი მტკიცებულების სიძლიერეზე. რაც უფრო მეტი მტკიცებულებითი ღირებულების მატარებელია დამადასტურებელი მტკიცებულება, მით უფრო ნაკლებ ზეგავლენას ახდენს ირიბი ჩვენება გადაწყვეტილების მიღების პროცესზე.

ევროპულმა სასამართლომ საქმეში *Horncastle and others v. United Kingdom*, სადაც აღნიშნა, რომ ირიბი ჩვენების გამოყენება პირის მსჯავრდებისას ავტომატურად არ ნიშნავს კონვენციის მე-6 მუხლის პირველი ან 3 (დ) პარაგრაფის დარღვევას. თუმცა, რიგ შემთხვევებში, შეიძლება დაირღვეს ამ მუხლით გათვალისწინებული უფლება მოწინააღმდეგე მხარის მოწმის დაკითხვაზე. „როდესაც ირიბი ჩვენება მიღებულია მხედველობაში პირის მსჯავრდების გადაწყვეტისას, აუცილებელია, შესაბამისი საპირწონე ფაქტორების (მტკიცებულებების) არსებობა, აგრეთვე ძლიერი საპროცესო გარანტიები, რომელიც ჩვენების სამართლიანი და სათანადოდ შეფასების საშუალებას იძლევა“. აღნიშნულ საქმეში სასამართლომ მიიჩნია, რომ თუნდაც ის მტკიცებულება, რომელსაც დაემყარა გამამტყუნებელი განაჩენი, მიჩნეულიყო საქმისათვის გადამწყვეტად, დარღვევა სახეზე არ იყო, რადგან ეროვნულ კანონმდებლობაში ზოგადად სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის საკმარისი გარანტიები არსებობდა (14).

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ განსაზღვრულია ის პირობები, რომლებიც უნდა დაკმაყოფილდეს იმისათვის, რათა ნებისმიერი სასამართლო განხილვა სამართლიანად ჩაითვალოს. რაც შეეხება ირიბ ჩვენებას, ნათელია, რომ იგი სამართალწარმოებიდან ამორიცხული არ არის და დასაშვები მტკიცებულებაა. თუმცა მისი სანდობის შეფასებისას განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო და რაც უფრო მეტი მტკიცებულებითი ძალა მიენიჭება გამოუცხადებელი მოწმის ჩვენებას, მით მეტი დამაბალანსებელი ფაქტორის არსებობაა აუცილებელი საქმის წარმოებისას.

6. დასკვნა

ირიბ ჩვენებასთან დაკავშირებული აქტივობის ხარისხობრივად შეფასებისას, მნიშვნელოვანი ფაქტორია, რომ კანონპროექტმა გაითვალისწინოს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს შენიშვნები (13) და სასამართლო აღჭურვის ისეთი სახელმძღვანელო პრინციპებით, რომელიც მას ირიბი ჩვენების დასაშვებობის საკითხის გადაწყვეტაში, ან ასეთ ჩვენებაზე დაყრდნობით, განაჩენის მიღებაში დაეხმარება. კანონპროექტით გაწერილი საპროცესო და სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვის ახალი გარანტიები, განაგონის სათანადოდ შეფასების საშუალებას იძლევა, რასაც დადებითად აფასებენ. შემოთავაზებული ცვლილებები პასუხობს საკონსტიტუციო სასამართლოს შენიშვნას იმ მინიმალური გარანტიების გათვალისწინების შესახებ, რომლებიც გამორიცხავენ პოტენციურად მცდარი, საექვო მტკიცებულებების ბრალდებულის საწინააღმდეგოდ გამოყენების შესაძლებლობას. როდესაც პირის ბრალეულობის დამტკიცება ხდება ორი ან მეტი მტკიცებულების საფუძველზე, შესაძლებელი უნდა იყოს, რომ აქედან ერთ-ერთი იყოს ირიბი ჩვენება. ჭეშმარიტების ძიებისას ჩანს, რომ ირიბი ჩვენების წესის ხელისშემშლელი ფაქტორები ძირითადად განპირობებულია, მისი გამონაკლისების მოუქნელობით, მოსამართლეების მიერ ამ გამონაკლისების ხისტი შედგენითა და წესის მკაცრი დაცვით (12,1427).

სხვადასხვა ქვეყანებში ეს საკითხი განსხვავებულად წესრიგდება. ამ მრავალფეროვნების მიუხედავად, სახელმწიფოთა უმრავლესობა ცდილობს რაც შეიძლება, უფრო დახვეწონ და მოქნილი გახადონ ამ წესის გამოყენება, ისეთივე იურიდიული დატვირთვით, როგორც პირდაპირი მტკიცებულება. ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის არც ერთი დებულება მიანიშნებს ირიბი ჩვენების გამოყენების შეზღუდვაზე, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ მისი სანდოობის მიმართ მაღალი სტანდარტი მოქმედებს და მისი მტკიცებულებითი ძალა უპირატესად დამოკიდებულია სანდოობის დამადასტურებელ მტკიცებულებაზე, როგორც პირდაპირზე, ისე არაპირდაპირზე.

ყველაფერი განხილულის საფუძველზე, ცალსახად მიმაჩნია, იმ გაუგებრობისა და უზუსტობების მიუხედავად, რასაც ირიბი ჩვენება იწვევს. ინსტიტუციის დახვეწასთან ერთად საბოლოოდ, ირიბი ჩვენება უნდა არსებობდეს, როგორც გამონაკლისი, ხოლო მისი უტყუარობის შეფასება არ უნდა იყოს დამოკიდებული, კონკრეტული მოსამართლისა თუ ნაფიც მსაჯულთა სუბიექტურ აღქმაზე. მკაფიოდ უნდა განისაზღვროს გარემოებები, თუ რა დროს იქნება შესაძლებელი და რა დროს არა ირიბი ჩვენების გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Kvachadze M., Melashvili L., Shonia N., Mamaladze E. Tbilisi 2016. "Hearsay Legislation and Practice of Foreign Countries" Supreme Court Analytical Division of Georgia.
2. Turava M. 2014. "Harmonious Convergence in International Criminal Procedure and Georgian Criminal Procedure Rules". "Human Rights and Legal Reform in Georgia". Tbilisi.
3. Urushadze I. Tbilisi 2015. "Hearsay as evidence in criminal proceedings - a study of common court practice".

4. Judgment of the Constitutional Court of Georgia of 22/01/2015 in the case "Citizen of Georgia Zurab Mikadze v. Parliament of Georgia" (№1 / 1/548).
5. Judgment of the Constitutional Court of Georgia of 25/12/2020 in the case "Giorgi Keburia v. Parliament of Georgia" (# 2/2/1276).
6. The current version of the Code of Procedure has been adopted in cooperation with Parliamentary Research Centers. ECPRD.
7. Kenny C. S., Turner J. W. C., September 1.1966, "Kennys Outlines of Criminal Law", 19th edition, Cambridge University Press.
8. Lord Auld.J. October 2001. "Review of the Criminal Courts of England and Wales Report". London: The Stationery Office.
9. Cross A.R.N., Tapper C. 1995. "Cross and Tapper on Evidence". 8th edition. London: Butterworths.
10. Al-Khawaja and Tahery v United Kingdom. Judgment 15.12.2011.
11. The United Kingdom. Parliament of the United Kingdom. 2003. Act of the Parliament. "The Criminal Justice Act 2003". London Published by TSO.
12. Wigmore J.H. Boston 1940. „Wigmore on Evidence“. 3d ed. Boston. MA: Little. Brown.
13. http://hrm.org.ge/ge/activity/iribi-mtkitsebulebebis-dasashvebobis-taobaze-sakanonmdeblo-regulatsiebis-ganmtkitseba#_ftn17 [29.11.2021].
14. [https://hudoc.echr.coe.int/fre#%22itemid%22:\[%22001-148673%20Horncastle%20and%20others%20v.%20United%20Kingdom;%22](https://hudoc.echr.coe.int/fre#%22itemid%22:[%22001-148673%20Horncastle%20and%20others%20v.%20United%20Kingdom;%22)
15. <http://www.supremecourt.ge/files/upload-file/pdf/iribi-chvenebebi1.pdf>
16. <https://constcourt.ge/ka/media/news> [29.11.2021]
17. <https://matsne.gov.ge/document/view/16426?publication=230> [29.11.2021]
18. <https://matsne.gov.ge/ka/document/download/30346/36/ge/pdf> [29.11.2021]
19. <https://www.justia.com/criminal/procedure/hearsay-in-criminal-cases>

The importance of Hearsay for investigative Bodies and its Evidential Power in Court

Nukri Matua

Grigol Robakidze University, PHD student
nukri.matua20@gruni.edu.ge

Abstract. The presented article "The importance of Hearsay for investigative bodies and its evidential power in court" discusses Hearsay as a secondary (produced) evidence and the criterion of its admissibility in criminal proceedings. The main danger of using hearsay as evidence is the possibility of substantial distortion and alteration when it is mediated by different velocity ratios. The author focuses on the legal basis of Hearsay. Testimonies are classified and their forms, mechanisms of production and standards are discussed in a

comparative-legal context. The article includes an overview and analysis of the Georgian model of Hearsay. There is discussed Georgian experience in the legal context from the dissemination of Hearsay to the present day, the peculiarities and main features of the Georgian model are evaluated. The content, technical, and legal aspects of the work are also discussed. There are discussed problems that exist in terms of legal and legislative techniques and possible ways to solve them. The purpose of this article is to analyze common Hearsay models, review and generalize these legal aspects, develop better and more substantively appropriate methods, and research legal forms of Hearsay in order to identify the main mechanisms that can be received and adapted in Georgian reality. The research is mainly based on comparative-legal methodology, analytical, historical, descriptive, hermeneutic and other scientific methods. Based on the methodological research, the existing scientific literature, legal acts and case law will be studied in the practical field. The case law of the Georgian Common and Constitutional Court, the European Court of Justice, and numerous significant US Supreme Courts should be developed, as this may be the most effective strategy to better regulate and resolve problems in Georgia. The present article includes a historical overview of indirect testimony highlighting the first recognition of the need for indirect testimony in England and its recognition as admissible evidence. The evolution of this component of law, its need and role in the Georgian criminal justice system are also assessed. The decisions of the Constitutional Court of 22 January 2015 and 25 December 2020, which defined the constitutionality of indirect Chen as evidence-based norms of admissibility, play an important role. The practice of the German Federal Constitutional Court, where there are many years of practice on the use of indirect chen and its significance, should also be considered. In this article, the author reviews the approach of the common courts regarding the use of indirect testimony in Georgia, with a focus on the legislation of European countries and the assessment of existing practices. The European Court of Human Rights has a relatively flexible approach to the issue, setting a certain standard in one of the cases mentioned in the article. Despite the different approaches, it is a fact that most states try to make the institution of indirect censorship more flexible and sophisticated so that the core values necessary in the administration of criminal justice are not jeopardized, the interests of the parties are protected and the situation is objectively assessed. In conclusion, the article summarizes the main challenges and problems related to indirect testimony in criminal law. We are talking about the importance of implementing the decision made by the Constitutional Court in practice. Gathering the author's position on the different approaches in different countries, the author develops an opinion on the admissibility of indirect testimony as an exception. The aim of the paper is to analyze the common models of indirect testimony, to review and generalize these legal aspects, to develop better and more substantively adequate methods, to study the legal forms of indirect testimony in order to identify the main mechanisms that can be received and adapted in Georgian reality.

Keywords: Hearsay, Hearsay Rule, Produced Evidence, Admissibility of Evidence, Constitutional Court of Georgia, European Convention on Human Rights.

ბინათმესაკუთრეთა გაერთიანების მართვის თავისებურებები - მიზანი, პასუხისმგებლობა, კონტროლი

სოფიო ბარნაბიშვილი

გრ. რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
sopio.barnabishvili20@gruni.edu.ge

რეზიუმე. მიუხედავად იმისა, რომ მრავალბინიან საცხოვრებელ სახლებში მობინადრეთა საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესების, საერთო ინტერესების გაზიარებისა და სასურველი კეთილდღეობის შექმნის სამართლებრივი პლატფორმა 2007 წლიდან არსებობს, სამეზობლო სამართალი დღესაც ბევრი სირთულისა და გამოწვევის წინაშეა. დღევანდელ სამართლებრივ რეგულაციამდე მეზობლებს შორის თმენის, ურთიერთპატივისცემისა და ემპათიის საჭიროებებიცა და ვალდებულებებიც დიდი ხნის წინ გაჩნდა, რომელიც თავის თავში მოიცავს საბჭოთა სივრცეში არსებულ საბინაო-საექსპლუატაციო რეგულაციებსა და სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ უფლება-მოვალეობებს. იმის გათვალისწინებით, რომ აღნიშნული სამართლებრივი რეგულაციით თითოეულ მაცხოვრებელს ინდივიდუალური საკუთრებისა და საერთო სარგებლობის სტატუსის მქონე ფართების მნიშვნელობისა და თავისი წილი პასუხისმგებლობის გააზრება დაევალა საერთო საქმეში, არსებული სასამართლო პრაქტიკა მდიდარია იმ კატეგორიის დავებით, რომელიც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების მიერ განკარგული ფართების კუთვნილებისა და მის დამოუკიდებლად ექსპლუატაციის უფლებამოსილების ფარგლებს ეხება. წინამდებარე სტატიაში: „ბინათმესაკუთრეთა გაერთიანების მართვის თავისებურებები - მიზანი, პასუხისმგებლობა, კონტროლი“, წარმოდგენილია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წარმოშობისა და განვითარების ისტორია, შესაბამისი საკანონმდებლო პლატფორმის შექმნის წინაპირობები, საჭიროებები და მნიშვნელობა. ამასთან, განხილულია ამხანაგობა, როგორც თანამშრომლობის მოდელი, წევრებისა და თავმჯდომარის პასუხისმგებლობის ფარგლები, გაერთიანების მიზნები და კონტროლის მექანიზმები, როგორც სახელმწიფო, ისე ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე. ავტორს მიაჩნია, რომ დიდი ყურადღება უნდა დაეთმოს თავმჯდომარეების მომზადებას აღნიშნული პასუხისმგებლობის ასაღებად. ამასთან აუცილებელია ქონდეთ მატერიალური ხელშეწყობა, ვინაიდან ამგვარი გარემო ზრდის კონკურენციას და შესრულებული სამუშაოს ხარისხს. სტატიაში ყურადღება ეთმობა, ამხანაგობის საქმიანობის ორგანიზაციულ ასპექტებს, მის კანონისმიერ რეგულაციას და სამეზობლო ურთიერთობებს, სადაც არანაკლებ მნიშვნელოვანია წევრთა მორალური ფასეულობები და ინდივიდუალური საკუთრების განკარგვა, იმგვარად, რომ საკუთრების თავისუფლებით არ შეილახოს, შეიზღუდოს და დაზიანდეს სხვისი უფლება. საკუთრების უფლების თავისუფალი განკარგვა მხოლოდ პირის შეხედულებების შესაბამისად დაუშვებელია, აუცილებელია თავისუფალი მოქმედების არეალის განსაზღვრა და იმის გააზრება, რომ ინდივიდუალური საკუთრების განკარგვა მესამე პირისათვის ზიანის მომტანი არ უნდა იყოს. ავტორის მიერ ყურადღება გამახვილებულია ამხანაგობის მართვის ძირითად ინსტრუმენტებზე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ტიპოლოგიაზე და წევრთა სამართლებრივ სტატუსზე. სტატია მოიცავს შემდეგ მნიშვნელოვან საკითხებს: ამხანაგობის წევრი, როგორც აუცილებელი მოცემულობა, „იძულებით წევრობა“ და მისი კონსტიტუციურობის საკითხი, მესაკუთრე და არამესაკუთრე წევრების უფლებამოსილების ფარგლები, იურიდიული პირი, როგორც ამხანაგობის წევრი, სახელმწიფოს,

როგორც ამხანაგობის წევრისა და ამავდროულად მაკონტროლებელი სუბიექტის პასუხისმგებლობა, დაინტერესებული პირისა და ნივთის მართლზომიერი მფლობელის ინსტიტუტი. სტატიაში განხილულია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ორგანიზაციული ასპექტები, რომელიც მოიცავს ამხანაგობის კრების უფლებამოსილების, როლისა და მნიშვნელობის შეფასებას ნივთზე მფლობელობის დადასტურებისა და შემდგომ მასზე საკუთრების უფლების რეგისტრაციის პროცესში. შეფასებულია რამდენად საკმარისია ამჟამად კანონში არსებული ხმათა რაოდენობა ქონების განკარგვის პროცესში, იღებს თუ არა პასუხისმგებლობას ამხანაგობა მის შემდგომ მოვლა პატრონობაზე, არსებობს თუ არა შემდგომი მაკონტროლებელი მექანიზმი. აღწერილია ამხანაგობის თავმჯდომარის, როგორც მმართველისა და სამეზობლო გაერთიანების წარმომადგენლის ინსტიტუტი. სად იწყება და სრულდება თავმჯდომარის პასუხისმგებლობა, რამდენად მიზანშეწონილია მათი პასუხისმგებლობის დასრულება მხოლოდ საერთო სარგებლობაში არსებული ფართის განკარგვით. ამასთან, სტატიაში წარმოდგენილია, შედარებით სამართლებრივი კვლევით, ამერიკის შერთებული შტატებისა და ევროპის სხვადასხვა ქვეყნების მაგალითზე მესაკუთრეთა გაერთიანებების ეფექტიანი მართვის ღირებულება როგორც სამართლებრივი, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. სტატია აჯამებს საკითხის მთავარ გამოწვევებს, ამხანაგობის, როგორც სამეზობლო გაერთიანების განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებსა და პასუხისმგებლობების გადანაწილების საკითხებს. ყურადღება გამახვილებულია თითოეული წევრის როლისა და ფუნქცია-მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულების მნიშვნელობაზე.

საძიებო სიტყვები: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა, მესაკუთრეთა გაერთიანება, ამხანაგობის წევრი, საერთო სარგებლობის ფართი

შესავალი

სანივთო სამართალი არეგულირებს კონკრეტული სუბიექტების უფლებებს გარკვეულ ობიექტებზე, სწორედ ამიტომ ქონებრივი უფლებების მომწესრიგებელი ნორმები კერძო სამართლის ქვაკუთხედად შეიძლება იქნეს მიჩნეული. სანივთო სამართლის ნორმების რეალიზაციის შედეგად დგება სამართლის სხვა ინსტიტუტების გამოყენების საჭიროებაც (14, 72-75). სამართლებრივი დოქტრინისათვის მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს საერთო საკუთრებად და როგორ უნდა იქნეს უზრუნველყოფილი მისი თავისუფალი განკარგვა. საკუთრების უფლების თავისუფალი განკარგვის შესაძლებლობა პირდაპირ კავშირშია საბაზრო ეკონომიკის განვითარებასა და საქონლის შეუფერხებელ მიმოცვლასთან (14, 69-70).

უძრავი ქონების პრივატიზაციის პროცესში, მესაკუთრეთა სიმრავლემ წარმოშვა არსებული სამეზობლო ურთიერთობის მომწესრიგებელი სამართლებრივი ნორმების აუცილებლობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურებოდა 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის ჩანაწერები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ, რომელიც მოგვიანებით ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონის შექმნის საფუძველი გახდა (5, 545).

აღნიშნული სამართლებრივი რეგულაციით თითოეულ მაცხოვრებელს დაევალა გაეაზრებინა ინდივიდუალური საკუთრებისა და საერთო სარგებლობის სტატუსის მქონე ფართების მნიშვნელობა, საკუთარი ინტერესები და პასუხისმგებლობა მათი მართვად განკარგვის პროცესში (19).

აღსანიშნავია, რომ კანონმა დაინტერესებულ პირებს, რომლებიც ამავდროულად მესაკუთრეთა გაერთიანების წევრები არიან, საკუთარი შეხედულებისამებრ, ურთიერთ-მოლაპარაკების შედეგად მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების წარმოშობისა და მისი რეგისტრაციის შესაძლებლობა მისცა. საუბარია 2007 წლის 01 აგვისტომდე მობინადრის მფლობელობაში არსებული საერთო სარგებლობის ფართების საკუთრების უფლებით რეგისტრაციაზე, მათ შორის: სხვენები, სარდაფები, დამხმარე სათავსოები, ავტოფარეხები და სხვ.

წინამდებარე სტატია მოიცავს ბინათმესაკუთრეთა გაერთიანებების მოკლე ისტორიულ ექსკურსს, ინფორმაციას მობინადრეთა თანამედროვე საკანონმდებლო პლატფორმის შესახებ, ამხანაგობების ძირითად ორგანიზაციულ ასპექტებსა და საერთო სარგებლობის ფართების განკარგვის თავისებურებებს.

ამასთან საუბარია, სასამართლო პრაქტიკასა და ევროპის ქვეყნების გამოცდილებაზე საბინაო ფონდის განვითარების პროცესში.

თავი 1. ისტორიული ექსკურსი

1997 წლის 25 ნოემბრიდან საბინაო-სამშენებლო კოოპერატივები, როგორც იურიდიული პირები, გაუქმებულად ჩაითვალნენ. მათ უფლებამონაცვლეებად ბინის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები გამოცხადდნენ ისე, რომ სახელმწიფოს მიერ ადრე შექმნილი საბინაო სამშენებლო კოოპერატივების წინაშე აღებული ვალდებულებები ძალაში დარჩა (20).

საბჭოთა კავშირის სამოციანი წლების დასაწყისში, საბინაო სექტორის განვითარების ფარგლებში, ბინათმშენებლობის ახალი ფორმის - საბინაო-სამშენებლო კოოპერატივების შემქნის წყალობით, მილიონობით მოქალაქემ შეძლო ბინის მფლობელი გამხდარიყო (5, 548). ამ პერიოდში ბინის მფლობელობის დამადასტურებელ დოკუმენტად ორდერი გაიცემოდა, სადაც მითითებული იყო ინფორმაცია მფლობელისა და მასთან მცხოვრები ოჯახის წევრების ვინაობისა და მათი ნათესაური კავშირის შესახებ (24).

საბჭოთა სივრცეში არსებული საბინაო კრიზისის დაძლევის მიზნით ჯერ კიდევ 1920-იანი წლებიდან ხელისუფლებამ დაინტერესებულ პირთან სახსრების გაერთიანების მიზნით სამშენებლო კოოპერაციების იდეას ჩაუყარა საფუძველი (6, 20).

1924 წლის 24 აგვისტოს მიღებულ იქნა დადგენილება „საბინაო კოოპერაციების შესახებ“, რომელიც ითვალისწინებდა მთელი მოსახლეობის ჩართულობას მუშათა კლასის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაში, საბინაო სექტორის გაძლიერებისა და განვითარების მიზნით. საბინაო კოოპერატიული ამხანაგობები იყოფოდა შემდეგ კატეგორიებად: საბინაო-საიჯარო კოოპერატიული ამხანაგობა, რომელიც მოგვიანებით ე.წ. „ჟაკტებად“ იწოდებოდა, მუშათა საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული და საერთო-საქალაქო საბინაო-სამშენებლო კოოპერატიული ამხანაგობა (3, 33-35).

ამხანაგობის თითოეული წევრი ინდივიდუალური, სავალდებულო შენატანის, ე.წ. „პაის“ გზით მონაწილეობას დებულობდა კოოპერაციული საცხოვრებელი სახლის მშენებლობაში (2, 458-459).

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ, ჯერ კიდევ მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე (90-იანი წლების დასაწყისში), სახელმწიფომ მასობრივად დაიწყო, როგორც საბინაო, ისე კოოპერატიულ-სამშენებლო ფონდში რიცხული ბინების პრივატიზაცია, რის თაობაზეც ბინის მფლობელებთან პრივატიზაციის ხელშეკრულების გაფორმებას ე.წ. „სახლმმართველობები“ უზრუნველყოფდნენ, აღნიშნული დოკუმენტი კი, არქივირების მიზნით, ქალაქის ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროს გადაეცემოდა (27). შედეგად, მხოლოდ სახელმწიფოს ნაცვლად, ქვეყანამ, თითოეული საცხოვრებელი კორპუსის ფარგლებში, მრავალი ინდივიდუალური მესაკუთრე მიიღო, რის გამოც აუცილებელი გახდა ბინის მესაკუთრეთა ორგანიზების ახალი ფორმის შემოღება. აღნიშნული გაერთიანება ბინის მესაკუთრეთა უფლებების დაცვასა და მათ პასუხისმგებლობის დაკისრებას უზრუნველყოფდა მრავალბინიანი სახლების მოვლის საკითხებში (13, 549).

იურიდიულ საზოგადოებაში, მოქმედი სამოქალაქო კოდექსის მიღებამდე, არსებობდა მოსაზრება იმის შესახებ, რომ ბინების პრივატიზაციის შედეგად საჭიროა მესაკუთრეთა გაერთიანება, რომელიც არ იქნებოდა იურიდიული პირი, ცალკე სამართლებრივი აქტით დარეგულირებულიყო. ამ მიზნით განიხილებოდა ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი ე.წ. კონდომინიუმების შესახებ კანონის მიღების თაობაზე (13, 549).

კერძოდ, აშშ-ში ამხანაგობას, იგივე კონდომინიუმს, მოკლედ „კონდო“-ს სახელწოდებით მოიხსენიებენ, რომელიც სიტყვა-სიტყვით, შენობის სხვადასხვა მხარეს მდებარე, კერძო საკუთრებაში მყოფ ცალკეულ ერთეულს - სხვადასხვა დანიშნულების ფართს ნიშნავს. კონდოს მფლობელები წარმოადგენენ საერთო სარგებლობაში არსებული ფართების თანამფლობელებს, როგორც არის: აუზები, ავტოსადგომები, ლიფტები, დერეფნები, სპორტული დარბაზები და სხვ. იურიდიულ ლიტერატურაში კონდომინიუმებს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც საერთო ინტერესის განვითარების სამართლებრივ საფუძველს (33). განვითარებული მსჯელობის საწინააღმდეგოდ არსებული მოსაზრების თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა მხოლოდ იმ მესაკუთრეებს გააერთიანებდა, რომლებიც ერთ შენობაში მეზობლად იმყოფებოდნენ და ბუნებრივად ქონდათ ერთმანეთის ინტერესების ურთიერთპატივისცემის ვალდებულება (16, 550), შესაბამისად არ არსებობდა ცალკე სამართლებრივი აქტის შედგენის საფუძველი მესაკუთრეთა ურთიერთობების დასარეგულირებლად. სწორედ ამიტომ 1997 წლის სამოქალაქო კოდექსის რედაქციაში მხოლოდ ცალკე თავი გამოიყო ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების შესახებ (208-232 მუხლები), რომელიც გერმანული სამართლიდან საკითხის მარეგულირებელ ფუნდამენტურ პრინციპებსა და ღირებულებებს იზიარებდა (34).

2007 წელს საქართველოს პრეზიდენტის მიერ ხელი მოეწერა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონს, რომელიც არეგულირებს წევრთა საერთო ქონების მართვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და მიზნად ისახავს მათი საერთო

ქონების მართვის ექსპლუატაციისა და განვითარების სამართლებრივი პირობების უზრუნველყოფას (19, 1).

თავი 2. მობინადრეთა გაერთიანების საკანონმდებლო პლატფორმა

ბინათმესაკუთრეთა შესახებ საქართველოს კანონის ამოქმედების მომენტიდან ამხანაგობა დაფუძნებულად ითვლება ერთ მიწის ნაკვეთზე მდებარე ყველა მრავალბინიან სახლში, რომელიც ორზე მეტი ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ბინისაგან შედგება. ამხანაგობა შესაძლოა დაფუძნდეს როგორც მომიჯნავე მიწის ნაკვეთებზე მდებარე რამდენიმე მრავალბინიან, ისე ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ მრავალბინიან სახლში არსებულ ერთ ან რამდენიმე სადარბაზოში (19,2). არსებული ჩანაწერის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა იქმნება, როგორც კორპუსებში (შესაძლოა მოიცავდეს მხოლოდ კორპუსის რამდენიმე სადარბაზოს), ისე ე.წ. „იტალიური“ ტიპის საცხოვრებელ ეზოებში, სადაც ერთზე მეტი საცხოვრებელი ფართი და მესაკუთრე არსებობს.

აღსანიშნავია, რომ ერთმანეთისაგან განსხვავდება მრავალბინიან საცხოვრებელ სახლში კანონისმიერი საფუძვლით შექმნილი და ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა ამხანაგობა. მრავალბინიან სახლში ამხანაგობა შექმნილია კანონის საფუძველზე და მასში მდებარე ფართის მესაკუთრე ავტომატურად ითვლება ამხანაგობის წევრად, მაშინ როდესაც ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების მესაკუთრეთა ამხანაგობის შესაქმნელად წესდების შემუშავება და მხარეთა ნების გამოვლენაა საჭირო (19, 4).

კანონის თანახმად, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არ არის იურიდიული პირი. მიუხედავად ამისა, იგი როგორც ორგანიზაციული წარმონაქმნი, არსებობისა და საქმიანობის განვითარებისათვის საჭირო სამართლებრივი ბერკეტით აღჭურვილია, მათ შორის როგორც არის ანგარიშებისა და არასამეწარმეო საქმიანობის განხორციელების შედეგად შემოსავლების მიღების შესაძლებლობა, რომელიც ამხანაგობის განვითარებას უნდა ემსახურებოდეს. მესამე პირებთან ურთიერთობაში ამხანაგობას წარმოადგენს თავმჯდომარე, რომლის არჩევის წესი და უფლებამოსილების ვადა განისაზღვრება კანონით. ამასთან, აღნიშნული კანონი არეგულირებს ამხანაგობის წევრთა უფლება-მოვალეობებს, სახელწოდების განსაზღვრის, მესამე პირებთან ურთიერთობის, ინდივიდუალურ საკუთრებას საერთო სარგებლობაში არსებული ფართების განკარგვის, წევრთა საერთო კრების მოწვევისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების წესებს.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის მიზანია სხვადასხვა სახის ინფრასტრუქტურული საჭიროებების დაკმაყოფილება და არსებული პრობლემების მოგვარება. ამისათვის ბინათმესაკუთრეთა აღრიცხვას ახორციელებს ქალაქის მუნიციპალიტეტის სტრუქტურული ერთეული - შესაბამისი რაიონის გამგეობა (23).

თავი 3. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის საქმიანობის ორგანიზაციული ასპექტები

განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილებები ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის კრებაზე მიიღება, ასევე კანონი განსაზღვრავს ამხანაგობის კრების გადაწყვეტილებაუნარიანობის საკითხს. კრებას იწვევს და თავმჯდომარეობს წევრი ან ამხანაგობის თავმჯდომარე. კრების მოწვევის შემდეგ ამხანაგობის წევრები თავიანთ გადაწყვეტილებას ხელმოწერით ადასტურებენ, რითაც იღებენ თავის წილ პასუხისმგებლობას ყველა მიმდინარე საკითხზე. კრების თავმჯდომარე დამსწრე საზოგადოებას აცნობს დღის წესრიგს, განსახილველ საკითხს და თუ საქმე პირის სარგებლობაში არსებული ფართის საკუთრებაში გადაცემას ეხება, წარადგენს შესაბამისი ობიექტის ნახაზსაც (19, 4).

აღსანიშნავია, რომ კრების დასრულების შემდეგ, თავმჯდომარე ამხანაგობის კრებაზე მიღებულ გადაწყვეტილებას ამოწმებს სანოტარო წესით, თავისი ხელმოწერით. აღნიშნული დოკუმენტი საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში საკუთრების უფლების რეგისტრაციის საფუძველი ხდება (22, 14).

აღსანიშნავია, რომ კანონის თანახმად, კრებას ხელმძღვანელობს ამხანაგობის თავმჯდომარე, თუმცა მისი არყოფნის შემთხვევაში შესაძლებელია აღნიშნული ფუნქცია რომელიმე ამხანაგობის წევრმა, იგივე კრების თავმჯდომარემ შეითავსოს (19, 5).

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონი დეტალურად განსაზღვრავს ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევის წესებსა და უფლებამოსილებას, თუმცა არაფერს ამბობს მის განვითარების საჭიროებასა და ფინანსურ დაინტერესებაზე, გარკვეულ ანაზღაურებაზე, დაკისრებული მოვალეობების კეთილსინდისიერად შესრულების პროცესში.

ქართულ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას, როგორც წესი ყველაზე აქტიური და კომუნიკაბელური თავმჯდომარე ხელმძღვანელობს, რაც თავისთავად მობინადრეთა გაერთიანების ეფექტურად მართვის წინაპირობაა. თავის მხრივ, ამხანაგობის თავმჯდომარის დაინტერესებისა და საქმის კეთილსინდისიერად შესრულების გზა მის ინდივიდუალურ ენთუზიაზმსა და პიროვნულ წესიერებაზე გადის, ყოველგვარი მატერიალური ანაზღაურების გარეშე. მაშინ, როდესაც გერმანიაში ამხანაგობის თავმჯდომარე სერტიფიცირებული ფიზიკური ან იურიდიული პირია. მმართველის სერტიფიცირების გამოცდას ორგანიზებას უწევს სამრეწველო პალატა. გამოცდა მოიცავს შემდეგ კომპონენტებს: უძრავი ქონების მართვის, ბუღალტერიისა და ზოგადი საკანონმდებლო საკითხების ცოდნას, ზეპირი პრეზენტაცია უნარ-ჩვევებთან ერთად. ამასთან განსაზღვრულია ამხანაგობის წევრთა საერთო შენატანის ოდენობა და პერიოდულობა (32), რაც საბოლოოდ საბინაო სექტორის განვითარებაზე დადებითად აისახება.

ლატვიაშიც, გერმანიის მსგავსად, მმართველად შესაძლოა მოწვეული იყოს სერტიფიცირებული ფიზიკური ან იურიდიული პირი. თუ საცხოვრებელი ფართი აღემატება 1500 კვადრატულ მეტრს, საჭიროა პროფესიონალური უძრავი ქონების მართვა და შესაბამისი განათლების მქონე მმართველი. ეკონომიკის სამინისტროსთან შექმნილია საცხოვრისის

მმართველთა რეესტრი (<https://bis.gov.lv/bisp/>), სადაც აღრიცხულია ყველა ფიზიკური და იურიდიული პირი, რომელიც ჩართულია საცხოვრისის მართვაში (32).

პოლონეთში „შენობებში საკუთრების შესახებ“ 1995 წლის კანონი არის ბინათმესაკუთრეთა ასოციაციების შექმნის საფუძველი. ბინათმესაკუთრეთა ასოციაციის წევრობა არის ავტომატური და სავალდებულო. ასოციაცია იმართება არჩეული საბჭოს მიერ და ხშირ შემთხვევაში, ქირაობს უძრავი ქონების პროფესიონალ მმართველს. პოლონეთში კანონის მიხედვით, 7 ბინამდე მრავალბინიანი სახლის მართვა შეუძლიათ თავად მფლობელებს, ან პროფესიონალ მმართველს. ყველა სხვა შემთხვევაში, ბინათმესაკუთრეთა ასოციაციები ვალდებული არიან დაიქირაონ პროფესიონალი მმართველი. 2010 წლისათვის ქვეყანაში იყო 18,000 ლიცენზირებული მენეჯერი, რომლებსაც შეეძლოთ ინდივიდუალურად ან იურიდიული პირის მეშვეობით ჩართულიყვნენ უძრავი ქონების მენეჯმენტში (27).

ევროპის გამოცდილება ცხადყოფს, რომ მესაკუთრეთა გაერთიანების მართვა, საერთო სარგებლობის ფართების განკარგვასა და მოვლა-პატრონობაზე ზრუნვა დიდი პასუხისმგებლობაა და ამ პროცესში აუცილებელია სახელმწიფო ინსტიტუტების მხარდაჭერა, ამასთან ადგილობრივ მობინადრეებს აქვს კანონისმიერი ვალდებულება ყოველთვიური საწევრო შენატანებით იზრუნონ საბინაო სექტორის განვითარებასა და საჭიროებების დაკმაყოფილებაზე. დღევანდელი მდგომარეობით, საქართველოში ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ საქართველოს კანონი მსგავს რეგულაციას არ ითვალისწინებს.

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის დონეზე, მობინადრეთა გაერთიანებების წინაშე არსებული პრობლემების გასამკლავებლად არაერთი პროექტი არსებობს, საზოგადოების ჩართულობა საერთო საკითხების მოგვარების პროცესში დაბალია. პასიურობით გამოირჩევიან ამხანაგობის თავმჯდომარეებიც ვინაიდან ისინი, მხოლოდ საკუთარი ენთუზიაზმით ცდილობენ გამოწვევებთან გამკლავებას, შესაბამისად შენელებულია არსებული პრობლემების მოგვარების პროცესი. საერთო გამოწვევებთან გასამკლავებლად უმნიშვნელოვანესია თითოეული წევრის ჩართულობა. მაშინ, როდესაც საქართველოში ეს ნებაყოფლობითია, როგორც აღინიშნა, ევროპის ბევრ ქვეყანაში წევრებს საერთო საკითხების გადაჭრაში მონაწილეობის მიღება კანონით ევალებათ (11, 425-776).

მესაკუთრეთა შორის არსებული დავების გადაჭრის მიზნით არაერთი განხილვა მიმდინარეობს როგორც ადმინისტრაციულ ორგანოში, ისე სასამართლოში. ფაქტია, რომ დღესდღეობით, საზოგადოება მოლაპარაკებას, კომუნიკაციის დამყარებასა და კეთილგანწყობის მოპოვებას საჩივრის ენით საუბარს ამჯობინებს, მაშინ როდესაც უცხოურ სამეცნიერო ლიტერატურაში სამეზობლო მოლაპარაკებების ხელოვნებასა და მათ მნიშვნელობაზე არაერთი ინსტრუქცია არსებობს. საჩივრისა და სარჩელის წარდგენა კი უკანასკნელ, ყველაზე არასასურველ გამოსავლად მიიჩნევა (16, 337-338).

შეფასების საკითხია რამდენად მიზანშეწონილია მობინადრეთა ნაწილის მიერ მართლზომიერი მფლობელობის ფაქტის დადასტურება (წევრთა ხმების 2/3) საერთო სარგებლობაში არსებულ ფართებზე, რომელიც შემდგომ საკუთრების უფლების

რეგისტრაციის საფუძველი ხდება, რის შედეგადაც მოზინადრე ნივთის თავისუფალი განკარგვის უფლებას მოიპოვებს. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობას კი პროცესების შემდგომი კონტროლის ან მოზინადრის პასუხისმგებლობის დაყენების კანონისმიერი ვალდებულება არ გააჩნია მაშინ, როდესაც შესაძლოა კონკრეტული უძრავი ნივთის იერსახის ცვლილებით არაერთი მეზობლის სიცოცხლესა და ჯანმრთელობას შეექმნას საფრთხე. ამ პროცესში მნიშვნელოვანია როგორც მაკონტროლებელი კანონისმიერი მექანიზმების არსებობა, ისე მისი აღსრულების მონიტორინგი. აღნიშნული საჭიროებები ცხადყოფს, რომ აუცილებელია ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობებს კვალიფიციური ადამიანები თავმჯდომარეობდნენ, შესაბამისი ანაზღაურებით, რომელიც სახელმწიფოს მიერ იქნება უზრუნველყოფილი (11, 306-312).

არსებული პრაქტიკის ანალიზით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ამხანაგობის წევრებისა და თავმჯდომარის პასუხისმგებლობა შემოიფარგლება მხოლოდ კრებაზე გადაწყვეტილების მიღებით და შემდგომ უკონტროლოა, კონკრეტული უძრავი ქონება იმართება თუ არა საერთო ინტერესების გათვალისწინებით.

მისასაღმებელია სახელმწიფოს მხრიდან გარკვეული უფლებამოსილების დელეგირება საკუთრების უფლების წარმოშობის პროცესში, ვინაიდან რეგისტრაციის პროცესსა და ნივთების ბრუნვას უფრო მოქნილსა და ხელმისაწვდომს ხდის, მაგრამ მნიშვნელოვანია შემდგომი კონტროლი და პასუხისმგებლობის გაზიარება. აუცილებელია, საკუთრებაში გადაცემული უძრავი ნივთის იერსახის ცვლილების პროცესის კონტროლის გამკაცრება და თვითნებურად ჩარევის შესაძლებლობის აკრძალვა.

თავი 4. ამხანაგობის წევრთა თანამშრომლობისა და საერთო ქონების მართვის თავისებურებები

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა ინდივიდუალური საკუთრების საგანია ცალკეულ პირთა საკუთრებაში არსებული ბინა, აგრეთვე ამხანაგობის წევრის მფლობელობაში არსებული მრავალბინიანი სახლის სამეურნეო სათავსები, როგორც არის სარდაფები, სხვენები, ავტოფარეხები და სხვ. მესაკუთრეს შეუძლია საკუთარი შეხედულებისამებრ გამოიყენოს თავის ინდივიდუალურ საკუთრებაში ფართი. კანონის თანახმად, დასაშვებია ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართის განვითარება, ამხანაგობის თანხმობის გარეშე ისე, რომ აღნიშნული ცვლილება არ ითვალისწინებდეს ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის გაზრდას ან/და ახალი ინდივიდუალური საკუთრების საგნის წარმოშობას (19).

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ კანონი, როგორც სამეზობლო ურთიერთობების მომწესრიგებელი ნორმატიული აქტი ის სამართლებრივი დოკუმენტია, რომელმაც მოზინადრეთა ინტერესების დაცვის ახალი სამართლებრივი პლატფორმა შექმნა როგორც ინდივიდუალური, ისე საერთო ინტერესების დაცვის დონეზე. მიუხედავად ამისა, სამეზობლო სამართალში სირთულეს წარმოადგენს საერთო სარგებლობაში არსებული ფართობის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემასთან, მის მოვლა-პატრონობასთან

დაკავშირებით საწევრო შენატანების განხორციელების თაობაზე არსებული საკითხები, რაც ხშირად ხდება კონფლიქტების წარმოშობისა და სასამართლო დავების წარმოების საფუძველი. იმის გათვალისწინებით, რომ ქალაქის მუნიციპალიტეტის მერია ამხანაგობის განვითარების მხარდაჭერისა და ადგილობრივი ინფრასტრუქტურული პრობლემების მოწესრიგების მიზნით, თანადაფინანსებით, სხვადასხვა შინაარსის პროექტებს ახორციელებს, ამ ეტაპზე ჯერ კიდევ ვერ მიიღწევა მოსახლეობის საერთო კმაყოფილება. მობინადრეებს, უმრავლეს შემთხვევაში, არ აქვთ გააზრებული საერთო ინტერესების გათვალისწინების, ხელშეწყობისა და ურთიერთპატივისცემის აუცილებლობა.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონების ჩამონათვალი კანონის (19) მე-5 მუხლით განისაზღვრება, მათ შორისაა ის ობიექტები, რომლებიც არ იმყოფება ინდივიდუალურ საკუთრებაში: საერთო სარგებლობის აივნები, სართულშუა გადახურვები, მრავალბინიანი სახლის ვესტიბიულები, სადარბაზოები, დერეფნები, კიბის უჯრედები, სარდაფები, სხვენები, საქვაბეები, ტექნიკური სართულები, სახურავები, ლიფტები, სხვადასხვა დანიშნულების შახტები, არხები, ნაგავგამტარები, ბუნკერები და ა.შ. (19, 3). ამასთან საერთო ინტერესის სფეროს განეკუთვნება მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისათვის მიწის ნაკვეთის საზღვრების დადგენის საკითხი, რომელიც პირდაპირ კავშირშია საცხოვრებელი მრავალბინიანი სახლის საზღვრებში, ე.წ. წითელ ხაზებში მოქცეული ავტოფარეხების ინდივიდუალურ საკუთრებაში რეგისტრაციასთან (26).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, სწორედ ამ ფართების ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემა იწვევს მობინადრეთა შორის კონფლიქტებსა და სასამართლო დავებს, ვინაიდან შესაძლოა ერთიდაიგივე ფართზე რამდენიმე მობინადრეს ქონდეს პრეტენზია. ამ ეტაპზე საჯარო რეესტრში საერთო სარგებლობაში არსებული ჯამური ფართებისა და აქედან განკარგული ფართების შესახებ ერთიანი ინფორმაცია არ არის დაცული. საერთო სარგებლობაში არსებული ფართის ინდივიდუალურ საკუთრებაში გადაცემა დასაშვებია, თუ ამხანაგობის საერთო კრებაზე, ხმათა 2/3-ით, მობინადრეს დამხმარე ფართის მფლობელობის ფაქტი კანონის ამოქმედებამდე, ანუ 2007 წლის 01 აგვისტომდე დაუდასტურდება. იმ შემთხვევაში თუ პირი საერთო სარგებლობაში არსებულ ფართს ფლობს კანონის ამოქმედებიდან, საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილების მისაღებად საჭიროა ამხანაგობის წევრთა 100%-ის თანხმობა (19,4). აღსანიშნავია, რომ მობინადრეთა როგორც 2/3-ის, ისე 100%-ის მიერ გამოხატული თანხმობა ხშირად პირობით ხასიათს ატარებს და ძირითადად სრულ პასუხისმგებლობას მხოლოდ კრების თავმჯდომარე იღებს, რომელიც იმავდროულად შესაძლოა ამხანაგობის თავმჯდომარესაც წარმოადგენდეს.

ამასთან, მესაკუთრის წილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებაში განისაზღვრება მის ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ფართობის შეფარდებით მრავალბინიანი სახლის ბინათა საერთო ფართობთან (19, 3). კანონი, მესაკუთრეებს აძლევს თავისუფლებას, არსებული დანაწესის შესაბამისად, საკუთარი შეხედულებისამებრ, ამხანაგობის საერთო კრებაზე მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე, საერთო სარგებლობის ფართები მობინადრეებს ინდივიდუალურ საკუთრებაში გადასცენ. მიუხედავად იმისა, რომ კანონი დეტალურად აღწერს საერთო კრების მოწვევისა და

გადაწყვეტილების მიღების წესებს, პრაქტიკაში აღნიშნული პროცედურის დაცვა უმრავლეს შემთხვევაში მხოლოდ ფორმალურ ხასიათს ატარებს - საერთო კრების მოწვევისა და მასზე გადაწყვეტილების მიღების ნაცვლად, დაინტერესებულ პირს ამხანაგობის თავმჯდომარე პირდაპირ სანოტარო ბიუროში მიჰყავს ამხანაგობის კრების ოქმზე ხელმოწერის ნამდვილობის დასადასტურებლად (25, 34), ამის შემდეგ კი, საკუთრების უფლების რეგისტრაციის მიზნით (22, 8) აღნიშნულ დოკუმენტს, ფართის შიდა აზომვით ნახაზთან ერთად, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აბარებს. შედეგად, „ინტერესიანი მეზობლის“ სარჩელი, უმრავლეს შემთხვევაში ხდება ფორმალურად შედგენილი კრების ოქმის ბათილობის საფუძველი, რაც საბოლოო ჯამში საკუთრების უფლების რეგისტრაციის გაუქმებას იწვევს. (22, 16) პრაქტიკულად, მთელ რიგ შემთხვევებში ამხანაგობის თავმჯდომარე, ხშირად ნებსით თუ უნებლიედ ამხანაგობის სახელით ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას იღებს საერთო სარგებლობაში არსებული ფართების განკარგვის თაობაზე (7, 14).

აღნიშნულთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი განმარტება გააკეთა საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრის მფლობელობიდან საერთო საკუთრების გამოთხოვის საფუძველებისა და ამ საკითხზე ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილების განსაზღვრის თაობაზე (საქმე №ას-1098-10292012): მოცემულ საქმეზე დადგენილი იყო დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანი შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები: შპს „კ“ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გ-ს“ წევრია და 1996 წლიდან ინდივიდუალურად ფლობს ამხანაგობის კუთვნილ არასაცხოვრებელ ფართს სარდაფთან ერთად. ამხანაგობის თავმჯდომარე მ. დ-მ სარჩელი აღძრა ამხანაგობის კუთვნილი უძრავი ქონების შპს „კ-ს“ მფლობელობიდან გამოთხოვის მოთხოვნით.

საკასაციო სასამართლომ ყურადღება გაამახვილა „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტზე და განმარტა, რომ მითითებული ნორმიდან გამომდინარე, თუ ამხანაგობის წევრი ამხანაგობის საერთო საკუთრებას „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის ამოქმედებამდე ანუ 2007 წლის 1 აგვისტომდე ფლობდა, საჭიროა ამხანაგობის კრების მოწვევა არსებული მდგომარეობის დასაფიქსირებლად. კრება ამგვარ მფლობელობას ან ლეგიტიმურად ცნობს, ან მიიღებს გადაწყვეტილებას ამხანაგობის წევრის მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის შესახებ. მხოლოდ ამგვარი გადაწყვეტილების არსებობის შემთხვევაშია შესაძლებელი, ამხანაგობის წევრს სამეურნეო სათავსის მფლობელობა შეუწყდეს. წინააღმდეგ შემთხვევაში, მის მიერ ფართის ფლობა არამართლზომიერად ვერ ჩაითვლება. მფლობელობის მართლზომიერების საკითხს ამხანაგობის წევრები წვეტენ და მხოლოდ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემდეგ წარმოიშობა ამხანაგობის წევრის მფლობელობიდან ქონების გამოთხოვის მოთხოვნის უფლება. ამხანაგობის წევრების მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე კი პირი ქონების არამართლზომიერ მფლობელად ვერ ჩაითვლება (29).

საკასაციო სასამართლომ ასევე განმარტა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარის უფლებამოსილებანი ამომწურავადაა ჩამოთვლილი „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ კანონის

26-ე მუხლში. მართალია, ამხანაგობის თავმჯდომარე სასამართლოში ამხანაგობის სახელით გამოდის, მაგრამ, მითითებული მუხლიდან გამომდინარე, იგი არ განკარგავს ამხანაგობის საერთო ქონებას, არ იღებს გადაწყვეტილებას ამხანაგობის კუთვნილი ქონების მფლობელობაში გადაცემის ან გამოთხოვის შესახებ. ამ შემთხვევაში, ამხანაგობის თავმჯდომარე უზრუნველყოფს კრების გადაწყვეტილების შესრულებას და იგი უფლება-მოსილია, მსგავსი საკითხების გადასაწყვეტად ამხანაგობის წევრთა კრება მოიწვიოს, მაგრამ არ არის უფლებამოსილი, საკუთარი ინიციატივით სასამართლოში სარჩელი აღძრას. ამხანაგობის თავმჯდომარის მოთხოვნა სამართლებრივ საფუძველს მხოლოდ კრების გადაწყვეტილების არსებობის პირობებში იძენს. ვინაიდან მოცემულ საქმეზე არ არსებობდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა „გ-ს“ წევრების გადაწყვეტილება სადავო ფართზე შპს „კ-ს“ მფლობელობის შეწყვეტის თაობაზე, საკასაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. დ-ს სარჩელი უსაფუძვლო იყო (29).

კანონით გათვალისწინებული ამხანაგობის კრებაზე დამსწრე პირთა მოწვევის წესის დარღვევის გამო ამხანაგობის კრების ოქმების გაბათილების შემთხვევებით მდიდარია სასამართლო პრაქტიკა. აღსანიშნავია, რომ კანონის თანახმად, კრების მოწვევის შესახებ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებს უნდა ეცნობოს წერილობით (19, 5). ხშირ შემთხვევაში კრებაზე განსახილველი საკითხი მობინადრებს არაოფიციალურად მხოლოდ სატელეფონო ზარის მეშვეობით ან დაინტერესებული პირის პირადი ვიზიტით ეცნობებათ. ამგვარი კომუნიკაციისას ვერ დგინდება განსახილველი საკითხის ზუსტი შინაარსი და ის დეტალები, რის საფუძველზეც აუცილებელია საკუთრებაში გადასაცემი ფართის მდებარეობის იდენტიფიცირება განხორციელდეს, სარეგისტრაციო ფართზე რამდენიმე უფლების ერთდროულად რეგისტრაციის თავიდან აცილების მიზნით.

აღნიშნულ საკითხს ეხმიანება საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის გადაწყვეტილება საკასაციო საჩივრის განუხილველად დარჩენის შესახებ მისი დაუშვებლობის გამო, ვინაიდან, უზენაესი სასამართლოს შეფასებით, განსახილველი დავა არ წარმოადგენდა იშვიათ სამართლებრივ პრობლემას, რომელიც ხელს შეუწყობდა სამართლის განვითარებას, ამასთან არსებობდა პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებები სარჩელის დაკმაყოფილებისა და ამხანაგობის კრების ოქმის ბათილად ცნობის თაობაზე, კრების მოწვევის საერთო წესების დაუცველობის გამო (30).

საერთო საქმეში ინდივიდების როლსა და პასუხისმგებლობის გააზრების ფარგლებს ეხმიანება საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება (31), საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ომარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“, კერძოდ, სადავო ნორმებია „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი პუნქტი და მე-19 მუხლის პირველი პუნქტი. მე-11 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად, ამ [„ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“] კანონის ამოქმედებით „დაფუძნებულად ითვლება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა ისეთ მრავალბინიან სახლში, რომელიც განთავსებულია ერთ მიწის ნაკვეთზე და რომელშიც მდებარეობს ორზე მეტი ინდივიდუალურ საკუთრებაში არსებული ბინა“. მე-19 მუხლის პირველი

პუნქტის თანახმად, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრი არის ბინის მესაკუთრე მრავალბინიან სახლში“.

სადავო ნორმების ამოქმედებიდან მოსარჩელე, როგორც ინდივიდუალური მესაკუთრე, გამოცხადდა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრად. თუმცა, მას არ გამოუვლენია ნება ამხანაგობაში გაწევრიანებასთან დაკავშირებით. მოსარჩელე მხარე თვლის, რომ სადავო ნორმები არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველ პუნქტს, რომლითაც დაცულია გაერთიანების თავისუფლება. ამ ნორმის შინაარსი შემდეგია: „ყველას აქვს საზოგადოებრივი გაერთიანებების, მათ შორის პროფესიული კავშირების შექმნისა და მათში გაერთიანების უფლება“. მოსარჩელე მხარის მოსაზრებით, საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნა ან მასში გაწევრიანება წარმოადგენს პირის კონსტიტუციურ უფლებას და ხორციელდება ნებაყოფლობის საფუძველზე. საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტი არ უშვებს გამონაკლისს, რომლითაც გათვალისწინებული იქნება საზოგადოებრივი გაერთიანების შექმნის ან გაერთიანებაში შესვლის ვალდებულება (31).

განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მე-20 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლითაც დაუშვებელია პირის იძულება, შევიდეს რომელიმე გაერთიანებაში. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არის პირთა ორგანიზებული გაერთიანება, რომელსაც აქვს მიზნები და ქონება. ამ მახასიათებლებიდან გამომდინარე, მოსარჩელე მხარე ასკვნის, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა განეკუთვნება საქართველოს კონსტიტუციის 26-ე მუხლის პირველი პუნქტით მოაზრებულ გაერთიანებათა კატეგორიას.

აღნიშნულ საკითხზე საკონსტიტუციო სასამართლომ შემდეგი განმარტება გააკეთა: „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაში გაერთიანების ვალდებულება ემსახურება ბინათმესაკუთრეთა საერთო ქონების დაცვას, განვითარებას, ექსპლუატაციას, მოვლა-ჰატრონობასა და მართვას, ანუ ისევ ამ პირების უფლებების დაცვას. დაცული უფლებები, მოპასუხე მხარის აზრით, ხარისხის თვალსაზრისით, უპირატესია იმ ვალდებულებებთან შედარებით, რაც გათვალისწინებულია სადავო ნორმებითა და მთლიანად კანონით. აქედან გამომდინარე, დაცულია სამართლიანი ბალანსი გაერთიანების თავისუფლებაში ჩარევით მიღწეულ სამართლებრივ სიკეთესა და შეზღუდულ უფლებას შორის. ადამიანი, თავისი არსით, არა მხოლოდ თავისუფალი, არამედ სოციალური არსებაცაა, რომლის შინაგან მოთხოვნილებას წარმოადგენს ურთიერთობა სხვა ადამიანებთან. ადამიანის თავისუფლება არ არის თავისუფლება საზოგადოებისაგან, ეს არის თავისუფლება საზოგადოებაში, სადაც არსებობს და გადაიკვეთება მრავალი თანმხვედრი, თუ ურთიერთ-საპირისპირო ინტერესი. გაერთიანების თავისუფლება უზრუნველყოფს ადამიანის თვითრეალიზაციას სხვა პირებთან, სოციალურ, საზოგადოებრივ ჯგუფებთან ერთად. დაცულია საზოგადოებრივი ჯგუფების თავისუფლად ჩამოყალიბების, თავისუფალი ასოციაციის პრინციპი, რაც ტოტალიტარული სახელმწიფოებისათვის დამახასიათებელი იძულებითი გაერთიანებების, თუნდაც მისი მონაწილეების დიდი ენთუზიაზმის ფონზე, საპირისპირო მოვლენას წარმოადგენს“.

გავრცელებული შეხედულების მიხედვით, გაერთიანების მოქმედების ვადა უნდა იძლეოდეს მისი გამიჯვნის საშუალებას ე.წ. „მომენტალური გაერთიანებისაგან“, შეკრებებისაგან. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა სრულად აკმაყოფილებს ამ მოთხოვნას. მისი არსებობა, „ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ“ საქართველოს კანონის მიხედვით, დაკავშირებულია სამართლებრივი და ფაქტობრივი გარემოებების არსებობასთან.

ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა არსებობს მანამ, სანამ ფიზიკურად სახეზეა ერთ მიწის ნაკვეთზე განთავსებული მრავალბინიანი სახლი ან მასში განლაგებული ყველა ბინის მესაკუთრე არ გახდება ერთი პირი. ადვილი მისახვედრია, რომ ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები საკმაოდ ხანგრძლივი ვადის განმავლობაში აგრძელებენ თავიანთ არსებობას და ახასიათებთ სტაბილურობა დროში.

წევრობა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობაში ეფუძნება არა პირის სუბიექტურ გადაწყვეტილებას, არამედ იმ ობიექტურ გარემოებას, რომ მას აქვს საკუთრება ბინაზე მრავალბინიან სახლში. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრობა, ამ შემთხვევაში, პირის თვითრეალიზაციის, თავისუფალი განვითარების უფლების ჯგუფური განხორციელების ფორმა კი არ არის, არამედ თავად საკუთრების ობიექტის ბუნებიდან გამომდინარე და ელემენტარული საყოფაცხოვრებო და საარსებო მოთხოვნილებების დაკმაყოფილების ობიექტური გარემოებით განპირობებული რეალობაა. ბინათმესაკუთრეთა გაერთიანება ხდება უძრავი ნივთისადმი სამართლებრივი დამოკიდებულების ობიექტური ფაქტორის გამო.

გაერთიანების წევრობა წყდება ავტომატურად, ბინაზე საკუთრების უფლების დაკარგვისთანავე ანუ ამ ობიექტური ფაქტორის გაქრობისთანავე. პირის სუბიექტურ დამოკიდებულებას აქაც არ აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ამოცანები განპირობებულია საერთო საკუთრების მოვლა-პატრონობის აუცილებლობით. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრები ვერ დასახავენ სხვა მიზნებს მათი სუბიექტური მისწრაფებების განსახორციელებლად ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ფარგლებში, ან ვერ შეამცირებენ ამხანაგობისათვის დასახულ ამოცანებს, რადგანაც ეს ეწინააღმდეგება თავად ამხანაგობის ბუნებას. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკონსტიტუციო სასამართლომ, კონსტიტუციური სარჩელი №439 (საქართველოს მოქალაქე ომარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ) არ დააკმაყოფილა (31).

აღსანიშნავია, რომ ამხანაგობის წევრი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი და სახელმწიფო. როგორც წესი უძრავი ქონების მფლობელი და მესაკუთრე ერთიდაიგივე პირი და კონკრეტული ამხანაგობის მობინადრეა, თუმცა კანონი ცნობს შემთხვევას, როდესაც დაინტერესებული პირი სხვა ამხანაგობის წევრი შეიძლება იყოს, ამ შემთხვევაში, კანონის თანახმად აუცილებელია ამხანაგობის ხმათა 100% უძრავი ნივთის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე.

დასკვნა

2015 წელს განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგებში დასახელდა ის ხელისშემშლელი ფაქტორები, რის გამოც მოზინადრეების უმრავლესობას ჯერ კიდევ არ აქვს გააზრებული საერთო საქმეში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის მნიშვნელობა. აღსანიშნავია, რომ კვლევის შედეგებში მითითებული პრობლემები დღემდე აქტუალურია.

კვლევის თანახმად გამოიკვეთა, საჭიროება, რომ: თავმჯდომარეს უნდა ჰქონდეს ხელფასი, თუმცა არა ამხანაგობის მიერ შეგროვილი თანხებიდან. თავმჯდომარეების ხელფასების გადახდაზე ადგილობრივმა მუნიციპალიტეტებმა უნდა იზრუნოს, შედეგად გაიზრდება კონკურენცია და თავმჯდომარეების მოტივაცია (8, 55-60).

გამოკითხვის შედეგების მიხედვით იშვიათია შემთხვევა, როდესაც ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობა საერთო ქონების განვითარებაზეა ორიენტირებული და პრობლემის გამოკვეთის შემდეგ, მისი გადაჭრის თანმიმდევრულ გზებს ეძებს. ამასთან, ამხანაგობის წევრების გამოკითხვის მიხედვით, ყველაზე მეტად მრავალბინიან სახლებში არსებული საერთო პრობლემის მოგვარებას თანხის შეგროვების სირთულე აფერხებს. ყველა მოზინადრე არ ან ვერ ახერხებს საჭირო რაოდენობის ფინანსების გაღებას, შესაბამისად, საქმე ჭიანჭურდება (8, 67-70).

მიუხედავად იმისა, რომ ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მიერ ბ.მ.ა (19) განვითარების ხელშეწყობის პროგრამები მოდერნიზაციას განიცდის და მისი ბიუჯეტი მზარდია (9, 3-5), მიმდინარე პროცესებში მოზინადრეთა ჩართულობის გარეშე საბინაო სექტორის წინაშე არსებულ გამოწვევებთან გამკლავება კვლავ სირთულეს წარმოადგენს. გარემო პირობების გაუმჯობესებასა და სარგებლიანობას მხოლოდ მოზინადრეთა ერთსულოვნება განაპირობებს.

ამხანაგობების მენეჯმენტის გაუმჯობესების თვალსაზრისით აუცილებელია სიახლეების დანერგვა და საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გაზიარება, ამასთან ამხანაგობების სხვადასხვა არასტანდარტული ინიციატივების დაფინანსება, რომელიც ინფრასტრუქტურული პრობლემების მოგვარების გარდა, სხვადასხვა ხასიათის აქტივობების განხორციელებაში შეიძლება გამოიხატებოდეს.

„იყო მესაკუთრე ეს ხელოვნებაცაა და მეცნიერებაც“, ამბობს ჯ. დიქსი, რადგან ამ პროცესში მესაკუთრეს უამრავ განსხვავებულ ადამიანთან უწევს გამკლავება, რაც გარკვეულწილად სხვადასხვა ინტერესებისა და შეხედულებების გაზიარებას, თმენის ვალდებულებასა და კომპრომისებს გულისხმობს (12, 146-147).

ამასთან, სახელმწიფოს მხრიდან მოზინადრეებისადმი, უძრავი ქონების მართვა-განკარგვის პროცესში, გამოცხადებული ნდობა საჭიროებს მეტი კონტროლის მექანიზმის შემუშავებას და მისი აღსრულების მონიტორინგს, სამოქალაქო პასუხისმგებლობის ზრდის ხელშეწყობასა და თანამშრომლობის გაღრმავებას. ხელშეწყობის ეტაპზე მნიშვნელოვანია ამხანაგობის თავმჯდომარეების მხარდაჭერა და მათი გადამზადება კვალიფიკა-

ციის ამალღების მიზნით რამდენიმე სტრატეგიული მიმართულებით. აღნიშნული პროცესი ასევე მოაგვარებს მესაკუთრეთა გაერთიანებების შიგნით არსებულ ორგანიზაციულ პრობლემებსაც.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. შოთაძე თ. 2014. სანივთო სამართალი. თბილისი: მერიდიანი.
2. ჩიკვაშვილი შ. 1989. საბინაო სამართალი. თბილისი: საბჭოთა საქართველო.
3. ჯორბენაძე ს. 1973. საცხოვრებელი სახლი და მოქალაქეთა საბინაო უფლება-მოვალეობანი, თბილისი: საბჭოთა საქართველო.
4. ჭანტურია ლ. 1999. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეორე. თბილისი: სამართალი.
5. ჭანტურია ლ. 2000. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი. წიგნი მეხუთე. თბილისი: სამართალი.
6. ნინუა ე. 2010. ამხანაგობა ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობებში. სადისერტაციო ნაშრომი. თბილისი.
7. კაპანაძე თ. 2019. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო სარგებლობაში არსებული ქონების მართვის თავისებურებანი. სამაგისტრო ნაშრომი. თბილისი.
8. განვითარებისა და დემოკრატიის ცენტრი. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები საქართველოში. 2015. თბილისი.
9. თარგამაძე ე., აფხაზავა ნ. ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობები და ადგილობრივი თვითმმართველობა. 2017. თბილისი.
10. Brook I. 2009. Organisational Behaviour. Edinburgh: Person Education Limited.
11. Clarke A., Kohler P. 2005. Property Law. Cambridge: Cambridge University Press.
12. Dicks J. 2006. Real Estate for Financial Freedom. New York: McGraw-Hill.
13. Fambrough J. 2014. Landlords and Tenants Guide. Texas: Real Estate Center.
14. Hage J., Akkermann B. 2014. Introduction to Law. London: Springer.
15. Henderson L. 2007. The landlord's survival guide. Oxford: HTC. Ltd.
16. Jordan C. 2001. Neighbor Law. Berkoley: Consolidated Printers. INC.
17. Roth M. 2004. The Successful Landlord. New York: Mamcom Ltd.

სამართლებრივი აქტები:

ნორმატიული საკანონმდებლო აქტები:

18. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 2008. საქართველოს კანონი: საჯარო რეესტრის შესახებ (41, 30.12.2008). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე.
19. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. საქართველოს კანონი: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ (5277-რს, 11.07.2007). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე.
20. საქართველო. საქართველოს პარლამენტი. 1997. კანონი: საქართველოს სამოქალაქო კოდექსი (786, 25.06.1997).
21. საქართველო. საქართველოს სახელმწიფოს მეთაური. 1995. კონსტიტუციური კანონი: საქართველოს კონსტიტუცია (786-რს, 23.08.1995).

ინდივიდუალური სამართლებრივი აქტები:

22. საქართველო. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 2019. მინისტრის ბრძანება: საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე (487, 31.12.2019). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე.
23. საქართველო. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი. 2018. საკრებულოს დადგენილება: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის შესახებ (N12-29, 12.02.2018). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე.
24. საქართველო. საქართველოს მთავრობა. 2014. დადგენილება: კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზირებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ (N189, 24.02.2014). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე.
25. საქართველო. საქართველოს იუსტიციის სამინისტრო. 2010. მინისტრის ბრძანება: სანოტარო მოქმედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე (N71, 01.04. 2010). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე.
26. საქართველო. საქართველოს მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტრო. 2002. მინისტრის ბრძანება: მრავალბინიანი სახლებისათვის მიწის ნაკვეთების საზღვრების დადგენის წესის შესახებ (N49, 11.10.2002). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე.
27. საქართველო. საქართველოს მშენებლობისა და ურბანიზაციის სამინისტრო. 1999. მინისტრის ბრძანება: ადგილობრივი მმართველობის ტექნიკური აღრიცხვის ტერიტორიული სამსახურის ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის მინისტრი (47, 20.07.1999). თბილისი: საკანონმდებლო მაცნე.
28. დადგენილება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების ხელშეწყობის პროგრამის განხორციელებისა და ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების აღრიცხვის წესის შესახებ. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო. N12-29, 2018.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

29. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2012 წლის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1098-10292012.
30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2020 წლის 31 იანვრის გადაწყვეტილება საქმეზე №ას-1053-2019.
31. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2009 წლის 15 სექტემბრის N2/2/439 გადაწყვეტილება საქმეზე: „საქართველოს მოქალაქე ომარ ალაფიშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“.

ელექტრონული წყაროები:

32. <http://chca.org.ge/geo/item/543/detail> [20.02.21]
33. <https://en.wikipedia.org/wiki/Condominium> [20.02.21]
34. http://civilcode.ge/index.php?title=%E1%83%9B%E1%83%A3%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98_208209_%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%95%E1%83%90%E1%83%9A%E1%83%98 [20.02.21]
35. <https://jildom.com/konsultant/stranicza/polskij-opyt-upravleniya-zhilyom.html> [20.02.21]

Peculiarities of managing the association of homeowners - Purpose, Responsibility, Control

Sophio Barnabishvili

Grigol Robakidze University, PhD student
sopio.barnabishvili20@gruni.edu.ge

Abstract. Although the legal platform for improving the living conditions of the owners of multi-apartment houses, sharing common interests and creating the desired well-being has been in place since 2007, neighborhood law still faces many difficulties and challenges. Prior to the current legal regulation, there was a need for obedience, mutual respect and empathy among the neighbors, and an obligation arose from long ago, which included the housing regulations in the Soviet space and the rights and obligations under the Civil Code. Given that this legal regulation obliges each resident to understand the importance of individual property and common use status and their share of responsibility in the common case, the current case law is rich in disputes over the ownership and use of space managed by landlords. This article: "Features of the management of the homeowners' association - Purpose, Responsibility, Control", presents the history of the origin and development of homeowners' associations, the preconditions, needs and importance of creating a relevant legislative platform. In addition, the partnership is discussed as a model of cooperation, the scope of responsibilities of members and the chairman, the goals of the union and control mechanisms at both the state and local self-government levels. The author believes that great attention should be paid to the training of chairpersons to take on this responsibility, however, it is necessary to have material support, as such an environment increases competition and the quality of work performed. It should be noted that the article focuses on the organizational aspects of the partnership, its legal regulation and neighborhood relations, where the moral values of the members and the management of individual property are no less important, so as not to infringe on property, restrict and damage the rights of others. Free disposal of property is inadmissible only in accordance with the views of the person, it is necessary to define the area of free action and to understand that the management of individual property should not be harmful to third parties. The author focuses on the basic tools of partnership management, the typology of condominiums and the legal status of members. The article covers the following important issues: a member of the partnership as a necessary data, "forced membership" and its constitutionality, the scope of authority of owner and non-owner members, the legal entity as a member of the partnership, the responsibility of the state as a member of the partnership and the controlling entity. Institution of rightful owner. The article discusses the organizational aspects of a condominium, which includes assessing the authority, role and importance of the convention assembly in the process of confirming ownership of the item and subsequently registering ownership of it. It is assessed whether the number of votes currently in the law is sufficient in the process of disposing of the property, whether the partnership assumes responsibility for its subsequent maintenance, whether there is a further control mechanism. Describes the institution of the chairman of the partnership as a manager and a representative of the neighborhood union. Where the chairman's responsibilities begin and end, whether it is appropriate to end their responsibilities solely by disposing of common space. However, a comparative legal study presented in the article, based on the example of the United States and various European countries, highlights the value of effective management of owners' associations, both legally and practically. The article summarizes the main challenges of the issue, the factors hindering the development of the partnership as a neighborhood union, and the issues of redistribution of responsibilities. Emphasis is placed on the importance of each member's role and function in good faith.

Keywords: Homeowners Partnership, Owners Association, Partnership Member, Common Property

სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის დადგენა, როგორც მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძველი

ვასილ აბულაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
vasil.abuladze20@gruni.edu.ge

რეზიუმე. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა მოქმედი კოდექსი, რომელიც თითქმის ოთხი ათეული წლის წინ, 1984 წელს, საბჭოთა პერიოდში მიიღეს, მიეკუთვნება იმ კანონმდებლობის რიცხვს, რომელიც ითვალისწინებს ადამიანის თავისუფლების შეზღუდვას. ის რომ კოდექსი შესაცვლელია, ქვეყნის ხელისუფლების, არასამთავრობო სექტორისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები ერთხმად თანხმდებიან, თუმცა რა მიმართულებით უნდა შეიცვალოს არსებული კოდექსი, ამის შესახებ შეთანხმება ჯერ კიდევ არ არის მიღწეული. 1992 წლიდან კოდექსში, განსაკუთრებით კი მის კერძო ნაწილში, ასეულობით ცვლილება შევიდა, თუმცა ისინი მიმართული არ ყოფილა კოდექსის ახლებური სისტემისა და შინაარსის ჩამოყალიბებისაკენ. ამდენად, დღეს მოქმედი კოდექსის რედაქცია საბჭოური კანონმდებლობის იდეოლოგიას ეფუძნება და შესაბამისად ვერ პასუხობს თანამედროვე სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს მოთხოვნებს. ქვეყანაში ეტაპობრივად განხორციელებული სამართლებრივი რეფორმები, კერძოდ: კონსტიტუციის, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისა და ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიღება, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის რატიფიკაცია და ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების ფარგლებში კანონმდებლობის ჰარმონიზაციის მოთხოვნა უპირობოდ აუცილებელს ხდის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა სამართლის რეფორმას, რის დადასტურებასაც წარმოადგენს ის, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი ხშირად ხდება კრიტიკის საგანი საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდანაც.

საძიებო სიტყვები: მარეაბლიტირებელი, ადმინისტრაციული სამართალდარღვევა, სატისფაქცია, ადამიანის უფლება, მორალური ზიანი

შესავალი

ადამიანის უფლებათა ცნება სათავეს შორეულ წარსულში იღებს. ადამიანის საერთაშორისო უფლებების საფუძვლები გამომდინარეობს მრავალი საუკუნეების მანძილზე განხორციელებული კვლევებიდან. მართლაც, ადამიანის უფლებები წარმოადგენს კანონის უზენაესობის ტრადიციული კონცეფციის თანამედროვე ინტერპრეტაციას და შემდგომ განვითარებას. ადამიანის უფლება მიზნად ისახავს ადამიანის ინტერესების დაცვას, იქნება ეს სიცოცხლის, თავისუფლების, პირადი ცხოვრებისა თუ კერძო საკუთრების ინტერესი. ყველა ადამიანს აქვს სამართლებრივად დაცული ძირითადი უფლებები და თავისუფლებები, რომლებიც იცავენ მას სახელმწიფოს ჩარევისაგან. თავისთავად თავისუფლება ვინმესაგან დამოუკიდებლობას ნიშნავს, ამიტომ თავისუფლების ცნება ისტორიულად ცვალებადი, განვითარებადი და სოციალური

კატეგორია და მისი ფუნქციონირება მხოლოდ ადამიანთა საზოგადოებაშია შესაძლებელი.

ადამიანის თავისუფლება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ღირებულებას. ყველა ადამიანს აქვს უფლება ისარგებლოს თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლებებით (2. მუხლი 1) (9. მუხლი 5). შეუძლებელია, ადამიანის სხვა უფლებების გარანტირება, თუ არ არის დაცული თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლებები (11. 145-147). სახელმწიფოს პირდაპირი ვალდებულებაა დაიცვას ადამიანის უფლებები და თავისუფლებები, მისი ვალდებულებაა ყველა იმ პირობის შექმნა, რომელიც ერთი მხრივ, უზრუნველყოფს ამ უფლებებისა და თავისუფლებების რეალიზებას, მეორე მხრივ, კი დაადგენს შესაბამის პასუხისმგებლობას მათი ხელყოფისთვის. ეს, რა თქმა უნდა, გულისხმობს იმასაც, რომ ადამიანის კონკრეტულ უფლებებში დაუსაბუთებელი და არაგონივრული ჩარევისას, სახელმწიფო ვალდებულია ჰქონდეს შესაბამისი მექანიზმი იმისთვის, რომ აღკვეთოს უსამართლო ჩარევა და ამასთან, დაუსაბუთებელი ჩარევისას მოახდინოს ამ უფლებებსა და თავისუფლებებში უკანონო ჩარევის კომპენსირება. ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფო იღებს ვალდებულებას ეროვნულ სამართლებრივ სისტემაში შემოიღოს საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტები, რათა შექმნას უკეთესი მექანიზმი ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების ეფექტური რეალიზაციისთვის. ეს გულისხმობს იმას, რომ სახელმწიფოს პრიორიტეტი უნდა იყოს ინდივიდუალური თავისუფლების დაცვის უზრუნველყოფა და ამ უფლების რეალიზაციისათვის უსაფრთხო გარემოს შექმნა, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დარღვეული უფლებების აღდგენა, კერძოდ კი მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის სამართლებრივად რეგულირება, რათა ინდივიდმა მისი უფლებების უკანონოდ დარღვევისას შეძლოს კომპენსაციის მოთხოვნა (12. 4-7). პიროვნების ფიზიკური თავისუფლებისა და პირადი უსაფრთხოების უფლება თავისი მნიშვნელობიდან გამომდინარე დემოკრატიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ელემენტია და წარმოადგენს სახელმწიფოებრივი სისტემის ქვაკუთხედს, რომელიც კანონის უზენაესობასა და ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დაცვას პრიორიტეტად ისახავს. საქართველოს კონსტიტუცია (1. 42-9) ითვალისწინებს სახელმწიფოსა და თვითმართველობის ორგანოთა და მათი თანამშრომლების მხრიდან მიყენებული ზარალის ანაზღაურებას სახელმწიფოს მიერ. ასევე მნიშვნელოვანია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (შემდგომში ევროპული კონვენცია) (9), რომლის მე-5 მუხლი ადგენს უკანონოდ დაკავებული პირის გათავისუფლების სამართლებრივ გარანტიებს. ამასთან, ამავე მუხლის მე-5 ნაწილით გათვალისწინებულ ამ გარანტიების ხელყოფისათვის კომპენსაციის საკითხი, რომელიც განმტკიცებულია კონვენციის 50-ე მუხლით, რომელიც საუბრობს „სამართლიან ანაზღაურებაზე“.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (სსკ) 413-ე მუხლი არეგულირებს მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხს. 413-ე (1) ნაწილით მორალური ზიანი ექვემდებარება ანაზღაურებას, თუმცა მორალური ზიანი შეიძლება ანაზღაურდეს თუ ამასთან დაკავშირებით პირდაპირ გვაქვს მითითება. სსკ-ი არ გვთავაზობს მორალური ზიანის ცნების განმარტებას. ამ საკითხის გადაწყვეტა ხდება დოქტრინისა და სასამართლო

პრაქტიკის საფუძველზე, რაც მიუთითებს მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის პრობლემურობასა და კომპლექსურობაზე. აღნიშნული ასევე კარგად ჩანს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 2 ოქტომბრის Nბს-1143-1137(2კ-17) გადაწყვეტილებაშიც, როდესაც უზენაესმა სასამართლომ გააუქმა სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება, რომლის მიხედვითაც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს კონკრეტული პირების სასარგებლოდ დაეკისრათ მორალური ზიანის ანაზღაურება.

საქმის ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებები

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 2 ოქტომბრის Nბს-1143-1137(2კ-17) გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მოსარჩელების სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

მოსარჩელები მოთხოვნის საფუძველად მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ისინი უკანონოდ იქნენ ადმინისტრაციული წესით დაკავებულნი საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ. კერძოდ, მათ მიმართ შედგა ადმინისტრაციული დაკავების ოქმები საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლების საფუძველზე მასზედ, რომ ისინი ქ. თბილისში, თავისუფლების მოედანზე, საკრებულოს ადმინისტრაციული შენობის წინ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილზე საუბრობდნენ ხმამაღლა და იქცეოდნენ აგრესიულად. საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ არაერთგზის კანონიერ მოთხოვნაზე დამშვიდებულიყვნენ და შეეწყვიტათ აღნიშნული ქმედება, არ დაემორჩილნენ, კვლავ განაგრძობდნენ ხმამაღლა ყვირილსა და გამოხატავდნენ აშკარა უპატივცემულობას მათ მიმართ, ასევე ხელს უშლიდნენ საპატრულო პოლიციის თანამშრომლებს სხვა სამართალდამრღვევთა დაკავებაში. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილებით ადმინისტრაციულ პასუხისგებაში მიცემული კონკრეტული პირების მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით აღძრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა, სამართალდარღვევის არარსებობის გამო. ადმინისტრაციული პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლებულმა პირებმა სარჩელი აღძრეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მიმართ მოპასუხეებისთვის უკანონო დაკავებით მიყენებული მორალური ზიანის ანაზღაურების მიზნით მოსარჩელების სასარგებლოდ თანხის დაკისრების მოთხოვნით. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. მორალური ზიანის კომპენსირების ნაწილში, საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ არ

არსებობს პირდაპირი ან/და უშუალო მიზეზობრივი კავშირი მოპასუხეთა ქმედებასა (რაც გამოხატული იყო ადმინისტრაციულ დაკავებაში), და დამდგარ შედეგს შორის (მორალური ზიანი).

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 7 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლის მიხედვით სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტს მოსარჩელების სასარგებლოდ დაეკისრათ თანხის გადახდა.

სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას არ დაეთანხმა საქართველოს უზენაესი სასამართლო. საკასაციო პალატამ არ გაიზიარა სააპელაციო სასამართლოს მოსაზრება, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილებით მოსარჩელეთა მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით აღძრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოების შეწყვეტით (სამართალდარღვევის არარსებობის გამო) მოსარჩელეთა მიმართ განხორციელდა ადმინისტრაციული წესით უკანონოდ დაკავება. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 2 ოქტომბრის გადაწყვეტილებით გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივლისის გადაწყვეტილება და მიღებული იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი დასაბუთება

საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ გადაწყვეტილების მიღების დროისთვის მოქმედი საქართველოს კონსტიტუციის მე-7 მუხლის (დღეს მოქმედი რედაქციით მე-4 მუხლის) თანახმად, სახელმწიფო ცნობს და იცავს ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებსა და თავისუფლებებს, როგორც წარუვალ და უზენაეს ადამიანურ ღირებულებებს. ხელისუფლების განხორციელებისას ხალხი და სახელმწიფო შეზღუდული არიან ამ უფლებებითა და თავისუფლებებით, როგორც უშუალოდ მოქმედი სამართლით. საქართველოს კონსტიტუციის მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის (დღეს მოქმედი რედაქციით მე-4 მუხლის მე-5 პუნქტის) მიხედვით, საქართველოს კანონმდებლობა შეესაბამება საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებულ პრინციპებსა და ნორმებს.

საკასაციო პალატამ მიუთითა საქართველოს კონსტიტუციის მე-18 მუხლზე (დღეს მოქმედი რედაქციით მე-13 მუხლი), რომლის თანახმად, ადამიანის თავისუფლება ხელშეუვალია, ამავე მუხლით თავისუფლების აღკვეთა ან პირადი თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვა დაუშვებელია სასამართლოს გადაწყვეტილების გარეშე, ხოლო ადამიანის დაკავება დასაშვებია კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში საგანგებოდ უფლებამოსილი

პირის მიერ. დაკავებული თუ სხვაგვარად თავისუფლებაზეზღუდული პირი უნდა წარედგინოს სასამართლოს განსჯადობის მიხედვით არა უგვიანეს 48 საათისა. თუ მომდევნო 24 საათის განმავლობაში სასამართლო არ მიიღებს გადაწყვეტილებას დაპატიმრების ან თავისუფლების სხვაგვარი შეზღუდვის შესახებ, პირი დაუყოვნებლივ უნდა განთავისუფლდეს. ამავე ნორმის შესაბამისად, ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევა ისჯება კანონით. უკანონოდ დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს აქვს კომპენსაციის მიღების უფლება. საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის (დღეს მოქმედი რედაქციით მე-18 მუხლი) თანახმად, ყველასთვის გარანტირებულია სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკების და თვითმმართველობის ორგანოთა და მოსამსახურეთაგან უკანონოდ მიყენებული ზარალის სასამართლო წესით სრული ანაზღაურება შესაბამისად სახელმწიფო, ავტონომიური რესპუბლიკის და ადგილობრივი თვითმმართველობის სახსრებიდან.

ამასთან, სახელმწიფო ორგანოთა და მოსამსახურეთა მიერ უკანონოდ მიყენებული ზიანის სახელმწიფო სახსრებიდან ანაზღაურების უფლება აღიარებული და გარანტირებულია როგორც საქართველოს კონსტიტუციით, აგრეთვე, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა შესახებ ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით - „თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლება“, რომლის პირველი პუნქტის თანახმად, ყველას აქვს თავისუფლებისა და პირადი ხელშეუხებლობის უფლება. არავის შეიძლება აღეკვეთოს თავისუფლება, გარდა ამ მუხლში ჩამოთვლილი შემთხვევებისა და კანონით განსაზღვრული პროცედურის შესაბამისად. ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ყველას, ვინც ამ მუხლის მოთხოვნათა დარღვევით არის დაკავების ან დაპატიმრების მსხვერპლი, აქვს კომპენსაციის მიღების უფლება.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ მოსარჩლეების მიმართ განხორციელებული შეზღუდვა შეესაბამება ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი ნაწილის „ც“ ქვეპუნქტს, რამდენადაც იმის დადგენისას „შეეზღუდა თუ არა თავისუფლება“ რომელიმე ადამიანს მე-5 მუხლის პირველი ნაწილის მნიშვნელობით, ამოსავალ წერტილად კონკრეტული ვითარება უნდა იქცეს, ასევე გასათვალისწინებელია მთელი რიგი კრიტერიუმები, როგორიცაა გამოყენებული ზომის სახე, ხანგრძლივობა, შედეგები და საშუალება. მე-5 მუხლის ინტერპრეტაცია არ უნდა მოხდეს იმგვარად, რომ პოლიციისთვის საკუთარი მოვალეობების შესრულება, როგორიცაა წესრიგისა და მოსახლეობის დაცვა, შეუძლებელი გახდეს იმ პირობით, რომ გაითვალისწინებენ მე-5 მუხლის ფუძემდებელ პრინციპებს, რომელიც ადამიანს თვითნებობისგან იცავს. ოპერატიული გადაწყვეტილებების მიღებისას პოლიცია დისკრეციის მაღალი ხარისხით უნდა სარგებლობდეს. მსგავსი გადაწყვეტილებების მიღება ხშირად რთულია და პოლიცია, რომელიც ფართო საზოგადოებისთვის მიუწვდომელ ინფორმაციასა და დაზვერვის მასალებს ფლობს, ზემოთ აღნიშნული გადაწყვეტილებების მიღებისას, როგორც წესი უკეთეს მდგომარეობაშია. ამასთან, სასამართლო არ თვლის, რომ თავისუფლების შეზღუდვის ცალკეული ფაქტი, რომელთა ხანგრძლივობა ვითარებიდან გამომდინარე ხელისუფლების ნებაზე არაა დამოკიდებული და სერიოზული დაზიანებებისა და რეალური საფრთხის ასაცილებლადაა საჭირო, მე-5 მუხლის 1-ლი ნაწილის

მნიშვნელობით „თავისუფლების შეზღუდვად“ შეფასდეს.

ქართულ კანონმდებლობაში ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული უფლების რესტიტუციის შესაძლებლობას იძლევა „პოლიციის შესახებ“ კანონის 59-ე მუხლის მე-5 პუნქტის მითითება, რომ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციელის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისათვის პასუხისმგებლობის საკითხი წესრიგდება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის XIV თავით დადგენილი ნორმებით. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე მუხლის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესი, ხოლო 208-ე მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო. ადმინისტრაციული ორგანოს ზიანის მიმყენებელი ქმედება არსებითად არ განსხვავდება კერძო პირის ანალოგიური ქმედებისაგან, შესაბამისად, კოდექსის 207-ე მუხლით განსაზღვრულ იქნა კერძო სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის ფორმებისა და პრინციპების გავრცელება სახელმწიფოს პასუხისმგებლობის შემთხვევებზეც, რაც გამოიხატა პასუხისმგებლობის სახეების დადგენით სამოქალაქო კოდექსზე მითითებით, იმ გამონაკლისის გარდა, რაც თავად ამ კოდექსით არის გათვალისწინებული.

მოსარჩელები მიუთითებენ მათთვის არაქონებრივი ზიანის მიყენების ფაქტზე და სადავოდ ხდიან მათ მიმართ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის პირველი მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ საქართველოს კანონმდებლობის ამოცანების შესასრულებლად, „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-2 მუხლის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საკმარისი საფუძვლიანი ვარაუდის საფუძველზე გამოყენებული, ამავე კოდექსით დადგენილი რეპრესიული ღონისძიებით გამოწვეული შეზღუდვის - ადმინისტრაციული დაკავების შესაბამისობას კანონმდებლობასთან. სასარჩელო მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მითითებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლი. სააპელაციო სასამართლოს მიერ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველი გახდა სწორედ სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რასაც საკასაციო პალატა არ იზიარებს. რამდენადაც, მითითებული ნორმის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა. ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია დადგინდეს ქმედების უკანონობა და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება. სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილი რეაბილიტირებული პირისათვის თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად ზიანის ანაზღაურებისათვის ითვალისწინებს კონკრეტული შემთხვევების ჩამონათვალს, მათ შორის ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 24-ე მუხლის პირველი ნაწილის მხოლოდ „ვ“ და „ზ“ ქვეპუნქტებით გათვალის-

წინებული ძირითადი ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დაკისრების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას.

აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სახდელების - გამასწორებელი სამუშაოს და ადმინისტრაციული პატიმრობის დაკისრების წესს ადგენს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 31-ე და 32-ე მუხლები. აღნიშნული მუხლებით გამასწორებელ სამუშაოს და ადმინისტრაციულ პატიმრობას შეუფარდებს შესაბამისი რაიონის (ქალაქის) სასამართლოს მოსამართლე, რასაც მოსარჩელების მიმართ არ ჰქონია ადგილი, რადგან თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილებით მათ მიმართ აღძრული ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება შეწყდა. შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების საფუძველად არასწორად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილზე. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 413-ე მუხლით არაქონებრივი ზიანისათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. სხეულის დაზიანების ან ჯანმრთელობისათვის ვნების მიყენების შემთხვევებში დაზარალებულს შეუძლია მოითხოვოს ანაზღაურება არაქონებრივი ზიანისთვისაც.

მოცემულ შემთხვევაში არაქონებრივი ზიანის მოთხოვნის ფაქტობრივ საფუძველს წარმოადგენს მოსარჩელეთა მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლით გათვალისწინებული ღონისძიების გამოყენება - ადმინისტრაციული დაკავება, რომლის ხანგრძლივობამ მოსარჩელების მიმართ დაახლოებით 3 და 16 საათი გასტანა, რაც არ აღემატებოდა ამავე კოდექსის 247-ე მუხლით გათვალისწინებულ ვადას. ასევე, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოსარჩელეთა ადმინისტრაციული დაკავების დღე ემთხვეოდა არასამუშაო დროს - კვირა დღეს. სადავო პერიოდში მოქმედი საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 247-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენის ადმინისტრაციულმა დაკავებამ არ უნდა გასტანოს თორმეტ საათზე მეტ ხანს. გამონაკლის შემთხვევებში, განსაკუთრებული აუცილებლობის გამო, საქართველოს საკანონმდებლო აქტებით შეიძლება დაწესდეს ადმინისტრაციული დაკავების სხვა ვადები. ამავე ნორმის მე-2 ნაწილით, პირი, რომელმაც ჩაიდინა წვრილმანი ხულიგნობა, შეიძლება დაკავებულ იქნეს კანონით დადგენილ ვადაში მოსამართლის ან შინაგან საქმეთა ორგანოს უფროსის (უფროსის მოადგილის) მიერ საქმის განხილვამდე, ხოლო მე-3 ნაწილის მიხედვით, პირი, რომლის დაკავების ვადა ემთხვევა არასამუშაო დროს, შეიძლება დაკავებულ იქნეს და მოთავსდეს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წინასწარი დაკავების საკანში საქმის განმხილველი ორგანოს მიერ საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე.

საკასაციო პალატამ ასევე მიიჩნია, რომ ზიანის ანაზღაურების საფუძველის არსებობისათვის მნიშვნელობა არ აქვს დაკავებულ პირთა მიერ სამართალდარღვევის ჩადენის ფაქტის არსებობას, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო

მოსამსახურის - პოლიციელის მიერ თავისი სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტის არსებობა, რაც უნდა შეფასდეს პოლიციელის უფლებამოსილების განმსაზღვრელი კანონმდებლობით დადგენილი წესით. საქართველოს პოლიციის საქმიანობის ძირითად პრინციპებს, პოლიციის ორგანიზაციული მოწყობის სამართლებრივ საფუძვლებს, პოლიციის ფუნქციებს, საპოლიციო ღონისძიებებსა და პოლიციის მიერ საკუთარი უფლებამოსილებების განხორციელების სამართლებრივ ფორმებს, პოლიციაში სამსახურის გავლის წესს, პოლიციელის სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიებს, პოლიციის საქმიანობის კონტროლს განსაზღვრავს საქართველოს კანონი „პოლიციის შესახებ“.

ზემოაღნიშნული კანონის მეორე თავით გათვალისწინებულია პოლიციის საქმიანობის ძირითადი პრინციპები: პოლიციის საქმიანობის ძირითადი სახელმძღვანელო პრინციპები, ადამიანის ძირითადი უფლებებისა და თავისუფლებების დაცვისა და პატივისცემის პრინციპი, კანონიერების პრინციპი, თანაზომიერების პრინციპი, დისკრეციული უფლებამოსილების განხორციელების პრინციპი. მოცემულ შემთხვევაში დასტურდება, რომ აღნიშნული პრინციპების დაცვით ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 246-ე მუხლით განსაზღვრული უფლებამოსილი პირის - პოლიციელის მიერ „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-16 მუხლით გათვალისწინებული ფუნქციის შესრულების მიზნით, ამავე კანონის მე-13, მე-17 და მე-18 მუხლებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საპოლიციო ღონისძიების გამოყენების - მოსარჩელეთა მიმართ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლით გათვალისწინებული ადმინისტრაციული დაკავების გამოყენების შესახებ, რაც განხორციელდა კოდექსის 245-ე მუხლით გათვალისწინებული დაკავებისა და დაკავების ოქმის შედგენის პროცედურის დაცვით.

საკასაციო პალატამ მიუთითა პოლიციელის საქმიანობის კონტროლის წესზე, რომელიც დადგენილია „პოლიციის შესახებ“ კანონის მე-9 თავით. აღნიშნული კანონის 56-ე მუხლი ითვალისწინებს პოლიციელის ქმედების გასაჩივრების პროცედურას, რომლის პირველი ქვეპუნქტით პირს, რომელიც მიიჩნევს, რომ პოლიციელის ქმედებით დაირღვა მისი უფლებები და თავისუფლებები, უფლება აქვს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გაასაჩივროს ეს ქმედება ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურატურაში ან სასამართლოში. იმავე მუხლის მე-3 პუნქტით საპოლიციო ღონისძიება, რომელიც ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ან სისხლის სამართლის ნორმების საფუძველზე ხორციელდება, საჩივრდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით. შესაბამისად, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 251-ე მუხლი ითვალისწინებს ადმინისტრაციული დაკავების, პირადი გასინჯვის, ნივთებისა და დოკუმენტების ჩამორთმევის გასაჩივრების შესაძლებლობას დაინტერესებული პირის მიერ ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურატურაში.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელეებს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და „პოლიციის შესახებ“ კანონით დადგენილი წესით, ზემდგომ ორგანოებში (თანამდებობის პირთან) ან პროკურორთან, სადავოდ არ გაუხდიათ, არ გაუსაჩივრებიათ

უფლებამოსილი პირების მიერ შედგენილი დაკავების ოქმები, ამდენად, კანონმდებლობით დადგენილი წესით სადავოდ არ არის გამხდარი მოსარჩელეთა ადმინისტრაციული წესით დაკავების შესაბამისობა მოქმედ კანონმდებლობასთან. შესაბამისად, მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოთა უფლებამოსილი პირების მიერ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით დადგენილი წესით მოსარჩელების ადმინისტრაციული დაკავების ლეგიტიმურობა არ გამხდარა სადავო, რის გამოც არ არსებობს პოლიციელის მიერ განხორციელებული რეპრესიული ღონისძიების - მოსარჩელეთა ადმინისტრაციული დაკავების კანონშეუსაბამოდ მიჩნევის საფუძველი, რამდენადაც მოსარჩელების მიერ არ არის წარმოდგენილი მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა, რომ განსახილველ შემთხვევაში მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილი პირების მხრიდან მოსარჩელეთა ადმინისტრაციული წესით დაკავებისას დაცული არ იყო საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 245-ე მუხლით გათვალისწინებული პროცედურა და 247-ე მუხლით დადგენილი ადმინისტრაციული დაკავების ვადა.

სამოქალაქო კოდექსის მე-18 მუხლის მე-6 ნაწილით პირადი არაქონებრივი უფლებების მატერიალური სახით ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლების რეალიზების საშუალებას იძლევა მხოლოდ ბრალეული მოქმედებით მიყენებული ზიანის შემთხვევაში. ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს, ანუ უნდა არსებობდეს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებულ ქმედებასა (მოქმედება ან უმოქმედობა) და დამდგარ შედეგს (ზიანი) შორის პირდაპირი და უშუალო მიზეზობრივი კავშირი. ამასთანავე, ადმინისტრაციული ორგანოს ქმედება, რომელმაც პირისათვის ზიანის მიყენება გამოიწვია, უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული ორგანოს უფლებამოსილებიდან და არსებობდეს ბრალეული, განზრახი ან უხეში გაუფრთხილებელი ბრალის სახით, რაც გამოიხატება ადმინისტრაციული ორგანოს მიზანმიმართულ უმოქმედობაში, ან უხეშ გაუფრთხილებლობაში, ანუ ადმინისტრაციული ორგანო შეგნებულად უნდა უშვებდეს პირისათვის ზიანის მიმყენებელი გარემოების დადგომას ან/და არ ახორციელებდეს მისთვის კანონით დაკისრებულ ვალდებულებებს ზიანის თავიდან აცილების მიზნით. ამდენად, მორალური ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ კანონით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში, გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. ანაზღაურებას ექვემდებარება არა ყოველგვარი მორალური ზიანი (სულიერი ტანჯვა), თუნდაც ეჭვს არ იწვევდეს მისი ანაზღაურება, არამედ მხოლოდ ისეთი, რომლის ანაზღაურებასაც პირდაპირ ითვალისწინებს მოქმედი კანონმდებლობა. ამასთან, ზიანი ანაზღაურდება რეალურად არსებული, დამდგარი საზიანო შედეგისათვის, აუცილებელია პირდაპირი ზიანის არსებობის კონკრეტულ ქმედებასა და დამდგარ შედეგს შორის მიზეზ-შედეგობრივი კავშირის არსებობის დადგენა ანუ ქმედება უშუალო წინაპირობას უნდა წარმოადგენდეს დამდგარი შედეგისათვის.

საკასაციო პალატა მნიშვნელოვნად მიიჩნევს იმ გარემოებაზე მითითებას, რომ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსითა და „პოლიციის შესახებ“ კანონით დადგენილია სახელმწიფო მოსამსახურის - პოლიციელის მიერ მოვალეობის დარღვევის შესახებ ფაქტის დადგენის შესაძლებლობა, ქმედების გასაჩივრების წესი და პროცედურა.

აღნიშნული წესით პოლიციელის მიერ განხორციელებული ქმედებისა და მიღებული გადაწყვეტილების გასაჩივრების შედეგად მიღებული გადაწყვეტილება შესაძლოა საფუძვლად დაედოს ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებას. საკასაციო პალატა მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლზე, რომლის შესაბამისად, თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი ამყარებს თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს. ამ გარემოებათა დამტკიცება შეიძლება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა-განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, ფაქტების კონსტატაციის მასალებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებითა და ექსპერტთა დასკვნებით. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად, უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. საკასაციო პალატა ასევე მიუთითებს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების ინსტიტუტზე, რომელსაც აქვს არა მარტო საპროცესო სამართლებრივი, არამედ მატერიალურ სამართლებრივი მნიშვნელობაც, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ფაქტის დაუმტკიცებლობის არახელსაყრელი შედეგები უნდა დაეკისროს იმ მხარეს, რომელსაც ამ ფაქტის დამტკიცება ევალებოდა. სამოქალაქო საპროცესო კოდექსი აგებულია შეჯიბრებითობის პრინციპზე, რაც ოფიციალობის პრინციპის გათვალისწინებით სრულად, გამოიყენება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში (სასკ. მუხლი 17.1). მითითებული პრინციპის შესაბამისად, მხარეები თავად განსაზღვრავენ, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული ეს ფაქტები (ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-4 მუხლები). ამასთან, სამართლებრივი ურთიერთობა შეიძლება აღმოცენდეს, განვითარდეს ან შეწყდეს მხოლოდ იურიდიული ფაქტის საფუძველზე.

ფაქტის დადასტურებას აქვს არა მარტო საპროცესო, არამედ მატერიალურ-სამართლებრივი მნიშვნელობა. მოცემულ შემთხვევაში ა. გ-ისა და მ. ნ-ის სასარჩელო მოთხოვნაზე საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული მტკიცებულება არის მოსარჩელეთა მიმართ განხორციელებული პოლიციური ღონისძიების - ადმინისტრაციული დაკავების კანონით დადგენილი წესით გასაჩივრების შედეგად გამოტანილი გადაწყვეტილება, რომელზეც შესაძლებელი იყო ადმინისტრაციული დაკავების კანონიერების შემოწმება და იმ ფაქტობრივი გარემოებების დადგენა, რომელიც საფუძვლად უნდა დაედოს დელიქტური ვალდებულებიდან გამომდინარე ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის დაკმაყოფილებას. რამდენადაც, როგორც ზემოთ აღინიშნა სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილით საჯარო მოსამსახურეთა მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის მაკვალიფიცირებელია საჯარო მოსამსახურის (პოლიციელის) მიერ სამსახურებრივი მოვალეობის დარღვევის ფაქტის დადგენა, რომლის ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნით აღძრულ სარჩელზე დადგენის კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობა არ გააჩნია სასამართლოს. შესაბამისად, საკასაციო პალატამ მიაჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში არ დასტურდებოდა მოპასუხეთა მიერ განხორციელებულ ქმედებასა (ადმინისტრაციული დაკავება) და დამდგარ შედეგს (მორალური ზიანი) შორის პირდაპირი, უშუალო მიზეზობრივი კავშირი, აგრეთვე არ დასტურდებოდა ბრალეული, განზრახი ან

უხეში გაუფრთხილებელი ბრალის სახით არსებობა. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, არ არსებობს მოსარჩელების სარჩელის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველი.

უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილების ანალიზი

აღსანიშნავია, რომ ყველაზე მნიშვნელოვანი სამართლებრივი ინსტრუმენტები, როგორცაა, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია, საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ (შემდგომში პაქტი)(2), აფრიკული ქარტია ადამიანისა და ხალხთა უფლებების შესახებ (შემდგომში აფრიკული ქარტია)(3), ადამიანის უფლებათა ამერიკული კონვენცია (შემდგომში ამერიკული კონვენცია)(4) მკაფიოდ განმარტავენ, რომ ნებისმიერ შემთხვევაში, თავისუფლების აღკვეთა უნდა განხორციელდეს კანონის შესაბამისად (კანონიერების პრინციპი). ამასთან, აღნიშნულია რომ პიროვნების დაკავება ან/და დაპატიმრება არ უნდა იყოს თვითნებური (13), რაც გულისხმობს არა მხოლოდ კანონსაწინააღმდეგო დაკავებას, არამედ არაკანონიერების გარდა, შეუსაბამო, უსამართლო და არაპროგნოზირებად ქმედებას. ევროპული კონვენციის მე-5 მუხლით ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ (შემდგომში სტრასბურგის სასამართლო) განმარტა, რომ მნიშვნელოვანია თავისუფლების აღკვეთა იყოს კონვენციის ზემოაღნიშნულ მუხლთან შესაბამისობაში, რაც გულისხმობს იმას, რომ ეროვნულ დონეზე, თავისუფლების ნებისმიერი აღკვეთა მე-5 მუხლის მიზნებთან შესაბამისი უნდა იყოს (14). სასამართლომ არაერთხელ აღნიშნა, რომ ეროვნულ კანონმდებლობასთან შეუსაბამობა წარმოადგენს კონვენციის დარღვევას. ეს თავისთავად გულისხმობს იმას, რომ ნებისმიერი სახით თავისუფლების აღკვეთა უნდა იყოს კანონიერი, მე-5(5) საფუძველზე კომპენსაციის მოთხოვნა შესაძლებელია თუ ზიანი გამომდინარეობს თავისუფლების იმგვარი აღკვეთით, რომელიც წინააღმდეგობაში მოდის ამავე მუხლის ერთ-ერთი პუნქტთან (34). ამ შემთხვევაში, როგორც უკვე განიმარტა, საქალაქო სასამართლომ აღნიშნული პირების მიმართ აღძრული სამართალდარღვევათა საქმე შეწყვიტა.

აღნიშნულ საქმეში აპელანტები ითხოვდნენ მორალური ზიანის ანაზღაურებას იმ უკანანო თავისუფლების აღკვეთის გამო, რომელსაც ადგილი ჰქონდა მათ მიმართ. აპელანტები განმარტავდნენ, რომ უკანონო თავისუფლების აღკვეთამ გამოიწვია მათი რეპუტაციის შელახვა, რის გამოც ისინი ითხოვდნენ მორალური ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ, აპლენტების მოსაზრებით, იმ შემთხვევაში თუ არ ხდება დაკავების გასაჩივრება, სასამართლოს აქვს შესაძლებლობა ზიანის საკითხზე მსჯელობისას შეაფასოს დაკავების კანონიერებაც. ამ საქმეზე, სადაო გახდა ის, რომ ზოგადად, არ არსებობდა დაკავების სამართლებრივი საფუძველი, მით უფრო იმ დროით, რა დროითაც აღნიშნულ შემთხვევაში მოხდა. ამიტომ, სააპელაციო საჩივარში სწორედ მოხდა აპელანტების მიერ იმის ხაზგასმა, რომ დავის საგანი არ იყო უკანონო თავისუფლების აღკვეთის ხანგრძლივობა, არამედ მსგავსი ქმედება საერთოდ მოკლებულ იყო სამართლებრივ საფუძველს, რისთვისაც ისინი ითხოვდნენ მორალური ზიანის კომპენსირებას. რეალურად, მორალუ-

რი ზიანის ანაზღაურების ინსტიტუტი ერთ-ერთი ყველაზე კომპლექსური სამართლებრივი ინსტიტუტია, რადგან არ არსებობს ერთიანი ზუსტი მიდგომა მის არსთან ან/და გამოყენების პირობებთან მიმართებით (15). მორალური ზიანი შეიძლება დახასიათდეს, როგორც ზიანი, რომელიც გამოწვეულია გარკვეული ინტერესების დაზიანებითა თუ ხელყოფით და არ გააჩნია პირდაპირი საბაზრო ღირებულება, მაგალითად ეს შეიძლება უკავშირდებოდეს ტანჯვას ან ტკივილს, რომელიც გამოწვეულია რეპუტაციისთვის ზიანის მიყენებით. ამის გამო, ზოგი მიიჩნევს რომ ილუზიურიც (16) კი არის მიყენებული მორალური ზიანის ფულადი სახით კომპენსირება (17). პირობითად, შესაძლოა ვინმე ფიქრობდეს, რომ შელახული რეპუტაციის თანხით კომპენსირება ვერ მოხდება, რეალურად, მორალური ზიანის კომპენსაციის მთავარი მიზანი არ არის ხელყოფილ უფლებათა რესტიტუცია, მას ფულადი ეკვივალენტი არ გააჩნია. ზოგჯერ, თავად ინდივიდმა შეიძლება იგრძნოს, რომ „ვერანაირი თანხა ვერ შეძლებს მიყენებული ზიანის გამოსწორებას“ და ამიტომ მოითხოვს მხოლოდ სიმბოლური კომპენსაციას (32), ამ შემთხვევაში მთავარია მოხდეს დარღვეული უფლების აღდგენა.

თუმცა, აღნიშნულ საქმეზე, უკანონოდ დაკავებული პირები თვლიდნენ, რომ მათ მიაყენეს მორალური ზიანი, რომელიც მატერიალურად უნდა ანაზღაურებულიყო. მორალური ანაზღაურების ოდენობის შეფასება სასამართლოს პრეროგატივაა. შეფასებისას სასამართლომ უნდა გაითვალისწინოს თავად დაზარალებულის სუბიექტური დამოკიდებულება მიყენებული ზიანის სიმძიმის მიმართ. ამის დადგენა საჭიროა, რათა გაირკვეს არსებობს თუ არა კონკრეტულ საქმეში მორალური ზიანის არსებობა და შესაბამისად, მისი ანაზღაურების გონივრული ოდენობაც ამაზე არის დამოკიდებული (37). მაგალითად, გერმანიის კანონმდებელი მორალური ზიანის ანაზღაურებას განსაზღვრავს როგორც „ფულს ტკივილისა და ტანჯვისთვის“ (36). საქმეზე *A. and others v. the United Kingdom* სასამართლომ აღნიშნა, რომ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი ქმნის კომპენსაციის მიღების უფლებას ეროვნული სასამართლოების წინაშე. სასამართლომ ასევე განმარტა, რომ დაზარალებულისთვის კომპენსაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს სასამართლოს გადაწყვეტილებამდე ან მას შემდეგ (35). მაშინ როდესაც რიგ სახელმწიფოებს ეროვნულ კანონმდებლობაში გაწერილი აქვთ დაზარალებულისთვის მორალური კომპენსაციის მიღების უფლება, პრაქტიკული თვალსაზრისით, კომპენსაცია ხელმიუწვდომელია, რაზეც სტრასბურგის სასამართლომ მსჯელობისას აღნიშნა, რომ კომპენსაცია ხელმისაწვდომი უნდა იყოს, როგორც თეორიაში ისე პრაქტიკაში. გარდა ამისა, სასამართლომ მიუთითა მე-5 მუხლის მე-5 პუნქტზე და აღნიშნა, რომ კომპენსაციის უფლება აქვს ინდივიდს არა მხოლოდ მატერიალური ზიანის, არამედ განცდილი ტანჯვის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება განიცადოს პირმა მე-5 მუხლის დებულებების დარღვევის შედეგად (31).

დაზარალებულისთვის მიყენებული ტანჯვის კომპენსირებისათვის, სასამართლო ყურადღებას აქცევს ზიანს ანუ განიხილავს განიცადა თუ არა სარჩელის ავტორმა ფსიქოლოგიური ზიანი, ტანჯვა (24), ფრუსტრაცია (25), რეპუტაციის შელახვა (26), შფოთვა (24), უსამართლობის განცდა (27), უხერხულობა (29). გარკვეულ სიტუაციებში ზიანის ხარისხი სასამართლომ შესაძლოა არასაკმარისად მიიჩნიოს იმისთვის, რომ მატერიალური

კომპენსაციის დაკისრების გადაწყვეტილება მიიღოს. ეს ის შემთხვევებია, როდესაც პირი აცხადებს, რომ კონკრეტულმა ქმედებამ თუ დარღვევამ გამოიწვია მაგალითად მისი შეშფოთება, ფრუსტრაცია. მსგავს შემთხვევებში ეს შესაძლოა არ აღმოჩნდეს ისეთი ინტენსივობის, რომლის საფუძველზეც მიიღება მორალური ზიანის ანაზღაურების დაკისრების გადაწყვეტილება. თუმცა, ამ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლომ სამართლიანად მიიჩნია მორალური კომპენსაციის დაკისრება, რაც აბსოლუტურად სწორ არგუმენტზე იქნა დაფუძნებული, სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, მოსარჩევეების რამდენიმე საათით დაკავებამ გამოიწვია მათი თავისუფალი მიმოსვლის უფლების შეზღუდვა, შეილახა მათი ღირსება და შესაბამისად, მოპასუხე მხარეს დაეკისრა 500 და 1000 ლარის ოდენობით მორალური ზიანის ანაზღაურება. მართალია, კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტი არ აძლევს მომჩივანს კომპენსაციის კონკრეტული ოდენობის უფლებას (30), ამ საკითხს თავად სასამართლო წყვეტს, ამ შემთხვევასი თანხის ოდენობის ნაწილშიც, სასამართლომ გონივრული ოდენობა მიუთითა.

მორალური ზიანის ანაზღაურების საკითხის კომპლექსურობიდან გამომდინარე, იმის დასადგენად დადებითად უნდა გადაწყდეს თუ არა კონკრეტულ საქმეში პირის მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა, ყურადღება გამახვილდება იმაზე თუ რამდენად შეიძლება ჰქონოდა კონკრეტულ ზიანს თუ დარღვევას ადამიანის მორალურ კეთილდღეობაზე ნეგატიური ზეგავლენა (29). იმ მსხვერპლთათვის, რომლებიც ითხოვენ კომპენსაციას მათი ტანჯვისთვის, სასამართლო შეეცდება დაზარალებულის ზიანის ან დანაკარგის საკითხის შესწავლას (18). სტრასბურგის სასამართლოს შეხედულებით, თუ განმცხადებელმა მიიღო „ამკარა ტრავმა“ ან/და განიცადა ტკივილი, ტანჯვა და სტრესი კომპენსაციის მიმართულია იმისკენ, რომ აღიაროს ადამიანის ფუნდამენტური უფლებების დარღვევით დამდგარი მორალური ზიანი (38). მიზანი ამ შემთხვევაში არის მსხვერპლის ისეთ პოზიციაში ჩაყენება, რომელშიც ის იქნებოდა რომ არა კონკრეტული ქმედება და მისგან გამოწვეული მორალური ზიანი. ისეთ შემთხვევაში, როდესაც შეუძლებელია ადამიანის ზიანის მიყენებამდე არსებული მდგომარეობის აღდგენა, მაშინ განმცხადებლის მოთხოვნა შეიძლება უკავშირდებოდეს ფულად კომპენსაციას (23). როგორც უკვე აღვნიშნეთ, აპელანტებმა მათ უფლებებში ჩარევის ანაზღაურება მატერიალურად ჩათვალეს სამართლიანად. ამ შემთხვევაში, ყველაზე რთული არის მატერიალური ზიანის მოთხოვნის გონივრულობის დასაბუთება. ის თუ როგორ იგრძნო თავი ადამიანმა მის უფლებებში უხეშად ჩარევით - ინდივიდუალურია, თუმცა სტრასბურგის სასამართლომ აღნიშნა, რომ უკანონო დაკავების შედეგად მიღებული არამატერიალური ზიანის მტკიცებულების მოთხოვნის გადაჭარბებული ფორმალიზმი არ შეესაბამება კომპენსაციის მიღების უფლებას, რომელსაც კონვენცია ითვალისწინებს (30).

აღსანიშნავია, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილის თავისებურებას წარმოადგენს ის, რომ ზიანი ანაზღაურებას ექვემდებარება მიუხედავად ზიანის მიმყენებლის ბრალისა, ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის დაკმაყოფილებისთვის საკმარისია დადგინდეს ქმედების უკანონობა და სახეზე იყოს პირის მარეაბილიტირებელი გარემოება, თუმცაღა უშუალოდ სახელმწიფო მოსამსახურეზე პასუხისმგებლობის

სოლიდარულად განაწილებისათვის, უნდა დადგინეს მისი ბრალეულობა - განზრახვა ან უხეში გაუფრთხილებლობა. ამასთან, საგულისხმოა, რომ ზემოაღნიშნული ნორმები ანიჭებენ რა პირს ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლებას, არ განსაზღვრავენ მარეაბილიტირებელ გარემოებებს. შესაბამისად, კანონმდებელმა სასამართლოს მიანიჭა თავისუფლება ქმედების უკანონობისა და რეაბილიტაციის საფუძვლების შეფასებისას. განსახილველ შემთხვევაში, აპელანტები ითხოვენ არაქონებრივი ზიანის ანაზღაურებას და მოთხოვნის საფუძვლად მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ ისინი უკანონოდ იქნენ ადმინისტრაციული წესით დაკავებული საპატრულო პოლიციის თანამშრომლების მიერ. სამართალდარღვევის ფაქტის არარსებობის დადგენა და საქმის წარმოების შეწყვეტა თავისთავად გულისხმობს დაკავების არაკანონიერების დადასტურებას.

საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 232-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის წარმოება არ შეიძლება დაიწყოს, ხოლო დაწყებული საქმე უნდა შეწყდეს ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემთხვევის არარსებობის გამო. ამავე კოდექსის 246-ე მუხლის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული დაკავება შეუძლიათ შინაგან საქმეთა ორგანოებს – წვრილმანი ხულიგნობის შემთხვევებში, ხოლო 247-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად ადმინისტრაციული დაკავების დროს დაკავებული პირი პირველი შესაძლებლობისთანავე, მაგრამ არაუგვიანეს 24 საათისა, წარედგინება სასამართლოს. ადმინისტრაციული დაკავება მოცემულ შემთხვევაში შეიძლება განხორციელებულიყო თუ დადასტურდებოდა სამართალდარღვევის, კერძოდ 166-ე მუხლით განსაზღვრული წვრილმანი ხულიგნობის ჩადენა. საქმის მასალების შესაბამისად, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 23 ივლისის დადგენილებით დადასტურებულია, რომ აპელანტებს საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 166-ე და 173-ე მუხლებით გათვალისწინებული სამართალდარღვევები არ ჩაუდენიათ, ამდენად მათი დაკავების საფუძველი არ არსებობდა.

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 244-ე მუხლით გათვალისწინებული ჩარევა თავისუფლების ძირითად უფლებაში ემსახურება ისეთი ლეგიტიმური მიზნის მიღწევას, როგორცაა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღკვეთა, საქმის დროული და სწორი განხილვა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე მიღებული დადგენილების აღსრულება. აღსანიშნავია ისიც, რომ პირის ადმინისტრაციულ დაკავებას კანონი მხოლოდ მას შემდეგ ითვალისწინებს, როცა ამოიწურება ზემოქმედების სხვა ზომები. ამდენად, პირის ადმინისტრაციული დაკავება არის ოქმის შემდგენისთვის მინიჭებული შესაძლებლობა, კანონით დადგენილ შემთხვევაში და წესით მოახდინოს პირის დაკავება სამართალდარღვევის აღსაკვეთად, სამართალდარღვევაზე რეაგირების მოსახდენად მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ზემოქმედების სხვა ზომები ამოწურულია. ადმინისტრაციული დაკავება ემსახურება კონკრეტულ მიზნებს - მართლწესრიგის დაცვას, სამართალდარღვევის აღკვეთას, სამართალდამრღვევი პირის მიმართ შესაბამისი სანქციის შეფარდების შესაძლებლობის განხორციელებას. საპატრულო პოლიციის თანამშრომლები, რომლებიც აღჭურვილნი არიან სამართალდარ-

ღვევის აღკვეთისთვის საჭირო ფართო უფლებამოსილებებით, განსაკუთრებული სიფრთხილით უნდა მიუდგნენ პირის მიმართ ზემოქმედების ისეთი ზომების გამოყენებას, რომლებიც იწვევს პირისთვის ძირითადი უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობის შეზღუდვას. წინააღმდეგ შემთხვევაში, საჯარო წესრიგის დაცვა შეუძლებელი იქნება და მოხდება პირთა კანონით დაცული ინტერესების შელახვა. მართალია, პირის ადმინისტრაციული დაკავება ემსახურება სახელმწიფოს ლეგიტიმურ მიზანს - საზოგადოების, მისი კონკრეტული წევრის უსაფრთხოების დაცვას, ამასთან უფლებამოსილი ორგანო წინასწარ ვერ განსაზღვრავს კონკრეტული საქმის შედეგს, ვინაიდან მტკიცებულებათა შეფასება შემაჯამებელი გადაწყვეტილების გამოტანისთვის საკმარისობის კუთხით წარმოადგენს სასამართლოს კომპეტენციას, თუმცა პირს, რომლის ქმედებაშიც სამართალდარღვევის ნიშნების არსებობა არ დადასტურდა, უნდა მიეცეს შესაბამისი კომპენსაცია სახელმწიფოს მხრიდან მის უფლებებში გაუმართლებელი ან/და გადაჭარბებული ჩარევისთვის.

ამდენად, მოცემულ შემთხვევაში სახეზეა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის მე-3 ნაწილით გათვალისწინებული მარეაბილიტირებელი გარემოება და აქედან გამომდინარე, ქმედების უკანონობაც, რაც მოცემული მუხლის მიზნებისთვის არ უნდა იქნეს გაიგივებული მხარის მიერ დაკავების გასაჩივრების აუცილებლობასთან. პირის მიმართ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შეწყვეტით დასტურდება, რომ პირს არ ჩაუდენია სამართალდარღვევა, რომლის აღკვეთის ან რომელზეც სათანადო რეაგირების მოხდენის მიზანსაც ემსახურება ადმინისტრაციული დაკავება. დაკავება უნდა იყოს უკიდურესი ზომა, რომლის გამოყენების გარეშეც შეუძლებელი იქნება კანონით დადგენილი მოთხოვნების დაცვა და დაკისრებული უფლებამოსილების შესრულება. მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობისას დაკავების კანონიერების ხელახლა გადამოწმების საჭიროება არ არსებობს და დგება კომპენსაციის გაცემის ვალდებულება სახელმწიფოს მხრიდან. სწორედ ამიტომ, აღნიშნული გარემოებების არსებობა საკმარისია პირისთვის ზიანის ანაზღაურებისთვის და აუცილებელი არ არის, პირს გასაჩივრებული ჰქონდეს ადმინისტრაციული დაკავება ან დაკავება უკანონოდ იქნეს აღიარებული შესაბამისი ორგანოს მიერ. წინააღმდეგ შემთხვევაში, პირს არ ექნებოდა ზიანის ანაზღაურების რეალური შესაძლებლობა.

დასკვნა

სტატიაში განხილულია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის გადაწყვეტილება, რომელმაც არ გაითვალისწინა მარეაბილიტირებელი გარემოება და გააუქმა უკანონოდ დაკავებული პირების მიმართ სატისფაქციის უფლება, რამაც გამოიწვია ადამიანის უმნიშვნელოვანესი ღირებულების - თავისუფლებისა და უსაფრთხოების უფლების დარღვევა რაც ეწინააღმდეგება როგორც შიდა, ისე საერთაშორისო კანონმდებლობას. მოცემულ შემთხვევაში დაირღვა ევროპული კონვენციის მე-5 მუხლის მე-5 პუნქტით გარანტირებული უფლება. სასამართლოში მსგავსი საქმეების

განხილვისას უნდა შეიცვლოს მიდგომა და მარეაბილიტირებელი გარემოების არსებობისას დადგეს კომპენსაციის გაცემის ვალდებულება სახელმწიფოს მხრიდან.

განხილულ შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმის მიმდინარეობისას დადგინდა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევა არ ყოფილა ჩადენილი, რის გამოც შეწყდა ადმინისტრაციული წარმოება. სასამართლოს გამამართლებელი დადგენილებით გამოირიცხა იმ ქმედებების ჩადენა, რომელთა აღკვეთის მიზანსაც ემსახურებოდა ადმინისტრაციული დაკავება. ეს გარემოება ქმნის არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებას, ადმინისტრაციული დაკავების უკანონოდ აღიარების გარეშე, რადგან დაკავების მიზანშეუწონლობას ადასტურებს თავად გამამართლებელი დადგენილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია.
2. საერთაშორისო პაქტი სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებების შესახებ. 1966.
3. Organization of African Unity (OAU). African Charter on Human and Peoples' Rights ("Banjul Charter"). 27 June 1981.
4. Organization of American States (OAS). American Convention on Human Rights. "Pact of San Jose". Costa Rica, 22 November 1969.
5. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი.
6. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი.
7. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი.
8. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი.
9. ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია. რომი. 4.11.1950.
10. „პოლიციის შესახებ“. საქართველოს კანონი.
11. Kaliuzhnyi A.N., Shurukhnov N.G. Evaluation of moral damage caused by state authorities and their officials in connection with illegal loss of personality in Russia: A comparative legal analysis. Revista Espacios. issue 41. Number 31. 2020. pp. 145-147.
12. Altwicker-Hamori S., Altwicker T., Peters A. Measuring Violations of Human Rights. An Empirical Analysis of Awards in Respect of Non-Pecuniary Damage under the European Convention on Human Rights. 2018.
13. Human Rights and Arrest. Pre-Trial Detention and Administrative Detention. Chapter 5. Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges. Prosecutors and Lawyers. 2017.
14. Guide on Article 5 of the European Convention on Human Rights. Right to liberty and security. Council of Europe. 2021.
15. Akimbekova M.A., Akimbekova S.A., et. Matter On Compensation of Moral Damage. Practical Aspects. Internatioal Journal of Enviromental&Science Education. 2016. Vol. 11. No.17, 2016.

16. Lindenbergh S.D., Kippersluis P.M. Non pecuniary losses. Tort law and economics. Encyclopedia of law and economics. Rotterdam Institute of Private Law Accepted Paper Series. Vol. 1. 2009.
17. Lahe J., Kull I. Compensation of non-pecuniary damage to persons close to the deceased or to the aggrieved person. International Comparative Jurisprudence. Vol. 2. Issue 1. 2016. <https://www.sciencedirect.com/science/article/pii/S2351667416300014>
18. Vorhaus, J. On Degradation. Part One: Article 3 of the European Convention on Human Rights. 31 Common Law World Review. 2002.
19. Human Rights and Arrest. Pre-Trial Detention and Administrative Detention. Chapter 5. Human Rights in the Administration of Justice: A Manual on Human Rights for Judges, Prosecutors and Lawyers.

სასამართლო გადაწყვეტილებები:

1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2017 წლის 26 ივლისის №3ბ/25-17 გადაწყვეტილება.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2018 წლის 2 ოქტომბრის №ბს-1143-1137(2კ-17) გადაწყვეტილება.
3. „ლევან იზორია და დავით მიხეილ შუბლაძე. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2013 წლის 11 აპრილის №1/2/503,513 გადაწყვეტილება.
4. Konig v. Germany [ECtHR]. Just Satisfaction. Judgment of 10 March 1980.
5. Hokkanen v. Finland [ECtHR], Merits and Just Satisfaction. Judgment of 23 September 1994.
6. Van Der Leer v. The Netherlands, Merits and Just Satisfaction. Judgment of 21 February 1990.
7. Sakik v. Turkey. Merits and Just Satisfaction. Judgment of 26 November 1997.
8. Aydin v. Turkey. Merits and Just Satisfaction. Judgment of 25 September 1997.
Devlin v. UK, Merits and Just Satisfaction, Judgment of 30 October 2001.
9. Olsson v. Sweden (No. 2) [ECtHR]. Merits and Just Satisfaction. Judgment of 27 November 1992.
10. Varnava and others v. Turkey [ECtHR]. Merits and Just Satisfaction, Judgment of 18 September 2009. Merits and Just Satisfaction. Judgment of 27 November 1992.
11. Danev v. Bulgaria. [ECtHR]. no. 9411/05, 2010.
12. Sahakyan v. Armenia. no. 66256/11, 10 November 2015, par. 29; Teymurazyan v. Armenia, no. 17521/09, 15 March 2018.
13. Lorse v. Netherlands. Merits and Just Satisfaction. Judgment of 4 February 2003.
14. Shishmanov v. Bulgaria. Merits and Just Satisfaction. Judgment of 8 January 2009.
15. Michalák v. Slovakia. [ECtHR] no. 30157/03, 8 February 2011. par. 204.
16. Stanev v. Bulgaria. [ECtHR]. §§ 183-84; Brogan and Others v. the United Kingdom. § 67.
17. Civil Code of Germany. 2015.
18. Rules of the Court. Practice Directions. at 60ff, par. 15, available at www.echr.coe.int/Pages/home.aspx?p=basictexts/rules/practicedirections.
19. Varnava and others v. Turkey. [ECtHR]. Judgment of 18 September 2009.

Determination of the absence of the fact of an offence as a basis for compensation for moral damage

Vasil Abuladze

Grigol Robakidze University, PhD Student
vasil.abuladze20@gruni.edu.ge

Abstract. The current Georgian Code of Administrative Offenses, was adopted almost four decades ago in 1984, during the Soviet period. The aforementioned Code, can be considered as a law that restricts human freedom. With regard to the need of immediate changes in Code the agreement has been reached among various actors, including the state representatives', as well as non-governmental organizations and International organization. However, there is no consensus about what needs to be changed. Since 1992, a number of changes has been made in the Code, especially, with regard to articles given in private section however, none of these amendments aimed at establishing new system for Georgian Code of Administrative Offenses. Thus, the current version of the Code is based on the ideology of Soviet law and therefore fails to satisfy the requirements of a modern legal and democratic state. The gradual legal reforms in the state, namely the adoption of the Constitution, The Code of Administrative law (general and procedural), the ratification of the European Convention on Human Rights and more significantly, the need for harmonization of the law that derives from Georgian and European Union Association Agreement, makes it more visible that the Georgian Code of Administrative Offenses requires urgent amendments. This law is often criticized by International Organizations, which is a proof that reforms are needed.

Key words: Rehabilitation, Administrative offences, Satisfactio, Human Rights, Moral damages

ქესტების ენა და მისი გამოყენების ტენდენციები პოლიტიკაში

გიორგი აფციაური

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
giorgi.aptsiauri15@gruni.edu.ge

რეზიუმე: სტატიაში განხილულია არავერბალური კომუნიკაციის ფორმები პოლიტიკაში. ცხადია რომ მსოფლიოს ხალხებს შორის ყოველთვის არსებობდა ერთმანეთთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმები, ამ შემთხვევაში სიტყვა სხვადასხვა შესატყვისია, როგორც კომუნიკაციის მრავალფეროვნებასთან, ასევე საზოგადოებების, კულტურების და მათში არსებული საზრისების განსხვავებულობასთან. აქედან გამომდინარე სამყაროს ნებისმიერ წერტილში მოღვაწე პოლიტიკოსისთვის მნიშვნელოვანია გამოიყენოს ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია, როგორც მოსახლეობასთან, ასევე სხვა პოლიტიკოსებთან. ის ფაქტი, რომ ვერბალური კომუნიკაცია მთავარი ფაქტორია პოლიტიკოსის მიერ საზოგადოებაზე ზეგავლენისა, ამას არავინ უარყოფს, თუმცა ტექნოლოგიების განვითარების შედეგად თანამედროვე საზოგადოებაში ვიზუალური აღქმა უფრო გაიზარდა, რაც იმას ნიშნავს, რომ ვერბალური კომუნიკაცია ისეთი წარმატებული ვერ იქნება თუ მას თან არ ახლავს არავერბალური. შეიძლება ითქვას, რომ ამ დროისთვის პოლიტიკაში წარმატების საწინდარია პოლიტიკოსის მიერ კარგად დახვეწილი ქესტიკულაცია ვერბალურად კოდირებული თემის გარშემო. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე კვლევა ქესტების ენის შესახებ მისი თეორიული გაანალიზება და შესწავლა მნიშვნელოვანია.

საძიებო სიტყვები: სხეულის ენა, არავერბალური კომუნიკაცია, პოლიტიკოსი, შპილი

შესავალი

სხეულის ენაზე და მის ფორმებზე უამრავი კვლევა არსებობს და განსაკუთრებით მეცნიერები ამ საკითხით XX საუკუნიდან დაინტერესდნენ, თუმცა უდავოა ის ფაქტი, რომ ქესტების ენა და მისი ფენომენი ადრეულ საუკუნეებშიც გახლდათ განსჯის საგანი. ამ დროისთვის მნიშვნელოვანია იმის განსაზღვრა, თუ როგორ აღიქმება სხვადასხვა კულტურებისა და საზოგადოებების მხრიდან არავერბალური კომუნიკაცია და როგორ იყენებენ პოლიტიკოსები საზოგადოებაზე ზეგავლენის მოსახდენად, როგორც მსოფლიოში, ასევე საქართველოში. სწორედ ამიტომ წინამდებარე სტატიაში შევეცდებით ქესტების ენის არსის, საჭიროების და პოლიტიკაში მისი გამოყენების ტენდენციების წარმოჩენას.

მასალები და მეთოდები

გაანალიზდა პოლიტიკოსების არავერბალური კომუნიკაციის დროს გადაღებული ფოტოგრაფიული მასალა, ჩვენ მიერ გამოყენებულ იქნა იკონოგრაფიული ანალიზის მეთოდი, ასევე გამოვიყენეთ, სხეულის ენის შესახებ არსებული სამეცნიერო ნაშრომები და გამოცემები.

მეოცე საუკუნის დასასრულს არავერბალიზმის სფეროში გამოჩნდა მეცნიერული სოციოლოგის ახალი ტიპი. როგორც ორნითოლოგი ტკბება ჩიტების მოქმედებაზე დაკვირვებით, ასევე ტკბება არავერბალიკი არავერბალური ნიშნების და სიგნალების დაკვირვებით ადამიანთა ურთიერთობის დროს. ის აკვირდება მათ ოფიციალურ მიღებებზე, პლაჟზე, ტელევიზორში, სამსახურში - ყველგან სადაც ადამიანები ურთიერთობენ ერთმანეთში. ის სწავლობს ადამიანების მოქცევას და მისი წრაფის მეტი გაიგოს თავისი მეგობრების ქცევებზე იმისთვის, რომ ამავე დროს, ბევრი გაიგოს თავის თავზე და იმაზე, თუ როგორ გაიუმჯობესოს თავისი ურთიერთობები სხვა ადამიანებთან. თითქმის დაუჯერებელია, რომ მილიონ წელზე მეტი ხნის ევოლუციის პერიოდში, ადამიანის კომუნიკაციის არავერბალური ასპექტების შესწავლა მხოლოდ სამოციანი წლების დასაწყისში დაიწყო, ხოლო ამ ყველაფრის შესახებ საზოგადოებისთვის უფრო მოგვიანებით გახდა ცნობილი. ჩარლი ჩაპლინი და მუნჯი კინოს სხვა მსახიობები იყვნენ არავერბალური კომუნიკაციის ფუძემდებლები, მათთვის ეს ეკრანზე ურთიერთობის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა. როდესაც პოპულარული გახდა ხმოვანი ფილმები და უკვე ნაკლები ყურადღება ექცეოდა მსახიობის ოსტატობის არავერბალურ ასპექტებს, მუნჯი კინოს ბევრი მსახიობი წავიდა სცენიდან, ხოლო ეკრანზე ადგილი მკვეთრად გამოკვეთილი ვერბალური შესაძლებლობების მქონე მსახიობებმა დაიმკვიდრეს (პიზი, 2004: 10-11).

შეიძლება ითქვას, რომ განსხვავებით შემოქმედებითი სცენისგან სხვა მოთხოვნილებებია პოლიტიკურ სცენაზე, სადაც დღესდღეობით ვერბალური კომუნიკაცია არავერბალურის გარეშე ნაკლებად წარმატების მომტანია პოლიტიკოსისთვის, რადგან თანამედროვე საზოგადოებაში ვიზუალური აღქმა გაზრდილია. სწორედ, რომ ვიზუალური აღქმის შედეგად ხდება პოლიტიკოსის იკონოგრაფიული ხატის შექმნა. ჟესტების ენაზე ყველაზე მეტად გავლენიან სამუშაოდ შეიძლება ჩაითვალოს 1972 წელს გამოქვეყნებული ჩარლზ დარვინის ნაშრომი „ემოციების გამოხატვა ადამიანებსა და ცხოველებში“. დარვინმა ერთგვარი სტიმული მისცა გამოკვლევებს სხეულის ენის შესახებ. იმ დროიდან დღემდე მეცნიერების მიერ 1000-ზე მეტი არავერბალური ნიშანი და სიგნალია აღმოჩენილი და აღრიცხული (პიზი, 2004: 10-11).

მიუხედავად იმისა, რომ XX საუკუნიდან იწყება სიღრმისეული კვლევები ზემო აღნიშნულ საკითხებზე, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ადრეული საუკუნეების გენიოსები ხვდებოდნენ ჟესტების ენის მნიშვნელობას, მაგალითად: „მტკიცეთ შეგვიძლია ვთქვათ, რომ ხელებს ლაპარაკი შეუძლიათ“ წერდა კვინტილიანე I საუკუნეში (სუხიშვილი, 2010: 64). ასევე თამამად შეგვიძლია იმის თქმა, როდესაც მის შემოქმედებას გავეცნობით, რომ ჰომეროსი ცდილობდა კიდურებით და ჟესტებით წარმოეჩინა თავისი შემოქმედების პერსონაჟების ხასიათი ძვ. წ. VIII საუკუნეში. არსებობს კომუნიკაციის 3 სახე ვერბალური, არავერბალური და პარავერბალური. პროცენტულად ეფექტური კომუნიკაცია შემდეგნაირად ნაწილდება: 7% - რა სიტყვებს ვიყენებთ, 30% როგორ ვიყენებთ და 63% მოდის არავერბალურ ნაწილზე, რადგან 70%-ს ადამიანი თვალით აღიქვამს. ეს მონაცემები მიუთითებს არავერბალური ურთიერთობის, ჟესტის, მიმიკის დიდ მნიშვნელობაზე. მისი თავისებურება ისაა, რომ იგი

ეყრდნობა არაცნობიერ იმპულსებს და მეტად სანდოა, ვიდრე ურთიერთობის ვერბალური არხები (15). ფსიქოლოგების მიერ დადგენილია, რომ ადამიანთა ურთიერთქმედების პროცესში კომუნიკაციის 60%-დან 80%-მდე არავერბალური საშუალებების გამოხატვის ხარჯზე ხორციელდება და მხოლოდ 20%-40% ინფორმაციისა გადმოიცემა ვერბალური საშუალებების დახმარებით.

სხეულის მოძრაობის ენის განსაკუთრებულობას წარმოადგენს ის, რომ მისი გამოვლენა ჩვენი ქვეცნობიერი იმპულსებით არის განპირობებული და ამ იმპულსების გაყალბება შეუძლებელია, ამიტომ შეგვიძლია ამ ენას უფრო მეტად ვენდოთ, ვიდრე ურთიერთობის ვერბალურ არხებს (7). თუმცა გასათვალისწინებელია, რომ არავერბალური კომუნიკაციის მიმართ ნდობა არ ნიშნავს, რომ შეცდომების დაშვების უფლება გვაქვს, რადგან შეცდომის დაშვების შემთხვევაში ნაკლები ეფექტი ექნება თქვენს შესტების ენით კოდირებულ ინფორმაციას, ამიტომ სხეულის ენის სირთულეს ისიც წარმოადგენს, რომ სხვადასხვა ქვეყანაში და კულტურაში შესტები სხვადასხვანაირად აღიქმება. ამიტომ როდესაც ბიზნესით, ან სხვა ისეთი საქმიანობით ხართ დაკავებული, რაც სხვა ქვეყნის წარმომადგენლებთან ურთიერთობას მოითხოვს უნდა იცოდეთ რამდენიმე ძირითადი ჩვეულება. მაგალითად: იაპონია - თვალთ კონტაქტი იაპონიაში უხეშობად ითვლება. ისინი უმეტესად დაბლა - ფეხსაცმელზე ან ჰაერში იყურებიან. ა.შ.შ.-ში და სხვა ქვეყნებში ნული (მიღებული საჩვენებელი და ცერა თითით) მიუთითებს იმაზე, რომ ყველაფერი კარგადაა, იაპონიაში ფულს ნიშნავს, ხოლო პორტუგალიში უკადრისი შესტია. თუ გერმანელი წარბებს ზევით წევს იდეით არის აღფრთოვანებული, იგივე შესტი ინგლისში სკეპტიციზმს ნიშნავს. აფრიკაში სიცილი სულაც არ ნიშნავს მხიარულებას. იგი ზოგჯერ განცვიფრებას გამოხატავს, ზოგჯერ დაბნეულობასაც. ევროპაში ზეაწეული ცერა ტაქსის მოხმობაა, ძველ რომში გლადიატორის შეწყალებას ნიშნავდა, ხოლო დღეს მოწონების გამომხატველი შესტია. ჩერჩილის საყვარელი შესტი საჩვენებელი და შუა თითის ზეადმართვა ბევრ ქვეყანაში „გამარჯვებას“ ნიშნავს, ინგლისში გაგებრაზდებიან, რადგან ასწლიანი ომის დროს ამ ორ ძირითად თითს აჭრიდნენ და ამ შესტის ჩვენებით დასცინოდნენ (15). თუმცა დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრის ამ შესტზე სხვა ვერსიაც არსებობს მაგ: ლათინური ასო V-ს ჩვენებას თავის დროზე უინსტონ ჩერჩილმა გაუწია პოპულარიზაცია. ინგლისის პრემიერ-მინისტრი ასე „ჩვენ გავიმარჯვებთ“-ზე მინიშნებდა საზოგადოებას. ამ შესტმა დღესაც შეინარჩუნა ასეთი შინაარსი, თუმცა, „სოლიდარობის“ გაგებაც შეიძინა. ერთი ვერსიით მისი წარმოშობა სიტყვა Victoria-ს (გამარჯვებას) უკავშირდება, მეორე ვერსიით კი 1415 წელს გამართულ აზენკურის ბრძოლას. ბრძოლის წინ ფრანგები დაემუქრნენ ინგლისელ მშვილდოსნებს, რომ საჩვენებელ და შუა თითს მოაჭრიდნენ, რათა მშვილდის საბელი ვეღარ მოეზიდათ, მაგრამ დანაპირები ვერ აუსრულეს. ფრანგები ბრძოლაში დამარცხდნენ, ინგლისელებმა კი მათ ნიშნის მოგებით ცნობილი შესტი უჩვენეს (10).

სხვადასხვა ქვეყანაში ხელის ჩამორთმევაც თავისებურია: აზიაში პარტნიორების შეხვედრისას არ არის მიღებული ძლიერ და დიდხანს ხელის მოჭერა, დასავლეთ ევროპელები და ამერიკელები ვერ იტანენ უსიცოცხლო, მოდუნებულ, უხალისო ხელის ჩამორთმევას.

კემბრიჯში ხელის ჩამორთმევა, სტუდენტებს შორის, წელიწადში მხოლოდ ორჯერაა მიღებული, სასწავლო წლის დაწყებისა და დამთავრების დროს. განასხვავებენ ხელის ჩამორთმევის 3 ძირითად ტიპს: 1. უპირატესობის დემონსტრირება, ძალაუფლების გამომხატველი (ხელისგული მიმართულია ქვევით); 2. დამთმობი, მორჩილი (ხელისგული ზევით); 3. თანასწორუფლებიანი (ხელისგული ვერტიკალურადაა) (15).

ზოგადი ინფორმაციით შეიძლება ითქვას, რომ ქალების სხეულის ენაც გაცილებით უფრო მდიდარია, ვიდრე მამაკაცების. საერთოდ არსებობს ჟესტის სამი სახეობა. პირველი - ჟესტი, რომელიც სიტყვის ანალოგია, მაგალითად მაღლა აწეული ცერა თითი, რომ კარგს ნიშნავს. მეორე ფორმაა, საუბრისას ხელების მოძრაობა, რასაც ილუსტრაციული ჟესტი ეწოდება. ეს უკვე კულტურების მიხედვით არის განსაზღვრული, მაგალითად, მექსიკელები და იტალიელები გაცილებით მეტ ჟესტს იყენებენ, ვიდრე - ფინელები. ქართველი შეიძლება, უფრო ექსპრესიული იყოს, ვიდრე, თუნდაც ნორვეგიელი. სამხრეთელ ხალხს უფრო ახასიათებს ჟესტიკულაცია, ამ მხრივ, რეკორდსმენები არიან მექსიკელები. მექსიკელის 180 ჟესტზე, ფინელის ერთი ჟესტი მოდის. ჟესტის მესამე ფორმაა, ნერვიულობის გამომხატველი, როცა ადამიანი აწვალებს თმას ან ფრჩხილებს „მიირთმევს“. ეს ნიშნავს, რომ ადამიანი გაღიზიანებულია ან რაღაც აწუხებს (11).

ჟესტების ენის შეცდომით გამოყენება ზოგჯერ ერთგვარ კურიოზულ და უხერხულ სიტუაციაში აგდებს ადამიანებს. მაგალითად: ამერიკაში ახლად ჩასულ აზიელ ინჟინერს მისმა მდივანმა ქალმა უსურვა წარმატებები სპეციფიკური ამერიკული ჟესტით - გადაჯვარედინებული თითებით, რამაც იგი უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა, რადგანაც ინჟინრის სამშობლოში ეს ჟესტი სექსუალურ გამოწვევას ნიშნავს (ბარამიძე და ვასაძე, 2011: 6). უნდა აღინიშნოს, რომ განსაკუთრებით ქართული კულტურისთვის და საზრისებისთვის გასათვალისწინებელი და დასამახსოვრებელია ჟესტის შემდეგი მაგალითი: კენიაში დღემდე შემორჩენილია ჩვეულება, რომლის მიხედვითაც სიძე-სიდედრს საუბრის ნება მხოლოდ ერთმანეთთან ზურგით დგომისას აქვს (ბარამიძე და ვასაძე, 2011: 8).

მიუხედავად იმისა, რომ არსებობს განსხვავებული კულტურები და ამ კულტურებში განსხვავებული ჟესტები, მაინც გასათვალისწინებელია ჟესტები, რომლებიც ზოგადია და პოლიტიკაში ხშირად გამოიყენება, ამასთან ერთად საჭიროც არის, რადგან პოლიტიკოსს არავერბალური კომუნიკაციის დროს შეცდომების დაშვების უფლება ნაკლებად აქვს. **პიჯაკის ღილების გახსნა** - მიუთითებს რომ გახსნილია და გაუხარდა შენი ნახვა. **ჯიბეში ერთი ხელის ჩადება** - ნახევრად დახურულობისკენ მიგვითითებს. **თუ ფეხები განცალკევებულია საუბრისას** - თანხმობის ნიშანია. **თუ საუბრის 60% თვალისმიერი კონტაქტით მიმდინარეობს** - ინტერესის გამომხატველია. **თუ სკამს მიეყუდა და თავისუფლად დაჯდა** - თემის მიმართ ინფორმირებულია, მზად არის და ყველაფერი კარგად იცის. **ხელოვნური სიცილი** - იმის ნიშანია, რომ მას სურს რაღაც მოგატყუოთ. **ნამდვილი ღიმილი** თვალის ქუთუთოებამდე აღწევს და სახის მეტყველებას ცვლის, ხოლო მარტო ტუჩებით და პირით ღიმილი ხელოვნურია. **თუ თქვენი ხელი თავის ხელებს შორის მოაქცია** - არ გეგონოთ რომ სიტბოს გამოხატავს, პირიქით გეუბნებათ, აღარაფერი

გამოგივით, შენზე დიდი ვარ რანგით და რასაც გეტყვი უნდა დაიჯერო. ხელის ნაწილობრივი ჩამორთმევა (თითებით) კი იმას მიანიშნებს, რომ მორიდებულია და თან ეშინია (15). **ხელის სახესთან შეხება** - ამ დროს ტვინს ქვეშეცნეული უგზავნის სიგნალს არ თქვას რამე, რადგან ის არ არის სიმართლე. იმავეს ნიშნავს მუჭში სასხვათაშორისო ჩახველება, ხმის ჩაწმენდა და ა.შ. **ცხვირთან შეხება** - ასე იქცევა ადამიანი, როცა ტყუის. ქვეშეცნეული აქაც კარნახობს ტვინს პირზე ხელი აიფაროს, მაგრამ ბოლო მომენტში პირისკენ წადებული ხელი ცხვირს ეხება. **ქუთუთოსთან შეხება** - ეს ჟესტი ნიშნავს, რომ ადამიანი ან თვითონ ამბობს დიდ ტყუილს, ან ისმენს და ეთანხმება სხვის ტყუილს. **ყურის სრესა** - როცა ბავშვს არ უნდა რაიმეს გაგონება ყურებზე ხელს იფარებს. ეს ჟესტი პატარას ქცევის მოდიფიცირებული, დახვეწილი ვარიანტია, თუმცა შინაარსი იგივეა. ადამიანს არ სურს მიიღოს გაგონილი. აგრეთვე ეს ნიშნავს: „არ ვარ დარწმუნებული, რომ გეთანხმებით“. **ხელის მიტანა - კბილებთან** და მსგავსი ჟესტები - ყოყმანობს, დახმარება, გამხნეება სჭირდება. იმავეს ნიშნავს ფანქრის, სიგარეტის, პირში გაუაზრებლად ჩადება. **საყელს გაწევა** - ასე იქცევიან მატყუარები, ან ისინი, ვინც ტყუილში ამხილეს. მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოექცა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინისა და აშშ-ის პრეზიდენტის დონალდ ტრამპის შეხვედრა. შეხვედრის პოლიტიკურ ნაწილთან ერთად, ექსპერტები და სოციალური ქსელების მომხმარებლები ისტორიული შეხვედრის სხვადასხვა ვერსიებზე მსჯელობენ. გამონაკლისი არც ფსიქოლოგები აღმოჩნდნენ, რომლებიც შეეცადნენ ქვეყნის ლიდერების არავერბალური კომუნიკაციის ნიშნების გაანალიზებას. სპეციალისტ დარენ სტენტონის თქმით, ტრამპისა და პუტინის ჟესტიკულაცია ერთმანეთის მიმართ პატივისცემას გამოხატავდა, თუმცა ორივე ლიდერი, თავის უპირატესობას უსვამდა ხაზს. იხილეთ სურათი N1.

სურათი N1



„უპირატესობის გამოხატველი ჟესტები იყო შემდეგი: ტრამპს ხელები მომრგვალებულად ეკავა, ხოლო პუტინი ფართოდ გაშლილი ფეხებით იჯდა, რაც კლასიკური დომინანტის პოზად მიიჩნევა“, - განმარტავს სტენტონი. ტელეკომპანია BBC-ის ფსიქოლოგის მარიო სივიელოს აზრით, ტრამპი პუტინთან უფრო განსხვავებულად იქცეოდა, ვიდრე სხვა პოლიტიკოსებთან შეხვედრის დროს. მისი თქმით, ტრამპი მისთვის ჩვეული ხელის ჩამორთმევის სტილით არ მიესალმა პუტინს, არამედ, იდაყვის ქვემოთ მეორე ხელის ამოდებით, მეგობრული დამოკიდებულება აჩვენა. როგორც წესი, ტრამპი თავის დომინანტ პოზიციას, ხელის აგრესიული მოქაჩვით გამოხატავს. სივიელოს თქმით,

ტრამპი პუტინისგან „ჩაკეტილია, რადგან მას არ სურს, რომ მეორე დომინანტი პიროვნება, მის ენერგეტიკულ ველს შეეჭიდოს“. ფსიქოლოგი, ტრამპის უჩვეულო „ჩაკეტილობას“ მედიისა და მოსახლეობის ზეწოლით ხსნის. „მან კარგად იცოდა, რომ ამერიკელები და მსოფლიოს ლიბერალური მოსახლეობა, თავიდან ბოლომდე გააკონტროლებდა მის ყოველ ქცევასა და სიტყვას“, - განმარტა ექსპერტმა. (8) შეხვედრის ფოტოდან და ჟესტიკულაციიდან კარგად ჩანს ორივე ლიდერის მოფრთხილება თავიანთ შექმნილ უძლეველი პოლიტიკოსის იკონოგრაფიასთან. გასათვალისწინებელია, რომ ადამიანებს შეუძლიათ ვერბალურად ტყუილის თქმა, თუმცა არავერბალური ჟესტი ვერ იქნება ტყუილით შეფუთული, ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ საკუთარი სხეულის ენის გაყალბება შეუძლებელია, რადგან „თქვენ გაგცემთ კონგრუენტულობის (თანხვედრის) არსებობა ჟესტებს, ორგანიზმის მიკროსიგნალებსა და წარმოთქმულ სიტყვებს შორის“ (პიზი, 2004: 22). ამის თვალსაჩინო მაგალითია ამერიკელი პოლიტიკოსი, რომელიც თავისმა შინაგანმა იმპულსებმა გასცა. 2012 წლის 19 იანვარს ტეხასის გუბერნატორმა, რიკ პერიმ გამოაცხადა, რომ ხსნის კანდიდატურას ნიუტ გინგრიჩის (Newt Gingrich) სასარგებლოდ. ვიდეოში ყურადღება გამახვილებულია „ტუჩის შიდა რულონზე“, რომელსაც გუბერნატორი ზუსტად მაშინ აკეთებს, როდესაც ამბობს „მე ვწყვეტ საარჩევნო კამპანიას“. იხილეთ სურათი N2.

სურათი N2



პერის სიტყვებსა და სხეულის ენას შორის არსებული დისონანსი იმაზე მეტყველებს, რომ გუბერნატორი უკმაყოფილოა იმით, რომ ეთიშება საარჩევნო მართონს და ცდილობს დაფაროს (დამალოს) უარყოფითი ემოცია. „ტუჩის შიდა რულონამდე“ რამდენიმე წამით ადრე და შემდეგ პერის მარცხენა წარბი და მარცხენა შუბლი ზემოთ იწევა, რაც მის სკეპტიკურ დამოკიდებულებაზე მიანიშნებს. ნიუტ გინგრიჩზე ნათქვამი პოზიტიური სიტყვების პარალელურად მარცხენა წარბის და შუბლის მაღლა აწევა არავერბალურ ენაზე იმას ნიშნავს, რომ გუბერნატორს ბოლომდე არ ჯერა იმისა, რასაც გინგრიჩზე ლაპარაკობს. გამოსვლის საწყის ეტაპზე რიკ პერის წარბები და შუბლი სიმეტრიულია, როგორც კი რიკ პერი მისთვის მნიშვნელოვან საკითხზე იწყებს საუბარს მარცხენა წარბი და შუბლი ზემოთ იწევენ, რაც სკეპტიციზმზე მიანიშნებს (9).

თანამედროვე პოლიტიკაში არსებობს ჟესტები, რომლებიც წინასწარ არის რეკომენდებული კონკრეტული პოლიტიკოსებისთვის და პოლიტიკოსებიც საკუთარი იმიჯმეიქერების რჩევით იყენებენ კიდეც, თუმცა ამ შემთხვევაში ჟესტი ახლოს უნდა იყოს პოლიტიკოსის

სტატუსთან და ხასიათთან. მაგალითად: ძალაუფლების გამომხატველი პოზიტიური ქესტია შპილი და მისი ნაირსახეობა - „კალათბურთის შპილი“. ეს ქესტი თავდაჯერებულობასა და ავტორიტეტს გამოხატავს. ადამიანებმა, რომლებიც ამ ქესტს იყენებენ, კარგად იციან საკუთარი თავის ფასი. „კალათბურთის შპილი“ - სხეულის ენის ექსპერტის, კრის ულრიხის (Chris Ulrich, Senior Instructor, Body Language Institute) მიხედვით ეს ქესტი ჩვეულებრივი „შპილის“ მოდიფიცირებული ვარიანტია, რომელიც უფრო მეტ თავდაჯერებულობასა და ძალაუფლებაზე მიანიშნებს. „კალათბურთის შპილის“ ყველაზე ძლიერი ვარიანტია იმ თვალსაზრისით, რომ მას ყველაზე მეტად შეუძლია უბიძგოს მსმენელს (აუდიტორიას), დაეთანხმოს ქესტის ავტორის მოსაზრებას და დაიჯეროს მისი. აღნიშნული ქესტი არავერბალურად გადმოსცემს ძალაუფლების, გავლენის, სანდოობის სიგნალებს და მსმენელში აღძრავს იმედს, რომ კომუნიკატორის რწმენა მტკიცე და ურყევაა. ამდენად აღნიშნული ქესტის გამოყენება მიზანშეწონილია საჯარო გამოსვლების, დებატებისა და მოლაპარაკებების დროს. 2012 წლის საპრეზიდენტო მარათონის დროს ამ ქესტს აქტიურად იყენებდა როგორც ბარაკ ობამა, ისე მით რომნი. იხილეთ სურათი N3.

სურათი N3



საინტერესოა, „შპილის“ კიდევ ერთი ნაირსახეობა, ე.წ. „პისტოლეტის შპილი“, რომელიც ნეგატიური ქესტების რიგს განეკუთვნება და, თავდაჯერებულობის გარდა, გადაჭარბებულ აგრესიულობაზე მიანიშნებს. „შპილი - პისტოლეტი“ - ჩვეულებრივი „შპილის“ ეს ნაირსახეობა პირდაპირი მნიშვნელობით ჰგავს ჩახმახზე შეყენებულ პისტოლეტს. ორივე საჩვენებელი თითი ისე გამოიყურება თითქოს გასროლისთვისაა გამზადებული. ქესტი ხაზგასმით აგრესიულია, სვამს ძახილის ნიშანს და აქცენტს აკეთებს იმაზე, რომ კომუნიკატორი ცდილობს, თავს მოახვიოს ან დამალვით მიანიშნოს რაღაცა მსმენელს. ამ ქესტის გამოყენება შეიძლება მხოლოდ მაშინ, როცა მიზანი ვინმეს იდეის ან მოსაზრების დისკრედიტაციაა. სხვა შემთხვევაში მისი გამოყენება არარეკომენდებულია. განსაკუთრებით საზიანოა მისი ხმარება ბიზნეს გარემოში. აგრეთვე, გუნდური გარემოს ჩამოყალიბ-

ან ამგვარ გარემოში ოპერირების დროს, რადგან ასეთი შესტი არავერბალურად შესაძლებელია აღქმულ იქნეს, როგორც „წადი შენი...“ (14). იხილეთ სურათი N4.

სურათი N4



განსხვავებული და თავისებური შესტია ჩვეულებრივი შპილი, რომლისგანაც წარმოიშვა ზემოაღნიშნული კალათბურთისა და პისტოლეტის შპილები, ჩვეულებრივ შპილს აქვს უფრო მეტი შესაძლებლობა, რადგან ის შეიძლება ნებისმიერ სიტუაციაში გამოიყენოს პოლიტიკოსმა. ხელების შესტი „შპილი“ ხელების ამ შესტს „შპილის“ სახელი დაერქვა იმის გამო, რომ წააგავს შენობის თავზე მაღალი, პირამიდის ან კონუსის ფორმის სვეტს (გერმანულად Spill) (14). ეს შესტი თავდაჯერებულობისა და ავტორიტეტის გამომხატველია. მას ხშირად იყენებენ მაღალი თანამდებობის პირები და უმაღლესი რანგის მენეჯერები. ახასიათებს საკუთარ თავში დარწმუნებულ ადამიანებს, რომლებმაც კარგად იციან საკუთარი ფასი. ხშირად ამ შესტს აღიქვამენ, როგორც ქედმაღლობისა და თვითკმაყოფილების ნიშანს. არის შემთხვევები, როდესაც ადამიანი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც უსმენს ავტორიტეტულ, გავლენიან პიროვნებას ან იმყოფება ე.წ. რეფერენტულ ჯგუფში, აკეთებს „შპილს“. ასეთ შემთხვევაში ადამიანი ცდილობს, ამ შესტით მიანიშნოს, რომ მისთვის ძალიან საინტერესო, მნიშვნელოვანი და აქტუალურია მიწოდებული ინფორმაცია და გაფაციცებით, ყურადღებით ისმენს, როგორც კარგი მოწაფე. იხილეთ სურათი N5.

სურათი N5



აღსანიშნავია, რომ „შპილი“ ავტონომიური სიგნალია (ჟესტი) და მისი არავერბალური მნიშვნელობის წვდომისთვის საჭირო არ არის, კლასტერში მონაწილეობდეს სხეულის ენის დამატებითი ელემენტები. სხვანაირად რომ ვთქვათ, ის არ უკავშირდება სხვა ჟესტებს და მათგან იზოლირებულად გამოისახება. „შპილი“ იშვიათ გამონაკლისს წარმოადგენს იმ თვალსაზრისით, რომ ჟესტების უმეტესობა, როგორც წესი, მჭიდროდაა დაკავშირებული სხვა ჟესტებთან. მიმართულების მიხედვით, „შპილი“ ორნაირი შეიძლება იყოს: მაღალი

„შპილი“ - ხელეხი „შპილით“ (წვერით) ზემოთ; დაბალი „შპილი“ - ხელეხი „შპილით“ (წვერით) ქვემოთ. ე.წ. ამოყირავებული შპილი, რომლის დროსაც ცერა თითები ზემოთ ექცევა (ანგელა მერკელის საფირმო „შპილი“). „შპილი“ შეიძლება გამოისახოს ძალიან დაბლა - მუხლების დონეზე, ძალიან მაღლა - სახის დონეზე ან საშუალო სიმაღლეზე - მკერდის ან მზის წნულის დონეზე (განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ადამიანი მაგიდასთან ზის) (14). იხილეთ სურათი N6.

სურათი N6



რაც შეეხება ქართულ პოლიტიკას არც ისე ათვისებულია ჟესტების ენა, მხოლოდ რამდენიმე პოლიტიკოსი იყენებდა ან იყენებს მაგალითად: „ფაქტნიუსი“ გარკვეული დროის განმავლობაში ქართულ პოლიტიკურ სპექტრს აკვირდებოდა და მათი ჟესტები - მიმიკის შესწავლას ცდილობდა: მიხეილ სააკაშვილის თითის ქნევა უნდა გავიგოთ როგორც მუქარა. იხილეთ სურათი N7. ამ დროს იგი თავის სტატუსს უსვამს ხაზს და გვაშინებს. ირაკლი ალასანიას ახასიათებს საუბრისას წარბების აწევა, რითაც ის თავის სტატუსს უსვამს ხაზს, აფიქსირებს თავის პოზიციას და, თითქოს გაიძულებს, რომ ეს აუცილებლად უნდა დაიჯერო (15). ივანიშვილი და სააკაშვილი: - დისტანციის გამო, თითქოს ამ ორ ადამიანს შორის დიდი წყალია და ორივეს ეშინია ფეხის ჩადგმის, პროტოკოლის გათვალისწინების მიუხედავად. მარტო ადამიანების შეხვედრით შეგიძლიათ გაიგოთ, თუ რა დამოკიდებულება არსებობს მათ შორის (14). იხილეთ სურათი N10. მიხეილ სააკაშვილი ხშირად ექს-პრეზიდენტი ზვიდ გამსახურდიას მსგავს ჟესტიკულაციას და სხეულის ენას იყენებდა. სააკაშვილი ფიქრობდა, რომ ეს მსგავსება გამსახურდიას მხარდამჭერების ხმებს მოაპოვებინებდა. სხვათაშორის, ეს, გარკვეულწილად, მოახერხა კიდევ. მიუხედავად იმისა, რომ სააკაშვილსა და ზვიადს შორის დიდი განსხვავებაა, მნიშვნელოვან ნაწილზე გავლენა მან მაინც ეფექტურად მოახდინა. ცნობისთვის, საუბრისას საჩვენებელი თითით მითითება აგრესიულობას გამოხატავს. ეს ჟესტი სპიკერის მხრიდან მისი სიტყვების გაგონებასა და დამორჩილებას გულისხმობს. ამ

ჟესტს ეფექტურად იყენებდა ზვიად გამსახურდიაც და მიხეილ სააკაშვილიც (13). იხილეთ სურათები N7 და N8.

სურათი N7



სურათი N8



სურათი N9



სურათი N10



პოლიტიკის ექსპერტის გია ხუხაშვილის თქმით: „პროფესიონალური მეთოდების გამოყენება პოლიტიკოსის იმიჯის ფორმირებაში საქართველოში, პრაქტიკულად, არ ხდება, თუ ხდება ძალიან დაბალ დონეზე, არაპროფესიონალურად. შესაძლოა, ამას იყენებენ პოლიტიკოსები, რომლებსაც ურთიერთობა ჰქონდა ამერიკელ ან დასავლელ კონსულტანტებთან. ზოგადად, ვფიქრობ, რომ ქართულ პოლიტიკაში ჯერ-ჯერობით არ დამდგარა ის დრო, რომ პრაქტიკაში ჟესტების და სხვა მსგავსი პროფესიული მეთოდების გამოყენება ხდებოდეს. ჩვენი პოლიტიკოსების განვითარების დონე სტანდარტებისგან ძალიან შორს არის, არა მარტო ამ მხრივ, ასევე პოლიტიკური განათლების და სხვა მიმართულებებითაც“ (13).

ზემო აღნიშნულიდან გამომდინარე ქართველი პოლიტიკოსებისთვის და მათი იმიჯმეიქერებისთვის გასათვალისწინებელია ჟესტების ენის შესწავლის აუცილებლობა და მისი გამოყენების დიდი მნიშვნელობა პრაქტიკაში, რადგან როგორც ჩანს თანამედროვე მსოფლიოს პოლიტიკური სპექტრისგან ხშირია ჟესტების ენის გამოყენების ტენდენციები. იმისათვის რომ დავადასტუროთ ჟესტების ენის მნიშვნელობა და გავლენები, როგორც საზოგადოებაზე, ასევე დროზეც, შევეცდები უახლესი ისტორიიდან ორი მაგალითი მოგიყვანოთ, ერთ შემთხვევაში დროისა და სხეულის ენის ურთიერთ-მიმართება ჩანს, ხოლო მეორე შემთხვევაში მისი ძალიან დიდი გავლენა. პირველი შემთხვევისთვის ქვემოთ მოცემულია ორი ფოტოსურათი, რომელთაც აქვთ ბევრი მსგავსება და რამდენიმე განსხვავება. იხილეთ სურათები N11 და N12. ამ სურათებს თუ კარგად დააკვირდებით მსგავსია იმით, რომ ორივეზე ჩანს სამი ლიდერი შეერთებული შტატების, ისრაელის და პალესტინის, თუმცა განსხვავდება იმით, რომ ლიდერებს ერთ შემთხვევაში სხვა სახელები და გვარები წარმოადგენენ და მეორე შემთხვევაში სხვა. მსგავსია პოლიტიკოსების განლაგება, შუაში ლიდერი და შეხვედრის ინიციატორი (მომრიგებელი) სახელმწიფოს ა.შ.შ.-ს პრეზიდენტი დგას, ხოლო მარჯვნივ და მარცხნივ კონფლიქტის მხარეები. ასევე მსგავსება იგრძნობა აგრესიულ ხელის ჩამორთმევაში, თუმცა ამ ფოტოების მთავარი მსგავსება ა.შ.შ.-ს პრეზიდენტების ჟესტიკულაციაშია, ამ შემთხვევაში კლინტონი ჩვენგან მარჯვნივ იყურება, ხოლო ბუში ჩვენგან მარცხნივ, თუმცა ორივე პალესტინის ლიდერს აკვირდება და მის ემოციას. ამიტომ შეიძლება ითქვას რომ პოლიტიკური განწყობით

სურათი N11



სურათი N12



და შინაგანი იმპულსებით გამოიხატება შესტები, რომლებიც სხვადასხვა დროში ერთი და იგივეა.

რაც შეეხება შესტების ენის დიდი გავლენის შესახებ მაგალითს განსხვავდება წინა მაგალითისგან, თუმცა ერთ-ერთი საუკეთესო ნიმუშია, როგორც დიპლომატიურის, ასევე შესტების ენის. იხილეთ სურათი N13.

სურათი N13



(ჯორჯ ბუშის პრესკონფერენცია, ჩვენგან მარცხნივ კონდოლიზა რაისი, ხოლო მარჯვნივ რობერტ გეითსი) ფოტოზე ასახულია ა.შ.შ-ს პრეზიდენტის პრესკონფერენცია 2008 წლის აგვისტოში, როდესაც რუსული ჯარები საქართველოს კონტროლირებად ტერიტორიაზე იდგნენ, პრესკონფერენციის ტექსტი არც ძალიან ემოციური იყო და არც აგრესიული, შეიძლება ითქვას, რომ ჯორჯ ბუშის სტილში აკადემიური და ფრთხილი სიტყვებით გაჯერებული. ერთ-ერთი წინადადება გახლდათ, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოში წყალს აგზავნიდა. ამ პრესკონფერენციის შემდეგ რუსული ჯარები საქართველოს კონტროლირებადი ტერიტორიიდან გავიდნენ, ხოლო დიპლომატიურ და შესტების ენაზე ჩვენგან მარცხნივ საგარეო, ხოლო მარჯვნივ თავდაცვის მინისტრის დგომა ნიშნავს პოლიტიკურ მზადყოფნას ომისთვის, ასევე სრულ მობილიზებას და შეიძლება ითქვას, რომ ეს არავერბალური შესტი ვერბალურად გამოითქმის, როგორც „დაგარტყამ“.

შედეგები

- ჟესტების ენა (body language) მსოფლიო პოლიტიკაში მნიშვნელოვანია.
- ვერბალური კომუნიკაცია პოლიტიკაში არავერბალური კომუნიკაციის გარეშე ნაკლებად შედეგიანია.
- მიუხედავად საზოგადოებების კულტურებს შორის განსხვავებებისა პოლიტიკოსებისთვის არსებობს საყოველთაოდ გასაგები ჟესტებიც.
- ქართულ პოლიტიკაში ფაქტიურად არ არის ათვისებული ჟესტების ენა და პოლიტიკოსი ვინც იყენებდა საზოგადოებაზე ზეგავლენის მოსახდენად ან იყენებს იშვიათია.

დასკვნა

წინამდებარე სტატია მნიშვნელოვანია სხვადასხვა სფეროში მოღვაწე ადამიანებისთვის, როგორც საქმიანი შეხვედრების წარმატებულად დაგეგმისთვის, ასევე თანამშრომლებთან ურთიერთობისას ან თუნდაც მეგობრებთან კომუნიკაციისას, ასევე ჟესტების ენის გამოყენება შეიძლება უცხოელ პარტნიორებზე კარგი შთაბეჭდილების მოსახდენად. რაც შეეხება მოქმედ პოლიტიკოსებს ან სტუდენტებს, რომლებიც საზოგადოებასთან ურთიერთობენ, პოლიტიკურ მეცნიერებებს ან პოლიტიკურ პიარს შეისწავლიან, მათთვის არავერბალური კომუნიკაციის შესახებ თეორიების ცოდნა და მისი პრაქტიკაში გამოყენების ტენდენციების გამოვლენა უმნიშვნელოვანესია. ჩვენ ვცხოვრობთ ეპოქაში, სადაც საზოგადოების მხრიდან ვიზუალური აღქმა საგრძნობლად გაზრდილია, ამიტომ ნებისმიერ სფეროში, განსაკუთრებით კი პოლიტიკაში, სხეულის ენის ცოდნა წარმატების საწინდარია. პოლიტიკოსები ან მათი იმიჯმეიქერები ყოველთვის ცდილობენ შექმნან პოლიტიკურ-იკონოგრაფიული ხატი საზოგადოების კულტურის გათვალისწინებით, ხოლო პოლიტიკური იკონოგრაფიის შესაქმნელად აუცილებელია არავერბალური კომუნიკაციის ცოდნა და გამოყენება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ბარამიძე ნ., ვასაძე ხ. 2011. არავერბალური კომუნიკაციის საშუალებებისა და სიცრუის დამადასტრებელი ჟესტების შესახებ. ფსიქოლოგიური გამოკვლევები. V 5-13.
2. პიზი ა. 2004. სხეულის მოძრაობის ენა. თბილისი. ი.ს. „ლ.ფ“.
3. სუხიშვილი თ. 2010. ხელის ენა ჰომეროსის ეპოსში. კადმოსი. 2(2010). 64-75.
4. ტაბატაძე მ. 2011. საარჩევნო სტრატეგია - სოციუმის პოლიტიკური შეთავაზება. ხელისუფლება და საზოგადოება. 1 (17) 23-26.
5. შუბითიძე ვ. 2008-2009. საზოგადოებასთან ურთიერთობა (პიარი). თ.ს.უ - თ.ტ.უ.
6. შუბითიძე ვ., ბოჭორიძე მ. 2006-2007. საზოგადოებასთან ურთიერთობა (პიარი). თ.ს.უ - თ.ტ.უ.
7. ჟესტების ანუ სხეულის ენა (body language). http://sopiasopiaa.blogspot.com/p/blog-page_23.html (28.01.2020).

8. ფსიქოლოგები ტრამპისა და პუტინის შესტების ენას აანალიზებენ.
<http://imedinews.ge/ge/teqnologiebi/19011/psiqologebi-trampisa-da-putinis-jestebis-enas-aanalizeben> (16.01.2018).
9. არავერბალური კომუნიკაცია, საზოგადოებასთან ურთიერთობა და ფსიქოლოგიური ზემოქმედების პროცესი. https://paatachakhnashvili.blogspot.com/p/blog-page_15.html (16.01.2018).
10. შალიკაშვილი დ. (სპეციალურად საიტისთვის). ხელის ბარაქიან „ქართულ“ გაქნევას მაინც ვერაფერი შეედრება, ანუ რას „გვიყვებიან“ ადამიანები შესტების „ენაზე“. <https://www.kvirispalitra.ge/mozaika/11836-khelis-baraqian-qqarthulq-gaqnevas-mainc-veraferi-sheedreba-anu-zhestebis-qenaq.html>(16.01.2018).
11. რატომ არის დაკავშირებული ჰალსტუხის ღეჭვა ფროიდთან.
http://for.ge/view.php?for_id=30168&cat=14 (16.01.2018).
12. დადემელი თ. LIE TO ME - რაში გვეხმარება სხეულის ენის ცოდნა.
<http://www.ambebi.ge/sazogadoeba/88407-lie-to-me-rashi-gvekhmareba-skheulis-enis-codna.html?add=1> (16.01.2018).
13. რეხვიაშვილი ე. იყენებენ თუ არა ქართველი პოლიტიკოსები შესტების ენას - არის თუ არა ივანიშვილი გულწრფელი?. http://sazogadoeba.ge/?post_id=1679 (16.01.2018).
14. ძალაუფლების შესტები. <http://funtime.ge/post/93674-dzalauflebis-zhestebi> (16.01.2018).
15. სხეულის ენა. <https://badri286.wordpress.com/2012/05/03/%E1%83%A1%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%94%E1%83%9C%E1%83%90/>(28.01.2020).

Body language and the tendencies of its use in politics

Giorgi Aptsiauri

Grigol Robakidze University, PhD Student
giorgi.apsiauri15@gruni.edu.ge

Abstract. It is clear that there have always been different communication forms between the people all around the world, in this case the word different is appropriate as with communication variety, also with difference between the public, culture and existed ideas in them. Thus, for politician, anywhere in the world, it is important to use verbal and non-verbal communication forms, as with the population, also with other politicians. The fact, that verbal communication is a general factor for the politician when impacting on the public, nobody denies this, and however, as a result of developing of technologies, visual understanding has more increased, that means that verbal communication can be less successful if it is not accompanied with non-verbal. We can say that at present precondition of success in politics is a well refined gesticulation for the politician, well coded around the topic. According to the above mentioned I think that the research about sign language, its theoretical analysis and research is quite important.

Keywords: body language, non-verbal communication, politician, spire

2021 - იუნუს ემრესა და თურქული ენის წელი

მზია გოგიაშვილი

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტი, დოქტორანტი
mzia.gogiasvili20@gruni.edu.ge

რეზიუმე. სტატია ეძღვნება XIII-XIV საუკუნეების თურქული სუფიური პოეზიის დიდ წარმომადგენელს, იუნუს ემრეს. მისმა შემოქმედებამ უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა თურქული ხალხური ლიტერატურისა და პოეზიის განვითარებაში და საფუძველი ჩაუყარა თურქულ ვერსიფიკაციას. იუნუს ემრეს ანატოლიური თურქული პოეზიის ფუძემდებლად მიიჩნევენ. სტატია საინტერესო იქნება მახლობელი აღმოსავლეთის პოეზიით დაინტერესებულ პირთათვის.

სამიუბო სიტყვები: აღმოსავლური პოეზია, თურქულენოვანი ლიტერატურა, მგოსანი, სუფიზმი, დერვიში, სუფი მისტიკოსი, დივანის ლიტერატურა, ორიენტალისტიკა, თექე, არუზი, ჰეჯე

შესავალი

იუნუს ემრეს გარდაცვალებიდან 700 წლისთავთან დაკავშირებით, **იუნუსკოს** გადაწყვეტილებით, 2021 წელი, ცნობილი თურქი პოეტის, **იუნუს ემრეს წლად** გამოცხადდა. პოეტის სამშობლოში იუბილე სახელმწიფო მასშტაბით აღინიშნება. თურქეთის პრეზიდენტის, რეჯეფ თაიფ ერდოღანის განცხადებით, მაშინ, როცა მსოფლიოში ენობრივი საზღვრები იშლება და ერთი საზოგადოების კულტურა მეორეს ხელოვნურად ერწყმის, მშობლიური ენის დაცვა და შენარჩუნება ნებისმიერი საზოგადოების მნიშვნელოვან მისიად ხდება. კულტურული იმპერიალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად მთავარ ფრონტს პირველ რიგში, საკუთარი ენის დაცვა უნდა წარმოადგენდეს, რადგან სამშობლოს უპირველესად ენა იცავს, შემდეგ კი ჯარი. ი. ემრეს ლიტერატურული მემკვიდრეობა ამის საუკეთესო ნიმუშია. თურქული ენის, კულტურისა და თვითმყოფადობის შენარჩუნება და პოპულარიზაცია მთავრობის უმთავრესი პრიორიტეტია (46). ამ ფაქტთან დაკავშირებით, პრეზიდენტმა ხელი მოაწერა ცირკულარს „**2021 წლის იუნუს ემრესა და თურქული ენის წლად გამოცხადების**“ შესახებ (54). დაიგეგმა წლის განმავლობაში ჩასატარებელი სხვადასხვა ღონისძიება, მათ შორის სიმპოზიუმები და საერთაშორისო კონფერენციები; გამოცხადდა საერთაშორისო კონკურსი ი. ემრეს შესახებ მოკლემეტრაჟიანი ფილმის შესაქმნელად (49); საერთაშორისო მუსიკალური კონკურსი „ღვთიური სიყვარულის ხმა“ (48), რაც პოეტის ლექსებზე მუსიკალური ნაწარმოებების შექმნას ითვალისწინებს; მეცნიერებათა აკადემიის მხარდაჭერით, თურქეთის საზღვრებს გარეთ მცხოვრები თურქოლოგებისათვის გამოცხადდა სამთვლიანი პროგრამა (47), რომელიც მკვლევარებს ი. ემრეს ცხოვრებისა და შემოქმედების შესწავლაში მხარდაჭერას და საჭიროების შემთხვევაში კვლევის დამატებით 3 თვით გახანგრძლივებას სთავაზობს; მიმდინარე წელს გამოიცემა კრებული დღემდე ი. ემრეს აქამდე უცნობი 200 ლექსით (52), რომლებიც

ვატიკანის ბიბლიოთეკის მიერ ინტერნეტში თურქული ხელნაწერების ციფრული კოლექციების გამოქვეყნების შემდეგ გახდა ხელმისაწვდომი და ა.შ.

სწორედ ი. ემრეს სახელობისაა თურქული კულტურის ცენტრი, რომლის მისიაც მსოფლიოსათვის თურქეთის, თურქული ენის, ლიტერატურის, ისტორიის, კულტურისა და ხელოვნების გაცნობაა. პირველი ცენტრი 2009 წელს სარაევოში გაიხსნა და მიმდინარე წლის მონაცემებით, მსოფლიოს 52 ქვეყანაში მათი რაოდენობა 62-ს აღწევს. ცენტრის თავმჯდომარის, პროფ. შერეფ ათეშის განცხადებით, თურქეთის რესპუბლიკის დაარსების 100 წლისთავთან დაკავშირებით, 2023 წლისთვის, კულტურის ცენტრების რაოდენობა მსოფლიო მასშტაბით 100-მდე გაიზრდება (45).

საქართველოს დედაქალაქში თურქული კულტურის ცენტრი 2012 წლის 31 მაისს გაიხსნა. ქ. თბილისში ვიზიტად მყოფმა თურქეთის ვიცე-პრემიერმა, ბიულენტ არინჩმა, საზეიმო გახსნის ცერემონიაზე განაცხადა, რომ თურქული კულტურის ცენტრის მისია არ არის თურქული იდეოლოგიის პროპაგანდა, მთავარი მიზანი ქართველ და თურქ ხალხს შორის მეგობრობისა და მშვიდობის გაღრმავებაა, რასაც საუკუნეების წინ ი. ემრე ქადაგებდა (50).

საქართველოსა და თურქეთის გეოგრაფიულმა მდებარეობამ საუკუნეების მანძილზე ამ ქვეყნების მჭიდრო პოლიტიკური, კულტურული და ეკონომიკური ურთიერთობები განაპირობა, რამაც კულტურის ცალკეული ელემენტებით - ლექსიკით, ლიტერატურული სიუჟეტებით, ყოფითი ტრადიციებით, საკუთარი კულტურის გამდიდრების ხელსაყრელი პირობები შექმნა. ქართველი აღმოსავლეთმცოდნეები XX საუკუნის პირველი მეოთხედიდან ინტენსიურად სწავლობენ თურქული და თურქულენოვანი ლიტერატურის ისტორიის საკითხებს, თურქული ლიტერატურათმცოდნეობის თეორიას, იკვლევენ შუა საუკუნეებისა და თანამედროვე ლიტერატურას, ფოლკლორს, ლიტერატურულ მემკვიდრეობას.

როდესაც თურქები შუა და მცირე აზიაში მკვიდრდებოდნენ და დაიწყო მათი გამუსლიმება, ისლამიზაციის პროცესს, ბუნებრივია, მოჰყვა რეგლიგიურ-ფილოსოფიური, ეთიკურ-მორალური და ესთეტიკურ-ლიტერატურული კატეგორიებისა და კრიტერიუმების შეცვლა. შეიქმნა განსხვავებული ისლამური კულტურული რეგიონი, სადაც გაბატონებული იყო არაბული და სპარსული პოეტიკის კანონები, რომლებიც თურქებმა გაითავისეს და ლიტერატურული აზროვნების ძირითად პრინციპებად აღიარეს. ასე შეიქმნა თურქული ე.წ. დივანის ლიტერატურა, რომელსაც პირობითად კლასიკურს უწოდებენ. თურქული პოეზიის მრავალი ნიმუში უკვე ისლამური კულტურული რეგიონის ესთეტიკურ სისტემაზე აღმოცენდა. შემდგომში ეს სისტემა მთლიანად გაბატონდა თურქული დივანის ლიტერატურაში და თითქმის XX საუკუნემდე წარმართავდა თურქულ შემოქმედებით აზრს. თუმცა, თურქული ხალხური ლიტერატურა არასდროს მოწყვეტილა თავის ეროვნულ ნიადაგს და თავისი სპეციფიკური ხედვით, გამოსახვის საინტერესო საშუალებებითა და სალექსო ფორმებით სავსებით ორიგინალურ და განსხვავებულ მხატვრულ სამყაროს წარმოადგენდა (3, 7-8).

ადრეული პერიოდის თვალსაჩინო წარმომადგენლის, ი. ემრეს პოეზიამ დიდი გავლენა იქონია თურქული ხალხური პოეზიის განვითარებაზე. ამდენად, თურქული ლიტერატურის წარმოშობისა და განვითარების მკვლევარი, გვერდს ვერ აუვლის პოეტის შემოქმედებას.

პოეტის დაბადების ზუსტი თარიღი უცნობია, ლიტერატურის ისტორიკოსთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ იგი ცხოვრობდა და მოღვაწეობდა ანატოლიაში, XIII საუკუნის მეორე ნახევარსა და XIV საუკუნის დასაწყისში (დაახლ. 1240-1321 წწ.).

ამ პერიოდში ახლო აღმოსავლეთს მონღოლების სახით, ახალი დამპყრობელი მოეველინა. მათმა გამუდმებულმა თავდასხმებმა დიდი ზიანი მიაყენეს ახლო აღმოსავლეთის ფეოდალურ მეურნეობას და ეკონომიკურ ცხოვრებას. 1242 წლამდე მონღოლებმა შეძლეს შუა აზიისა და ირანის დაპყრობა, თავს დაესხნენ სელჩუკთა სასულთნოს ჩრდილო-აღმოსავლეთ პროვინციებს და იქ გაბატონდნენ. 1243 წლის 3 ივლისს ქოსე დაღთან გამართულმა ბრძოლამ საბოლოოდ გადაწყვიტა სელჩუკთა სასულთნოს ბედი. მონღოლებმა სასტიკად დაამარცხეს სელჩუკები, რის შედეგადაც სელჩუკთა სასულთნოს უდიდესი ნაწილი მონღოლებს დაემორჩილა, დასავლეთ ანატოლიაზე კი სელჩუკების ხელისუფლება ფორმალურად ვრცელდებოდა. XIII საუკუნის ბოლოს სელჩუკთა სასულთნო დამოუკიდებელ სამთავროებად დაიშალა, თუმცა არსებობდა ორი ათეული პატარა თურქული სამთავრო, რომლებიც არც მონღოლებს და არც სელჩუკთა სასულთნოს არ ემორჩილებოდა (1,14).

მონღოლების შემოსევებმა დაანგრეს და გაანადგურეს სახელმწიფო. მძიმე სოციალურ-ეკონომიკური კრიზისის ფონზე მძვინვარებდა შიმშილი, რასაც თან ერთვის შიდა ომები. სწორედ ამ პერიოდში, ანატოლიაში, ნაკადად მიედინებოდა დერვიშთა ჯგუფები, რომლებიც სახელმწიფოს სხვადასხვა ადგილას მკვიდრდებოდნენ. დერვიშები მოსახლეობაში დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ, რადგან განსხვავდებოდნენ თავიანთი რადიკალური შეხედულებებითა და ოპოზიციური შემართებით. უკიდურესად მძიმე მდგომარეობაში მყოფი მოსახლეობა ხშირად აწყობდა მონღოლთა ბატონობის წინააღმდეგ მიმართულ აჯანყებებს. ეს აჯანყებები შიიტური დოქტრინის დროშის ქვეშ ხშირად დერვიშების ხელმძღვანელობით ხდებოდა. ხალხის მძიმე სოციალურმა და მატერიალურმა მდგომარეობამ, მონღოლების გამუდმებულმა თავდასხმებმა და შიდა ომებმა, ქვეყანაში სუფიზმის განვითარებას შეუწყო ხელი. XIII საუკუნე მიიჩნევა ანატოლიაში სუფიზმის აყვავებისა და ფართოდ გავრცელების პერიოდად. XIII-XIV საუკუნეებში სუფიზმი მთელ აღმოსავლეთში გავრცელდა და საზოგადოებრიობის ერთ-ერთ ძირითად საზრუნავად ჭეშმარიტების რელიგიურ სფეროში მიება იქცა.

სუფი პოეტი - ი. ემრე სწორედ ამ პერიოდში გამოვიდა პოეტურ არენაზე. ჩვენამდე მოაღწია მისმა დიდაქტიკურმა მესნევიმი „რისალეთუნ ნუსჰიემ“ (1307 წ.) - „სამოდვრებო წერილმა“ და დივანმა, რომლებიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ ძველი ანატოლიური თურქულის შესასწავლად.

¹ არაბული ლიტერატურის აღმოსავლური პოეზიის სალექსო ფორმა.

პოეტის მთავარ ნაწარმოებად ითვლება მისი დივანი, რომელშიც იგი ხშირად იყენებს სუფიურ ტერმინოლოგიასა და სიმბოლიკას. დივანში შესული ლექსების უმრავლესობა არის რელიგიური ქადაგების ხასიათის ყაზელები. სუფიურ იდეებთან ერთად გვხვდება ფოლკლორული მოტივები. რიგი ლექსებისა დიდი ირანელი პოეტების საადისა და რუმის მიბაძვითაა დაწერილი (14,97).

აღსანიშნავია, რომ ამ პერიოდის მცირე აზიის თურქული ლიტერატურა ვითარდებოდა როგორც თურქულენოვანი, ასევე არათურქულენოვანი ხალხების ლიტერატურასთან კონტაქტით (19,260; 29,8).

დიდაქტიკური პოემა „სამოდვრებო წერილი“ თავისი ფორმით არის მესნევი. იგი იწყება შესავლით, რომელიც ლექსებისა და მცირე პროზაული ნაწილებისგან შედგება. შესავალში პოეტი გადმოგვცემს ფილოსოფიურ და ეთიკურ მოსაზრებებს. მესნევის ძირითადი ნაწილი ექვსი თავისგან შედგება. თითოეული თავი შეიძლება განვიხილოთ, როგორც დამოუკიდებელი ნაწარმოები, სადაც ავტორი მოგვითხრობს ჭიდილზე სათნოებასა და მანკიერებას შორის. ეს ბრძოლა ადამიანის შინაგან სამყაროში ხდება და საბოლოოდ სათნოება იმარჯვებს (26,7).

როგორც უკვე აღვნიშნეთ, პოეტის ცხოვრებისა და მოღვაწეობის პერიოდში სელჩუკთა კულტურის გავრცელების რეგიონში ბატონობდა სპარსული და არაბული ელემენტები, მეცნიერებისა და რელიგიის ენას წარმოადგენდა არაბული, პოეზიისას კი - სპარსული. რაც შეეხება თურქულს, ის თურქულენოვან მოსახლეობაში მხოლოდ სამეტყველო ენად გამოიყენებოდა და როდესაც საქმე ლიტერატურას ეხებოდა დისკრიმინაციას განიცდიდა (16, 178). ლექსის სრულყოფილი ჟღერადობისთვის, დივანის ლიტერატურაში მიღებული წესების შესაბამისად, პოეტები წერდნენ არუზით და იყენებდნენ არაბულ და სპარსულ სიტყვებს. არუზი არაბულ სინამდვილეში წარმოიშვა, გავრცელდა და დამკვიდრდა როგორც სპარსულ, ასევე თურქულენოვან ლიტერატურაში. არუზი განეკუთვნება ოდენობით, ანუ კვანტიტატიურ ვერსიფიკაციულ სისტემათა ჯგუფს (3,32), რომლის საფუძველს ქმნის გრძელი და მოკლე ხმოვნების კანონზომიერი და რეგულირებული მონაცვლეობა, რაც თურქული ენის ფონეტიკური სისტემისათვის არაბუნებრივი და თავსმოხვეული იყო (3,8-9).

ეს ტენდენცია იმდენად განმტკიცდა, რომ დივანის პოეზიაში იშვიათად ჟღერდა თურქული ლექსიკა. შეიძლება ითქვას, რომ თურქულმა ბრძოლით დაიკავა ადგილი სალიტერატურო ენაში (20,278). შეიქმნა იმდენად ხელოვნური ენა, რომ მოსახლეობას იგი აღარ ესმოდა. დივანის ლიტერატურასთან ერთად ვითარდებოდა თექვსი ლიტერატურაც, პირობითად დერვიშული და აშულური პოეზია, რომლის წარმომადგენლებსაც „საზის პოეტებად“ მოიხსენიებენ. „საზის პოეტები“ არ იყვნენ მოწყვეტილი თურქულ ნაციონალურ ნიადაგს, აგრძელებდნენ ეროვნულ ტრადიციებს, სარგებლობდნენ უბრალო, ყველასათვის გასაგები თურქული ენით, რისთვისაც იყენებდნენ თურქულ ნაციონალურ პოეზიაში შემუშავებულ სალექსო ფორმებსა და თურქული ენისათვის ბუნებრივ ვერსიფიკაციულ სისტემას - ჰეჯეს (3,8). ბუნებრივია, „თექვსა“ და „საზის“ პოეტების შემოქმედება ლექსის თემატიკისა და სპეციფიკურობის ფორმით ერთმანეთისაგან

განსხვავდება, თუმცა ამ სკოლის წარმომადგენლები მჭიდრო კავშირში იყვნენ ხალხურ ლიტერატურასთან და არასდროს მოწყვეტიან მის ტრადიციებს. მათი მსგავსებაც ამ საერთო საფუძველმა განსაზღვრა. აღსანიშნავია ისიც, რომ „თექესა“ და „საზის“ პოეტების შემოქმედებაში დივანის ლიტერატურის გავლენა იგრძნობა (28,11).

ი. ემრეს დამსახურება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მან ანატოლიურ თურქულ სასაუბრო ენას ლიტერატურული ენის სტატუსი დაუმკვიდრა. მისი ლექსების უმრავლესობაში ღმერთის მიმართ პატივისცემა და ღრმა სიყვარულია გამოხატული. გაშუქებულია ოთხი ძირითადი პრობლემა: ენა, აზროვნება, გრძნობა და შემოქმედება. ამ საკითხების განვითარებისა და აღმავლობის მიღწევა მხოლოდ ერთ მთლიანობაშია შესაძლებელი. დედამიწაზე ცოცხალ არსებათა ურთიერთკავშირი მხოლოდ სიყვარულითაა განპირობებული და უმწვავეს მისტიკურ მცნებაშიც კი ხელმისაწვდომია. ადამიანი მხოლოდ ისაა, ვინც თავისი აზრის, ჩანაფიქრის გამოხატვის ნიჭითაა დაჯილდოვებული: სხვანაირად რომ ვთქვათ, ადამიანთან მოსაუბრე ღმერთთანაა გათანაბრებული. პოეტის მიზანი ღმერთთან და უკვდავებასთან შერწყმა და განვითარებაა (4, 24-25).

ი. ემრეს შემოქმედება მდიდარია სუფიური ტერმინოლოგიით. გარდა საყოველთაოდ ცნობილი არაბულ-სპარსული ტერმინებისა და სიმბოლოებისა, პოეტი იყენებს თურქულ ექვივალენტებს, რომელთა უმრავლესობაც ი. ემრეს წინამორბედთა შემოქმედებაშიც გვხვდება (26, 205).

არათურქული ლექსიკიდან ყველაზე დიდი რაოდენობით არაბულ სიტყვებს იყენებს, რომლებიც იმ ეპოქისათვის ახალ ნასესხობებს წარმოადგენდნენ. არაბიზმები დომინირებს რელიგიურ ტერმინოლოგიასა და ლექსიკაში. მათ შემდეგ ყველაზე მეტი სიტყვა სპარსული ენიდანაა აღებული. აღსანიშნავია, რომ არაბულ-სპარსული ნასესხობები, რომლებიც თანამედროვე სალიტერატურო ენაში აღარ გამოიყენება, დამკვიდრებულია თურქული ენის დიალექტებში. პოეტის ორივე ნაწარმოებში უცხო სიტყვების რაოდენობა, რომელთაც ფონეტიკური, მორფოლოგიური და სემანტიკური ადაპტაცია განიცადეს, თითქმის თანაბარია. პოემა არაბულ-სპარსული პოეზიის სტილში არის დაწერილი და შედარებით მომზადებულ აუდიტორიას გულისხმობდა. ლექსები კი, სადაც პოეტი სუფიზმის იდეებს ქადაგებს, ანატოლიელი მოსახლეობის ფართო წრისთვის იყო განკუთვნილი და მისი ენა სამეტყველო ენასთან იყო ახლოს (26, 209-210).

ი. ემრეს პოეზიის შეფასებისას მეცნიერთა მოსაზრება, ძირითადად, ორად იყოფა. ერთნი თვლიან, რომ მისი ენა არის მარტივი და ხალხური (17,10), მეორენი კი მას მიიჩნევენ ლიტერატურულად. თუმცა, მკვლევართა უმეტესობის აზრით პოეტის შემოქმედება მარტივი ენით არის დაწერილი (30,264) და ლექსების მეტრიკა ხალხურია (14,84), იმასაც აღნიშნავენ, რომ პოეტის ენა არის თურქული, მეტრიკა სილაბურ-ტონური (27,50).

ფ. ქოფრულუს მოსაზრებით ი. ემრეს დივანი მისმა მიმდევრებმა მოგვიანებით, პოეტის გარდაცვალების შემდეგ გამოაქვეყნეს. თუმცა, გამოქვეყნებული კრებულები არასაიმედოა, რადგან მათში ლექსების რაოდენობა არასრულია და ზოგიერთი ლექსი ი. ემრეს მიმბაძველი ავტორების უნდა იყოს (19,321-326).

ფ. ქოფრულუს მოსაზრებას არ ეთანხმება მკვლევარი ა. გიოლფინარლი. მისი აზრით ი. ემრემ სიცოცხლეში შეადგინა დივანი, რასაც მკვლევარი პოეტის სტრიქონებით ასაბუთებს: „ხელში აიღო დივანი...“ (11,243) ან „წაიკითხავენ ამ ჩემს დივანს...“(11,100). იმის მიუხედავად, რომ ა. გიოლფინარლის გამოქვეყნებული დივანი სხვა გამოცემებთან შედარებით სანდო და სრულია, თავად ავტორი აღნიშნავს, რომ იგი საჭიროებს შემდგომ სამეცნიერო-კრიტიკულ დამუშავებას.

დღეისათვის არსებული ი. ემრეს დივანის რამდენიმე გამოცემა სრულყოფილად არ ითვლება (23; 24; 11; 13), რაც თავისთავად ართულებს პოეტის შემოქმედების შესწავლას. ეს თავის მხრივ კიდევ ერთხელ მოგვიწოდებს სიფრთხილისაკენ მისი კრიტიკულად განხილვის დროს (28,18-19).

ისტორიულ თუ ლიტერატურულ წყაროებში არ მოიპოვება ცნობები, რომლებიც დაგვეხმარებოდა ი. ემრეს ცხოვრების შესწავლაში. სავარაუდოდ, ამის მიზეზი მწერლის მხატვრული მანერაა, მისი უბრალოება და ხალხურობა. განხილულ ეპოქაში პრივილეგი-რებულ წრეებსა და ლიტერატურულ სალონებში გაბატონებული იყო ესთეტიკური მოდუსი, რომლისთვისაც მხოლოდ დივანის ლიტერატურა იყო მისაღები და სრულად უარყოფდა აშუღურ და დერვიშულ პოეზიას. ამის გამო, შუა საუკუნეების თურქეთის კულტურულ ცხოვრებაში გავრცელებულ ლიტერატურულ თეზქერეებში² თითქმის არ გვხვდება არც ერთი „საზის პოეტი“. უფრო მეტიც, ისინი ხშირად გამხდარან, დივანის პოეზიის მიმდევრების დაცინვის საგანი (8,193). ამის შესახებ არაერთხელ გამოთქმულა აზრი სამეცნიერო ლიტერატურაში (41,164; 8,194; 15,126-127).

რუსი მეცნიერის ვ.ბ. კუდელინის ავტორობით გამოცემულ მონოგრაფიულ ნარკვევებში გამოთქმულია აზრი, რომ შუა საუკუნეების თეზქერეს ავტორები ი. ემრეს არა იმდენად შემოქმედების მხატვრული სპეციფიკურობის, რამდენადაც მისი „ერეტიკული“ შეხედუ-ლებების გამო იგნორირებდნენ (31,77; 32, 23).

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ვ.ბ. კუდელინი დასკვნაში ხშირად უგულებელყოფს ისტო-რიზმის პრინციპებს და არ ითვალისწინებს შუა საუკუნეების სინამდვილეს. მკვლევარის ნაშრომებში ი. ემრეს მსოფლმხედველობის რიგი მომენტები განმარტებულია არაისტორი-ულ კონტექსტში და შესაბამისად, მისი დასკვნები ყოველთვის სინამდვილეს არ შეესაბა-მება (28,14).

ი. ემრეს სახელი არ გვხვდება თურქული ლიტერატურის ისტორიის ზოგი მკვლევარის ნაშრომში. ეს ეხება როგორც თურქ, ასევე უცხოელ მკვლევარებს. მაგ. ცნობილი რუსი მკვლევარი ვ.დ. სმირნოვი თავის ნაშრომში „თურქული ლიტერატურის ისტორიის ნარკვევები“ ი. ემრეს არც კი მოიხსენებს (35). აკადემიკოსი ა.კ. კრიმსკი დაბალ შეფასებას აძლევს ი. ემრეს შემოქმედებას (30,263-4). ცნობილი აღმოსავლეთმცოდნე იოზეფ ჰამერ-პურგშტალიც ასევე, მოკლედ შეეხო მის მემკვიდრეობას (43,566).

² პოეტთა ბიოგრაფიები.

პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებაზე შედარებით სრულ და ნათელ სურათს ხატავს ინგლისელი აღმოსავლეთმცოდნე ე. გიბბი (41,165). აღსანიშნავია ჰერბერტ ვილჰელმ დუდას და ეტორე როზის კვლევები, რომლებიც ეხება პოეტის შემოქმედების საინტერესო მომენტებს და მისი ცხოვრებისა და შემოქმედების სრული აღწერის პრეტენზია არ გააჩნიათ (40, 44,75).

თურქი ლიტერატურათმცოდნეებიდან ი. ემრეს ცხოვრებასა და შემოქმედებაზე პირველი მონოგრაფიული კვლევა ეკუთვნის მეჰმედ ფუად ქოფრულუს. ხანგრძლივი კვლევის შედეგად, 1918 წ. გამოქვეყნდა მისი ფუნდამენტური ნაშრომი სახელწოდებით „პირველი მისტიკოსები თურქულ ლიტერატურაში“ (18). ავტორმა გაგვაცნო პოეტის ცხოვრების სარწმუნო დეტალები და პირველად გააშუქა ი. ემრესა და შუა აზიის მისტიკოსის, აჰმედ იესევის პოეტიკისა და მსოფლმხედველობის საკვანძო საკითხები. ამ ნაშრომის გამოქვეყნების შემდეგ საგრძნობლად გაიზარდა ინტერესი ი. ემრეს შემოქმედებისადმი. პოეტის შემოქმედება შეისწავლა და მაღალი შეფასება მისცა არაერთმა თურქმა და უცხოელმა ლიტერატურათმცოდნემ.

თურქი მკვლევარებიდან, ძველი თურქული ლიტერატურის შესწავლაში უდიდესი წვლილი შეიტანა აბდულბაქი გიოლფინარლიმ. მან გამოსცა ი. ემრეს ლექსების ყველაზე სრული და სოლიდური კრებული (11), შეისწავლა პოეტის ცხოვრება (9) და შემოქმედება

(10) და მრავალწლიანი კვლევის შედეგად გამოსცა ფუნდამენტური მონოგრაფია „იუნუს ემრე და სუფიზმი“ (12). ნაშრომში მეცნიერი არ ეთანხმება გავრცელებულ მოსაზრებას ი. ემრეს შემოქმედებაზე აჰმედ იესევის გავლენის შესახებ (12,106-112).

საყურადღებოა თურქი მეცნიერის ნურეთინ ალბაირაქის 2014 წელს გამოქვეყნებული ნაშრომი (4), რომელიც არის ი. ემრეს ლექსიკის საფუძველზე შედგენილი ლექსიკონი. ლექსიკონში დივანის 4154 ლექსიკური ელემენტის ისტორიულ-ეტიმოლოგიური კვლევა, მათ შორის საკუთარი სახელების განმარტებებია მოცემული.

პოეტის ლექსიკა შეისწავლა მეცნიერმა საით ქურშითმა (43). მკვლევარმა ისარგებლა ი. ემრეს დივანის ერთ-ერთი ძველი ხელნაწერით, ფათიჰის ნუსხით, რომლის შექმნის სავარაუდო თარიღად XV საუკუნე სახელდება. 270 გვერდიანი ხელნაწერი ნასხის კალიგრაფიითაა შესრულებული და მოიცავს 203 ლექსს. 2555 ლექსიკური ელემენტი კლასიფიცირებულია. არათურქული სიტყვებიდან დომინირებს არაბული სიტყვები, მათ შემდეგ სპარსული, რამდენიმე ბერძნული და სხვა ენები. მეცნიერს სიტყვების ეტიმოლოგიური კვლევა არ აქვს მოცემული.

პოეტის ცხოვრებისა და შემოქმედების ცალკეული საკითხები შეისწავლა და საყურადღებო სტატიებისა და სპეციალური შრომების სახით გამოსცა არაერთმა მკვლევარმა (22; 7; 21; 25; 38,71-72).

2018 წელს, ქ. რომში, ი. ემრეს სახელობის ინსტიტუტის მხარდაჭერით გამოიცა ი. ემრეს დიდაქტიკური მესწვევის „რისალეთუნ ნუსჰიეს“ (სამოდღვრეო წერილი) და დივანის

³ არაბული კალიგრაფიის სახეობა

იტალიური თარგმანი, რომელიც იტალიელმა თურქოლოგმა ფულვიო ბერტუჩელიმ თარგმნა (51); 2009 წელს თელ-ავივში გამოიცა პოეტის 42 ლექსის თარგმანი ებრაულ ენაზე. მთარგმნელები გახლავთ დენის ოიაღოვ, ავრამ მიზრაჰი და სელიმ ამაღო (53); 1975-1976 წწ. გამოიცა პოემის ორი ფრანგული თარგმანი, თარგმნეს ა. დუშმენმა (39) და პოლონელმა თურქოლოგმა ი. ციოპინსკიმ (36,117-140; 37,65-85); გამოიცა რუსი ლიტერატურათმცოდნე ვ.ბ. კუდელინის წიგნი (32), რომელშიც შეტანილია პოეტის ასზე მეტი ლექსის თარგმანი. რუსმა თურქოლოგმა ა. მარტინცევა ი. ემრეს ლექსთწყობის საკითხები შეისწავლა (33; 34). საქართველოში ი. ემრეს შემოქმედება შეისწავლეს და ფუნდამენტური ნაშრომები მიუძღვნეს აღმოსავლეთმცოდნეებმა პროფ. ელიზბარ ჯაველიძემ (28) და პროფ. შალვა გაბესკირიამ (26). მიმდინარე წელს, საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ი. ემრეს სახელობის ინსტიტუტის მხარდაჭერით, გამოიცემა პოეტის ლექსების კრებული ქართულ ენაზე.

პროფ. ელიზბარ ჯაველიძე მდიდარ მასალაზე დაყრდნობით, აღადგენს განხილული პერიოდის ისტორიულ ვითარებას და სიღრმისეულად აშუქებს სუფი-პოეტის ცხოვრებასა და შემოქმედებას. მის კალამს ეკუთვნის აგრეთვე ფუნდამენტური გამოკვლევა „თურქული პოეტიკა“ (3). ნაშრომში განხილულია შუა საუკუნეებისა და ახალი თურქული ლიტერატურის პოეტიკის უმთავრესი საკითხები: მეტრი, რითმა, ფორმები, ტროპული სისტემა და ჟანრები.

პროფ. შალვა გაბესკირიას ნაშრომი „იუნუს ემრეს ნაწარმოებების ლექსიკა“ (26) წარმოადგენს ი. ემრეს ლექსიკის პირველ მონოგრაფიულ კვლევას. მასში განხილულია ძველი ანატოლიური თურქულისთვის დამახასიათებელი თურქული წარმომავლობის ის ლექსიკური ერთეულები, რომლებიც ე.წ. ოსმალურში ხმარებიდან თითქმის გამოსულია. მოცემულია ი. ემრეს შემოქმედების ლექსიკური ფონდის ის საინტერესო საკითხები, რომლებიც მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენენ თურქული ენის შესასწავლად.

პოეტის ცხოვრების შესახებ შემონახულია უფრო მეტი თქმულება, ვიდრე დადასტურებული ისტორიული ფაქტი. გასათვალისწინებელია, რომ თქმულებები ხალხის ფანტაზიის ნაყოფია, ისტორიული ელემენტების შემცველი, მივიწყებული ისტორიული რეალობიდან ამოზრდილი. ამიტომ, როდესაც ვცდილობთ აღვადგინოთ პოეტის ცხოვრების ისტორიული სურათი, აუცილებელია მათი გათვალისწინება. თქმულებებიდან ირკვევა, რომ პოეტი ხალხის დიდი სიყვარულით სარგებლობდა და თითქმის წმინდანადაა შერაცხული. ეპოქაში, როდესაც ი. ემრეს ცხოვრობდა, ლექსის წერის უნარი „ღვთიურ გამოვლენად“ ითვლებოდა და ნებისმიერ პოეტს ღვთის წამომადგენლად მიიჩნევდნენ. ამის ნათელი დადასტურებაა ის ფაქტი, რომ დღეს არსებული ი. ემრეს თხუთმეტზე მეტი საფლავი მიიჩნევა წმინდა ადგილად, რომლის თაყვანის საცემად მორწმუნენი დღემდე დადიან.

თქმულებების დიდ ნაწილში პოეტი წარმოდგენილია პიროვნებად, რომელსაც განათლება მედრესეში⁴ არ მიუღია. ამ მოსაზრების გავრცელებას ხელი შეუწყო პოეტის ლექსებმა, რომლებშიც ავტორი არაერთხელ აღნიშნავს, რომ იგი უსწავლელი კაცია. ამ გამოთქმებში

⁴ არაბული მუსლიმური სასულიერო სასწავლებელი.

იმალე პოეტის გნოსეოლოგიური პოზიცია და არა ბიოგრაფიული დეტალები. თქმულებებში აღნიშნულია, რომ პოეტი ფლობდა მუსიკალურ უნარებს, განსაკუთრებით უყვარდა ექვსსიმანი საზი, ამასთანავე, ესმოდა ბუნების ენა. პოეტის მუსიკისადმი სიყვარულს ამტკიცებს მისი ბეითები⁵. რაც შეეხება ბუნების ენის შეცნობას, ეს მისტიკური მოსაზრება, ფართოდ იყო გავრცელებული დერვიშების წრეში. თქმულებების მიხედვით, ი. ემრე სამმოს წევრად გახდომამდე, მძიმე ფიზიკურ შრომას ეწეოდა, შეშასა და წყალს ეზიდებოდა. ეს ფაქტი შესაძლოა სინამდვილეს შეესაბამებოდეს, რადგან დერვიშული ტრადიციების მიხედვით დერვიშთა სამმოს წევრობის მოსურნე ჭეშმარიტების მაძიებელს, პირველ რიგში, საკუთარ თავში უნდა ჩაეკლა სიამაყე და მედიდურობა. ამიტომ უნდა შეესრულებინა ისეთი საქმე, რაც მასში ქედმაღლობას ჩაკლავდა (28,31-40).

პოეტის ბიოგრაფიის გასაშუქებლად, თქმულებების გარდა, სხვა ინფორმაცია არ მოიპოვება. ერთადერთი, რამაც შეიძლება ეს ნაკლი შეავსოს, თავად პოეტის შემოქმედებაა. შემოქმედების საფუძვლიანი შესწავლა შესაძლებლობას გვაძლევს ვივარაუდოთ, რომ ი. ემრე იყო დერვიში, დერვიშთა წრეში ტრიალებდა და მათსავე მსოფლმხედველობას გამოხატავდა. პოეტი თავის ლექსებში აღნიშნავს, რომ მისი შეიხი და სულიერი მოძღვარი თავდუქ ემრეს იყო. სწორედ მისი დახმარებით დაადგა და ეზიარა იგი ჭეშმარიტების გზას. თავდუქ ემრესა და ი. ემრეს შორის წარმოიშვა ისეთი მეგობრობა და სიყვარული როგორც იყო მევლანასა და შამს თებრიზს შორის. ეს იყო შუა საუკუნეების აღმოსავლეთში დაკანონებული მიურშიდისა⁶ და მიურიდის⁷ ურთიერთობა. (28,42) ი. ემრე ბევრს მოგზაურობდა და როგორც დერვიშების ინსტიტუტის გაბატონებული ტრადიციებით იყო დათქმული, ხალხში თავისი შეიხის, თავდუქ ემრეს დოქტრინას ავრცელებდა.

სპეციალურ ლიტერატურაში ხშირად განიხილებოდა ი. ემრესა და ჯალალ ედ-დინ რუმის, (მევლანა 1207-1273) ურთიერთობის საკითხი. თავად პოეტი დივანში რამდენ-ჯერმე ახსენებს მევლანას. როგორც ჩანს პოეტი ჩასულა კონიაში, გაუცვნია იგი, დასწრებია მეჯლისებს და მონაწილეობა მიუღია „სემამი“⁸. პოეტი თავის სტრიქონებში აღიარებს იმ დიდ შთაბეჭდილებას, რაც მასზე აღმოსავლეთის უდიდესმა მოაზროვნემ მოახდინა. არაერთი მეცნიერი იზიარებს მოსაზრებას, რომ რუმის შემოქმედებამ ი. ემრეს მსოფლმხედველობასა და მხატვრულ სამყაროზე გავლენა იქონია (28,46). ჯალალ ედ-დინ რუმიმ ცხოვრების დიდი ნაწილი თანამედროვე თურქეთის ტერიტორიაზე გაატარა და მიუხედავად იმისა, რომ სპარსულ ენაზე წერდა, დიდად შეუწყო ხელი თურქული ლიტერატურული ცხოვრების განვითარებას. ი. ემრეს შემოქმედებითი მემკვიდრეობა მკვლევარებს საშუალებას აძლევს დაბეჯითებით თქვან, რომ ი. ემრე კარგად იცნობდა არაბულ და სპარსულ ლიტერატურას, რაც მის ლექსებში დამაჯერებლად არის წარმოდგენილი.

⁵ არაბული ლიტერატურული ორტაეპიანი ლექსი

⁶ არაბული მუსლიმი სულიერი მოძღვარი

⁷ არაბული მუსლ. მიმდევარი, მოწაფე

⁸ არაბული მეველეიელი დერვიშების ღვთისმსახურების რიტუალი

ბეითებიდან ირკვევა რომ პოეტმა დიდხანს იცოცხლა, ბევრს მოგზაურობდა ანატოლიასა და მეზობელ ქვეყნებში. მისმა პოეზიამ საუკუნეების მანძილზე შეინარჩუნა ხალხის სიყვარული და ინტერესი. იგი დღესაც პოპულარულია მთელ თურქულენოვან და მასთან დაახლოებულ ხალხებში; მის საფლავს კი, აზერბაიჯანიდან დაწყებული ბალკანეთით დამთავრებული, შვიდი დასახლებული პუნქტი ედავება ერთმანეთს, თუმცა ოფიციალური მავზოლეუმი თანამედროვე თურქეთის სამხრეთ-დასავლეთ ნაწილში, ქ. კულას მახლობლად მდებარეობს (2,17).

რასაკვირველია, ი. ემრეს შემოქმედებას ეტყობა რეგიონის ისლამური კულტურის გავლენის კვალი, თუმცა მისი დერვიშული მსოფლმხედველობა, ხალხისათვის გასაგები თურქული ენა და რაც ყველაზე მთავარია, მის მიერ გამოყენებული ხალხური ლექსის ზომა, ეროვნულ ნიადაგზე წარმოიშვა და თურქული ეროვნული სულისკვეთებით არის გაჟღენთილი. ამიტომაც, რომ ი. ემრეს პოეზია ხალხის უდიდესი სიყვარულით სარგებლობდა და სარგებლობს და თავად კი აშუღური და დერვიშული ლიტერატურის ფუძემდებლად ითვლება (6,555).

თურქული ხალხური ლიტერატურა თურქი ხალხის წიაღში ვითარდებოდა და ღრმავდებოდა. საუკუნეთა განმავლობაში ბატონობდა ორი ურთიერთისაგან განსხვავებული და დამოუკიდებელი მხატვრული სისტემა: პირველი - ეს იყო ხალხური ლიტერატურა, რომელშიც პირობითად სამ ლიტერატურულ მიმართულებას გამოყოფენ: 1. ანონიმური ხალხური ლიტერატურა, 2. საზის პოეტები ანუ აშუღური ლიტერატურა, 3. თექე, ანუ დერვიშული ლიტერატურა. მეორე იყო დივანის, ე.წ. კლასიკური ლიტერატურა, რომელიც, როგორც უკვე აღვნიშნეთ, მთლიანად მოწყდა თურქულ ნაციონალურ ნიადაგს და დაეფუძნა იმ ესთეტიკურ სისტემას, რომელიც ზოგად ისლამური იდეოლოგიით საზრდოობდა, მას მკაცრი კანონიკური ხასიათი გააჩნდა, სადაც ყველაფერი წინასწარ იყო განსაზღვრული, რა და როგორ უნდა გეტქვა (3,8-9).

შეიძლება ითქვას, რომ ი. ემრეს პოეტური სამყარო გარკვეულ გარდამავალ საფეხურს და თურქული ხალხური და კლასიკური ლიტერატურის ესთეტიკური სისტემების დამაკავშირებელ რგოლს წარმოადგენს. ამ თვალსაზრისით მის შესწავლას განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სვანიძე მ. 1999. ოსმალეთის ისტორია (XIV-XVI სს.). თბილისი. ქრონოგრაფი.
2. ხარებავა მ., ელერდამვილი ალ. 2018. თურქული პოეტიკის ანთოლოგია. თბილისი.
3. ჯაველიძე ე. 1988. თურქული პოეტიკა. მოკლე კურსი. თბილისი. განათლება.
4. ჯანელიძე ა. 2008. იუნუს ემრე - თურქეთის დიდი სახალხო პოეტი. ახალი ხიდი. საერთაშორისო ყოველკვარტალური ჟურნალი. იანვარი. 24-25.
5. Albayrak N. 2014. Gönül Çalab'ın Tahtı / Açıklamalı Yunus Emre Sözlüğü. İstanbul.
6. Ali H. (Yücel) 1932. Türk Edebiyatına Toplu Bir Bakış. İstanbul. Remzi Kitaphanesi.
7. Alptekin T. 2012. Bir Enel-Halk Şiiri Yunus Emre. Demos Yayınları.

8. Habib İ. 1942. Edebiyat Bilgileri. İstanbul.
9. Gölpınarlı A. 1936. Yunus Emre Hayatı. İstanbul.
10. Gölpınarlı A. 1941. Yunus ile Aşık Paşa ve Yunus'un batınlığı. İstanbul.
11. Gölpınarlı A. 1943-1948. Yunus Emre Divanı c. 1-2, 2-3 İstanbul.
12. Gölpınarlı A. 1961. Yunus Emre ve tasavvuf. İstanbul.
13. Gölpınarlı A. 1973. Yunus Emre Hayatı ve Bütün Şiirleri. İstanbul
14. Gönensay H.T. Banarlı N.S. 1949. Türk edebiyatı tarihi. İstanbul.
15. Kabaklı A. 1966. Türk Edebiyatı. c.II. İstanbul.
16. Kocatürk V.M. 1964. Türk Edebiyatı Tarihi (Başlangıçtan bugüne kadar). Ankara
17. Korkmaz Z. 1963. Türk Dilinin Tarihi Akışı İçinde Atatürk ve Dil Devrimi. Yayınevi: A. Ü. Dil ve Tarih - Coğrafya Fakültesi. 147. 10.
18. Köprülü M.F. 1918. Türk Edebiyatında İlk Mutasavvıflar. İstanbul.
19. Köprülü M.F. 1961. Türk Edebiyatında İlk Mutasavvıflar. Ankara.
20. Köprülüzade M.F. 1933. Anadolu'da Türk Dili ve edebiyatının Tekamülüne Umumi Bir Bakış Yeni Türk Mecmuası. c. 1. No 4. 278.
21. Ocak A.Y. 2012. Yunus Emre. Ankara. T.C.Kültür ve Turizm Bakanlığı Kütüphaneler ve yayımlar Genel Müdürlüğü Yayınları.
22. Tavukçu O. K. 2017. Yunus Emre Kitabı. Ankara. Akçağ Yayınevi
23. Toprak B. 1933-1934. Yunus Emre Divanı. c. 2. İstanbul.
24. Toprak B. 1960. Yunus Emre Divanı. İstanbul.
25. Ünver İ. 2005. Yunus Emre üzerine. Yakın Doğu Üniversitesi Rumî Enstitüsünde düzenlenen "Yunus Emre İlim ve Aşk" adlı sempozyum.
26. Габескирия Ш. В. 1983. Лексика произведений Юнуса Эмре. Тбилиси. Мецниереба.
27. Гарбузова В.С. 1963. Поэты средневековой Турции. Изд-во Ленинградского университета.
28. Джавелидзе Э.Д. 1985. У истоков турецкой литературы. Часть 2: Юнус Эмре. Тбилиси. Мецниереба.
29. Жирмунский, В. М. 1962. Огузский героический эпос и «Книга Коркута» / Книга моего деда Коркута: Огуз. героич. Эпос.
30. Крымский А.Е. 1916. История Турции и ее литературы. Москва.
31. Куделин В. Б. 1970. Некоторые вопросы истории изучения жизни и творчества Юнуса Эмре. Вестник Московского Университета. Востоковедение. 2, 77.
32. Куделин В. Б. 1980 Поэзия Юнуса Эмре. Наука.
33. Мартынецев А.Е. 1973. Приблизительная рифма в газелях Юнуса Эмре. Советская Тюркология, 5.
34. Мартынецев А.Е. 1976. Об особенностях строфического оформления стихов Юнуса Эмре. Советская Тюркология, 3.
35. Смирнов В.Д. 1891. Очерки истории турецкой литературы. Санкт-Петербург.
36. Ciopinski, J. 1976. Le traite de bons conseils de Yunus Emre. Folia Orientalia. t.17, s. 117-140.
37. Ciopinski, J. 1977. Le traite de bons conseils de Yunus Emre. Folia Orientalia. t. 18, s. 65-85.
38. Ciopinski J. 1992-1993. Yunus Emre et Alighieri Dante. FO. c. XXIX. s. 71-72.
39. Duchemin A. 1975. Un grand mystique turc: Yunus Emre 1248-1320. Petit livre de conseils "Turcica " Bd. 7. Paris –Strasbourg.
40. Duda H.W. 1928. Yunus Emre. Konst.
41. Gibb E. J. W. 1900. A history of the Ottoman poetry. vol I. London.
42. Hammer-Purgstall J. 1838-1840. Geschichte der osmanischen dichtkunst bis auf unsere zeit. Bd 2. Pesth-Hartleben.

43. Khourchid S. 1991. La Langue De Yunus Emre: Contribution A L'histoire Du Turc Pre Ottoman. Ministère de la culture. January. 1.
44. Rossi E. 1940. Le Poeta mistico turco Yunus Emre. Oriente Moderno.
45. ათეშ შ. თურქული კულტურის ცენტრი.
<https://www.yee.org.tr/tr/kurumsal/baskanin-mesaji> (01.02.2021)
46. <https://fledu.uz/ru/2021-god-god-yunusa-emre-i-turetskogo-yazyka/> (31.07.2021)
47. თურქეთის მეცნიერებათა აკადემია. კონკურსის შესახებ. <https://tinyurl.com/tubaadp> (28.11.2021)
48. იუნუს ემრეს ინსტიტუტი-თბილისი.
<https://www.facebook.com/yeetiflis/posts/1636380033220092> (28.11.2021)
49. იუნუს ემრეს ინსტიტუტი. <https://www.yee.org.tr/tr/haber/uluslararasi-yunus-emre-kisa-film-yarismasi-0?fbclid=IwAR0mHV7iuN6PJ1WZL1XJcmiPXMkQ5kPakmbk2g2rImf6Fq9hEUQV85cWhyc> (28.11.2021)
50. იუნუს ემრეს ინსტიტუტი - თბილისი. ვიცე-პრემიერ ბიულენტ არინჩის პატრონაჟით გაიხსნა თბილისის იუნუს ემრეს თურქული კულტურის ცენტრი.
<http://yunusemreenstitusu.org/georgia/index.php?lang=gr&page=65> (28.10.2021)
51. ი. ემრეს ლექსები იტალიურ ენაზე. <https://www.haberler.com/yunus-emre-divan-verisaletu-n-nushiyye-kitabina-10496340-haberi/> (28.11.2021).
52. იუნუს ემრეს დღემდე უცნობი 200 ლექსი ვატიკანის არქივიდან
<https://www.gazeteduvar.com.tr/yunus-emrenin-200e-yakin-siirinin-yer-aldigi-yeni-divanibulundu-haber-1521862> (30. 06.2021).
53. შალომ თურქიე. ყოველკვირეული გაზეთი. ი.ემრეს ლექსები ებრაულ ენაზე.
https://www.salom.com.tr/arsiv/haber-70832-yunus_emre_felsefesi_lbranicede.html. (28.11.2021)
54. ცირკულარი: 2021 ი. ემრესა და თურქული ენის წელი.
<https://www.tdk.gov.tr/icerik/basindan/2021-yili-yunus-emre-ve-turkce-yili-olarak-ilan-edildi/> (29. 06.2021).

2021 – The Year of Yunus Emre and the Turkish Language

Mzia Gogiashvili

Grigol Robakidze University, PhD student
mzia.gogiashvili20@gruni.edu.ge

Abstract. The article is dedicated to the great representative of Turkish Sufi poetry of the XIII-XIV centuries, Yunus Emre. His works made a significant contribution to the development of Turkish folk literature and poetry and laid the foundation for Turkish versification. Yunus Emre is considered to be the founder of Anatolian Turkish poetry. The article will be especially appealing to those interested in Near Eastern poetry.

Keywords: Oriental Poetry, Turkish Literature, Poet, Sufism, Dervish, Sufi Mystic, Divan Literature, Oriental Studies